

კავშირი “ახალი ხელოვნება”
და
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ახალგაზრდული ლიტერატურული კონკურსი

ა ლ უ ბ ლ ო ბ ა 2009

თბილისი
2009

ISBN 978-99940-963-7-4

ახალი ალუბლები

ახალი, მრავალფეროვანი, უცნაური, სასაცილო, ტრაგიკული, ირონიული, ფანტასტიკური, ფილოსოფიური - ზედსართავები არ გამომეღევა, იმისათვის, რომ დავახასიათო ამ კრებულში დატეული მოთხრობები, მინიატურები, ვერლიბრები, თუ ტრადიციულ მეტრზე განწყობილი ლექსები. ძალიან ძნელია, ასეთი ფართო სპექტრის კრებულისთვის შესავლის დაწერა და მათი გაერთიანება რამე ნიშნის ქვეშ. რა უნდა იყოს ეს ნიშანი? ასაკი? მაგრამ ეს ძალიან ბუნდოვანი კრიტერიუმია, მით უმეტეს, რომ ზოგი მოთხრობისა თუ ლექსის სიბძნემ, მაღამხატვრულობამ, ერუდიციამ შეიძლება ადვილად შეგიყვანოს შეცდომაში ავტორების ასაკთან დაკავშირებით. მაშინ რა? თაობის ზოგადი სულისკვეთება? მსგავსი პრობლემები? რა თქმა უნდა, ამ ნაწარმოებებში შეიძლება გამოავლინო საერთო თემატიკა: ნარკომანია, გაუცხოვება, მშობლებთან ურთიერთობა, ცხოვრების მიზნის ძიება და ა.შ. მაგრამ თუნდაც საერთო თემაზე დაწერილი ნაწარმოებები იმდენად განსხვავებული და პიროვნულია, რომ გაჭირდება მათი ერთი რუბრიკის ქვეშ მოქცევა.

იქნებ სწორედ ეს არის ის საერთო, რაც ამ კრებულს ახასიათებს: მრავალფეროვნება, არაერთგვაროვნება, გამოკვეთილი პიროვნულობა, იდიოსინკრასია. თანამედროვე სამყაროც ასეთი არაა? - პოსტმოდერნული, ტრადიციულში დაეჭვებული თუ რწმენადაკარგული, ახლის მძებნელი და, ასე ვთქვათ, ინფორმაციის “წარღვნაში” მყოფი. დღეს ხომ ტრადიციულის დამცველიც მხოლოდ მაშინ ხდება დამაჯერებელი და მხოლოდ მაშინ გამოდის სიყალბის და შაბლონის “ველიდან”, როცა ამ ფასეულობას აჩვენებს ეგზისტენციალურად, ანუ პირადი, უნიკალური გამოცდილებით. იქნებ დღევანდელობაში ტრადიციულის ამგვარად, ახლებურად წარმოჩენა ან ხელახალი აღმოჩენა უფრო ძნელიც იყოს, ვიდრე გულწრფელი, გაბედული პროტესტი, შეულამაზებელი და უხეში, ზოგჯერ უნმანური ენიტაც.

მოთხრობების კითხვისას ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ინტერნეტის ერთი საიტიდან მეორე, სრულიად განსხვავებულზე გადავდიოდი და ასე კალეიდოსკოპივით: მაგალითად, ქართული პატრიოტიზმიდან სრულ კოსმოპოლიტიზმამდე, სადაც ქართული მხოლოდ ენა იყო; რეალისტურ-ნატურალისტური თხრობიდან ბრედბერისმაგვარ ფანტასტიკურამდე, პროვინციული ჟარგონიდან თბილუსურამდე, გურჯაანის შრომის ბირჟიდან ნიუ-იორკის სტუდენტურ კამპუსამდე ა.შ. ისე კი, ინტერნეტი შემთხვევით არ გამხსენებია, რადგან ზოგი მოთხრობა შეუძლებელი იყო გაგეგო ამ 21-ე საუკუნის სასწაულის გარეშე, რადგან ავტორი გულისხმობდა, რომ მკითხველს უნდა წინასწარ სცოდნოდა ესა თუ ის როკ-ჯგუფი, ან მომღერალი, რადგან უამისოდ მის სათქმელს სრულყოფილად ვერ გაიგებდი. არა უშავს, თუ “ბითლზთან”, “ფინქ-ფლოიდთან”, ან თუნდაც თუ ფაქ შაკურთან მქონდა საქმე, კიდევ გავიდოდი იოლას, მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ, მაგალითად, ანია გარბარეკის ვინაობის გასაგებად და მისი სიმღერის მოსასმენად ინტერნეტში ატვირთულ ვიდეორგოლებზე მომიწია გასვლა.

ასეა თუ ისე, დიდი სიამოვნება მივიღე ამ მოთხრობების და ლექსების კითხვით. ჩანს, რომ საქართველოში, ამ თაობის მწერლებში ჩნდება და ვითარდება ახალი განცდები და გამოცდილებები; ისინი არ წყდებიან თანამედროვე სამყაროს - იგი სუნთქავს ამ ნაწარმოებებში მთელი თავისი სირთულეებით, ტკივილებით და წინააღმდეგობებით. ამ ტექსტებში თითქმის არ არის დიდაქტიკა და მორალიზაცია, საპირისპიროდ, ჭარბადაა ირონია და თვითირონია - სერიოზული, ბრძნული აზრიც კი ზოგჯერ ირონიის კონტექსტშია ნათქვამი, რაც ასე ახასიათებს პოსტმოდერნულ ერას. კარგია, რომ გულწრფელ, გულშიჩამწვდომ და ზოგჯერ შემადრწუნებელ მონოლოგებთან ერთად, გვხვდება მოთხრობები ხალასი, არახელოვნური დიალოგებით, არადა, რამხელა სირთულეა დაწერო დამაჯერებელი დიალოგი, ყალბი ინტონაციების გარეშე! ასევე, უზომოდ სევდიან ან ტრაგიკულ მოთხრობებთან ერთად გვხვდება ჩეხოვისმაგვარი იუმორისტული მოთხრობები და მინიატურები, ზოგიერთი საკმაოდ წარმატებულიც; ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ კარგი იუმორისტული მოთხრობის დაწერა არანაკლებ და უფრო ძნელიცაა, ვიდრე სევდიანისა და ტრაგიკულის. ერთი-ორი მოთხრობა რელიგიურ-ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს. ერთი მათგანი უნივერსიტეტშიც წავუღე ჩემს სტუდენტებს “შუა საუკუნეების ევროპული ფილოსოფიის” კურსზე, როდესაც ნეგატიურ თეოლოგიაზე ვლა-

პარაკობდით (ამ უცნაური მოთხრობის თემა იყო, თუ როგორ გახდა ღმერთი არაფრიდან ყველაფერი).

ლექსებს რაც შეეხება: ვფიქრობ, ლექსის უმთავრეს სილამაზეს განაპირობებს ორიგინალური მეტაფორები, რომელთა ნაკლებობას წინამდებარე კრებული არ განიცდის, ამაში მკითხველი, ვფიქრობ, თავად დარწმუნდება.

ერთი სიტყვით, საქართველოში, ახალი თაობის მწერლებში, რაღაც ნიჭიერი დუდილია, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და განვითარების მაუწყებელია; ჩემს შესავალსაც ამ კრებულის ერთი ძალიან ორიგინალური მინიატურის სიტყვებით ვასრულებ: “გამარჯობა! ჩვენც მსოფლიოსკენ მივდივართ!”

ლევან გიგინეიშვილი

ატლასი 2009

პოეზია

* * *

შავოსანი ბებრუხანა ყოველ საღამოს დადის წყაროზე
და ჩემს სევდას ეზიდება თიხის დოქებით.

კეთილშობილი ქალები მუხლმოდრეკით ევედრებიან
ღმერთს, რომ დაეხსნათ ჟრუანტელი და კაბის
კალთებზე იგრძნონ შვება.

ყოველ საღამოს, ლოცვის შემდეგ ჩამოსხდებიან ბუხრებთან
და ჯვრებს ქარგავენ სამკუთხა თავშლებზე.

და კეთილშობილი ქალები შეჰღალადადებენ ღმერთს, რომ აქვთ
თვალის ჩინი და იციან ქარგვა.

და მათ არ იციან, რომ ჩემი შვილი ბრმა იქნება და მათზე მეტს
დაინახავს.

შავოსანი ბებრუხანა ყოველ საღამოს ეზიდება წყალს ჩემი
ღარდის მორევიდან თიხის დოქებით

და მისი ცომივით მაგრად მოზელილი წარსულიდან
კუტი პურები ცხვება ციდან ჩამონგრეული ოცნებებივით.

შავოსანი ბებრუხანა ყოველ საღამოს ჩაეყუდება ნელთბილ
თონეში

და ნაცარში კუტ პურებს ეძებს ჩემი შვილისთანა ბრმების
დასაპურებლად

და მათ პირდაღებულ და მწყურვალ სახეზე მახსენდება
სამყაროს დაუსაბამობა.

კეთილშობილი ქალები ყოველ საღამოს მუხლმოდრეკით
შესთხოვენ

ღმერთს, რომ მათი ხერხემლიდან გაქრნენ ჭიანჭველები
და მათ მოგრძო კაბებს დაეხსნათ ვნება.

და ჩემი კუტი პურით გამოკვებილი ბრმა შვილი მათზე მეტს
დაინახავს ცის უსასრულობაში.

მხოლოდ შავოსანმა ბებრუხანამ იცის, რა სევდა დაგას ჩემში
და ყოველ საღამოს ეზიდება წყალს ჩემი ღარდის მორევიდან
თიხის დოქებით.

კეთილშობილი ქალები ყოველ საღამოს შეჰღალადადებენ
ღმერთს,

რომ აქვთ თვალის ჩინი და იციან ქარგვა.

ჩემი შვილი ბრმა იქნება და მათზე მეტს დაინახავს!...

* * *

მე მიყვარს შენი მშვიდი ძილი
და შენი კანის ფერი,
რძესავით რომ ეღვრება ღამეს
და ყავასავით ხსნადია სიზმრებთან.
მე მიყვარს შენი კანის ფერი,
ყოველ ღამით, როცა მჭედელი
ვარსკვლავებით გამოჭედს ცას,
და ყოველ დილით და ყოველ აისს.
მე დაისამდე მიყვარს შენი მშვიდი ძილი
და შენი კანის ფერი, რძესავით რომ
ეღვრება ღამეს
და ყავასავით ხსნადია სიზმრებთან.

* * *

შენი თავი გაჩერებაზე გელოდება
ფული გადაუხადეს სექსში.
ჩვენ აპოკალიფსის თაობა ვართ.
შენ ცხელ ქალაქაში რჩები მარტო და მონყენილი,
ირგვლივ საშინელი სიმშვიდეა,
შენი ყოველი დღე თამაშის დასასრულს გავს.
არ მოიკლა თავი.
შავბნელ მხარეებს დაუმტკიცე, რომ შენ ისევ ფერადი ხარ
და შეგიძლია გაღიმება.
შენი გზა ისევ გრძელი და უსასრულოა.
ტკივილები არ არის ბოლო,
არ მოიკლა თავი!
ასე ვერ უშველი სამყაროს,
ამოაყოლე სული ამოსუნთქვას და
ყოველი ჩასუნთქვისას თავიდან დაიბადე!
ყოველ დილით შეხედე მზეს
და მიეცი სხივებს უფლება, შემოვიდნენ შენში.
ჩასუნთქვისას ბინძური ჰაერი ესამოვნება შენს ფილტვებს
და იგრძენი ცა შენს გარშემო.
შენი თავი გაჩერებაზე დგას,
ჩვენ აპოკალიფსის თაობა ვართ.
არ მოიკლა თავი!!!

უფალო

მე ბევრჯერ დავრჩენილვარ მარტოდმარტო
უკაცრიელ ქალაქში, ღრუბლის შავი ურდოები
ისრებს რომ უშენენ.
მე ბევრჯერ გავუფენივარ სარეცხივით
ხელებდაკაპინებულ დიასახლისს.
მე ბევრჯერ გადამდებია სურდო
გრიპშეყრილი შემოდგომისგან,
ქარივით რომ ვიხვეტავდი ჭადრის ხმელ ფოთლებს.
მე ბევრჯერ...
მაგრამ არასდროს დამიჩივლია „უფალო“,
და ზეცისკენ არ აღმიპყრია ვედრებით თვალები.
ახლაც გაზქურაზე შემდგეს
თეთრჩაჩიანმა მზარეულებმა ხინკლიანი ქვაბივით
და ჩამოდგმა კი დაავინყდათ...

* * *

გუდიანს დაკარგვია გუდა.
შეხედეთ ერთი, როგორ გდია
თოვლჭყაპში ჩაზელილი
ბაღლების პანია ფეხებით,
რომელთაც თავი გაითავისუფლეს
და გაბნეული აღუჩებივით მიმოიფანტნენ.

* * *

ახლა უბრალოდ გადამივლის ღრუბელი თავზე
და ისევ ცრემლი ეპარებათ სევდიან თვალებს.
ჩუმად ვოცნებობ დავრდომილი, რომ ვიყო ნავზე,
ახლა უბრალოდ გადამივლის ღრუბელი თავზე...

ყველგან ნისლია, ვიყურები მალ-მალე გზაზე
და თუმცა ვიცი, ვერ ვუშველი დაღალულ აზრებს,
ახლა უბრალოდ გადამივლის ღრუბელი თავზე
და ისევ ცრემლი ეპარებათ სევდიან თვალებს...

* * *

სული გაუძლებს ყველა გოდებას
და მიხარია რომ სიჩუმეა,
ვხედავ ანმყოში ბევრ მნუხარებას
და ეს კარები დასასრულია.

ახლა იმდენად მოვცილდი ზეცას,
ახლა იმდენად ვარ დაბნეული,
დავეძებ ყველგან სიმართლეს, რწმენას
და ვკარგავ სადღაც ნისლებში ყველას,
ხმელ ფოთლებს ნელა აწვიმთ, ფაქიზად,
ბუნებაც თითქოს ტრაგიკულია,
ეს ყველაფერი არ ღირს კამათად,
რადგან ეს გრძნობა დაისრულია.

და შენ არ მისცე არავის ფიცი,
თუმც ვარსკვავები ისევ ქრებიან.
იქ გამოჩნდება უმწეო ჩიტი
და მისი სულიც დანამულია.

ახლა ეს წვიმა აჩნია ლექსებს,
ლექსებიც ჩუმად, ნაზად ტირიან
და გავუყვები უცნაურ ხაზებს,
რომლებიც უკვე არსად მიდიან.

ხედავ? შემცვალა დროსთან ჭიდილმა
და ჩემს სახლს ადგას მუხის ჩრდილები,
ისევ მაოცებს ოქტომბრის წვიმა
და უცნაური მელოდიები.

თუთისფერი

აქ წვიმა იშვიათად მოდის.
ბედნიერების ხეს მეორენაირად სიმდიდრის ხეს ეძახიან
და ბორჯომის ბოთლით უსხამენ წყალს ყოველ საღამოს...

აქ ხშირადაა ქარი.
უყვართ მისი არ შემჩნევა
და უკეთეს შემთხვევაში მასთან ბრძოლა...
აქ არ იციან, რომ ქარი წაიღებთ...

აქ თუთას იშვიათად ჭამენ,
რადგან თუმცა ძალიან ტკბილია,
ძალიან უთხუპნის სახეს და ხელებს...
აქ ურჩევნიათ სუფთად იყვნენ...

აქ ურჩევნიათ ხმაურიანად.
არ ახსოვთ, რომ მარტოობის დასასრულთან ბაზარია
და ბუზების ბზუილს, რომელიც მას ახლავს,
ქარის ზუზუნზე ადვილად ეგუებებიან...

აქ ხშირად ლოცულობენ,
უფრო ხშირად სამარშუტო ტაქსებში,
და უფრო ხშირად იმიტომ, რომ ბედნიერების ხე,
რომელსაც მეორენაირად სიმდიდრის ხეს ეძახიან, დიდი
გაიზარდოს...

აქ ეშინიათ შიდსის,
თუმცა ამბობენ, რომ უყვართ...
აქ არ იციან, რომ შიდსი დიდი სიყვარულია...
აქ ეშინიათ... რადგან
ყველაფერი აქვთ, რომ დაიცვან თავი
და არაფერი, რომ დაცული იყვნენ...
აქ ჰგონიათ, რომ მოკვდებიან
და ჰგონიათ, რომ ცოცხლობენ...

...

თუმცა, შენ რას გიყვები, დე...

შენ ბოთლებს ყოველთვის აგდებდი
და იშვიათად მოსული წვიმით სავსე თმებს ანურავდი
ყვავილებს,

რომლებისთვისაც სახელები არასოდეს დაგირქმევია...

შენ ტუჩები წყლისფერი გქონდა

და ხელებზე მარტოობის ნაოჭებში თუთისფრად გქონდა
ამოვსებული ფორები...

მეც ასეთივე ვარ.

ბევრი ამოსავსები ნაოჭით, რომელსაც ვერ ხედავენ,
რადგან ჩემი თმებიც იშვიათად მოსული წვიმითაა სავსე
და მისი წვეთები ავსებენ მათ...

მეც მიყვარს ქარის ზუზუნი,

მაგრამ როცა შენთან ვატან კითხვას,

სიცოცხლე მეტია თუ არა, ვიდრე მოგონება,

ის ზუზუნითვე მპასუხობს

და ამიტომ, არ ვიცი, ღირს თუ არა წრენირის ცენტრის ძებნა
წრეზე სიარულთან ერთად...

არ ვიცი, დე...

აღბათ ისიც შეიძლება ვიფიქრო, რომ

თუ წრეს მთლიანად მოვივლი

და შევძლებ შიგნით ყველა მოგონება შევინახო,

ცენტრი სასაცილო სიტყვა გახდება და ზუზუნს გადაფარავს...

ჩვენ ხომ, დე, ქარს ისე შევეჩვიეთ, სიყვარული ვისწავლეთ მისი
და ზუზუნსაც ისე ვიყენებთ, როგორც ჩვენ გვინდა...

ხან მისი ხმით ვივინყებთ აქაურობას

და ხან ვაჩუმებთ და ვუსმენთ ბზუილს,

რომ გვახსოვდეს,

რომ აქ წვიმა იშვიათად მოდის

და ჩვენი მარტოობის თუთისფრად ამოვსებული ნაოჭებიდან

ღირს გადმოვღვაროთ ტკბილი წყალი,

რომელსაც აქვს ფერი, რომელიც ძნელად ამოდის...

და არასოდეს ვიკითხოთ იმის სახელი, ვისაც დაეცემა.

დალაქის პარადოქსი

მამაჩემი ცივი კაცია,
წიგნების მძიმე სუნი ასდის და კაბინეტის დაკეცვა უყვარს.
ჩემი ძმები მხოლოდ უქარო ამინდებში გადიან გარეთ,
ბებიაჩემი კი ჰამაკში არასოდეს წოლილა,
ამიტომ მის სხეულზე დახატულ კუბიკებში არასოდეს არავის
უთამაშია „კრესტიკი-ნოლიკი“.

პაპაჩემს მწვანე ცრემლიანი თვალები და ერთი კბილი აქვს.
დეიდაჩემი მზისფერია და რადგან ვარსკვლავებს ჩრდილავს,
ისინი არასოდეს უნახავს.

მამიდაჩემს გრძელ ხვეულ თმაში ღამე აქვს ჩაყოლილი
და როცა იღვიძებს, ჰგონია სხვებს სძინავთ და ამიტომ
ფეხაკრეფით დადის.

ჩემს დეიდაშვილს მზისფერი დედისგან დამწვარი კანი
გამოყვა,

სიამოვნებს, როცა ამ კანზე ეფერებიან.

ბიძაჩემი ცხენოსანი იყო, მერე აივნიდან გადმოხტა.

ჩემს ერთ მეგობარს არტერიებში იასამნისფერი სისხლი
დაუდის და ქერა თმა ეწვის ლოდინისგან.

მეორეს მკერდზე ვერცხლისფერი ლაქები აქვს და ყოველ
დილას ფერადი ფუნჯებით იღებავს
ადამიანისფრად სხეულს.

მესამე მთვარეულია - უყვარს ზღვა და სიცილისგან იფსამს.

მეოთხე მეგობარი მხოლოდ სხვების თანხლებით მღერის,
ელოდება ქალს, რომელიც მარტო უმღერებს იავნანას.

მეხუთე მეგობარს ხოჭოებიანი სახლი აქვს,

ამიტომ კინოფაკულტეტზე ფილტრთმცოდნეობაზე
სწავლობს.

მეექვსე მეგობარი მას სწავლაში ეხმარება ყოველთვის, როცა
სცალია,

რადგან სუსტი ძვლები პირველი მეგობრის იასამნისფერი
სისხლით აქვს მიწებებული და
ყოველთვის მის ზარს ელოდება.

ჩემი მეშვიდე მეგობარი სრულყოფილია, და რადგან
ამოსასუნთქი ჰაერი ჩასასუნთქს სჭარბობს,
ასთმის შეტევებით იტანჯება.

ჩემი მერვე მეგობარი მულტიპლიკატორია, მაგრამ მთელ

დროს

ხალათით ოთახებში სიარულში და ფეხმძიმე კატის მომავალი
კნუტების რაოდენობაზე ფიქრში ატარებს.

ჩემს მეცხრე მეგობარს ამელის ამსგავსებენ - სანყალი, ვერაფერ
ისტან ამბობს, რომ კლუბებში

სიარული და ცხოვრების გინება უყვარს.

ჩემი მეათე მეგობარი შამანია... ხანდახან გული სწყდება, რომ
არასოდეს არსად აგვიანდება...

ჩემი მეთერთმეტე მეგობარი თვითმფრინავებს აწყობს და
თბილი საგანი როგორც კი ეხება,

უხერხულობისგან თვითმფრინავების ფოტოებს იღებს
ჯიბიდან.

ჩემი მეთორმეტე მეგობარი სავსე მთვარის დროს თმას
ცისფრად იღებავს და კატებისთვის ცეკვავს.

ჩემი მეცამეტე მეგობარი გასხვივოსნდა
და ამის გამო სინდისი ქენჯნის.

კიდევ ერთი მეგობარი სარდაფში ცხოვრობს.

სანოლთან კლოუნის ფორმები ულაგია, მაგრამ მტვრის გად
მოსაწმენდად ველარ იცლის - სულ სძინავს.

ჩემი პირველი სიყვარული პიდარასტია,
მეორე - იოგა.

ჩემი მესამე სიყვარული გვირილებს პუტავს,
ღეროებით სახლს ხურავს და მერე სახლიდან გარბის.

ჩემი მეოთხე სიყვარული დანოლამდე კონცენტრაციის
სავარჯიშოებს აკეთებს, და როცა ვერაფერზე
კონცენტრირდება, ჩეხოვის გინებას იწყებს.

ჩემს მეხუთე სიყვარულს ნესტის სუნი ასდის,
თუმცა იმუქრება, რომ ჩამოიბერტყავს და მერე
სათევზაოდ წავა.

ჩემი მეექვსე სიყვარული ისეთი უბრალოა... ისეთი უბრალო...

ჩემი მეშვიდე სიყვარული წითელ ბელურებს ელოდება
და ყველა ხმაურზე კანი გულის ადგილას გამჭვირვალე
უხდება.

ჩემს მერვე სიყვარულს დაკარგვა უნდა, მაგრამ დასაკარგავად
ადგილი არ ყოფნის.

ჩემი მეზობლები ნყვილ-ნყვილად ტირიან

და ცალ-ცალკე ებადებათ ერთნაირი კითხვები.
ჩემი პერსონაჟები დეპრესიული მიმიკებით და თეატრალური
გრიმით ბუნუელის გმირებს გვანან.
ჩემი ხელმძღვანელი ფილმს ასე ამთავრებს:
„- იპოვე? - ჯერ ვერა.“
ოპერატურის ჩემს ლექტორს კი ახლო ხედების გადაღების
ერიდება.
დედაჩემი ანგელოზებმა მზარეულად აიყვანეს და ყოველდღე
ტარტალეტკებს აცხობინებენ.
ჩემი ღმერთი დაიღალა ჩემს ფანჯარაზე დანერილი
სურვილების ტყუილად ნაკითხვით და
დილაობით სანოლის ალაგებაში მეხმარება.
ჩემი ქუჩა ყველასია, ვინც მასზე დადის.
ჩემი სახლი მე არასდროს დამილაგებია.
ჩემი ოთახის კუთხეებში შპალერი ახელია და დანებებული,
ბავშვობაში ყვითელი კაბით ვიჯექი და ჩემი ნახატებით
ახალი შპალერის გაკეთებას ვცდილობდი.
მიყვარდა გაბრტყელებულ ცომზე ჩემი ნახელურების
დატოვება
და ყურება, როგორ ჭამდნენ ჩემს ნახელურებიან „პეჩენიებს“.
მიყვარდა მძინარე დედაჩემის ყურება ყველაზე
ტკბილსუნიან ოთახში.
მიყვარდა ისტორიების მოგონება და მათი ყველასთვის
არმოყოლა,
მიყვარდა თოვლი და ჩემი ძმისთვის ართქმა, რომ ვცნობდი
ცხენოსან ბიძაჩემს სანტაკლაუსის ფორმაში.
მკერდის ამოსვლამდე ჩემი ლაქებიანი მეგობრის სხეულზე
ტირილი მიყვარდა.
მიყვარდა ფიქრი, რომ ვისწავლიდი ქსოვას და ჩემს მცივანა
ძმებს მოვუქსოვდი დიდ, თბილ კაშნეებს.
კიდევ მიყვარდა ჩემი მეორე ძმის აწეწილი თმები ქარიან
ამინდში.
კიდევ წერილების წერა მომავლიდან - ვუგონებდი ცხოვრებას,
რომელიც ელოდათ.

ჩემს ერთ მეს ჰგონია, რომ მე ყველასი უკეთ მესმის, ვიდრე მათ
საკუთარი თავების.
მეორე მეს მათი დახმარება უყვარს.

მესამე მე კი დაბნეულია და დალაქის პარადოქსს იხსენებს:
დალაქს წესდებაში ეწერა, რომ უნდა გაეპარსა
თმა ყველასთვის, ვინც თავად არ იპარსავდა.
დალაქი ვერ მიხვდა, რა უნდა ექნა საკუთარი თავისთვის.

შეხმიანე

გაჩუმებული ქარის აგონია ეხმიანება ხვალინდელ სეტყვას,
რომელმაც დღეს ღამე ციდან ვარსკვლავები მოსპო...

მანქანის ძრავა ეხმიანება გაჩუმებულ ქარს,
რადგან წინააღმდეგობა მისი სტიქიაა...

შენი სტიქიაა მინა,
ყოველ ორშაბათს ბენზინის ცისარტყელებს ეხმიანები...

ყველა შესაძლო პერსპექტივა კრავს ლოგიკურ ჯაჭვს,
სადაც აქსიომები და ლოგიკური იგივეობებია;
მესამეს გამორიცხვის კანონი კი მაფინქრებინებს, რომ
ან ჯაჭვს შიგნით ვარ, ან ჯაჭვს მიღმა...

ქალაქის გემებს მიაქვთ ჩვენი სურვილები ჰორიზონტთან,
აღსასრულამდე,
ჩვენ კი ამ სურვილების გადარჩენაზე ვუყვებით შვილებს.

სანამ კონდუქტორი ყველა ფუნთუშას შეჭამს, გადაულე ფოტო
და შენი შვილი ფონზე დანყობილ ფუნთუშებს შეეხმიანება
და ჰორიზონტს, სადაც გადარჩენილი სურვილები იძირებიან...

ჩემი ბებუის მოქსოვილი საბანი ეხმიანება
ველზე გაშლილ ცხვრებს მისი ბავშვობიდან.

შეხმიანე სულს, და თუ მას სძინავს,
შეხმიანე რომელიმე მომხიბვლელ სხეულს,
და თუ არ სძინავს...
შეხმიანე!.

მე პოეტი ვარ

ქარის ფესვივით ვარ და არცა ვარ...
არ მოვბეზრდები მთებს და ტრამალებს,
თუ შენმა გულმა ვერ დამიტია,
ვერც მარტოობა გამათამამებს.

მე პოეტი ვარ! უსაქმურივით
დავდივარ, მიყვარს, ვოცნებობ, ვდარდობ,
ვილაცა ფიქრობს, რომ საბრალო ვარ,
ვილაც კი გულში ჩემს ბედსა ნატრობს.

ღმერთო, მე და შენ ხომ ვიცით მაინც
(მარადისობას ლექსებს რომ ანდობ),
მე რომ არ ვიყო, მთელი ქვეყანა
მოეკიდება სიყვარულს სამტროდ.

მაგრამ არ მინდა, რომ შემეშინდეს
ჩემი ლამაზი, პატარა სატროფო,
იმან არ იცის, რომ შეშლილი ვარ
და „სიყვარულის ბატონი“ არ მთმობს.

ვის ვესიზმრები სალოსი ნათლის,
სად ვეხეტები, ვერ ხვდება. დილით,
მზეში ვბანაობთ და გალუმპული
გრძნობს რალაცას და ჩემს მკერდზე ტირის.

ისე მოაწყე, რომ ვერ შენიშნოს,
როგორ ვკრავ ცაში ზმანების სალტოს,
ან რად ვლაღატობ მარტოობასთან,
ან უმისობას რალატომ ვდარდობ.

რა უნდა დავთმო, მითხარ, უფალო,
ლაღატის ნება სათნოდ რომ დამრთო,
მე პოეტი ვარ, მაგრამ შენ მეტად
იცი, რაცაა ცხოვრება მარტო...

ჰა, ჩემი გული, ოღონდ გაუშვი
სამშვიდობოზე, ვინცა მყავს შიგნით.
მე არაფერი გამომასწორებს,
ბედნიერებას მივართმევ სიკვდილს.

ნეტარ არიან ეულნი სულით,
სიყვარულს სულით მარტო თუ ბედავს.

ღმერთო, ნურავინ გაიგებს ქვეყნად,
რასაც პოეტი ამბობს და ხედავს.

რამე სხვა (გალაკტიონს)

ვხდები ინერტული, მიპყრობს აპათია,
დღეა არეული, წერა აბსურდია,
ქარი ნერვიულად რითმავს გალაკტიონს,
ისმის ოთახებში ბრამსის „რაფსოდია“,
ისევ სიბნელეა, ისევ ხმაურია,
და როგორც არასდროს, ისე სულერთია,
სისხლდაღვრილ ქუჩების გამჭოლი კივილი,
დაუოკებელი ლამის ისტერია.

ბედის ქრონომეტრი რიტმული ნაბიჯით
ითრევს მონოტონურ ქაოსში საათებს,
მთვლემარე ფიქრები მორზეს ანბანივით
აზრებს მთავაზობენ, როგორც ამანათებს.

- ვისკი?! კონიაკი?!.. - კითხულობს ბარმენი,
ალბათ, ამაოა ახლა მოისურვო,
მანც დაჟინებით ვითხოვ არარსებულს:

- ცოტა რომანტიკა, რამე პოეტური...

ვატყობ, დედამინამ შეწყვიტა ტრიალი,
თამბაქოს კვამლივით სიჩუმე ჩამონვა.

მზერას გაკვირვებულს ვხვდები დაბნეული:

- რამე პოეტური... ცოტა რომანტიკა...

ირიბი ღიმილით (თან ვითომ არ იმჩნევს),
სამყარო დაბეჭდილ მენიუს მთავაზობს:

შიში, აგრესია, სისხლი, ანარქია...

- სასწრაფოდ, სასწრაფოდ, კარები ჩარაზეთ

და არ შეეგუოთ, გთხოვთ, არ შეეგუოთ,
ცხოვრების უმკაცრეს და სასტიკ განაჩენს!

ვზივარ... ყავის ნალექს ნაღველი დაეტყო,

მთრგუნავს აპათია... თუმცა მოატირა

ქარმა უმძაფრესი ხმების რაფსოდია,

ვითხოვ მონყალეხას, როგორც მანანწალა:

- რამე პოეტური... ცოტა რომანტიკა...

თბილისი ზამთარშია!

ვიმოგზაურე...
რომ დავბრუნდი, დამხვდა დასტა შავი ფურცლების...
დამხვდნენ ნავები...
შავი ნავები...
და ცაზე შავი თვითმფრინავები...
მე მოვიტაცე ნათურა და მიმყავდა სახლში...
მაგრამ მგზავრობას ვერ გაუძლო, დამემსხვრა გზაში...
და ჩიტები აფრინდნენ გამხმარი ხეებიდან...
მოვიდა
ზამთარი თბილისში,
ან მივიდა
თბილისი ზამთართან...
მეზობლი, აივანი, გზაჯვარედინი...
მწვერვალები და განრისხება...
გამოსვლა ერქვა,
არა, უფრო გამოფხიზლება!
სახელი რაღაც მომნუსხველი
შორეული და მიმზიდველი -
ზამთარი...
აქ არის...
გაიხედე, ქუჩაზე გადარბის...
ეცდებით დააბიჯოთ,
გადააგვაროთ,
მაგრამ არაფერი გამოგივათ, ყველას გაგყინავთ...
მისი სიცივე მინვდება ზეცას და თქვენს სულებს
გადმოხედავს...
სიშორიდან...
სიღრმეებიდან...
და თქვენ ყველა დაინყებთ კაკნალს...
ცაზე გაიკლაკნება შავი ზოლები...
აცახცახდება ლამპიონები...
მე კი გმირი ვიქნები,
რადგან გავათავისუფლე ზამთარი
და მე მტერი ვიქნები,
რადგან თქვენ დაგატყვევეთ...

თეთრი კედლებია...
მე, მოგზაურს,
უსაშველოდ თეთრი მეგზური მყავს...
თბილისში ზამთარია...
არა,
თბილისი ზამთარშია!..

ოთხი კედელი

ოთხი კედელი, არც ერთი კარი,
ოთხი კედელი და არც ფანჯარა...
კედლების იქით ზუზუნებს ქარი,
ჩიტებმა შეკრეს ცაში კამარა.
ოთხი კედელი - განგება ბედის,
ოთხი კედელი, ვახსოვარ ვინმეს?
კედლების შიგნით სიმღერა გედის
და ამ სიმღერას სიკვდილი ისმენს.
ოთხი კედელი, სიჩუმე შიგნით,
ოთხი კედელი - სამარე ბნელი,
კედლების გარეთ ტირილი მესმის
და მე დღეიდან არავინ მელის.
ოთხი კედელი, არც ერთი კარი,
ოთხი კედელი და არც ფანჯარა...
კედლების იქით ზუზუნებს ქარი,
და მე სიკვდილის დავრჩი ამარა.

12345316

№1

ის იყო, იყო და იყო
ის იყო
ბევრი, ბევრი და ბევრი
იმდენად,
რომ მსოფლიო გაეძლო და
მსოფლიოს ეყო, ეყო და ეყო,
რადგან მას
ჰქონდა სითბო, სითბო და სითბო
და გვათბობდა...

№2

მთელი სამყარო
ერთი პატარა მოლეკულაა
ღმერთის,
რომელიც გვმართავს,
რომ ვმართოთ
თითოეული სამყარო-მოლეკულა
ჩვენს სხეულში...
ღმერთი გვასწავლის,
თუ როგორ
უნდა ვიღმერთოთ ისე,
რომ არ ვიცოდეთ ამის შესახებ,
და ღმერთმა არ იცის,
რომ გვმართავს,
რომ ვმართოთ
სამყაროები მოლეკულებში...
რომ ვატრიალოთ დედამინა ატომებში...

№3

მე ღმერთი ვარ
დაგროვილი ლეიკოციტებისგან შემდგარი ცის
და სისხლისფერი, ცხელი მზის...
მე შემიძლია შევქმნა და მოვკლა სიცოცხლე...

№4

მე დავხატე მზე
და მივახატე ცისფერი არეულობა...
გადავახატე ყვითელი ხაზები
და ჩავასხი წყალი,
რომელშიც იხრჩობოდა მთვარე...
და მთვარე იყო ისეთივე კაშკაშა,
როგორც მე ხატვისას...

№5

ის იყო ღმერთი საკუთარი მოლექულების,
ჩემებისა...
ის იყო ცა,
რომელიც ეძებდა
დამხრჩვალ მთვარეს ჩემს ნახატზე...
მე კი ვმალავდი,
ვმალავდი ყველას
და ყველაფერს მისგან...
ანდა, პირიქით,
მე მას ვმალავდი
ყველა ღმერთისგან
და უფრო მეტად მისგან,
ვის მოლექულაშიც ვცხოვრობდით
და ვათბობდით
და ვსაუბრობდით
და ვკამათობდით
და ვჩხუბობდით
და ვკლავდით ერთმანეთს...

№3

მე ვარ ღმერთი მილიონობით სამყაროსი
და ვიცი, რამდენი ხანი სჭირდება სამყაროს შექმნას...
დაუჯერეთ იმ ღმერთს, რომელშიც ცხოვრობთ,
რომ შემდეგ თქვენც არ მოგიწყონ ბუნტი მოლექულებმა...
დაუჯერეთ ღმერთს,
როცა ამბობს,
რომ სიცოცხლე შექმნა
მხოლოდ ექვს დღეში...

დაუჯერეთ,
რომ შექმნას და მოსპობას
მხოლოდ და მხოლოდ
ნებისყოფა
და ექვსი დღე სჭირდება...

№1

ის იყო, იყო და იყო
ის იყო
ბევრი, ბევრი და ბევრი
იმდენად,
რომ მსოფლიო გაეძღო
და ის ეყო კიდევც მსოფლიოს...

№6

უცნაურია,
მაგრამ არავის უყვარს
შინაბერა ღმერთები...

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

ჰირან!

ოვვა იალა!

დილა ინყება კვენესით...

რა უცნაური სიყვარული სცოდნიათ აღმოსავლეთში,
ფიქრის ღრუბლებით მოქუფრული,
ყოველ გამოსხედვას ფერი აქვს წვიმის და წვიმა კი არ ჩანს...
ეს სამეფოა განწირული ემბრიონების...

ოვვა იალა!

მინარეთებზე შემომჯდარი პატიოსნება
ხარბად ეტანება ამერიკულ წყურვილს...
რა უცნაური ფიქრი სცოდნიათ აღმოსავლეთში,
თითქოს აქ მხოლოდ ცაა წყნარი, მზეა ღიმილის,
მაგრამ სულ მიწას ჩასჩერებიან ტირიფებივით
და ბავშვი, ცრემლით ხელ-პირს რომ იბანს განთიადისას,
ოცნებობს მხოლოდ ავტომატზე ბევრი ტყვიებით...
და აქ თოჯინებს მიუჩინეს რა ხანია მყუდრო ადგილი,
ცეცხლის ზვინებში, მიწის ღრმულეებში...

ჰირან! ოვვა იალა!

გაკვივლებული ვნებებით

და მზის ჩასვლისას მიძინებული ანგელოსებით...

აქ ყოველ წამს სჭედავენ თვალების ამბოხს,
თქრიალით ღვრიან საკუთარ სისხლს გასამრავლებლად,
სერავენ ღურბლებს წვეტიანი მზერის ისრებით
და არც ელიან ცისგან შვებას...

ოვვა იალა!

დღე სრულდება კვენესით დაღლილი ქალებით

და ბავშვები ტალახებში იბანენ ფეხებს...

ჰირან! ოვვა იალა!

დანწეხილი ოცნებებით გაზიპულ თმებსაც
ხშირად ეტყობათ წუხანდელი ნაოცნებარი ამერიკაზე...
ეს სამყაროა დაჩეხილი ემბრიონების,
და გამოჭვარტლულ თვალის გუგებს დანით ხეთქავენ,
რომ აღარასდროს დაინახონ ბავშვების ომი
და მინარეთზე შემომდგარი მოლა მიძინარე...

ოვეა იალა! ჰირან! ოვეა იალა!
რა უცნაური სიყვარული სცოდნიათ აღმოსავლეთში...
გაყვითლებული კოცნებით და რაჭათლუჰუმით...
და სიტკბო აღწევს მხოლოდ პირის გამოქვაბულში,
იმის იქით კი მთები მწარედ იგრისებთან...
ჰირან! ოვეა იალა!
ოვეა იალა, ჰირან! არ ჩაგეძინოს!

ჰეი!

*შიშინით დაბადებულ ბავშვებს,
მეექვსედ გარდაცვლილ ანგელოსებს,
ულტრაიისფერი გამოსხივების თვალებს,
კონტრრევოლუციონრებს
და ტბის ფსკერზე დაძირულ პოეტებს...*

ჰეი, ნიუ-იორკ!
ფერადია შენი დღევანდელი ტოგა
და სისხლიანი საშოდან ისევ გცვივა ბომბები,
როგორც ჰუმანიტარული დახმარება
ძნელად აღსაზრდელი თოთო ქვეყნებისთვის...
ჰეი, ნიუ-იორკ!
დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
დაუძღურება ორსული სამყაროსი,
ამენ!

ჰეი, სფინქს!
რომელმაც გადაყლაპე უდაბნოების გუშინდელიობა
და მახათებივით დაურიგე ნაშრომება
ყალბ თეორიტიკოსებს,
რათა ეამბნათ სამყაროსთვის შენს ორგანიზმზე...
ჰეი, სფინქს!
დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
გაუცხოება ჩვენი მოგონებების,
ამენ!

ჰეი, შიდს!
ყოველდღიურობის ნათელით დამწყვედეულო

და ოფლიან თეძობებზე შემხმარო ლუციფერო,
რადგან მოიყვანე სილამაზე აქ, გოლგოთაზე
და მაინც არ გეკლდა კდემამოსილება...

ჰეი, შიდს!

დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
ჩვენი სიყვარულის გაუკვდავება,
ამენ!

ჰეი, უილიამ შექსპირ!

ისევ უსასრულოდ დგამენ შენს პიესებს ეშაფოტებზე,
შიზოიდურ ღამეებში იზუთხავენ უაზრო სიტყვებს
და ჯერ ვერავინ, სულ ვერავინ მიხვდა,
რომ ჰამლეტი შენი მეზობლის კატაა...

ჰეი, უილიამ შექსპირ!

დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
ყოფნა-არყოფნის ფორმულებით მუმინფიცირება,
ამენ!

ჰეი, სილიკონ!

ისევ ხოცავენ შენს წიაღში ბუნებრიობას,
კოლიზიური აჩრდილებით ანგრევენ სხეულს,
შენ კი სდუმხარ, ან ბუყბუყებ
და შეექცევი ბიგმაკს და ჩიპსს ტურჩების ტლეკით...

ჰეი, სილიკონ!

დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
გაბერვა ჩვენი ტვინების და თვალის გუგების,
ამენ!

ჰეი, ღმერთო!

ჯვრიდან ჯერ არჩამოხსნილო და ჯერ არმომკვდარო,
ისევ ახადეს ფიქრებს ჩვენსას თავსახურავი
და ლობებზე ჩამოაცვეს ჩვენი ლოცვების ფიტულები,
როგორც შენი ფოტოსურათები ნეგატივებში...

ჰეი, ღმერთო!

როდის იქნება სახელი შენი დიდი
და როდის დაადგება ნება შენი ავტომაგისტრალს
ჩვენი თმებისკენ...
მაშინ, როცა ჩვენ ამოვხოცავთ ირმებს გუნდებად,

თუ მაშინ, როცა შევისწავლით ყველა ინგლისურს?
ჰეი, ღმერთო!
ჩვენ შენი უჩინარი ვნებები ვართ,
სულის მინდორზე განოლილი ტურისტებივით...
ამენ!

აქეთ თენდება...

აქეთ თენდება,
თქვენთან უფრო ბინდია ალბათ,
სერ კოკა-კოლა,
სადღაც მიდიან პლანეტები
თავგამეტებით,
როგორც მედლები,
სიკვდილიდან პირველ, დღეს, შაბათ,
სევდის მოყოლა
იოლია თუ ჩაეტევი
რეგლამენტებით
ამოვსებულ სიცოცხლის კურსში,
ლედი მაკდონალდს,
თქვენთან ახლა ფიქრობენ უფრო,
ვიდრე ანუხებთ
პრობლემები სიცარიელის,
მე გთხოვთ მიირთვიტ ტკბილი პუნში,
არ ღირს მაგდენად
უმიზეზო და უსაუბრო
კითხვის პასუხი.
სიმწარის და სიგემრიელის
თქვენეული ახსნა, კრომბახერ,
უფრო შორია, ალბათ ახლა,
მთვარის საუფლო,
და დღეებიც, ჩვენ რომ დავლიეთ
გამოფხიზლებით,
ხვდებით, ვიცლებით და რომ სახელს
აზრი არა აქვს, როცა სახლად
მოვრთეთ ჭაობი,
და უსმენო ღმერთის მაღლია,
რომ არ ვიზრდებით.

აქეთ ვიცვლებით,
თქვენთან უფრო სივრცეა ალბათ,
მისტერ სნიკერს,
მოშვიდებოდათ ტომაჰავკებს
სისხლის ბრავსი,
შავი ფიცრებით,
დაგვიჭედეს ლურსმნები ქარბად
ფონეტიკის.
და ვხვდებით, ისევ არას გვარგებს
უზენაესი.
თითქმის დილაა, ამ მინაზე
ლამეულ ტანჯვის,
ტვინის არევის,
გუშინდელ დღიდან
სუნი აგვყვა უფერო შხამის,
რას ელოდები, ამერიკა!
დრო არის ლანჩის,
ყავის დალევის,
ჩვენ ღმერთი გვიყვარს,
და ღმერთსაც კი არ სჯერა ამის...

ჩემო მეგობარო

შენ, ჩემო მეგობარო,
როცა აღტაცებით ფერების სილამაზეზე მიყვები,
თავს გიქნევ თანხმობის ნიშნად,
მაშინ, როცა ჩემი დაბზარული მხედველობა
მხოლოდ შავ-თეთრს აღიქვამს.

შენ, ჩემო მეგობარო,
როცა მოკრძალებით ქადაგებ სამოთხეზე
მე გიღიმი, და რომ არ შეგაშინო,
ჩემი სულის ჯოჯოხეთს ვმაღავ...

შენ, ჩემო მშვენიერების მოტრფიალე მეგობარო,
პეპლებს მათი ფრთების მტვრის გამო რომ ვერ იტან,
ამიტომაც გარიდებ თავს,
რადგან ჩემი შინაგანი სამყარო ჰერბარიუმი
და მირჩევნია, მარტო ვიყო ალერგიული...

შენ, ჩემო მეგობარო,
იმდენად მისაბაძი და იდეალური ხარ,
რომ ყოველ შეხვედრისას ვირქმევ შემოდგომას –
ნოემბრის გამომშრალთვალეებიანს,
ვიდრე სხვა სახელს მოვიფიქრებდე მოსატყუებლად.

შენ, ჩემო იდეალურო მეგობარო,
სულაც არა ხარ ჩემი მეგობარი,
მაგრამ ბავშვობიდან ასე ხელჩაკიდებული
მივუყვებით გზას შინისაკენ.

un aborto

ისე გაუფრთხილებლად ჩამისახლდი,
რომ ამირიე მადა და გამიფუჭე ხასიათი.
ისე გაუფრთხილებლად ჩამისახლდი,
რომ არც მიფიქრია გადამენახა
შენთვის სასუნთქი ჰაერი ან ფერები,
რომ მერე მათი გარჩევა გესწავლა...
რა საჭიროა სხვა სახელის გამოგონება,
როცა პრობლემად გიცნობთ მე და ის
და როცა მდუმარებამ ორივე გაგვთქვა.
რა მერე (?!),
როცა შენი უფორმო სხეულის ფეთქვაც
მძიმე დანაშაულია,
ხოლო ლიკვიდირება - განაჩენად გამოტანილი...
კედლები, კედლები, კედლები...
განშორებისას წამიერი წამოკივლება
და მერე დავიწყება ისე იოლად -
როგორც გამეტება...
და ახლა, როცა ღვთისმადიდებელი,
აღსარების ფურცელზე
ერთსიტყვიან ცოდვად გწერ,
ვერ შეკავებული ცრემლებით
გილოცავ შენი არდაბადების დღეს.

რა შენი ბრალია

რა შენი ბრალია,
თუ მამაშენი გალოთდა,
დედაშენი კი სიგიჟის სასწორზე დგას...
კუზად გაზის დეპრესიები და
ყოველ დილით ნევროზის საწოლში იღვიძებ
და შუბლზე თმით მალავ სახეზე ამოსვირინგებულ
ტკივილებს...

ცოდვილი ფიქრები ჯაჭვის რგოლებად
გკიდია ყელზე და უფრო მძიმდები,
და შენს გაჩენას ყოველდღიურად ამაღლი ღმერთს...
შემოდგომის ფოთლებივით გაფერადებული ოცნებები
სკამის ფეხებთან აუხდენლად ყრია
და ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებული,
ორი თითის მონაცვლეობით ზომავ მანძილს
ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთამდე.
შენამდე ამოღწეული
ეზოს ბავშვების ხმაური გახსენებს ნატვრას
და გული გწყდება, რომ არ გერგო წილად ბავშვობა,
განვლილი და გადასალახი დღეების
შემოტევა განიოკებს
და სხეულის სამართავ ობიექტში
ერთმანეთის მონაცვლეობით აშუქებ
შავფონიან, ჯვარცმულ კადრებს
და ისევ იწყებ ორი თითით
მანძილის გადათვლას...
მაგრამ რა შენი ბრალია,
თუ მამაშენი ლოთია
და დედაშენი უკვე გაგიჟდა?!
ძალიან გთხოვ,
ჩამოდი რაფიდან!

რას ჰგავს?!

მზესუმზირის ქამას ჰგავს ჩვენი ურთიერთობა,
მზეს ვუმზერთ!
როდესაც მზერას მოვაშორებთ, თვალებიც მაშინ გვეტკინება,
მაგრამ მალე გაგვივლის.
კიდევ თოვას ჰგავს,
დიდფანტელებიან თოვას.
ჩვენი გაცნობის დღიდან ხომ თოვს,
მაგრამ, რატომღაც, ვერ დებს.
ლექსის წერის დროს მეღნის გათავებას ჰგავს.
ნაპოვნ ყელსაბამს ჰგავს კიდევ,
რომელსაც შენს ნივთებში მაღავ,
იმის შიშით, პატრონმა არ ნახოს და არ წაგართვას.
იაფად ნაყიდ კარგ წიგნს ჰგავს,
ოღონდ, იმდენად იაფად,
კითხვის დროს ნერვები რომ გეშლება.
შეშლილობას ჰგავს,
შიშს...
შენ წინ პატარა ბავშვი რომ ნაიქცევია, ისეთ შიშს ჰგავს.

იცო, გუშინ წვიმამ ჩვენს ნაფეხურებს ტანები რომ დაბანა
ცალ-ცალკე და ერთ სამყაროში,
მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა
ჩურჩულით ნათქვამი ფრაზაა,
ოღონდ, იმდენად ჩურჩულით, რომ არც ითვლება.

ჩუმად

აჭალარავებს ფანტელი მიწას,
თან ფიფიქი ფარავს ნაბიჯს მიწიანს,
კიდევ ითოვებს ძალიან დიდხანს,
გულმა ჩემკენ თუ გამოგინია.

თოვს,
სიჩუმეა,
ქალაქი ელის ხმაურის მაცნეს.
ნაფეხურებმა გოგონა გასცეს.
ჩუმად თოვს, ჩუმად,
და ის გოგონა მიირთმევს უმად
ბიჭის ვერკოცნას,
ნაფეხურებმა გასცეს უბრალოდ.
ჩუმად თოვს, ჩუმად...

ზამთარი ფშავში

დაუთოვია ხეობა, არაგვიდა სჩანს ქრელადა,
გადათეთრებულ ნაძვიანს თავნი უჭირავთ მედგრადა,
ნიფლიანი და ნაძვნარი გორაგორ მოსჩანს თეთრადა,
თეთრია სპეტაკი თოვლი, ეგრე ყოფილა ძველადა.
დღეს რაღა შეცვლის ოხერსა, ფანტელი მოდის ზეცადა,
თოვლი არ უყვარს ტირიფებს, ტოტებს დაამტვრევს ცერადა.
ნადირიც ველარ მოძრაობს, თოვლს კვალავს რასმე ძნელადა,
საზრდოს ველარა პოულობს, აყვანილია მძევლადა.
თეთრია მთაცა ყოველი, მაღალი, სიპი, კლდიანი,
ნამქერი მოაქვს ქარსაცა, ტანს გეყინება ტიალი.
მაგრამ ლამაზი არია მთაში ირემი რქიანი,
გადმოგიჩნდება გორზედა, ყვირილი იცის ხმიანი.
ვერას დააკლებს ხანჯალი, ვერც ბლაგვი, ვერცა ფხიანი,
მაგრამ ხანჯალსა ვინ დაჰკრავს, ერთილა დარჩა რქიანი.
ირემს უხდება თეთრი მთა, სალამო როა გვიანი,
თოვლიც მუქად სჩანს, ირემიც, დღე არის მოკლე ხნიანი,
დალამდება და ინყება ცხოვრება გზა-ეკლიანი.

დურ აზ გორგასარ, ანუ ჰალოუენი ქართულად
მე მოვიარე
ვენეციის კარნავალი.
მოველ აქამდის,
რომ მიხაროდეს,
რომ ვიზიემო
საქართველოს
გულისგულში
ჰალოუენი.
თან ნამოვიღე
მთელი აცმა,
დასტა ნიღბების;
თუმცა, როდესაც
იქ შეკრებილთ
დაჟინებული
მზერა მივაპყარ,
ვიფიქრე კიდევ,
რად სჭირდება
ჩვენს თაობას
ნეტავ ნიღაბი
(ჰალოუენისთვის)?
მაგრამ ბოლოსკენ
მაინც ჩემმა
სისხლმა იყივლა
და ავირჩიე
მგელის თავი
გორგასალის
პატივსაცემად.
- დურ აზ გორგასარ! -
გეშინოდეთ-მეთქი,
მავრებო!
- დურ აზ გორგასარ!
კატებო და
მინდვრის თაგვებო,
„კრუელებო“ და
ჯადოქრებო,

მერიდეთ-მეთქი!
და ძრწოდა ყველა,
პატარები იფანტებოდნენ
(შიშშერეული,
ფართო თვალებით)...
თვითკმაყოფილი,
მე ხომ უკვე
მგლისთავა გავხდი.
და მიხარია,
ცოტათი რომ
ვიგორგასალე.
ბოლოს კი,
როცა დავარბიე
ურჩი მტარვალნი,
და გული ქართლის
განიწმინდა
დამპყრობელთაგან,
უეცრად, უცებ,
საიდანლაც,
სარკის წინ გავჩნდი,
რომელსაც, ისევ
დაჟინებული
მზერა გავსტყორცნე
და შევამჩნიე,
რომ ნილაბი
არც მკეთებია.

ათენგენობის ღამე შატილში

ჯანლი რამ შემოხვევია
შატილს, ამაყს და მრისხანეს,
ღამე თავისთვის ბუტბუტებს,
ქვემოთ ბანს აძლევს მდინარე.
ათენგენობა გათავდა,
ხევსურთ იღრევეს, ილაღეს,
დათრობა ჰგულავ ნისლებსაც,
მთებს დაჰბრუნავენ დიადებს.
ღამემ დაბურა ხეობა,
ვარსკვლავთ კი სძინავთ მდუმარედ,
ათენგენობას სუყველამ
ერთად პატივი მიაგეს.
ვაჟებმა დაკლეს საკლავი,
იმღერეს, თან იგიჟმაჟეს,
ყველა ჩაერთო ფერხულში:
ნისლი, ხეობა, მდინარე.
ქალები მოდგნენ ხატის პირს,
სტეხდნენ კეცეულს-ხმიადებს,
იყო გართობა, კისკისი,
ახალგაზრდული სილაღე.
ახლა ჯანლი შამაეხვა
შატილს, ამაყს და მრისხანეს,
დათრობა ჰგულავ ნისლებსაც,
მთებს დაჰბრუნავენ ტიალებს.

ღრეობა მთაში

დაჰმღერებს ხევსური ლალად და ამაყად,
სიმებზე დაელავს თითები ნატიფი,
მაიტა, დაგვისხი, დღეს ვღრეობთ, თამადავ!
ბანს გვაძლევს მიდამო, ჭიუხი, ნაპირი.
მაიტა, დაასხი, არ ვნანობთ არაფერს,
ძარღვებში გვიელავს სიცოცხლე, ხალისი,
თუ მტერი მოვიდა, დავხვედებით ამაყად,
თავს დავდებთ, რომ უკან არ ვიხევთ ნაბიჯით.
ხარობენ ხევსურნი, ხალისით, თამამად
და ცეცხლი ელვარებს მდინარის ნაპირში,
მღერიან, ბანს აძლევს არღუნი ანკარა
მალიმალ მაისმის: დაუკარ!" „დამისხი!"

* * *

მას მერე, რაც ცა ჩამოიქცა
და მშობიარე დედებმა ყვირილით შეაკავეს,
და დაუძლეველი ტკივილისათვის
ისევ მიჰგვარეს ზე-ცას,
ახალშობილები,
სადღაც ვინროებში შეყენებული ცხვარივით
ცდილობდნენ დაბრუნებოდნენ ვენახის მტევნებს,
რომ ისევ ეცხოვრათ თბილ საშოებში,
სადაც უფროსმა დებმა,
რომლებიც ანკესს აყოლილი თევზებივით გაქრნენ,
დაუტოვეს თბილი წყალი და გრძელი მილი,
რომ კი არ ესუნთქათ,
ძვალ-რბილში გასჯდომოდათ ტკივილი და
სირცხვილიც...
ახლა ის შვილები მაყვლის ბარდებზე ხტუნავენ და
თუ ნაყოფს რამე შეემთხვა,
ერთმანეთს თხრიან თვალებს და
ყურის ნიჟარებში ღრმად
უგორებენ სიყრუის ბეჭდებს...
მას მერე, რაც დედების ტკივილმა
ცას ადგილი მიუჩინა,
ისინი დადიან მუხლამდე ამომშრალი ფეხებით
და უკვე ტკივილგადავლილი სახით
მთის ძირებში...
და ვერც ერთი სწევს
მდინარის წყლით გავსებულ მუცელს
შვილებამდე...

სოფელი

სოფელი, რომელსაც ორი მხარე აქვს
და მარჯვნივ, მინადალპობილი
ცივი წყლით სავსე

ქუჩები,
მთელი ბავშვობა მიმზადებდი
საძირკველს, ღობედ ამოსასვლელს...
ხეების გვერდით
ჩუმად მარხავდი
ჩემი ძვლების წინილებს
და ცოცხალად გამხმარ ჰერბარიუმებს
მიტოვებდი
ბუხრის თავზე შემომჯდარი გოგონასაგან.
მერე უხმოდ შევსებული
ნასვლის ბლანკებით,
იმ სოფელს, რომელსაც ორი მხარე აქვს
გზა ჩაგეხერგა...
დაი,
ჩაჭაობებული ბავშვობა დამიტოვე,
მარცხნიდან მოსავლელი გაზაფხულ-შემოდგომამდე...
გავცივდები, ამომიშრე წყალი,
მე
ღობედ დარჩენილი მარტოობა ვარ...

როცა სიბერე
ჩვენს პაპებს ლოყებს უჭამდა
და ჩუმად ქრებოდნენ
წელ-წელ დაყოფილი ფოტოებიდან
მათი სიბრმავეები,
შენ ისევ თხრიდი და
ოდესლაც დაბადებულ მორებად დაჭრილ
ღობეებს ანდომებდი შენი ბავშვობის
საფლავების ოჯახს...
სასაფლაო კი გაკვალული ნიადაგივით
წყლის მოსვლა-ნასვლამდე
სადღაც ქრებოდა...
და ჩაჭაობებული ბავშვობაში
ღრმად გათხრილ საძირკველს
თევზების დაყრილი ქვირითივით
სიტყვებით აცოცხლებ...

ლოცვა

1.

ხალხი, რომელიც უხალისოდ დგას მოძრავ
გზაზე და ჩუმად პასუხობს პირად ტელეფონს,
ცდილობს, როგორმე ჩუმად
გაექცეს სათარგმნ ცხოვრებას და
თავის ენაზე ჩუმად ილოცოს.

ღმერთო, დაიფარე ჭიანჭველები,
ისინი მკბენენ და წითელი ლაქები მრჩება სამახსოვროდ.
ღმერთო, დაიფარე თეთრი ქანდაკებები,
რომლებიც ჩემსავით შიგნით პატარაზე გრძნობენ,
რომ გაქვავდნენ და
ყოველ ღამე ...
ღმერთო, დაიფარე ყოველი ღამე,
რომ შეძლონ და გაცოცხლდნენ, ადამიანების ნაცვლად,
ღმერთო, დაიფარე, ისინი,
ადამიანების ნაცვლად
რომ გვეკარნახობენ და ჩვენც
ვეყვავილობთ,
ღმერთო, დაიფარე ჩემი სმენა,
ქალქაში რომ ზღვასავით მესმის
და ზღვასავით მიყვარს სველი ასფალტის ორთქლი...
ღმერთო, დამიფარე გაქვავებისგან...
ფერმკრთალობისგან,
ზღაპრის აივნისგან...
ღმერთო, დამიფარე ჩემი ფიქრებისგან,
მათი მეშინია...

ხალხი, რომელიც წიგნებს ყდების მიხედვით ჩუმად ალაგებს
და შინაარსით გადასანყობ თაროებს
ჩუმად აბრალებს, რომ ფურცლები ყველაზე მძიმეა,
რომ ჰაერი თეთრია და მათი ზენრებიც ჰაერმა ჩამოხსნა
აივანზე გაბმული საუბრიდან...
ღმერთო... დაიფარე ჰაერი!

2.

დიდი ხანია არ უწვიმია,
ცისარტყელაც დაიკარგა და ქალაქი
დამტვერილ ეკლესიას დაემსგავსა, სადაც
ლოცულობენ არა ღმერთებზე -
წვიმაზე.

ღმერთო, დაიფარე ღმერთი.

ღმერთო, დაიფარე დედაჩემი ორი ფერის ფანჯარა რომ აქვს -
ცისფერი და მწვანე.

ღმერთო, დაიფარე მამაჩემი, ჩუმი მოლოდინი რომ ჰყავს
და ვერ აქრობს.

ღმერთო, დაიფარე ნამსხვრევები,
ფეხებს რომ მიჭრის და არარსებობს უფრო მჭრელი ნამ
სხვრევები,

ხელებს რომ დამიჭრის და მომკლავს.

ღმერთო, დაიფარე სარკეები,

ღმერთებს რომ გვამგვანებენ და სინამდვილეში „უნამდვილო“
ნაგავსაყრელები რომ ვართ.

ღმერთო, დაიფარე მეზღაპრეები,

სანთლები რომ დააქვთ წყლის მეორე ნაპირას და
სმენის მაგიერ,

მხოლოდ ყიდულობენ.

ღმერთო, დაიფარე განიერი მხრების წერილები,

რუსულად რომ წერენ და

ღმერთო, დაიფარე თითები,

რომ ანონიმურად შეგილოცონ ჩემთან ლაპარაკისას.

ღმერთო, დაიფარე ცალმხარე სახლები,

მეორე მხარეს რომ ბუნებაში გადიან.

ღმერთო, დაიფარე მარტოობები და უმარტოო

ქუჩის ძაღლები.

ღმერთო, დაიფარე სარდაფებში დამწყვდეული შეყვარებული
პეპლები,

დაღვრილი რძე და გაქცევები.

ღმერთო, დაიფარე შავ-თეთრი სიგამხდრე

და მიმსგავსებული შვილები,

კიბეებიდან რომ ხტუნაობენ.

ღმერთო, დაიფარე ბოროტება,

ცას რომ სახურავი წაართვა და საქანელაზე ყრის ფიქრებს.
ლმერთო, დაიფარე სინათლის დასასრული,
მე რომ ვერ გიცნო და
ლმერთო, დამიფარე გამომწყვდეული,
ატირებულიც დამიფარე.
ლმერთო, დაიფარე ცარიელი ბოთლები,
ჯერ რომ ვერ აივსო წყლით და წყლის სიზმრებიც დაიფარე.
ლმერთო, დაიფარე წვიმა, რომ ფანჯრები
მივხუროთ.
ლმერთო, დაიფარე ლმერთები...

„უკაცო სახლი“

1

ჩემი სახლის საძირკველი დედაჩემია,
სახურავი კი - „ცა-ფირუზი“, კატეხიზმოსავით გაზეპირებული.
კედლები ჩემი ცოლით და შვილით გავამყარე -
ათბალიან მინისძვრას უძლებს.

აღმოსავლეთის კედლის მხარეს უფალია,
რომელსაც ხანდახან ჩემი ცოლი თუ ჩამოხსნის
მტვერისაგან გასანმენდად.
ცოლი ამ დროს ფიჭასავით ხდება,
მისი ყოველი უჯრედიდან ლოცვა იღვრება თაფლივით,
რომლიდანც ოდესმე მრავალი შვილი ჩამოიქნება,
ახლა კი ჯერ ერთი შვილი გვინთია სანთელივით.

აღმოსავლეთისაკენ ჩვენი მზეცაა,
უფლით ამოსული და არასოდეს ჩასული,
ყველა მზეზე უფრო მწველი და ხანგრძლივი:
ზამთარშივე რომ გვკვირტავს და
გაზაფხულს ისეთი მსხმორიარენი ვხვდებით,
ჩემი დამძიმებული ცოლი მილიონობით საალერსო
სიტყვას მშობიარობს,
მაგრამ „აბორტი“ ყოველი ჩხუბის შემდეგ გარდაუვალა.

მე კი ისე ვმწიფვარ,
როგორც შემიძლია,
რადგან უფრო ჩრდილოეთით ვარ -
მაღე დასავლეთმა ფინალი უნდა მათამაშოს!

სამხრეთით პაპანაქება შუადღე დგას
და ჩრდილებს გვიმოკლებს,
უსხეულობა კი ჩვენი ხორციელი სურვილების გამო
გვეუხერხულება
და შუადღეში შესვლაც ამიტომ გვეშინია;
შვილს ეს საერთოდ აკრძალული აქვს:
ვაითუ, თავში ეს დამღუპველი კოცონი ჩაუვარდეს

და თავალების მოხასხასე კორდი გადაუნვას...

* * *

ახლა ჩვენ ნენეს შემდეგ ავითვლებით!...
ის დაბადებამდე ჯერ საფეთქელში მყავდა,
მერე მტკივნეულად ამოდრავდა:
თვალების თეთრონებში ხშირ-ხშირად შემოცურებული,
ხამხამისას ლინზასავით ცხადდებოდა
და როცა ხორხამდე ჩამოქვეითდა,
ჩემმა ცოლმა ნითელი ტუჩები შეაგება
და დაფეხმძიმდა.
მე კი, საფეთქელდაცარიებულმა,
ისეთი უნაყოფო ფიქრები ვშვი,
თითქოს მილიონობით საპნის ოპერის მეტი
არასდროს არაფერი მენახა.
დაბადების შემდეგ ნენემ დანყებით კლასებში დაგვაბრუნა
და კლასის დამრიგებლობაც წარმატებით შეითავსა:
კლასიდან კლასში გადასასვლელ გამოცდებს
ზედმეტი სიმკაცრით გვიტარებს,
ჩვენ კი თვლა მხოლოდ სამის ფარგლებში გამოგვდის:
ჩვენ და ნენე...
ახლა ჩვენ ნენეს შემდეგ ავითვლებით.
წარსული რთული არითმეტიკაა,
რომელიც სწავლის შემდეგ უცებ გვაგინწყდება
და აწმყოში მხოლოდ რამდენიმე ციფრსლა ვტოვებთ -
რა ვიცით, რაში გამოგვადგეს პრინციპით...

2

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით დარჩა ჩემი სახლი,
ასე ნაცნობ „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტში“ ჩამხობილი
და მსხმოიარე ჩემი ოჯახით,
რომელიც ერთ არამელოდიურ სიმღერას იმხელა ხმით კვიის,
კლავიშები ამოუვარდა,
ბგერის მწვერვალზე კი მე ამიყვანა,
სიზმარივით მოლანდებული,
ერთ უსახელო და ჭუჭყიან მდინარეში
თეთრრაშდანისლული,

რუხი და მშვიერი,
ვერდასრულებული ემიგრანტი.

მეც, ყველა სხვა ემიგრანტის მგსავსად,
იძულებითი ვარ:

ჩემი იძულებითი ცხადის ხელოვნური გამწვანება
ჭუჭყიან და არითმეტიკულ „მწვანე შუქს“ შეიცავს,
რომელსაც ცოლ-შვილს თვეში ერთხელ ვუგზავნი
იმ იმედით, რომ ნენეს მოხასხასე კორდი არასოდეს
დაბინძურდება.

აქ სიზმრებიც კი არალეგალური მაქვს:
ოჯახი სიზმრად აკრძალული ფუფუნებაა
და ნისლს არ უხდება, გაუვალს.

ჩემი ცოლისაგან ხანდახან ფერად-ფერად ნერილებს ვიღებ,
აშკარა კონტრასტს,

სადაც წერია, რომ ქვეყნიდან,

სადაც დავიბადეთ,

სადაც მზე ჩვენი გულებიდან ამოდის და ჩადის,

სადაც ვერასოდეს ისწავლიან, რომ დრო ფულია,

უამრავ დილას მიგზავნის და

ყოველი დილა ჩვენ წილ ჰაერს, წყალს და მიწას

შეიცავს

და დაპირებას,

რომ ჩვენი წილი ჰაერიდან, წყლიდან და მიწიდან

საჭარა არასოდეს გამოჩნდება.

მაგრამ ქუჩაში იმდენ მოსიარულე მონიკნიკე მექანიზმს

ვხედავ

(ბიგ-ბენის ღირსეულ შვილებს ჭანჭიკები არასოდეს

წამოსტკივდებათ),

ცოლის გამოგზავნილი დილები მილამდება

და სისხლი მტკივდება,

რომელიც არის გახსენება მიწის,

სადაც ვერასოდეს ისწავლიან,

რომ დრო ფულია.

ჩემი ფინალი უკვე ექვსი თვეა
 ერთ პატარა ოთახში თამაშდება,
 სადაც ყოველდღე გისოსებით მოკბეჩილ მზეს
 ბალიშის ქვეშ ვინახავ
 და ღამით შვილს ვისიზმრებ, ქარვისფერს,
 კიდევ შენ, დედაჩემო, ბინდისფერო...

* * *

დე, სიზმარშიც ვერ გპატიობ
 ჩემს ძალდატანებით არსებობას,
 რომლის გასაუტკივრებლად ბავშვობაშივე სიგარეტი
 გავალვვივე

და დიდობაში,
 ალბათ, მაინც ღმერთისა და შენ გამო,
 მტკვრის წყალმცენარეებზე მუდმივი ფიქრი
 გადავივიწყე:
 ახლა კი აღარც პოტენციური თვითმკვლელი ვარ,
 და აღარც „კამიკაძურ სიზმრებს“ ვხედავ.

მაშინაც ბინდისფერი იყავი, დედაჩემო,
 ჩემი საკნის კედლებისფერი,
 ყოველდღე ჩემგან თავდახსნის იდეას
 თეთრ ნიჟარაში ანთხევდი,
 თვალებიდან ცრემლი კი არა,
 ნესტი და
 ჩემი მოსალოდნელი დაბადება გწვეთავდა
 მამაჩემის გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ასე იყო თუ ისე, დავიბადე
 და აგერ უკვე მერამდენე წელია,
 უკიდევანო სიყვარულში მაცხოვრებ,
 რომელშიც ხანდახან დანაშაულის რიფი ჩანს -
 შენი ცოდვა,
 მილიონობით ქალის სულსა და სხეულში გათქვეფილი,
 რომელზეც მილიონობით არდაბადებული ბავშვის
 გული ფრიალებს.

მას შემდეგ გიშერივით ხარ, დედაჩემო,
ისეთი გააფრთებით იცავ ჩემს არსებობას,
ლამით ამ უცხო ქვეყნის ნესტიან საკანში
გადახლართული წყალმცენარეების ნაცვლად
ჭრელ-ჭრელ სიზმრებს მასიზმრებ
და შვილს, მხოლოდ საკუთარი სისხლითლა ნაგრძნობს,
ჩემს ტკივილიან მდინარეში
„სმაილიკებიანი“ ნავით შეუმჩნევლად შემოცურებულს.

ჩემს ტკივილიან მდინარეში
მილიონობით ანკესია ჩაკიდული
და ყველა ტალღა გაუსაძლისად მტკივა,
მაგრამ წყალდიდობას არასოდეს ვიშველიებ:
საკანი რომ გასაძლისი გავხადო,
გუბესავით დავპატარავდები და
ჩემი შვილის ნაცვლად
ბაყაყები ჩამისახლდებიან.

* * *

ნეტავ მერამდენე თვეა
ვერშვილი,
ვერმეულლე და
ვერმამა ვარ და
ყოველდღე ფანჯრის მიერ მოკბეჩილი
რამდენიმე გრამი მზით
შვილს და ცოლს ვილანდებ, თაფლისფერებს,
კიდევ შენ, ბინდიანო დედაჩემო.

აღუბღოზა 2009

პროზა

Chocolate guys

ირაკლი ტომარაძე ძირს დახტა და მუხლებში ოდნავ მოიხარა. მე ამ დროს უკვე პარაშუტს ვიხსნიდი. ირაკლიმ ტანსაცმლის გასწორება დაიწყო: ნაცრისფერი მატერიის სწორი შარვალი ეცვა და ასეთივე პიჯაკი, შიგნით - შავი პერანგი მოკლე საყელოთი, უფრო სწორად, საყელოს მოკლე ბორტებით, რომელსაც საოცრად უხდებოდა ვინრო, შავი ჰალსტუხის აკურატული კვანძი. საოცარი ბიჭია, ასე სააღლუმედ გამოწყობილს გადმოხტომა რამ მოაფიქრა!

შუადღე იყო. მოღრუბლული ცა მზის შუქს თბილ და მძიმე ფილტრს ადებდა. ჩვენ რაგბის მოედანზე ვიდექით. მწვანე, ხასხასა ბალახზე ჩვენი თეთრი პარაშუტები დახოცილი წეროებივით ეყარა. ჩემი შავი ბატინკის მსხვილი თეთრი თოკი წეროს კისერივით გაჭიმულიყო. როგორც იქნა, პარაშუტის ყველა სამაგრი მოვიხსენი - უამრავი ბალთაა. შავი ბატინკები მეცვა, ვინრო ჯინსი და სქელი მაუდის მოკლე პიჯაკი დიდი შავი ღილებით. პიჯაკიდან ლურჯი პულოვერი შიგადაშიგ პიკანტურად ჩანდა. ან მე როგორ დავეშვი ამ ტანსაცმლით?! საოცარია...

ასეთ თბილ და მსუყე განათებაზე ირაკლი ტომარაძის კოსტიუმი ძალიან კარგად ეხამებოდა მწვანე მინდორს, რომელზეც თეთრი პარაშუტები ეყარა. ირაკლი ძალიან გამხდარი მეჩვენა. ახლა ძალიან ჰგავდა თავის ძმას - კონსტანტინეს, რომელიც ჩვენს გუნდში სიგრძეზე ყველაზე შორს ხტებოდა, სწორზეც და აღმართშიც.

- კოკა როდის გაფრინდა? - ვკითხე ირაკლის, რომელიც ჩემზე წინ მიდიოდა.

- ორ იანვარს, ღამე.
- ათენის მერე აღარ მინახავს.
- ეგ ისევ ბარსელონაშია.
- სამი წელია, არ მინახავს.
- უკვე შენზე მაღალია, ექვსი და ცხრა ინჩია.

დაბურული ხეები გავიარეთ. ჩვენ წინ აგურით ნაშენები ძველი, სამსართულიანი შენობა გამოჩნდა. ორი ფლიგელი სიმეტრიულად იყო აქეთ-იქით განლაგებული. გვერდზე საქვაბე იდგა და გრძელი შავი მილიდან თეთრი კვამლი ამოდიოდა, ისეთი თეთრი, თითქოს ამ ჩახავსებულ აგურის ხუხულაში ახალი პაპი აირჩიეს და ახლა სიხარულის დროა.

მე და ირაკლი ისევ შენობისკენ მივდიოდით. ვიგრძენი, რომ

მხრებზე რალაცები რიტმულად მაცვიოდა. ხელში გაურკვეველი ჯეკები და სადენები მომხვდა. უეცრად გამახსენდა, რომ თავზე ტანკისტის ქუდი მეფარა. აი, თურმე ირაკლის ხმა მოგუდულად რატომ მესმოდა! ქუდს არ მოვიხდი, ლამაზია და ჩემს დღევანდელ ჩაცმულობას უხდება. ტანკისტის ქუდი ნატალიამ მათხოვა, - ფრენისას თავი არ გაგეყინება და დაცემისას დარტყმისგანაც დაგიცავსო.

- იქ რატომ მივდივართ? - ვკითხე ისევ ჩემს მეგობარს.

- გამოფენაა.

„გამოფენაზე პარაშუტებით მოვედით“, - გავიფიქრე მე, - „ვილაცები ფანჯრიდან დაგვინახავდნენ და ახლა, ალბათ, ერთი წელი ჩვენზე ილაპარაკებენ... ძალიან კარგი, შემდეგში პარაპლანით მოვალ!“

თვალში შესასვლელთან ჩამოკიდული აბრა მომხვდა: „კენტის საგრაფო, ისტერნვილის წმ. თომას სახელობის სასულიერო სკოლა“.

კარი ქრიალით დაიხურა და ბნელ სივრცეში აღმოვჩნდით. მარცხნივ, ოდნავ მოშორებით, კიბეს ზემოდან წამოსული შუქი მკრთალად ანათებდა. იქით წავედით. სიბნელეში რალაც რბილს დავაბიჯე, ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ახლად დახოცილ ზაზუნებს გადავუარე.

- ძირს რა ყრია? - ხელი გავკარი ირაკლის.

- არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია, თითქოს მკვდარი ზაზუნებია.

- მეც, მაგრამ არა მგონია, სასულიერო სკოლაში ზაზუნები

ჰყავდეთ.

მეორე სართული ცარიელი იყო, მესამეზე რომ ავედით, პირველ რიგში ხმაურის ტალღამ დამარტყა. უამრავი ნაცნობი ადამიანი იყო. პირველად კედელზე ჩამოკიდებული ბელარუსის რესპუბლიკის რუკები დავინახე, მერე, ცოტა გვერდზე გამოფენილი მუჰამედ ალის სტუდიური შავ-თეთრი ფოტოები. ზუსტად ისე გავხდი, როგორც „ტიეტი მოდერნი“, კაფესთან. ხალხში ოდნავ წინ გავიწიე და რამდენიმე ნაცნობს გავუღიმე. მივხვდი, რომ მშვენიერი ადგილი იყო ახალი გოგოების ასაგდებად. თან ისეთი გოგოების, მერე რეკვით რომ არ განუხებენ. ჩვენ, მხატვრები, უფრო ერთჯერად და მხოლოდ ყოფილი ემოციის დაჭერას ვცდილობთ. თუნდაც ასეთი თავყრილობის **after party**-ზე შეხვედრა რამდენიმე გოგოსთან, ბევრი კოკაინი, არაყი და ჯგუფური სექსი ასეთი ემოციისთვის მისწრებაა. ირაკლის მხარს იქით, ბართან, ესპანელი გოგო დავინახე, მაღალი და მზიანი. გოგო მიტრიალდა და ბარმენს რალაც უთხრა. „დაგადნი ღუნდულზე!“ - გავიფიქრე და მისკენ წავედი.

- დაინახე? ირაკლიმ სახელოზე დამქაჩა და გამაჩერა. ჩემ გვერდით თეთრთმიანმა და ბროლისთვალეზიანმა სალომემ ჩაიარა და წამის მეთადით გადმომხედა. ამ დროს მოკლე თმა გაუფრიალდა და ცისფერი შუქის სხივით გაუნათდა. ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც მაშინ, პირველად სიზმარში რომ ვნახე. მერე თეთრთმიანი სალომე შემეყვარდა და სიზმარში ყოველდამე ვნახულობდი. ესპანელი გოგოსკენ ველარ წავედი.

- წამოდი დარბაზში! - ირაკლი ექსპოზიციისკენ წავიყვანე. რალაცნაირი მაკეტები იყო გამოფენილი: უშნო, მტვრიანი, მოძველებული დიზაინის, ცუდად განათებული და ის პლასტმასიც კი უსიამოვნო შეგრძნებას მიტოვებდა, რომელიც მაკეტის მასალად იყო გამოყენებული.

- ზემოთ აიხედე, მოგწონს? - მითხრა ირაკლიმ.

ჭერზე ძალიან დიდი მაკეტი იყო მიჭედებული, უზარმაზარი. ზედ სიმეტრიულად განაწილებული პატარა ხის კოტეჯები იდგანითელი სახურავებით, იმდენი, რომ ვერ დავთვალე. ჭერზე გამოფენილ მაკეტს ოთხივე მხრიდან კედლებზე დამაგრებული კილოვატიანი ყვითელი სკილები ანათებდა.

- არ მომწონს, - ვუთხარი ირაკლის, - ასე მგონია, თავდაყირა ვდგავარ. თან საშინლად სიმეტრიულია.

- აი, ყველაზე მაგარი ექსპონატი! - ირაკლიმ მიმატრიალა და ხელი დარბაზის სიღრმისკენ გაიშვირა. იქ დიდი თეთრი დაფა იყო ჭერიდან ჩამოშვებული და ზედ გარკვევით ეწერა: „ბელგიური შოკოლადი“. ოქროსფერ ფოლგაში გახვეული შოკოლადის ბურთულები შავ ხავერდზე ეყარა. გვერდზე შავი ტომარა-ზურგჩანთები ეყარა, გახსნილი და შოკოლადით პირთამდე სავსე.

- რამდენია, თან რა გემრიელი! - წამოიძახა ირაკლიმ, - ზოგი ალბათ ნუშიანია, ზოგს ტყის თხილი აქვს, ან, უბრალოდ, რძიანია!

ჩემმა მეგობარმა ორი ბურთულა მოიპარა და ერთი მე მომცა. მე სუფთა შოკოლადი შემხვდა, მწარე, მსუყე და სრულყოფილი გემოთი. გარშემო უამრავი უცნობი და ნაცნობი დამთვალეიერებელი გამოფენილი ნიმუშების მხატვრულ ღირებულებაზე მსჯელობდა. მოულოდნელად ყველა ფანჯრებს მიაწყდა, მერე დარბაზში ჩხუბი ატყდა.

- წავედით, ირაკლი!

შოკოლადის ერთი ტომარა ავიღე და ზურგზე მოვიკიდე. ირაკლიმ მეორე აიღო. კედელში გავედით და კიბეზე ჩავირბინეთ. რაგბის მოედანი უკვე მოჩხუბრებით იყო სავსე. იქ ველარ მივიდოდით. „ნეტავ

რა უნდა ვქნათ?!” - გავიფიქრე და გავჩერდი.

- აქეთ წამოდით! - გავიგონე ალექსის ხმა. შევხედე და გავოცდი: ალექსს სამხედრო ფორმა ეცვა, მხარზე სახმელეთო შეიარაღებული ძალების ქრელი გერბი ჰქონდა მიკრული, ხელში კი უზარმაზარი ტყვიამფრქვევი ეჭირა. გამახსენდა, რომ ალექსი სტრანიკბოლის მოყვარული იყო და დავმშვიდდი.

- სტრანიკბოლისაა, ჰო? - ვანიშნე იარაღზე.

- არა, ნამდვილია! თუ არ გჯერა, შეამოწმე!

ალექსმა ტყვიამფრქვევი გამომიწოდა. საქვაბისკენ მივდიოდით. იარაღი ნამდვილი „ერ-გე-დე“ გამოდგა, ჩეხური წარმოების. ირაკლის მშვიდი სახე ჰქონდა და ხელში, რატომღაც, დიდი მრგვალი ვარცლი ეჭირა. წარმოდგენა არ მაქვს, საიდან წამოიღო.

- გახედე, რა ამბავში არიან! - ალექსმა გვერდზე, საბავშვო ბაღის ეზოში მოჩხუბარი ბიჭებისკენ გამახედა. ერთმა მეორეს დიდი ხმალი ჩაარტყა და მარჯვენა ხელი მხრიანად ჩამოათალა. დაჭრილი იარით ნაკვერჩხალზე დაეცა და აშიშხინდა. უცებ გონზე მოვეგო, დაიღმუვლა და წამოხტა. სახე შეწუხებული ჰქონდა, სამაგიეროდ, მომწვარი მხრიდან სისხლი აღარ მოსდიოდა. დაჭრილი ხმლიანს მივარდა და მარცხენა ხელით შარვალი შემოახია. ხმლიანს ტრაკი გამოუჩნდა, შიგნით მხოლოდ სტრნგი ბიკინი და გოლფის გეტრები ეცვა. მოჩხუბრები გაჩერდნენ, მისკენ ხელები გაიშვირეს და დაცინვა დაუწყეს. საქვაბიდან ისევ თეთრი ბოლი ამოდიოდა. მის წინ ოთხი უშველებელი ცაცხვი იდგა. საქვაბისგან მოშორებით, ბოსტანში ქალი ნაკუზულიყო და პომიდვრის ჩითილებს რგავდა. ირაკლის ვარცლი გამოვართვი, მოვიქნიე და გავისროლე. ვარცლი ჩითილებიან ქალს მოხვდა, წააქცია და ფერდობზე კვივლით გაიყოლა.

- წადით! - მიბრძანა ალექსმა და მხედრული სალამი მომცა.

- ამ ბარგით შეძლებ? - ვკითხე ირაკლის და შოკოლადზე ვანიშნე.

- მგონი კი. დიდი ხანი არაა, რაც ზრდა შევწყვიტე.

ხელები მოვიქნიეთ და საქვაბის ზემოთ ავფრინდით. კიდევ ერთიც და უკვე ცაცხვებს ზემოთ ვიყავით. აი, საბავშვო ბაღი და ბიკინიანი ხმლიანი ბიჭი. ქვემოთ ოქროსფერმა ბურთებმა დაიწყეს ცვენა - ირაკლის ჩანთა გახსნილიყო და შოკოლადები მოჩხუბრებს აცვიოდა.

- ოქროს წვიმა! რა ლამაზია! - დაიყვირა ირაკლიმ და შოკოლადები ისევ გადაყარა.

- კოკასთან ხომ არ გავფრინდეთ? შოკოლადი კიდევ ბევრი

გვაქვს.

- გაუხარდება!

- აბა რა, ბელგიური შოკოლადია! - ვუთხარი და ხელები ერთი ც მოვიქნიე.

ჰერკულეს კონსტანდის

ირაკლი კონსტანდინისი საერთოდ არ იყო ჩემი ნათესავი. დედაჩემი და დედამისი ერთად სწავლობდნენ მიუნხენში გერმანული ენის კურსებზე. ერთმანეთს იქიდან ვიცნობთ. მაშინ ორივე პატარები ვიყავით. მერე საბერძნეთი ევროკავშირს შეუერთდა, ცხოვრების დონე გამოსწორდა და ირაკლი და დედამისი თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ. მე და დედაჩემი მაინის ფრანკფურტში გადავსახლდით და მალე მოქალაქეობაც მივიღეთ. ბოსნიაში დაბრუნებას არც ვაპირებდით მთელი რიგი მიზეზების გამო.

მიუნხენში მე და ირაკლი ყოველდღე ერთად ვიყავით და მოგვწონდა ერთმანეთთან ყოფნა. მე მუსულმანი ვარ, ის კი ორთოდოქსი ქრისტიანი იყო. რელიგია ორივეს ფეხებზე გვეკიდა. ფეხებზე გვეკიდა რა, ბავშვებს ამ საქმის ნამდვილად არაფერი გაგვეგებოდა. სკეიტით დავგორავდით და სალამობით ირაკლი უკრავდა. მაგრად მომწონდა მისი დაკრული და მშურდა, იმიტომ რომ მე ბექ ფლიპის გარდა არაფრის გაკეთება ვიცოდი. პიანინოს კი მოდი და უკეთე ბექ ფლიპები. ირაკლის დაკვრა დედამისმა ასწავლა. ბევრი კი არაფერი იცოდა, ათი წლის იყო და ცოტა რალაცას ახერხებდა: რამდენიმე მარტივი ნაწარმოები კლასიკიდან და ორი ბერძნული მელოდია იცოდა. მაგრამ მე მაგრად მომწონდა და მინდოდა მეც დამეკრა ასე... ასე მაინც. მერე, სკეიტზე რამეს რომ ვერ აკეთებდა, დავცინოდი.

მერე გადასახლდნენ.

თექვსმეტის რომ გავხდი, რადიოში დავინწყე მუშაობა პრაქტიკანტად. მუსიკალური რადიო იყო FM96,9-ზე. მაგარი აუდიოთეკა ჰქონდათ და თან მიქშერზე მუშაობაც მასწავლეს, ცოტა ფულსაც მიხდიდნენ და იქ ყოფნა მაგრად მომწონდა. ერთი წლის შემდეგ ეთერშიც დამსვეს. კიდევ ერთი წლის შემდეგ ჩემი თაყვანისმცემლებიც კი მყავდა მსმენელებში, პიცას მიგზავნიდნენ ხოლმე ღამის ეთერის დროს. იმ პიცას დაცვა ჭამდა.

ერთ დღეს რადიოში ხველება ამივარდა და ეთერში ველარ გავედი, მიკროფონი კი სისხლის წვეთებით დავასველე.

ექიმმა თქვა, ტუბერკულოზის ნიშნები აქვსო. სუსტი

ფილტვები მქონია და კვებაც არ მყოფნიდა თურმე. მე ხორცს არ ვჭამდი და თურმე ესეც მოქმედებდა. ფრანკფურტში კიდეც ჰაერი ძალიან დაბინძურებულია.

მე სახლში ვეგდე და ვგმინავდი. თავს ჯანმრთელად ვგრძნობდი და გარეთ მინდოდა. ყურებში არარსებული სკეიტერების ხმაური მესმოდა და ვგიჟდებოდი. მერე დედაჩემმა ნახმარი კომპიუტერი მოიტანა თავისი მონიტორით. ინტერნეტი ჩავრთეთ.

თავი საბანში ჩავყავი და ისე დავახველე. მერე სისხლიანი ხელსახოცი დავჭმუჭნე და ბალიშის ქვეშ შევტენე. მაგრად არ მინდოდა, რომ დედაჩემს დაენახა, ყველაფერი ოქროსავით მიდიოდა ბოლო პერიოდში. სისხლსაც იშვიათად ვიღებდი.

დედაჩემმა დაიყვირა, ფეისბუქზე ირაკლი და დედამისი ვიპოვეო. უკვე სამი წელი იყო ირაკლის შესახებ არაფერი ვიცოდი. ბოლოს დაბადების დღეზე გავუგზავნე პეტრუჩიანის და ჯარეტის დისკები. თან მისამართიც არ ვიცოდი, სავარუდოდ გავუგზავნე. რავი მე, მიუვიდა რო?! დედაჩემმა კონსტანტინიდიები დაიმეგობრა და ათინამ ჩატში რომ მოსწერა, სიხარულისგან აკვივილდა.

ათინამ ჩემი ჩამპალი ფილტვების ამბავი რომ გაიგო, დედაჩემს ეგრევე უთხრა: მიდი, ჩაალაგებინე ჩემოდანი და გამოუშვი ჩემთან, არგოსტილიონში ირაკლი დახვდება და წამოიყვანსო.

ათენის აეროპორტში ჩავფრინდი და მერე წავიდა ავტობუსით ჩალიჩი. ძალიან დიდხანს ვიმგზავრე. მივდიოდი ადრიატიკის მხარისკენ, კუნძულ კეთალინიაზე. მესოლონგიონამდე ჩავალნიე. საზიზლარი კლიმატია საბერძნეთში. ძალიან ცხელა, ქვეყნის შიგნით ჰაერიც კი გამხმარია, ზღვის პირზე კი სამოთხის ფილიალია. მესოლონგიონი ძალიან ლამაზი გამოდგა, მაგრამ დათვალიერება ვერ მოვასწარი, გემზე შევხტი და კეთალინიისკენ წავედი.

არასოდეს სცადოთ გემბანზე სკეიტით სრიალი, თორემ ბოცმანი ამოვა და სულ კარგის ტრაკს გაგინებთ. გემმა კუნძულს სამხრეთიდან შემოუარა და არგოსტოლიონის ნავსადგურში შევიდა.

მე მაგარი საზიზლარი გუნების კაცი ვარ, მე თვითონაც არ ვიცი, რა მიყვარს, რა მიხარია, რა მალიზიანებს და, ერთი სიტყვით, მერიდეთ, რა! ახლა კი ირაკლის დანახვა ისე გამიხარდა, რომ მზის ნნული ამიცახცახდა. ჩემი ბავშვობის ძმაკაცი ირაკლი, ოლისაც რომ ვერ აკეთებდა სკეიტზე, ახლა ნავსადგურში იდგა და ხტუნაობდა, ხელებს მიქნევდა, ჭყიოდა და მოკლედ, რა... მაგრად გავიხარეთ. ოლონდ ბერძენს მე უფრო ვგავდი: შავი, ხუჭუჭთმიანი და ჩავადნილი უპეებით. მაგარი გამხდარი ვიყავი და კანი გამწვანებული მქონდა.

ირაკლი კი ქერა იყო, მაღალი, მაგარი კუნთები ჰქონდა და საოცარ ენერჯიას აფრქვევდა. მე ცხრამეტის ვიყავი, ის კი ჩვიდმეტი წლის, ოღონდ დიდს ჰგავდა. ტანით იყო ძალიან დიდი და სრულყოფილი, თან მაგარი თეთრი ღიმილი ჰქონდა, ნამდვილი აპოლონი. ეს რომ მიუნხენში დარჩენილიყო, ჩვიდმეტი წლის ასაკში ჩვენი უბნის ყველა გოგო გადაკუზული ეყოლებოდა. ისეთებიც, მე რომ კილომეტრზეც არ დამანახებენ.

კონსტანტინიდისები ქალაქიდან ოდნავ მოშორებით ცხოვრობდნენ. პატარა სოფელი იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი, რომ ენა ჩამივარდა. მომცრო თეთრი სახლები იდგა სულ. სოფელი, მთის კალთაზე შეფენილი თეთრი პატარა სახლუკების ერთობლიობა, ადრიატიკის ზღვას გადაჰყურებდა. მთლიანად კუნძული იყო ძალიან ლამაზი. ზღვიდან ეგრევე კლდე იწყებოდა, მერე სადღაც ქრებოდა და უბე ჩნდებოდა, ნავმისადგომი კი ცხრაასი ათას ოც ნავს იტევდა. ნავეები ქანაობდნენ და კოხტაობდნენ. კუნძული კი არა, ნამდვილი ელესდეს აბია!

სახლში რომ მივედი, ათენამ მაგრად ჩამიხუტა და იმდენი ალერსიანი სიტყვა მითხრა და იმდენი მკოცნა, რომ ჩემი ჩავარდნილი ყავისფერი ლოყებიც კი შემინითლდა.

ირაკლიმ ხელი მომკიდა და სასტუმრო ოთახში შემათრია. არც ისე დიდ ოთახში პეტროფის უზამრმაზარი როიალი იდგა. ირაკლა დაჯდა და მითხრა:

- ახლა შენთვის უნდა დაუკრა.
- მაგრად მომენატრა შენი დაკრული...

მე, ტუტუცს, მეგონა, რომ ირაკლა რამე პატარაობისდროინდელს გაიხსენებდა, მაგრამ ტიპმა ისეთი დაუკრა, რომ მუხლები ამიკანკალდა და ძირს დავჯექი. ირაკლიმ ჯარეტის „პერსონალ მაუნთინსი“ თავის პონტში, სხვანაირი არანაირებით დაუკრა. გავგიჟდი. მერე ყველა იმ ტრეკის ნაწყვეტი დაუკრა, რაც ჩემს გაგზავნილ დისკებში იყო. ირაკლი ვირტუოზი კაცი გამხდარა. მორჩა რაღაც „მთვარის სონატების“ და „სირტაკების“ პერიოდი, ბავშვი ჯარეტს უკრავდა თავისებურად. ჩანთიდან ირაკლისთვის წამოღებული ჯაზის ორმოცდაათდისკიანი ანთოლოგია ამოვიღე და მივეცი. ალბათ ებრაელ მოსეს ჰქონდა ასეთი სახე, თავისმა ღმერთმა მცნებებიანი ფილები რომ მისცა.

საღამოს ირაკლიმ ისეთი რამე მითხრა, რომ თავი ნამდვილ მესიად ვიგრძენი: **“Du hast es mir gegeben, den Jazz zum ersten Mal zu horen”**-ო, პირველად ჯაზი შენ მომასმენინეო. ირაკლი საერთოდ

ბევრს არ ლაპარაკობდა, ერჩივნა დაეკრა.

დილით რაღაც ყრუ ბარტყა-ბურტყემა გამაღვიძა. მეგონა, უკანა ეზოში ათინა ხალიჩას ბერტყავდა. მაგრამ ბერტყევას არ გავდა, გავიხედე და ირაკლი დავინახე - კრივის მსხალს უბრახუნებდა გამწარებული. ძალიან განვითარებული მუსკულატურა ჰქონდა. ყოველ დარტყემაზე ტრაპეციები და დელტოიდური კუნთები ებერებოდა.

“From zero to hero, From zero to hero - Herculeeeees!” - ნავიმლერე და აბაზანაში ნავედი.

ირაკლი კონსტანტინიდისი მთელ საბერძნეთში განთქმული მუსიკოსი და მოკრივე გამხდარა. იყო საბერძნეთის ახალაგზრდული ნაკრების წევრი კრივში და მილიონი მუსიკალური კონკურსის გამარჯვებული. მისი მუსიკის მასწავლებელი ჩიოდა, - ფოლკს და კლასიკას ისე აღარ უკრავს, რაღაც ზანგურ მუსიკაზეა გადასულიო. მე რომ ირაკლისთვის ჯარეტი და პეტრუჩინი არ გამეგზავნა, ვერც კი წარმომიდგენია, იმხელა ტრაგედია დატრიალდებოდა.

ერთი კვირის მერე ირაკლიმ მითხრა, უნდა ვიჩხუბოო. მე ავდექი და ჩემი ბებუთი ავიღე. ისე ჭრის, რომ, უჰ, თქვენს მტერს! ნავედით-მეთქი. ირაკლიმ ლამის ჩაიფსა სიცილით, ეგ დანა დადე და ნიფხავი ჩაიცვი, ქალაქში მივდივართო. საბერძნეთის გუნდური ჩემპიონატი იყო და ირაკლის ასაკით დიდებში უნდა ეჩხუბა. მან, ვის მაგივრადაც ირაკლი გუნდში ჩასვეს, ხელი ზღვიდან ბადის ამოთრევისას იღრძო.

ირაკლამ ვიღაც ათენელი ბერძენი ზორბა გათახსირებამდე სცემა. ძალიან წყნარად დაიწყო და მაგრად შემაშინა, ერთ-ორი ჰუკი რომ მიიღო ყბაში. მერე თითო რაუნდში თითოჯერ აქტიურდებოდა და თავისზე ექვსი წლით დიდ მუტრუკს მუშტების სეტყევას აყრიდა. მეც ძალიან ჭკვიანი ვარ, ჭკვიანი და ჩათლახი, მე მივხვდი, როგორ ჩხუბობდა ირაკლი. მთელი გზა რაღაც მელოდიას ღლინებდა. აიკვიატა. მისი ჩხუბის ტემპი მელოდიის რიტმს ზუსტად ემთხვეოდა. პირველად ვნახე კრივში მისამღერი და მეღიზმები. მორჩა, ირაკლის ფანი ვარ. ნოკ-აუტით მოიგო.

მე ძალიან მოაცებდა ერთი ძალიან საკვირველი ფაქტი: ირაკლი დიდად არ გიჟდებოდა თავის მეზობელ სირინოზივით გოგოებზე. ძალიან გამიხარდა, ირაკლიმ ფრენბურთის სათამაშოდ რომ წამიყვანა პლაჟზე. თვალის დაბნელებამდე ბევრი გოგო იყო. სპილენძისფერები, შავები, თეთრები... გასკდი გულო და მიყევით ზედ ავადმყოფო ფილტვებო! ზედ არავინ უყურებს თქვენს პატრონს და

ირაკლის ისე ეხვევიან, როგორც პეპლები შუქურას. ამ კაცის კიდე ვერაფერი გავიგე, რა მნიშვნელობა აქვს, ბურთს ვინ ჩააწვდის! მიეცი ადამიანო ბურთი, მიეცი!

მორჩა, მე ირაკლისი უკვე მესმის. ხომ ასეთი ლამაზები არიან ეს გოგოები, მაგრამ ყველა მაგარი სოფლელია. სოფლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ესენი სულით არიან ისეთი გოიმები, რომ ირაკლის-ნაირი ზეციური არსება, მიკვირს, მათ მეზობლად როგორ ცხოვრობს. სულს, კარგი, თავს დავანებებ, მაგრამ ილღიების გაპარსვა რა გახდა? ან თუ არ იპარსავ, რაღა ფრენბურთს თამაშობ?

ისე კარგად ვიყავი ორი თვე კეთაღინიაზე, რომ ყველაზე მხეცი ბერძენი მწერალიც კი ვერ დაწერს. წამოსვლამდე ორი დღით ადრე ჩემს ბადეში ერთი სირინოზი გაება, რომელმაც ცოტა ინგლისური იცოდა და ჯემი როქუაი უყვარდა. იმ გოგოს ძალიან მოვწონე და როცა გაიგო, რომ რადიოში დისკ ჟოკეი ვიყავი, იმ საღამოსვე მომცა. სადღაც კლდის წვერზე ვიყავით აფოფხებულები და განცხრომას იქვე მივეძაღეთ. იმ გოგომ არ იცოდა, რომ მუსსულმანებს წინდაცვეთას უკეთებენ და ჩემი კანწაჭრილი პენისის დანახვაზე შეკრთა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ მერე მაგრად გაავდრდა. ნაპირზე მდგარი ნავეები ტალღებმა მკვდარი თევზებივით პირქვე გადააბრუნა. გრიალებდა, გრუხუნებდა, ანათებდა, ზღვა ღმუროდა... მე და ათენა სახლში ვისხედით და ირაკლის ველოდით. ვარჯიშიდან ფეხით მოდიოდა და ახლა, სავარაუდოდ, თავიდან ფეხებამდე გალუმპული იყო.

კარი გაიღო და ირაკლი შემოვიდა, ჩემზე უფრო მწვანე თუ ლურჯი, სველი იყო და აძაგძაგებდა. ყველაფერი გაიხადა, ტანი გაიმშრალა, ვაშლის ორნახადი შინაური არაყი დაისხა და ერთი დიდი ჭიქა დალია, მერე დანვა და დაიძინა. ღამე ათენამ გამაღვიძა, ძმარზე გადადი ნიკოპოლიდისთან, თორემ სიცხის დამწვევი არაფერი მაქვსო. ირაკლის ლოგინთან რომ მივედი, ლამის გული გამისკდა: სულ განითლებულიყო და ბოდავდა. მაგარი სიცხე ჰქონდა. ტანსაცმელი ძმრით დაფუსველეთ და ჩავაცვით. კანკალმა გაუარა, მაგრამ ისევ ბოდავდა. მეორე დღესაც ბოდავდა. გული გახეთქვაზე მქონდა. დედაჩემის მერე ეს ერთადერთი უსაყვარლესი ადამიანი ახლა სიკვდილის პირას იყო. მე კიდევ მოვდიოდი.

ირაკლიმ ვერ გაიგო როგორ წამოვედი, ეძინა. ათენამ მითხრა, დღეს საავადმყოფოში უნდა წავიყვანოო. მე კი, სანამ აეროპორტში მივედი, ათივე ფრჩხილი დავიჭამე ნერვიულობით. ყველა ღმერთს ვთხოვე, რომ ირაკლი არ მომკვდარიყო.

ფრანკფურტში ჩავედი. დედაჩემმა რომ დამინახა, ჯერ ვერ მიცნო: თმა გაზრდილი მქონდა, ლოყები ამოვსებული, ავადმყოფური მწვანე ფერი ბრინჯაოდ შემცვლოდა და უკვე ჯანმრთელი კაცი ვიყავი. გადამეხვია და ჩამიხუტა, მერე ტელეფონს მივარდა და ათენას დაურეკა.

- ირაკლისთვის მენინგიტის დიაგნოზი დაუსვამთ, - მითხრა და ჩემ გვერდით დაჯდა, - არაფერია, მენინგიტი ახლა აღარაა საშიში.

ფრანკფურტი უკვე ისე მეზიზღებოდა, რომ ქუჩაშიც კი არ გავდიოდი. ერთადერთი რადიოში მივდიოდი და მერე სახლში ვბრუნდებოდი. სექტემბრის ბოლოს ჩანთა კიდევ ერთხელ ჩავალაგე და საბერძნეთში წავედი.

სახლში რომ შევედი, მარტო ათენა დამხვდა. ჩემი დანახვა კი გაუხარდა, მაგრამ არც ისე ძალიან. დიდად არც დედაჩემის საჩუქრებს გაუხარებია. მერე ირაკლისთვის ჩამოტანილი რაღაცები ვაჩვენე და მითხრა, - ძალიან მოეწონება, ჰასან, ახლა ბალშია, ფორთოხლებს რწყავსო.

სასტუმრო ოთახში შევედი და გავიარ-გამოვიარე. როიალი ისევ ისე იდგა და ფანჯრიდან მზე შემოდოდა. კედელზე კრივის ხელთათმანები ეკიდა. ნავეები ზღვაზე კოხტაობდნენ. როიალს სახურავზე მტვერი ლამის ერთ სანტიმეტრზე ედო. ძალიან გამიკვირდა, ირაკლი ყოველდღე შალის ნაჭრით აპრიალებდა, მერე ინსტრუმენტს წინ უჯდა და რაღაცას ბერძნულად ებუტბუტებოდა ხოლმე.

სახლში შემოვიდა და გაიღიმა. ისევ ისეთი დიდი და თეთრი იყო, უბრალოდ დეგენერატივით იღიმოდა.

- ჰერკულეს!

ირაკლიმ მიყურა, მიყურა, მერე მოვიდა და დამაჯანჯლარა:

- სად ხარ ამდენ ხანს! - მერე დააყოლა, - პასტა გაცივდა.

- ნახე თუ მოგეწონება! - ვუთხარი და დისკების ძალიან დიდი ყუთი მივანოდე.

ირაკლიმ დახედა, გადაათვალიერა და კარადაში შედო.

- მოდი, ვჭამოთ, - მითხრა ბერძნულად.

პასტა ამომიღო და თვითონაც წინ დამიჯდა. მაკარონი სწრაფად შეისრუტა, მაკარონმა ბოლო მოიქნია და ცხვირზე ტომატი შემესხა.

- ჰაჰაჰაჰა! - ირაკლიმ გადაიხარხარა და ერთიც წამომარტყა.

დემეტრე მაჭავარიანი

ცივი ჩაი

- ნუ ხვრეპ!
- რაა?
- ნუ ხვრეპ-მეთქი!
- აა?! ცხელი როა?!
- დაელოდე, გაცივდეს!

ვაჟამ კისერი მოხარა, ჩაის ჭიქას თავი ცერად გაუსწორა და კოვზით დაუნყო მორევა, ამოიღებდა კოვზს და ისევ უკან ჩააბრუნებდა, ცდილობდა, მორევი გაეკეთებინა, მერე კოვზი ჭიქის კიდეზე შემოდო, აქეთ-იქით მხარეები ერთმანეთს გაუთანაბრა, ცდილობდა, კოვზი არ ჩაძირულიყო. სამი ცდიდან სამივეჯერ ჩაეძირა. დილის მზემ დაჰკრა მინას და გამოაცოცხლა.

შავ-თეთრი გაფერადდა...

მკრთალი - გამუქდა...

ჩაი - გაცივდა...

- გაცივდებოდა!

- ხო, ვიცი! - ვაჟამ მოხრილი თავი გამართა, კოვზი ჭიქაში ჩააგდო და მოსვა...

- ამოიღე, თორემ თვალი გეტკინება!

- ეე! რა გამიხურე საქმე! შენვი რა, რასაც ნვავ! - შენუხდა ვაჟა ბებია გადაჭარბებული ყურადღებით და განგებ მოხვრიპა ჩაი. ბებია თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ამოიხვნეშა...

ცოტა ხანში კარზე ზარი გაისმა. ტაფის შუმხუნში ბებია ვერ გაიგონა, ვაჟამ გაიგონა, მაგრამ არ შეიმჩნია. მეორედ დარეკა ზარმა.

- ზარია!

- რაა? - ბებია ტაფას თავსახური დააფარა.

- ზარია-მეთქი კარზე.

ბებია დაფაცურდა, ამასობაში კიდევ ერთხელ დარეკა ზარმა. ბებიას ჭუჭრუტანაშიც არ გაუხედავს, ისე გაალო.

შავ, სიარულში გაცვეთილ და გადახუნებულ ფეხსაცმელს დააშტერა გაფართოებული თვალი, შავი შარვალი, შავი ტყავის ქა-მარი, ლურჯ საქალაღეზე შეაჩერა დაფეთებული მხერა.

- გამარჯობა, „ყაზტრანსგაზიდან“ ვარ, შეიძლება?! - მოსულმა ბებიას პასუხი არ აცადა, ისე შემოდგა მარჯვენა ფეხი.

დაფაცურდა ბებია და სამზარეულოსკენ წამოვიდა.

- მობრძანდით, მობრძანდით!

მოსულიც მალევე შემოვიდა სამზარეულოში. ვეება, გაცვეთილი საქალაღდე ვაჟას ცხვირწინ დაუბრეხვა, სკამი გამოსწია და დაჯდა. საქალაღდის ბრახუნზე შეინძრა ჭიქა და შეიმღვრა ჩაი.

მოსულმა საქალაღდე გადახსნა, გაცვეთილი პერანგის გულის ჯიბიდან გაცვეთილი კალამი ამოიღო. გაცვეთილი საჩვენებელი თითი ენით დაისველა და ანიდან ვინამდე გადაშალა ფურცლები, გაცვეთილი თითი გვარებს ჩამოაყოლა, თან ბუტბუტებდა:

- ვ..., ვ..., ვაჩ..., ვაჩ-ნა-ძე! სამი ოქტომბერი.

ბეზიას თეთრმა გადაუარა სახეზე. ჩაკვეტებული მავთულის გამოსაძრობად ტაფით ხელში ეშმაკურად მიიპარა მრიცხველთან. ტაფა ხელთან ერთად უკანკალებდა. არ ეხერხებოდა ბეზია თამარს ეშმაკობა, მრიცხველთან ხელის ასანწევად მიზეზი ვერ იპოვა და ერთ ადგილზე გაქევადა აკანკალებული ტაფით ხელში. თავში ათასი აზრი ერთად უტრიალებდა, ებლანდებოდა: „ორი ათასი ლარი! ორი ათასი! ვაიმე, დავიღუპე! ვაიმე, რა გვემველება?! ვაიმე, დამენგრა ოჯახი! ვაიმე, მომეჭრა თავი! ვაიმე, შევრცხვი! უბედურო, უბედურო თამარა! ეგ როგორ მოგივიდა?!“

ვაჟამ შეამჩნია ბეზიას აკანკალებული ხელი, ვერაფერს მიხვდა. ცოტა ხანში გაახსენდა მრიცხველში ჩაკვეტებული მავთული, რომელიც ამ სიარულში გაცვეთილ გაზის კაცს არ უნდა ენახა.

ორი ათასი ლარი! მთელი ორი ათასი! რამდენჯერ გაუმეორა მაშინ კოლიამ, ამ ოხერი მავთულის გაკვეთება და მრიცხველის გაჩერება რომ ასწავლა, ხომ უთხრა, არაფრით დაგავინწყდესო, ისიც უთხრა: ღმერთმა დაგიფაროს და, თუ დაგიჭირეს, მე არ მახსენოო, სადაა ახლა ღმერთი?! ფაფითრდა ვაჟა, შეეშინდა, რა ექნა, არ იცოდა, ბეზიას სკამი მიუჩოჩა და ხელის მირტყმით ანიშნა, დაჯექიო. ბეზიაც დაჯდა ტაფით ხელში, მარცხენა ხელი შუბლზე მოისვა, ოფლი მოიწმინდა.

მერე წამოდგა, ტაფა თავის ადგილზე დადო, ჭიქა ინსტინქტურად აიღო და გაზის გაცვეთილ კაცს დაუდო წინ, მერე აწ გაციებული ჩაიდან მოიმარჯვა და კანკალით ჩაუღვარა კოპლებიან ჭიქაში. ჩაი ადიდდა, ადიდდა, გაპიშპილდა და გადმოიქცა. გაუკვირდა გაზის გაცვეთილ კაცს, ბეზიამ უმაღვე დააგდო ტილო, გაჟლინთა და აიღო. შაქარი დაავინწყდა.

- ბე, შაქარი დაგავინწყდა!

- ხო, ხო, ვიცი.

- არ მინდა, უშაქროდ ვსვამ, მადლობა!

- უშაქროდ?! ხოო, კარგია უშაქროდ! - ოღონდ სალაპარაკო

თემა გამოსჩენოდა ვაჟას და ესეც ხელიდან არ გაუშვა.

- ვიცი!

- ჯანმრთელობაა!

- ვიცი!

- საერთოდ, ჩაია ჯანმრთელობა! გიყვართ ჩაი?

- კი, მიყვარს! - ჩაეცინა გაცვეთილ კაცს, თითქოს მიხვდაო ვაჟას ჩაციების მიზეზს.

- რა იყო?! - გაკვირვებით ჰკითხა ვაჟამ.

- არაფერი, არაფერი, - კიდეც ჩაიცინა გაცვეთილმა, - მარტო ხართ სახლში?

- კი, მე და ბებია! - და თავით მიანიშნა ბებიაზე ვაჟამ.

- დედა, მამა?!

- არ მყავს, აღარ მყავს! ავარიაში...

- სამწუხაროა, ჰმ... - გული მოუკვდა გაცვეთილს.

ვაჟამ თავი უხმოდ ჩაქინდრა.

- არ შემიძლია!

- რაა?! - გაიკვირვა ბებია-შვილიშვილმა.

- იცით თქვენც, - მოიღუშა გაცვეთილი, - კარგად იცით!

ბებია-შვილიშვილმა ერთმანეთს შეხედა.

- ხოო! - მოიღუშნენ ესენიც.

- რა ვქნა, სამსახურია! გამომადგებენ აქედანაც და ბებიაც არ მყავს მე, საერთოდ არავინ მყავს!

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

- გამოგეხედა ამ დასაწვავ „გლაზოკში“, რა იქნებოდა?! - ან-ერვიულდა გაცვეთილი, ცივი ჩაი მოსვა, არ ესიამოვნა და სულ ძალით გადაყლაპა. აუშნარდა პირი და სახე დამანჭა.

- რა ვქნა ახლა, ორი ათასია, იცით, მაგაზე?! სად გაქვთ თქვენ მაგდენი?! მიპასუხეთ ერთი! - მოიყუდა ცივი ჩაი გაცვეთილმა...

შერცხვა ბებია-შვილიშვილს...

განითლდა თეთრი...

- რო ვნახავ გაჩერებულს, რა ვქნა, დავხუჭო თვალი? მითხარით, ჰა?! არ შემიძლია, ბატონო, არა! პატიოსნად მინდა ცხოვრება!

სიჩუმე...

ატირდა თამარა...

ბებიას ცრემლი გაცვეთილს მოხვდა გულზე.

ღრმად ჩაისუნთქა...

ფეხზე სწრაფად წამოდგა:

- ტუალეტი სადაა აქ?!
გაცივდა ჩაი...

SWEET HOME SACHHERE

დილას ნაბახუსევზე გავიღვიძე. მაცივარზე მაგნიტით მიმაგრებულ ქალაღდის ნაგლეჯზე დედაჩემის ნარწერა დამხვდა: „დღეს ბებიაშენის დის ქმრის პანაშვიდია და სოფელში უნდა ჩახვიდე, ყავა მაგიდაზე დევს, ფული შარვლის ჯიბეში გიდევეს, ოცი ლარი აქეთ-იქით გზაში გეყოფა, ასი ლარი კიდევ ბებიაშენის დას უნდა მისცე, ლამარა ჰქვია. უთხარი, ვიზიარებ-თქო და ეს დედაჩემმა გამოგიგზავნა-თქო, ფურცელი ამოატრიალე.“

ფურცელი ამოვატრიალე.

„სახარჯო ფული, ათი ლარი, შარვლის უკნა ჯიბეში გიდევეს. ბებიაშენის დის, ლამარას თვალწინ სიგარეტი არ მოწიო. ორ საათზე იქ უნდა იყო, შენ იცი, რომ ჩახვალ, დამირეკე.“

ფურცლის ბოლოს ძნელად გასარჩევი ასოებით კიდევ იყო მიჯღაბნილი რალაც:

„მაცივრის თავზე კიდევ დევს ფურცელი.“

მაცივრის თავზე კარგახანს ვაფათურე ხელი, ფურცლის ნაგლეჯი ძვლივს მომხვდა ხელში.

„აქედან ექვს ნომერზე დაჯექი, დიდუბეში ჩამოდი ოკრიბასთან და იქ საჩხერის მარშრუტკას გაყევი ბოლომდე.“

ეს მინდოდა ახლა?! ყავა გაცივებულიყო.

ცოტა ხანში დედაჩემმა დარეკა და ყველაფერი გამიმეორა, რაც ფურცლებზე ეწერა, ისიც მიამატა:

- და მანდ, სკამზე, დაუთოებულ ტანსაცმელია გადაკიდებული, ეგ ჩაიცვი.

- ხო, კაი და, იმ სახლს როგორ მივაგნო?

- პირველ საათზე შენი ბებიის ძმისშვილიშვილები დაგხვდებიან თბილისი-საჩხერის მარშრუტკის გაჩერებაზე.

- არც ერთს არ ვიცნობ! - ნახევრად მძინარე, ძლივს ვცნობდი სიტყვებს.

- ერთს ჯემალი ჰქვია, მეორეს - ლაშა. ჯემალს ჯემალი არ დაუძახო.

- რაა?

- რა და, არ უყვარს ჯემალს რომ ეძახიან და ჯემიკო და რამე ეგეთი... მიდი, მიდი ახლა, დროზე გავარდი, თორემ დააგვიანებ, სირ-

ცხვილია. იქ თავი არ მომჭრა, სერიოზულად მოიქეცი.

- ხო, კაი, კაი.

ორის ნახევარზე საჩხერეში ვიყავი, ორმა ბიჭმა გაჩერებაც არ აცალა მარშრუტკას, ისე გაალო კარი გარედან. თავები შემოყვეს და გადაგვათვალაიერ-გადმოგვათვალაიერეს.

- დემეტრე რომელი ხარ?

შევზინდი ცოტა, რა აღარ ვიფიქრე და თავი ჩავხარე დაბლა, მერე გამახსენდა ჯემალი და ლაშა და მომეშვა. ამოვყავი თავი.

- მე.

ბიჭებმა ჩასვლა არ მაცალეს, ისე გადამეხვივნენ, დამამტვრიეს სულ ნეკნები. მერე მძლოლს ჩემი მგზავრობის ფული მისცეს. ჩამოვედით.

ორივეს ერთნაირად ეცვა, შავი პიჯაკები, წვეტიანი, პრიალა ფეხსაცმელი, თმა ერთ მხარეს სველი ხელით გადავარცხნილი. სქელი შეკრული წარბები. ერთი სათვალე და შლაპალა აკლდათ და პირდაპირ საჩხერელი ძმები ბლუზები იყვნენ! ჩამსვეს შავ „შესტმი“ და ამაჯან-ჯლარეს სახლთან.

ეზოში რომ შევედი, ათასი თვალი ერთად მომაშტერდა.

- ავთოს ბიჭი არ არის ეს?

- დედაა, რამხელა გაზრდილა!

- კოპიო მამამისი.

იმ კუბოიან ოთახში შესვლისას ქალებმა ჩემ დანახვაზე ატეხეს წივილი, კივილი, ტირილი და ვაება. საჩხერელი ბლუზები გვერდიდან არ მცილდებოდნენ. მიმანიშნეს ლამარა ბებიაზე, ამ უკანასკნელთან ჩავიცუცქე, გადავეხვიე და ყურშიც მივუჩურჩულე, ვიზიარებ-მეთქი.

ჯიბიდან გზისთვის გადანახული ხელუხლებელი ოცი ლარი ჩავუკუჭე ხელში, აქედან ბლუზები დამპატიჟებენ-მეთქი, ვიფიქრე.

შემრჩა ასი ლარი.

კუბოს სამჯერ დავარტყი წრე, გაოცებულები მიყურებდნენ, მერე გამახსენდა, რომ ერთიც საკმარისია.

მიცვალეულ ბებიაჩემის დის ქმარს რომ შევხედე, ამიტყდა სიცილი, ჩვევა მაქვს ეგეთი. პირი საყელოში ჩავრგე და შევეცადე, არ შემმჩნეოდა.

გარეთ გავედი თუ არა, მოვეფარე სახლს და ავტეხე ხარხარი. შემომისწრეს ბლუზებმა.

- რა გაცილებს? - ერთხმად მკითხა ორივემ.

- აა, ჯემალ, - უფროსმა ბლუზმა ჯემალმა კიდევ უფრო შეკრა ისედაც შეკრული წარბები.

- ა, ჯემიკო, ხო, ჯემიკო! - მოეშვა ცოტა, - ისა, გამახსენდა რაღაც და... - ერთიც გადავიხარხარე, ოღონდ ამჯერად ძალით და ხელიც მოვარტყი მხარზე.

ბლუზებმა ერთმანეთს გადახედეს.

სიგარეტი ამოვიღე, მერე ჯიბეზე ხელი მოვირტყი სანთე-ბელისთვის, მაგრამ ვინ გაცდის, უმცროსმა ბლუზმა მომიკიდა უკვე. სახლიდან ხალხი დაიძრა.

ბლუზებმა მანქანაში ჩამტენეს. ჯერ სასაფლაოზე წავედით, ბლუზებმა თითო ცრემლი ჩააყოლეს ბაბუის დის ქმარს.

უყურე შენ ბლუზებს, რა აფერისტები ყოფილან.

ისევ ჩამტენეს მანქანაში და ქელეხში წამიყვანეს. სუფრაზე აქეთ-იქით მომექცნენ, ალყაში ვიყავი. სულ ძალით მასვეს ღვინო. თვითონ ოდნავადაც არ მოეკიდათ, მე კი დამათვრეს.

- ის, ელვუდ!

- რაა? - გამომხედა ჯემალმა.

- კი არა და, ჯემალ!

შეკრა ისევ წარბები.

- ტფუ, შენი, ჯემიკო!

მოეშვა ცოტა.

- გამატარე რა, ტუალეტში გავალ და ორ წუთში მოვალ.

სულ კედელ-კედელ ვიარე და ძლივს მივაგენი საპირფარეშოს. კარი გავაღე და ვიღაც გოგო შემრჩა, ატეხა კივილი, წივილი, ვაება.

ვინ მოასწრებდა ბლუზებს.

მგლებივით შემოვარდნენ საპირფარეშოში, ერთმანეთს გადახედეს.

გოგო კივილს არ წყვეტდა, მეც მივუახლოვდი დასაწყნარებლად. უმატა კივილს, მეცნენ ბლუზები. ფორთხიალ-ფორთხიალით გავექეცი გარეთ, კედელს ამოვეფარე, ტელეფონი ამოვიღე და დედაჩემს დავურეკე.

- დედა, - მებმოდა ენა.

- ხო, დედა, რატომ არ დარეკე?

- დედა, ბლუზები მომდევნ.

- ვინ ბლუზები?

- კი არა და, ჯემალი და ის მეორე...

- რატომ, ჯემალი დაუძახე, ხო? ხო გაგაფრთხილე... - ატეხა დედაჩემმაც კივილი. გავუთიშე. სიგარეტი ამოვიღე, ვიღაცამ მომიკიდა და გავითიშე მეც.

ღილით ნაბახუსევზე გავიღვიძე სახლში. მაცივარზე მაგნიტით

მიმაგრებულ ქალაქის ნაგლეჯზე დედაჩემის წარწერა დამხვდა:
„ოჯახის შემარცხვენელო, ცივი დაიდე თვალზე“.

ბიჭუნა და ლეო ძია

თებერვლის ქარიანი დღე იყო. მზე ცერად დაჰყურებდა გადახუნებულ მინდორს და ოქროსფერს ფენდა.

სოფლის ბოლოდან ყრუდ ისმოდა ხარხარი, ვილაცის ჩახრენილი ხმით ნაყოფინები და ცოტაც აპლოდისმენტი.

სოფელს მოშორებული სახლი მთის დასაწყისში, ფერდობზე იდგა. ბოლომდე არ იყო დამთავრებული. ორივე სართულზე აენტოთ ნათურები. ქვემოთ ქალები დაფათურობდნენ, მეორე სართულზე კაცები მისხდომოდნენ მაგიდას და ტყვეობდნენ ღვინით. ამ ღიპიან კაცებს ორი ბავშვი შერეოდა, ბიჭები, ერთი, ასე, თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა იქნებოდა, მეორე - ცხრის.

უფროს ძმას ხელი ჰქონდა გადახვეული უმცროსზე და თავს უქნევდა გრადუსში შესული კაცების ნალაპარაკებს, წინ თითქმის სახვე ჭიქა ედგა. მარცხენა ხელით ატრიალებდა და სულმოუთქმელად ელოდა თავის რიგს.

უმცროსი მაგიდას ურჭობდა დანას და ატრიალებდა მერე.

- დაანებე, ბიჭო, თავი, დადევი აგერ ეგ ოხერი და უსმინე! - ჩამოართვა გვერდზე მჯდომმა კაცმა დანა, მამა იყო, ეტყობოდა.

- რა გინდა, დაანებე ე ბოვშეს თავი, რას ერჩი? - გამოხედა მამამისს გვერდიდან ღვინით სახეანითლებულმა მომღიმარმა კაცმა და ბავშვს გადაუსვ-გადმოუსვა თავზე ხელი.

ბავშვს არ ესიამოვნა და თმები ისევ აიბურძგნა.

- შენ კიდე, მიაქციო იქნება ყურადღება, რომ მიშტერებიხარ მაგ ჭიქას, არავინ წაგართმევს, - გამოხედა მამამ უფროს შვილს, იმანაც იდაყვი მიართყა პატარა ძმას.

ამასობაში უფროსი ძმის დაღვევის ჯერი მოვიდა, დაიმორცხვა, ხმა დაიბოხა, ძლივს გამოცრა, - გაგიმარჯოთო, - და ჩაცალა ძირამდე ჭიქა.

- ეჰ, გენაცვალე, უყურე ამას, რავა გავს მამამისს.

მამას სადღაც გულის სიღრმეში ესიამოვნა შვილის მიმსგავსება, მაგრამ არ შეიმჩნია.

- შე შობელძალლო, სადღეგრძელო მაინც თქვი, რო ეტაკე... - გამოხედა შვილს.

ბიჭს სახე აუწითლდა, ჩაიღიმა და მორცხვად ჩახარა თავი.

- რა გინდა, ვალოდია, ეს თუ არ ისწავლა, სხვა რა ვასწავლოთ, აბა, ჰა?! - გამოსძახა სუფრის თავიდან გასიებულმა კაცმა, - შენ ჩემი იკაკო უნდა ნახო, რაფრა ცლის ყანნებს.

გადახარხარა სუფრამ...

- ვერ მიეყვანე მერე?

- სად მაქ, თუ ძმა ხარ, მაგის ნერვები... რავარი ცელქია, იცი?!

ვერ ჩერდება ერთ ადგილას.

გარედან მანქანის ხმა შემოისმა.

- ლეო ძია მოვიდა? - ახედა უმცროსმა მამამ.

- მიდი და ნახე, მე რას მეკითხები? - მოკლედ მოუჭრა მამამ.

- ისე, კი უნდა მოსულიყო ამდენ ხანს, - გაეპასუხა პირდაპირ მჯდომი კაცი.

- რას გეიგებ მაგისას, როდის მოვა, როდის წავა? შენ გგონია ფხიზელი მოვა? პატარა ბიჭი მაგიდის ქვეშ გაძვრა, ვილაცუბის ფეხებს მიედ-მოედო და აივანზე გავიდა. სახლის ეზოში ფერგადაცრეცილი ფურგონი შემოჯანჯლარდა.

- ლეო! - ბიჭუნამ თვალის დახამხამებაში ჩაირბინა კიბე.

ფურგონიდან კაცი მხრით ორჯერ მიანვა კარს, ვერ გაალო, ფანჯარა ჩამოსწია, ხელი გადმოყო და გარედან გაალო.

გადმოვიდა ლეო ძია მანქანიდან, ფურგონმაც ამოისუნთქა, ბორბლებზე ისე აინია, თითქოს წელში გაიმართა და გაიზმორაო.

ლეო ძიამ გამოქანებული ბავშვი აიტაცა ჰაერში და დაატრი-ალა, ხელებით მობლუჯა და დორბლიანი ტუჩებით ჩაპროშნა. ეგ არაფერი, ბიჭს ლეოსი არაფერი ეზიზღებოდა. კაცი ბავშვით ხელში შევიდა სუფრასთან.

- ვაა, ლეოს გაუმარჯოს!

- ჰა, დაინყეთ არა უჩემოდ? ვიცოდი, რომ დაინყებდით და მეც ცოტა გეახელით კაი ჭაჭა სახლში.

უცბადვე შემოუტანეს სკამი ლეოს ქალებმა. დილამდე სვეს.

ბიჭუნა გვერდით მიჯდომოდა ლეოს, თვალეები ეხუჭებოდა, მაგრამ არ მიდიოდა დასაძინებლად. აი, ლეომ სულ დაივიწყა და ყურადღებასაც აღარ აქცევდა, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და ბოლოს საწოლ ოთახში გასატანი გახდა.

ხუთმა კაცმა ძლივს ასწია გათიშული ლეო. ბიჭუნაც ფეხებში ედებოდა და ცდილობდა, ცოტა წვლილი შეეტანა ბიძიას აწევამი.

როგორც იქნა დაანვინეს ლეო, გახადეს და გაახვიეს სქელ საბანში. თვითონ ხარხარით დაბრუნდნენ სუფრასთან და გააგრძელეს სმა.

ბიჭუნაც გამოყვა შეგრადუსებულ მამას და ერთი ჭიქის დაღე-
ვის უფლება გამოსტყუა. აუნითლდა ლოყები და აულვივდა თვალები.
საძინებელში გავიდა, ერთი ხელის მოსმით გაიძრო ფეხზე, ტანზე და
შეუნვა ლეო ძიას ლოგინში.

თებერვლის ცივი დღე იყო, ქარი არახუნებდა საძინებლის ფან-
ჯრის მოყანყალეებულ მინას.

Fish bowl

- დეეე, ბედობას გილოცააავ! აუ, ყავა გამიკეთე რა... არა, რა შაქარი!

ვერ ვხვდები, რა საჭიროა შაქარი ყავაში და თმის დავარცხნა დილით, როცა ხვეული თმა გაქვს და თანაც - წითელი! ვგიჟდები ჩემს წითელ თმაზე და უშაქრო ყავაზე დილით! ვილაცები რომ ამბობენ, მაფხიზლებსო, მაგიტომ კი არა, ისე, უბრალოდ!

დღეს მწვანე კაბას ჩავიცმევ. იო ამბობს, კონტრასტულიაო მწვანე კაბა წითელ თმასთან, კიდევ რალაცებს ამბობს, მაგრამ არ მახსენდება ახლა! საათი უნდა წავილო მესაათესთან, მეასედ ვუცვლი ელემენტს!

- ჩარლი, ჩარლი, ჩარლზ! მოდი, გარეთ გავდივართ!

ნეტა, რა ჯანდაბად მინდოდა ეს ძალი?! ისიც კარგი უაზრო ტიპი იყო, დაბადების დღისთვის უკეთესი საჩუქარი ვერ მოიფიქრა?! თუმცა, იმაზეც მადლობელი ვარ, ერთი ცალი ვარდითა და სუნამოთი ხელში რუსთაველის მეტროსთან რომ არ დამინიშნა შეხვედრა! თუმცა, რას ამბობ, გავქანდებოდი! ან შეიძლება გავქანებულებოდა კიდევ, მაშინ ისე აღფრთოვანებული ვიყავი მისი ვოტერსისეული იერით და ჩემზე დაწერილი სიმღერებით! კუზმა ამბობს, რას გავსო ვოტერსი! რატომ? მე მომწონს...

აუუუ, ნათელა!.. არადა, დღეს ბედობაა! მორჩა, წელს მაგრად დავითარსე, ეგ ხომ კუდიანია და ღამლამობით ცოცხით დაფრინავს!..

- ორი პური, ნაბეღლავი, შაქარი და მანონი მინდა!

ნეტა, ამ მაღაზიის მეპატრონის თავში ჩამახედა, ამისთანა ჯმუხი გამყიდველი რამ დააქირავებინა? აზრზე არ არიან, არადა, საბაზრო ეკონომიკაა - სერვისი, სერვისი, სერვისი! ანუ ღიმილი, ღიმილი, ღიმილი! ვინ შემოვა ახლა ამის მაღაზიაში?! თუმცა, მე სულ აქ არ დავდივარ? მეზარება იქით გადასვლა და იმიტომ! ჩარლის გამოყვანაც მეზარება ხოლმე, ვინ სთხოვა, მაჩუქეო? ხო ვუთხარი, პაკამეთქი?! არადა, იმ დღეს როგორი თვალებით მიყურებდა? მაპატიეო და რამე. ისე, რანაირი იყო, არა? სულ მე ვუშლიდი ნერვებს და მაპატიეო, თვითონ მეუბნებოდა მერე! მანქანა რომ მივუღენე, ერთი სიტყვა არ უთქვამს, არადა, იმ დღეს რა ვიმეტიჩრე? რას ვქოქავდი, ნეტა, იმ მანქანას? რომელი შუმახერი მე ვარ, ათჯერ ჩავიჭერი გამოცდაზე! აუუუ, მართვის მონობააა!

ესენი დილიდანვე აქ სხედან! რატომ მომწონდა, ნეტა, ეს ბიჭი ადრე? კიდევ კარგი, თვითონ არ მიმჩნევდა, თორემ ეგეთების მოშორება არ გინდა მერე? არადა, რა კარგი დედა ყავს, ვგიჟდები მაგ ქალზე! შვილი ოჯახის სარკეაო, რომ ამბობენ, არაა, რა, ეგრე, უბრალოდ, უცნაურები ვართ ადამიანები - ყველა ერთმანეთს ვგავართ მაგრად და ვცდილობთ, განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან და სისულელეებს ვაკეთებთ და აქედან გამომდინარე, მით უფრო განსხვავდები სხვისგან, რაც მეტად გავხარ მას!

- დეეე, მოვედით! საჭმელი რა გვაქვს? მშია მე!

სალამოს მწვანე კაბა ჩავიცვა, თუ ლურჯი? აუ, რატომ ფარავს ღრუბელი ცას? და საერთოდ, ეს რანაირი დღეა?

თავი მტკივა და სახე მაქვს ახელი და
“How I wish , how I wish you were here” ...

ამ ზამთარს მაგრად გავუფერულდი.

შავ-თეთრი გავხდი და მოსაწყენი!

- დეეე, ტელეფონს უპასუხე რა?! მე? ამ დილით ვინ უნდა იყოს?

- ჰო, თეკუმ, ჰო! მახსოვს, აბა რა! ახლა ვფიქრობდი ზუსტად, მწვანე კაბა ჩავიცვა, თუ ლურჯი. კარგი, თეკუმ, ხუთზე მანდ ვარ, გიოც იქნება? კარგი, დროებით!

მაგათ გონიათ, თუ გიო იქნება, გავფრინდები, სულაც არ მომწონს ეგ გიო, ცარიელი თვალები აქვს და შავი პალტო აცვია!

- ჩარლი, ჩარლზ, მოდი ჩემთან!

ფუ, ვერ ვიტან, რა, ამის ბენვს, ჩამივარდება პირში და მოვკვდები, უფრო სწორად, გარდავიცვლები და გავიშლები სამყაროში პლუს უსასრულობიდან მინუსში. ისე, ადამიანი ხომ ოთხგანზომილებიანია: სხეული, სული, გული და გონება; ჰოდა, სტიქიაც ოთხია: მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი, და როცა ადამიანი გარდაიცვლება, ოთხ პარალელურ განზომილებაში გაიშლება და იმიტომაა ეს დეჟავუები და სასწაულები რომ ხდება და ატომი რომ გახლიჩეს სახლეჩი ატამივით და რომ ალვფრთოვანდით! თითქოსდა რა? - მე ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მაგიჟებს და უშაქრო ყავა დილით! თუმცა, ვინ მეკითხება, აზრზე არ ვარ არაფრის და მარტოობის მეშინია!..

ეს რანაირი ზამთარია, თოვლი მაინც მოსულიყო! მეგონა, ახალ წელს მაინც მოვიდოდა... ახლა ყველაზე მეტად თოვლი მინდა მოვიდეს და კიდევ თომა! მომენატრა თომა, მ ო მ ე ნ ა ტ რ ა !!! მაგრამ არავის ვეტყვი, რომ მომენატრა, აბა, რა წესია? ისე, მანქანა რომ მივუღენე,

მეკითხა მაინც, თუ გააკეთა. დავურეკო? კუზმიკა რომ ამბობს, რას გავს ვოტრესიო, რატომ? მე მომწონს! თან ჩარლიკა მაჩუქა, თხილიანი შოკოლადების მთელი შეკვრა და „თოლია, სახელად ჯონათან ლინგსტონი“...

წვიმს. რა დროს წვიმაა ამ შუა ზამთარში?! რა თარსი ბედობაა! არადა, დღეს სპეციალურად მარჯვენა ფეხზე ავდექი, მარამ რად გინდა, დილით ნათელა შემეფეთა და თან ვერაფრით გადავწყვიტე, მწვანე კაბა ჩავიცვა, თუ ლურჯი? ახლა რას ვიზამ, იცი? შავ კაბას ჩავიცვამ. ისე, ამ ბოლო დროს მაინც შავ-თეთრი ვარ და მოსაწყენი! ჭორფლი უნდა მოვიშორო, ნახე რამდენია?!

- დეე, ფორთოხლის წვენი გამიკეთე, რა! მე რას ვაკეთებ და ვმეცადინებო, ოთხშაბათს მაქვს კოლოკვიუმი, ჰო, კარგი, არ მინდა, ნუ გამიკეთებ!

სულ არ მინდა არაფერი, ვიჯდები აქ და არ ავდგები საერთოდ, პროტესტი ყველას და ყველაფერს: თო მ ა მ ე ნ ა ტ რ ე ბ ა!

კარგი, ჰო, მწვანე კაბას ჩავიცვამ და კუზმიკას ვთხოვ, ის ჩანთა მათხოვოს, მაგრად მიდის ამ კაბაზე!

- კუზ, ხო წამომიღებ? რა მჭირს? არა, არაფერი, რა უნდა მჭირდეს? ცოტა მეზარება წამოსვლა, თან მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, მწვანე კაბა ჩამეცვა, თუ ლურჯი და სახე გამძვრა! კარგი, კუზ, ხუთ წუთში შუქნიშანთან ვიქნები, ჩანთა არ დაგრჩეს!

ე, ისევ ნათელა! რა დავითარსე, რა, დღეს! ახლა ფეხი გადამიბრუნდება და მომტყდება და მერე თაბაშირში ჩამისვამენ და მივეჯაჭვები ლოგინს, არ უნდა ჩამეცვა ქუსლიანი ფეხსაცმელი! ნეტა, თომა თუ მოვა ჩემს სანსაყად?!

ეს გიო რა დებილივით მიყურებს? წავედი აქედან! მივალ სახლში, დავწვეები და ვუყურებ ჭერს, მანქანების ფარების შუქს რომ ირეკლავს და დავითვლი, რამდენი მანქანა გაივლის შემს ქუჩაზე ბედობის ღამეს და მერე ჩამეძინება, ალბათ. მაგარს გავერთობი! ეს მართვის მოწმობა კიდევ რალა გახდა, რა, რით ველარ ავიღე?!

ოოო, გამაცილებს არა ის!..

- არა, მაღლობა, არ მინდა გაცილება, მელოდებიან! კაი, კაი, პაკა!

ვააა!

ახლა ტაქსის გავაჩერებ და სახლში წავალ, არა, ფეხითაც შემიძლია, მაგრამ ჩქარა უნდა მივიდე სახლში, დავწვე და ჭერს ვუყურო!

“We’re just two lost souls swimming in a fish bowl, year after year”...

- დეე, მოვედი! ჰო, ასე მალე, აბა, იქ ხომ არ დავრჩებოდი?
შოკოლადი დამიტოვე? კარგი, მაშინ წავალ, დავიძინებ! არა, არ მინდა!
ხვალ მე თვითონ ვიყიდი! ძილი ნებისა, დე!

- ჩარლი, ჩარლიკ, მოდი ჩემთან!

რა საყვარელია! ამას მაგრად ვუყვარვარ, მე კიდევ არ
მევასება! არა, როგორ არა, მეც მიყვარს! ოღონდ დილით გაყვანა
მეზარება ხოლმე და მაგის ბენვს ვერ ვიტან, იმიტომ, რომ მარტოობის
მეშინია და ამ ზამთარში ცოტა გავუფერულდი, ალბათ.

ისე, დღეს რანაირი ბედობა იყო? რა დამებედა, ნეტა, მე?
ნათელა? თანაც ორჯერ! - ძაან მაგარია!

ამ ღამით მაინც ვინ რეკავს?

- თ ო მ ა ა ? ? ? გმადლობ, თომ, მეც გილოცავ! თომააა...
მ ო მ ე ნ ა ტ რ ე !!!

“Running over the same old ground.

What have we found? The same old fears.

WISH YOU WERE HERE”

ვაიმეეე, თ ო ო ვ ს !!!

შალვა დევდარიანი

ბესო

ბესო ჩემი გიტარის მასწავლებელი იყო. ბესოზე კეთილ, მაზალო და აფერისტ კაცს ვერ იპოვით მთელ თბილისში. ბესო მგონი ყველაფერზე უკრავს, რაზეც კი იკვრება, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს, ოცდაათზე მეტ საკრავზე ვუკრავო.

ორი წელი ვიარე, მაგრამ თითქმის ვერაფერი ვისწავლე. პირველი წელი უგიტაროდ ვიარე. პირველ გაკვეთილზე, თუ სწორად მახსოვს, ვივალდიზე მელაპარაკა.

- შაკო, თუ ჩემთან დაუკრავ, იცოდე, პირველი უნდა იყო, “OK”?

- რაღაც უცნაური აქცენტით მითხრა ბესო მასმა და სახე დამანჭა.

- კარგი, ბესო მას.

ბესოსთან ერთი გოგო დადიოდა, კარგად დამამახსოვრდა, მერიკო ერქვა.

პირველად რომ ვნახე, მიკროფონი ჰქონდა შეერთებული მუსიკალურ ცენტრში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა, მგონი, „ნირვანას“ სიმღერას. სრულ ჭკუაზე ვერ იყო, იმიტომ კი არა, რომ მღეროდა, ეს მაშინ გავიფიქრე, როცა მის შარვალზე ჩამოკიდებული კბილის ჯაგრისი შევნიშნე.

ბესოს ჰყავდა ცოლი გაია, დაახლოებით ჩემხელა ბიჭი ნიკუშა და ორი წლის, როგორც თვითონ ეძახდა - „კახპა“. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანდასწრებით სახელით არასდროს მიუმართავს. მეორე წელს მასთან მივიყვანე გიო, გიგი და ლუკა.

გიგი უკვე ხუთი წელი იყო, რაც სწავლობდა და კარგადაც უკრავდა, მაგრამ მერე რა... ბესოსთვის რომ გეკითხათ, გიგის დაკვრა სწორედ მან ასწავლა.

გიო და ლუკა დამწყებები იყვნენ.

ლუკას, კიდევ კარგი, ლუკათი მიმართავდა. აი, გიოს კი ხან ჟორჟს ეძახდა, ხან მიკ ჯაგერს. მაგრა გეცხარო, ასე ეუბნებოდა.

- ჟორჟ, ყავას დალევ?

- არა, მას, გმადლობთ.

ჩემი თანდასწრებითაც დაუღევიათ ყავა და შემდეგ ბესოს უმკითხავია კიდევაც, ოღონდ ლუკასთვის და გიოსთვის, გიგისთვის - არა.

- აი, ჩემი მარლონ ბრანდოც მოვიდა!

მე თავს დავხრიდი მორცხვად, გიტარას ავიღებდი და, რო-

გორც თვითონ ამბობდა, ჩემს საქმეს ვაკეთებდი. თუმცა მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო მარლონ ბრანდო და როცა „ნათლიმამა“ ვნახე, მაშინვე ბესო გამახსენდა. როგორც მერე გაირკვა, თურმე, გიგისაც ამ სახელს ეძახდა.

მე და ლუკა ვუგებდით ერთმანეთს და ერთად ვირჩევდით შესასწავლ სიმღერას, გიგი კი შავ დღეში იყო. გიოს და ბესოს, როგორც აღმოჩნდა, „ბიტლსები“ უყვარდათ და სულ „ბიტლსებს“ აკვრევინებდა. გიოზე ბედნიერს ვერავის ნახავდით.

ბესო მას, რამე ქართული გვასწავლეთ რა... - თხოვდა გიგი.

- მოდი, გიგი, გიოს ვერსიაც ვნახოთ.

გიოს, რა თქმა უნდა, „ბიტლსები“ უნდოდა და ნავიდა ისევ „ბიტლსები“...

ისე, ბესოს ყველა მოსწავლე, როგორც თვითონ ამბობდა, სილამაზის კონკურსზე გამოდიოდა და ყველა „მის საქართველო“ იყო, ოღონდ როგორ, არ ვიცი.

ერთი მოსწავლე ჰყავდა, კლასიკაზე გიჟდებოდა.

- ბესო მას, ის დაუკარით რა, „კვაზიმოდოში“ როა...

ბესოც უკრავს, მოსწავლეს სიამოვნებისაგან თვალებს ხუჭავს, მაგრამ ვინ აცლის? ბესო რისი ბესოა, თუ რამე თავისი არ შეურია? და გადადის ბესო „კვაზიმოდოდან“ ჯაზზე, ახლა მე და ლუკა ვსხედვართ სულგანაბულები და ვუსმენთ.

გიგიმ და ლუკამ მალევე დაანებეს ბესოსთან სიარულს თავი და შემოვრჩით მე და გიო.

ერთ მშვენიერ დღეს მივდივართ და გვხვდება ვილაც ჯირკვივით კაცი ცხვირში შერჭობილი უცნაური ნივთებით. ტამტამზე უკრავდა, ბესოს მოსწავლე ყოფილა. თურმე, რომელიღაც სოფლიდან ჩამოდიოდა ყოველ კვირას. ამანაც კარგი რამე მოყვა: გუშინ მე და ჩემი ჯგუფი პანაშვიდზე ვიყავით დამკვრელებადო. გარდაცვლილის ძმამ განაცხადა, ჩემმა ძმამ ვერც ქორნილის და ვერც დაბადების დღის გადახდა ვერ მოახსნო და საქეიფოები დაუკარითო...

ბესო უცნაური კაცია. ბესოზე კეთილ, მაზალო და აფერისტ კაცს მთელ თბილისში ვერ იპოვით.

ამ მოლოდინსაც ცხოვრება ერქვა

ქუჩას ნაცრისფერი დასდებოდა და ზიზლით ყლაპავდა წვიმის ნარჩენებს. ცხრამეტსართულიანი ბინის კორპუსთან ოთხი განუწული ახალგაზრდა იდგა. ეს კორპუსი ერთადერთი მონსტრი იყო ამ პრესტიჟული უბნის ლაბირინთში, ამდენ ნარჩევ, უფრო სწორად, ნარჩენ სულდგმულს რომ იტევდა. თუმცა, იქ ოთხი, არსებითად დიფერენტული არსება ბინადრობდა.

- ჰეი, დევილ, შენ თუ იცი, რატომ აქვს ცხრამეტი სართული ჩვენს სახლს და გიტარის სამას სამოცდაერთი სიმი შენს ბედოვლათ დაქალს შინ? - ცხვირზე დაცემული წვიმის ობოლი წვეთი მოიწმინდა ბონომ, რომელიც ნინას კარგი ხმის მქონედ მოენათლა.

- ამას უყურე, ვაა, ცხრამეტის კვადრატი რომ იცის რამდენია. ჰა, ჰააა... დააზუსტე, ბრატ, განწყვეტილი სიმი. სადა აქვს მაგას მაგდენი გიტარის ფული, ჰო, უფუნქციობა კი ნაკლებად ხიბლავს. და საინტერესოა, აბა, რად უნდა?

- არა აქვს, მაგრამ ექნება და მერე ერთად მოუყრის თავს, მისახამს ბენზინს და აჰა, სიცივისგან ეპილეფსიიანებივით რომ ვფართხალებთ, ნორჩ ძვლებს მაინც გავითბობთ, - წაიფილოსოფოსა ნინამ.

- ე, ბონო, მაგიტომ ფარჩხავდი გუშინ თითებს მთელი ღამე? მერე და, გეყო ღამე და თითები ჩემი სიმების დასათვლელად? რად მინდა და ბებოს ვუნახავ, ზაფხულში პომიდვრის ნერგებს ააკრავს, - ემი ღამის მიწაზე განვა სიცილით, თუმცა, მიწა სველი იყო და...

- ოე, ბონო, ბიჭო, პოლიდაქტილია გჭირს? უი, შე საბრალო. მეც არ გამიკვირდა, სკოლაში გამრავლების ტაბულის სწავლისთვის არ მოგიკლავს თავი და... არა, რა, გონიერი, ფაქტობრივად, ხარ. ყველა კი ვერ ახერხებს შესაძლებლობების გამოყენებას მიზნის გასანაღდეზლად, - ღამის გაიბზარა დევილი - მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი ეშმაკი, მეგობრები ხშირად რომ ეუბნებოდნენ, ერთი მიწის ქვეშაა და მეორე შენ ხარ მიწის ზევეითო. ეს ისე, ხუმრობით, თორემ ეშმაკის სამეფოს ლოკალიზაციაზე ბევრი უკამათიათ, ბოლოს ყველა ერთხმად ამბობდა: დაე, ეგდოს იქ, სადაც გდია. გველოდოს, მალე აღვკვეცთ ბერად ან მონაზვნად, თუ ჰერმაფროდიტია? კაი, მაგასაც ეშველებათ...

- ეე, ნავედი, ნავედი, გავიყინე, - ახლა ელექტრო შოკდარტყმულივით გაფართხალდა ნინა და სადარბაზოსკენ გაემართა.

- რაო, დოსტოევსკი გაქვს წასაკითხი, თუ ძია ონოფრე? - “უინ-ქინგ სმაილი” სტყორცნა ბონომ.

- აი, იდიოტი! - შეაგება ნინამ.

- ა, ხომ გითხარით, თეოდორი-მეთქი? ჰა, ჰა... ხო, კარგი, გავეთრე, ხო? - ამოილულულა ბონომ, თუმცა ნინას ეს აღარც გაუგონია. დევილმა ტამტამს მიაშურა, ბონომ ლოგინს, ემიმ ოთახის ყველა ჭუჭრუტანა დაგმანა და წიგნის სამყაროში გადაეშვა, მას ან ბრძენი მოსაუბრე სჭირდებოდა, ან, უბრალოდ, კარგი წიგნი, ნინამ კი ჯერ დედის ნაჩუქარ როიალს მიუაღერსა, მერე გიტარის სიმებზე აათამაშა თითების ასკინკილა. და ბოლოს აზრების მორევს მიეცა.

* * *

აი, ასეთი იყო ეს ოთხი ახალგაზრდა. პერსპექტიული, იმედგაცრუებული, ცოდვილი, ანგელოზი, გზააბნეული ჭკვიანი, მაინც ხმალშემართული და რა ვიცი, კიდევ რა ეპითეტით შევამკო, თუ დავაკნინო მათი არსება. საკმაოდ მარტივი და გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ. ერთმანეთს ამაგრებდნენ, თუმცა პირობა არც ერთს დაუდია, რომ უმალ ისიც მოიშობდა თავს, თუ კი ერთ-ერთი მათგანი მატარებლის რელსებში გაეჩხირებოდა, ან ბრაზიანი მძლოლის მსხვერპლი გახდებოდა, თუ კი მისი მანქანის სახურავიდან გადაწყვეტდა თევზაობას, ან უბრალოდ, ფრენისას ფრთას დაიზიანებდა და მერე ტვინს დაანთხევდა დედამინას. უარყოფდნენ დოგმას, წესებს, თუმცა, ცხოვრების მთავარ წესს - სიკვდილს - არავინ გაურბოდა, პირიქით, ნებისმიერ წამს მზად იყვნენ ჯოჯოხეთის ფერხულს შეერთებოდნენ, ისინი ხომ რეპეტიციას ყოველდღე გადიოდნენ, თუმცა, მზე უყვარდათ და ზღვა, საკუთარი თავი და ერთმანეთიც.

* * *

შუალამის ზარები რეკდნენ, ნინას ოთახში კი ტელეფონმა დარეკა. ემი იყო, სულის მატროფირებელი რალაც სჭირდებოდა. კარში შესულ ნინას მაშინვე მკვახე ფრაზა ახეთქეს: „სიცოცხლე ილუზირებული სპექტაკლია, ნი!..“ ნინამ კარი დახურა და იქვე ჩამოჯდა, ზღურბლზე, „უელქომ“ და იქვე ემის ამოქარგული „თუ ლაიფლენდ“ რომ ამშვენებდა. ემი ზღურბლისკენ გაფოფხდა, თავი ნინას მუხლებზე ჩამოდო, მუხლები თავთან მიიტანა და თვალები დახუჭა.

- ემი! და ილუზიაში გვეპატიჟები, ჰო?

- ნი, ველარ ვხედავ, მგონი, იცი? ან არც არასოდეს ვხედავდი. ვიცი, ვიცი, რომ სადღაც ამფითეატრის სცენაზე ვარ, მილიონობით

თვალი მიყურებს, ხედავ? მიყურებს კიდეც. მე კი ადგილიდან ვერ დავძრულვარ, თითქოს, ხეიბრის როლი მომანიჭა რეჟისორმა და უკმაყოფილო ვარ. მერე ჩემკენ რაღაც მოემართება. მკლავს, მაცოცხლებს, მერე ჩემით ინტერესდება, ხვდება და ისევ მაცოცხლებს. მე, მე კი უსავარძლო ხეიბარი ვარ, გესმის? ვცდილობ გავექცე, მივფოფხავ, შუბლზე მომდგარ ოფლს წარბები ველარ აჩერებს, სცენაზე აქა-იქ გაბნეული დეკორატიული ლურსმნები მერჭობა და აჰა, საოცრება - ფეხებში ტკივილს ვგრძნობ. ისე მსიამოვნებს ეს ტკივილი, როგორც არასდროს. თუმცა, ვერ ვდგები. აი, დავუძვერი იმ რაღაცას და ახლა რა მემართება, არ იკითხავ? საკუთარ თავზე გული მერევა, რომ ლაჩარავით გავიქეცი, უკან მივფოფხავ და აღარ მადარდებს, რომ ისევ მომკლავს, პირიქით, ვიჯერებ კიდეც, რომ შევძლებ მის დამარცხებას...

- ან, იქნებ, არ გკლავს, ემი? იქნებ ხვდება, რომ შენ, მოკვდავმა, ქალმა და ადამიანმა შეძელი და დაამარცხე, ან ის მაინც მოახერხე, რომ არ დაემარცხებინე. აქვს აზრი, ამ შემთხვევაში, იქნები თუ არა სცენაზე რეჟისორის მიერ მონიჭებული უფლებით? თუმცა, მე ვიცი შენ რა გინგრევს გონებას. შენ სწორედ ის გაღელვებს, რამდენად მოიხიბლება რეჟისორი შენი არსებით, რამდენად მოინდომებს სხვა როლი მოგცეს. სად და ვინ, არა, ემი?..

პასუხი აღარ იყო საჭირო. ემი წამოდგა. ნინას მოეჩვენა, თითქოს იგი წაბარბაცდა და გაიფიქრა: აი, ზღვარი, სადაც სხეული სულის საყრდენ ფუნქციას ველარ ითავსებს. ისიც წამოდგა, ემის ხელი ჩასჭიდა და ყურში ჩასჩურჩულა: წამო, ვითამაშოთო. ემის, როგორც იქნა, გაელიმა. როგორ უყვარდათ ის თამაში და სათამაშო იარღი...

რამდენიმე წუთის შემდეგ სახურავზე იდგნენ.

- ემი, ცხოვრება მართლაც რთულად სათამაშო ილუზირებული სპექტაკლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა რთულ როლს ითხოვ და იღებ კიდეც. მას იმპროვიზაციის მართლაც სერიოზული ნიჭი სჭირდება, მაგრამ იცოდე, შენი მეგობარი მუდამ შენს სულთანაა და შეიძლება ვერ გიმკურნალო, მაგრამ ყოველთვის მოგისმენ.

- ვიცი, ნი.

და ითამაშეს ემიმ და ნინამ. მთვარეს დასდევდნენ ემი და ნინა. მთვარე ემალებოდა ემის და ნინას.

* * *

მწვანე მოლი და ბილიკი მოლზე. მიდის დევილი და ნეტარებისგან ლამის იხრჩობა. აგერ, თეთრი, ყვითელთვალა გვირილები,

კონებად რომ შეუკრავს ვიღაცას და მაცდურად იღიმებიან. ყვითელი თვალები? ჰმ, გაახსენდა, რა აჟიოტაჟი ატყდა, როცა ბიოლოგის მასწავლებელს ამის შესახებ ჰკითხა. დევილის ერთ ნაცნობს ყვითელი თვალები ჰქონდა და, ფაქტობრივად, ვამპირივით ცხოვრობდა, იშვიათი სახეობის ვამპირივით. მას ღმერთის სწამდა, მერე რა, რომ ღამით ეკლესიებს კეტავენ. ის კართან იდგა და ხატისმიერ მეხსიერებაში უნთებდა სანთელს წმინდანებს. თურმე, ერთხელ, ბავშვობაში, დედას გამოჰპარვია და მაშინ უნახავს პირველად, როგორ ჩახჩახებდა სანთლები ხატების წინ. იკითხა: ვინ არიან ეს ლამაზი დეიდები და ბიძებიო, ან ეს ბაბუა ვინააო? და მოგვიანებით თავად გასცა პასუხი. რა ექნა? შინ ხატები არ ჰქონდათ, მზეც ენატრებოდა...

- აი, ყვითელთვალა გვირილებო, თქვენ არ ცხოვრობთ ვამპირებივით, მხოლოდ სიცოცხლის შესრუტვის სურვილი რომ აქვთ?

დევილი იხრება გვირილების კონასთან, რამდენიმეს ამოაძრობს და მეორე კონაში დებს, მეორედან მესამეში გადააქვს და ასე... წამით ჩერდება და ფიქრობს: არსებობს ქალი დედამინაზე, რომელიც აქედან წაღებულ ყვითელთვალა გვირილას იმსახურებს? ერთიც ვნახოთ და ყვითელთვალა ალაპარაკდა:

- დევილ, აეთრიე, რა ძილქუში გჭირს, ა?...

„ეს გვირილა კი არა, ნინაა, ჰმ, დილა რა სასიამოვნოდ იწყება...
ო, შენი...“

- რაა? - იკვილა ნინამ და ისეთი უთავაზა, საწყალ ბიჭს წყალი აღარ დასჭირდა გამოსაფხიზლებლად. შე დევილ, თუ ანუელა, ეგ რა გაიფიქრე, ა?

„ქალო... ჩემო წყევლავ და
ნეტარებავ!..“

- არა, ნი, შენზე არ მიფიქრია, დედას გეფიცები. ყვითელთვალა გვირილას ვუთხარი, - ამოილულულა ნინას ინტუიციით უკვე მერამდენედ გაოცებულმა დევილმა.

- ვერც იტყოდი, - ნარბები ანკიპა ნინამ. „რაო? შევცდი?...“ - ჰო... რა ყვითელთვალაოო? შემთხვევით რაიმე მწვანე ხომ არა? ოღონდ ცხადში. აბა, უამბე შენს მესაწოლე ბერს.

რა ექნა დევილს? აბა, ნინას რამეს გამოაპარებდა? ასე რომ, ადგა და ღამის ნეტარება ნინას ჩაუკაკლა.

- ჰე, მიდი ახლა და არჩევანი შენზეა. რას უწოდებ: ტვინის შენელებულ მუშაობას, თუ ნინასწარმეტყველებას, რომ სამოთხეში ადგილს მიმზადებენ, ან უბრალოდ მწვანე მცენარეს, ოღონდ ცხადში ნანახს.

- არა, დევ. მე, მით უმეტეს, გიჯერებ. სამოთხეში კი ყოფილხარ და... რაო, ლილითს მიაკითხა დევილმა? საცოლე გაგექცა, თუ მამა დევილს წაუყვანია უკვე? - ლამის სანოლი ააყირავა ნინამ.

- ჰა, ჰა, ჰა... იცინე... კეთილი ეშმაკიც ბრაზდება, იცოდე, - შეუბღვირა დევილმა.

- დევ, გინდა, გაამბო, გუშინ ვინ დამესიზმრა?

- მიდი, აბა.

- დედა...

- ვაა, დედიკო მოენატრა ნინაჩკას?.. ჰო, კაი, კაი, გისმენ.

- ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი, მერე დედა შემოვიდა ოთახში და მიყვარხარ-მეთქი, - გავიფიქრე. მან კი რა მითხრა, იცი? ვიციო, და მერე მთელი ღამე რაღაცებს მასწავლიდა და მარიგებდა, ვიცი, რქიანი ხარო. ბოლოს დააყოლა: **Ясно, Нина?**

- ...

- რა იყო, დევ? აგატირე, ეშმაკო? ა?

- არაფერი, ნი, დედა მიყვარს მეც. ნეტა, ის თუ მეტყვის, ვიცი, რომ გიყვარვარო?

- დევ, მე ვიცი, რომ ყველა დედა იცნობს საკუთარ შვილს 100%-ით. იცი, ამას წინათ რა წავიკითხე? დედისადმი სიყვარული ეგოიზმის გამოხატულების უმთავრესი ფორმააო.

- მართალია, იცი? მარა, დაგლუპავს შენ მაგდენი კითხვა.

- რა, შენც მამაჩემივით ოქსფორდის საგიუმეს მიწინასწარმეტყველებ?

- პირდაპირ ჩემს აზრებს იპარავს მამაშენი. რა, პლაგიატორია?

- იდიოტო!!! - ბალიში ხეთქა ნინამ.

დევილმა ხელები გაუკრა, ჩაიხუტა და შუბლზე აკოცა:

- ჩემი ქკვიანი ბოთე ხარ შენ.

- შენი არა, ის კიდე...

* * *

ბონო? ბონო სულ დაგვაგინწყდა. ეს შემაერთებელი რგოლი როკსა და დანარჩენ სამ არსებას შორის. ბონო როკით საზრდოობდა. უკრავდა, მღეროდა და გრძნობდა. ოცნებობდა, რომ ოდესმე მსოფლიოს აიყვანდა ცაში მისი როკ ჯგუფი, მაგრამ მისი ოცნება ღრუბლებში ფრენისგან არსებითად განსხვავდებოდა. სწორედ ბონო იყო იმის მიზეზი, რომ ემის გიტარას სულ უწყდებოდა სიმები. ვერ შეიგნო ბონომ, რომ მედიატორად ყველას და ყველაფრის გამოყენება არ შეიძლებოდა. ბონოს ჯგუფში ოთხი ადგილი უკვე დაკავებული და

განაწილებული იყო. ემის სანოტო რვეული კი ჯგუფის სიმღერების ნოტებს დაეკავებინა. ნინა ეუბნებოდა, “იუ თუს” ბონოს შენ სჯობიხარო და, შეიძლება, არც კი ცდებოდა. ბავშვები მუსიკით კვებავენ სულს და სურდათ, ხალხიც გამოეკვებათ ხარისხიანი საკვებით. ხალხი და არა ბრბო, არც ერთს სურდა ოქლოკრატი ყოფილიყო.

ბონოს შეეძლო უზარმაზარი სიამოვნება მიეღო მუსიკისგან, ელექტროგიტარის კვილი სულს უძრავდა. რამდენჯერ უთქვამს, ღამით გიტარის კვილი მესმის, მეჩხუბება, უფუნქციოდ რატომ ვარო, დიდი სცენა მინდა და მინდა ხალხის სისხლში შევიჭრაო. ბონოს ერთი რამ არ შეეძლო მხოლოდ, მისაღები სიამოვნების დოზის კონტროლი. მეტი და მეტი უნდოდა. ერთ დღესაც საკუთარი თავი დააჯერა, რომ გამოსავალი იპოვა. მან იპოვა საკუთარი მეს ბლოკატორი. რამდენჯერ უთხრეს, თუ არ შეეშვები, მოკვდები, ოღონდ მანამდე ჩვენთვის მოკვდებიო, მაგრამ ვერ განირეს. მას ხომ ყველაზე მეტად სჭირდებოდა გამაგრება. ის ყველაზე სუსტი აღმოჩნდა ცხრამეტსართულიანი სამყაროს დედამიწელებს შორის. ბონოს უამრავი ქალი უყვარდა, უფრო სწორად, როგორც ერთ დღესაც დაასკვნა, სძულდა. მხოლოდ მათი სხეულით ტკბებოდა, იღებდა იმ თერთმეტ თუ შვიდნუთიან ნეტარებას, მაგრამ ის ბონო იყო და არ აკმაყოფილებდა ქალის მხოლოდ სხეულის ფლობა, მას სული უნდოდა, განსაკუთრებული ქალის სული. ბონომ ერთხელ ემის უთხრა:

- იცი, ემ, ან სიყვარული არ არსებობს, ან კიდევ მე არ შემიძლია სიყვარული.

ემი დუმდა, ვაი, რომ ეს აზრი მასაც უბურღავდა ტვინს.

- არა, ბონო, - ოთახში ნინა შემოსულიყო. როგორც ბევრი იტყოდა, შენ შეგიძლია სიყვარული, ალბათ ის არსებობს კიდევ, ოღონდ მანამდე შორი გზაა, ის შენგან შორსაა. როგორც ამბობენ, ცხოვრების არსი სწორედ მაგაშია, იპოვო გზა მისკენ მიმავალი და ის იქ, ლაბირინთის ბოლოს გელოდება. სადღაც მინოტავრიცაა, შეიძლება ვიღაცამ შეძლოს და იმ გზით იაროს, რომელიც მინოტავრის ბუნაგის გავლის გარეშე მიდის დანიშნულების ადგილას, მაგრამ უმრავლესობას რუკა არ აქვს, იღლება და თავბრუ ეხვევა. თუ მინოტავრს გადაურჩა, უკან იმ აზრს შეგუებული გამოდის, რომ უნიჭოა, ან პირიქით, ჰგონია, რომ ლაბირინთს გასასვლელი არ აქვს, იქ მხოლოდ მინოტავრი და ერთი შესასვლელია, საიდანაც, თუ კი უკან გამოვიდა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ გენიოსია. ამ შემთხვევაში, ის გამარჯვებულად თვლის თავს, სატყუარას რომ არ წამოეყო...

- ერთი მითხარი, როგორ ახერხებ, რომ ამდენი ცინიზმი და

ირონია ჩქეფს შენში?! როგორ შეგიძლია ყველაფერზე გქონდეს პასუხი, როცა არაფერიც არ იცი. რა, არ ვარ მართალი? შენ იმას ეძებდი და ეძებ, რასაც მე, მაგრამ ამას არასოდეს აღიარებ, ნინა. დაბოლოს, დარწმუნებული ვარ, მარტო, ბუხრის წინ, რომელიმე სამედიცინო ენციკლოპედიით ხელში, ისე გაგძვრება სული, გაფიქრებასაც ვერ მოასწრებ, რამდენი გააკეთე და მაინც რა იდიოტურად იცოცხლე, მაქსიმუმში გინდოდა და არც მინიმუმს გაუსინჯე გემო. გეცადა, იქნებ ამ მინიმუმში გეპოვა მაქსიმუმი. გეუბნები, ნი, სიკვდილის წინ დასკვნის გაკეთებასაც ვერ მოასწრებ, ვინ იყავი, სიყვარულთან დამარცხებული თუ ურწმუნო.

- ბონო, მეჩვენება, თუ შენ ახლა საკუთარ თავს ესაუბრები? თვალეები ჩემდამი ზიზღით გაქვს სავსე... რატომ, ბონო? რა, აქაც თავად უნდა ვეძებო პასუხი? აღარ შემიძლია, არ მინდა, გული მერევა იმ მინიმუმზე, რაც შენ მაქსიმალური დოზით მიიღე, მორჩა, აღარ მინდა ამაზე საუბარი. შეიძლება, მართალიც ხარ, მაგრამ მე ჩემი სიმართლე მაქვს და მინდა იქამდე თავად მივიღე. მჯერა, ეს ოდესმე მოხდება...

- საშინელი ოპტიმისტი ხარ და ეგ გშველის ყველაზე უკიდურესი უფსკრულიდანაც კი თავის დაღწევაში. ემი ჩუმადაა, ვიცი, რატომაც. ისიც ებრძვის საკუთარ თავს. იცი, მე და შენ ბევრი საერთო გვაქვს, მაგრამ მე და ემის კიდევ უფრო მეტი. ემიმაც სცადა და გემო გაუსინჯა იმ მინიმუმს, რაზეც შენ უარს ამბობ. მასაც სჯეროდა, რომ რამდენიმე საფეხურის შემდეგ აუცილებლად მიადგებოდა პიკს, შენ კი გგონია, პიკს აუცილებლად ერთბაშად დაინახავ და მერე კომფორტული თვითმფრინავით აფრინდები... ემიმ ვერ შეძლო თავის მოტყუება. ალბათ, მართალი ხარ, როცა ამ გადანყვეტილებას იღებ, მაგრამ როდემდე, ნინა? როდემდე დაიცდი? განა, ლოდინი არ გაგაგიჟებს? - უცებ ფეხზე წამოვარდა, ხელი მოიშიშვლა და ქავილი აუტყდა.

- აი, აი, სადამდე მიმიყვანა სიამოვნების მეტი დოზით შეცნობის სურვილმა, დოზას დოზაზე ვიღებ, გავანადგურე საკუთარი დედა, საკუთარი თავი და...

- ცდები, ბონო, - ძლივს ამოიღო ხმა ემიმ, - ისევე, როგორც ჩვენ ყველანი, მაგრამ შენ ყველაზე მეტად. თავს ითიშავ, ბლოკავ საკუთარ მეს, როგორც აღნიშნე, გათელე ყველაზე წმინდა - დედა და ვერ მოახერხე წინასთვის სიმართლე გეთქვა...

- რა სიმართლე? - გამოფხიზლდა ნინა.

- დამაცადე, ნინა! ბონო, გეკითხები, შენ შეძელი შენი

სასურველი მაქსიმუმის განაღდება? არა... რატომ? რა, არ შეგიძლია? მე მახსოვს შენი სახე, იმ ფსევდო უსინათლო მათხოვრის ლულულულს რომ ვისმენდით ჩვენს კითხვაზე - „რა უყავი სინდისს?“ გახსოვს, რა ვუყავით იმ ფულს, მთელი წელი ხმის ჩამწერი სტუდიისთვის რომ ვაგროვებდით?

- რა თქმა უნდა, მახსოვს...

- არა, არ გახსოვს, შენ ხომ შეძელი მისი სინდისის გაღვიძება. რა კარგად ამხილე... შავი სათვალის მიღმა საკუთარი საღი თვალები დაანახე და ამ ქვეყნისაკენ მოაბრუნე, მაგრამ ჩვენ... ჩვენ ვერ შევძელით შენი მობრუნება... ერთ ბანალურ ფრაზას გეტყვი: ინანებ, მაგრამ გვიან იქნება...

- ბონო, რა სიმართლე უნდა გეთქვა?

- რა?.. ჰო, მაზეგ კონცერტს ვატარებთ.

- რა? - იკივლა ემიმ.

* * *

სამი ღამე რეპეტიციებს გადიოდნენ. რეპერტუარში ბონოს, ემის და ნინას კომპოზიციები იყო, დევილი ყოველთვის ამბობდა, წერაში არ ვერევი, ეგ თქვენთვის დამითმია, მე მხოლოდ დრამზე რიტმულად ტყაპუნე და რიტმის ამღერება შემიძლიაო. ამბობდა, არასოდეს გავაკეთებ იმას, რისი გაკეთების სურვილი მთლიანად არ მომიცავსო. ბონო დობას დობაზე უმატებდა, ხვდებოდნენ - კარგავდნენ და აღარ უცდიათ მისი შეჩერება. ერთ ღამესაც ტრანსში მყოფმა დაწერა „იორ ლაიფ“. თუმცა, განაცხადა, ამას ხვალ არ ვიმღერებთ, მისი შესრულების დღე ჯერ არ დამდგარაო. ამ სიმღერის ადრესატი თავად მიხვდება, რომ მეც და ეს სიმღერაც მისი საკუთრება ვართ, მიხვდება, რომ მან შეძლო ფლობდეს ჩემს სულს. აი, მაშინ ჩემი მისიაც შესრულდება. სწორედ ის შეასრულებს ამ სიმღერას და მე უკანასკნელ წამებში მოვისმენ აბსურდს, რომელსაც ჩემი ცხოვრება ჰქვიაო. უხმოდ დაეთანხმნენ...

მაზეგ გათენდა...

* * *

- დევილ, მოდი, სულ ცოტას გაგიკეთებ, გჭირდება, ხვდები?

- გაგიჟდი, ბონო? ე, ძმაო... მე არ მჭირდება ნარკოტიკი, მე ჩემი რიტმიკა გამომკვებავს... შენ აღარ ხარ ბონო, ის ბონო, მხოლოდ საკუთარ თავს რომ ჰგავდა...

- რაო, მორისონს დავემსგავსე? გეთანხმები... - ჩაიმუხლა

ბონო და შუბლით კედელს მიეყრდნო.

- უფლება არ მისცე ნარკოტიკს, ეშმაკის საუფლოში წაგათრიოს.

- დაივინე, - წამოდგა ბონო, - წამო, ვიკაიფოთ, აჰა, ვუსრულებ ჩემს გიტარას ოცნებას. იცი, გუშინ ერთადერთი ღამე იყო, როცა კივილი არ გამიგონია...

ემი და ნინა შესასვლელთან იდგნენ. „როკის პრინცესა“, - მწარედ ჩაეცინა ბონოს.

სცენაზე ოთხი არსება გამოჩნდა. ისინი ჩარჩოში მოქცეულ როკერებს სულაც არ ჰგავდნენ. მათ ჩარჩო გაერღვიათ და სცენის ძირში მიეგდოთ.

- სადაა ამოშავებული თვალები?

- სატანის მზერა?

- ტყავის შარვლები? - დაიყვირა ვილაცამ.

- იდიოტი, - ჩვეული ცინიზმით მიაგება ობიექტური ეპითეტი ნინამ.

მეომრებმა ერთმანეთს გადახედეს და ანიშნეს, - სამყარო დავროკოთო!

დაიწყეს და დასასრულსაც ბოლო მოუდეს. სცენა არ იყო ღიდი, არც დარბაზი, თუმცა იქიდან სამყარო იმზირებოდა.

ბონოს გიტარა სადავეანყვეტილი მუსტანგივით მიქროდა უსიერი სამშობლოსაკენ. ოთხივე გრძნობდა საკუთარი ენერჯის ნაკადის სიმძლავრეს, ოთხივემ დაინახა, როგორ დაიარა ამ ნაკადმა მთელი სამყარო, მის სულს ხელი მოხვია, აიტაცა და ცაში აიყვანა.

“The people without names” - ასე უღერდა ბოლო სიმღერა.

რეპეტიციაზე, როცა სახელის გარდა ყველაფერი მზად იყო, ემიმ თქვა: ჩვენ არ გვექნება სახელი, ჩვენ ვერავინ გაგვიბედავს ჩარჩოში ჩასმას. იცოდეთ, ამას ვერავინ გაბედავს.

დაეთანხმნენ და ემის ნათქვამიც გამართლდა. მათი სახელი არავის გამოუცხადებია, თავს დამტყდარი მეხივით შეცვივდნენ სცენაზე და აი, სწორედ ახლა აცოცხლებდნენ „უსახელო ადამიანებს“.

ბონოს გიტარამ სანადელს მიაღწია.

* * *

- ხალხო! ბონო კვდება, - იღრიალა ემიმ.

- რა? არა...

ბონო ტახტზე ეგდო, ძირს დაგდებული ყავისფერი ხელით,

მონამღული სულით და ფეხებში საყვარელი გიტარით. დევილი ბონოს თავთან იჯდა, ემი სადღაც უსასრულობაში დაფრინავდა, ნინა კი სანოლში იწვა, მშვიდი სახით, სატანურ სიმშვიდეს ფლობდა მისი სახე. საოცარია, ახლა იმაზე მეტად შეეძლო ემოციისა და გრძნობების კონტროლი, ვიდრე ოდესმე. ბონო მისი ალტერნატივა იყო.

წამოდგა, აბაზანაში შევიდა, სარკიდან უცხო ქალი უმზერდა, სახეზე წყალი შეისხა, სცადა სატანური სიმშვიდის ჩამორეცხვა. მერე ბონოს გიტარა აიღო, ემის სანოტო რვეული გადაშალა. ბონოს თვალები გაუბრწყინდა და თავის წამოწევა სცადა. ნინამ თვალები მის მზერას გაუშტერა, სიმებს თითები ჩამოუსვა და უკანასკნელი სურვილი შეუსრულა მუსტანგის პატრონს.

ბონოს მარცხენა თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა.

- რატომ, ნინა? რატომ? ნუთუ სიყვარული მართლა არ შეგვიძლია? შენ მე მეძებდი, მე კიდეც - შენ... თუმცა, შენგან განსხვავებით, მე გიპოვე. ორივე მივიწვევდი ლაბირინთის გასასვლელისკენ, მერე სადღაც შენ ჩამეხერგე და აი...

- არა, ბონო, გვიან, თუმცა მაინც გიპოვე. ახლა ერთადერთი სიტყვის თქმა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ, არ შემიძლია, ვიცი, უცნაურად აჟღერდება ჩემი ბაგეებიდან, ვიტყვი პირველად და უკანასკნელად.

- ხედავ, ნინა? მე წესი დავარღვიე, მეგობრობის წესი და დავისაჯე კიდეც. დასანანია, როცა ამ სიტყვას მეც პირველად და უკანასკნელად გეტყვი, მაგრამ მე ახლა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვარ და ვრწმუნდები, რომ სწორედ ამ ზღვარზე დავინახე ჭეშმარიტება. მიყვარხარ, ნინა...

- მსგავს სიტუაციაში სხვა წყვილი რომ მენახა, აუცილებლად გადავიხარხარებდი და ამ ყოველივეს ეგრევე მარაზმის იარლიყს მივაკრავდი, მაგრამ იცი? მეც დავისაჯე... მახსოვს, ერთხელ როგორ დავცინე პასკალს, საყვარელი ქალის სახელი მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის წინ გაუმხელია, მე ცხვირი ავიბზუე და ეს დავაყოლე, - მის ადგილას ამას არც სიკვდილის წინ ვიტყოდი-მეთქი. დასანანია, არა? მე შენს სახელს ახლა ვამხელ, ოღონდ, ჩემი კი არა, შენი სიკვდილის წინ. აი, ყველაზე დიდი სასჯელი... მიყვარხარ...

აცრემლდა ნინა... ამდენი ცრემლი არასოდეს ენახა, მით უმეტეს, საკუთარი...

ბონომ რაღაც თქვა, გაღიმების თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ნინას არც ეს გაუგონია. ის გარბოდა, ხელებით იკაფავდა გზას იმ უსასრულობაში, რაშიც ემი უკვე ყურებამდე ჩაფლულიყო.

მწუხარების, სიყვარულის, გაურკვეველობის და გაცემების გრძნობებმა ერთხმად დასცინეს ნინას. თუმცა, ახლა უკვე იცოდა, ვინ იყო, რა გააკეთა და რას გააკეთებდა. „ბონო, მინდა იცოდეთ. შენ არც ურწმუნო ხარ და არც სიყვარულთან დამარცხებული, შენი ცხოვრება სულაც არაა აბსურდი. შენ იპოვე ლაბირინთიდან გასასვლელი, უბრალოდ, გზად მინოტავრს გადაეყარე ჩემი სახით.“

ოდესღაც დევილს სიმართლე ბოლომდე არ უამბო, დაუმალა, რას არიგებდა დედა. „დედა, მე... მე შეიძლება მარტოობისთვის ვარ გაჩენილი. დაე, ბუხრის წინ რომელიმე სამედიცინო ენციკლოპედიით ხელში გამძვრეს სული, მაგრამ მე შევძელი და ვიპოვე გზა სიყვარულისკენ. დედა, მე სიყვარული ვიპოვე.“

არც რა, ანუ ისტორია ღმერთად გახდომისა

იყო და თან არ იყო...

რა?

არარაობა, რომელსაც არაფერი ერქვა. ის არაფრისგან აშენებულ სახლში ცხოვრობდა და ყოველთვის ერთადერთი საქმით - არაფრით იყო დაკავებული. თავზე მუდამ არაფერი ეხურა და ფეხზეც არაფერი ეცვა.

არაფერს თესავდა და იმკიდა იმავეს.

ჭამდა არაფერს და იმავეს სვამდა.

უყვარდა არაფერი და ძულდა იგივე.

ცხოვრობდა ასე, არც ერთ ფერში, იქამდე, სანამ თავისი ერთადერთი საქმით დაკავებულმა, თავი ძილს არ მისცა და არც რა დაე-სიზმრა:

მიდიოდა სივრცეში, სადაც არაფერი იყო შესაძლებლობის გარდა; მიადგა არაფრისგან აგებულ უზარმაზარ არაფერს, ყველაზე დიდს, რაც კი არარაობას თავისი არარსებობის ჟამს ენახა. ის არაფრით იყო ჩაკეტილი და მხოლოდ არაფრით იღებოდა. არაფერს უნდა ეპოვა არაფერი და არაფერთა შორის ყველაზე არაფრული არაფერი სწორედ ამით გაეღო.

ექება:

გადაიარა უფერული სივრცეები; შეხვდა არარსებული დაბრკოლებები და მოძებნა. დაბრუნდა, გაალო უზარმაზარი არაფერი და შიგ იმდენი ფერი იპოვა, იმდენი, იმდენი, რომ... უცებ ყველაფერი გახდა.

* * *

მე კეთილმა, დანაოჭებულმა ხელებმა ჩამყარა მადლიან მი-
ნაში.

მე მინა მადლიანად მნამავდა და არსებობისთვის მიფრთხი-
ლდებოდა.

მე ფესვები გამოვიბი.

მე გავიაზრე და მივხვდი, რომ ჩემი ფესვები უკვე საკმაოდ
ძლიერი იყო და შეიძლებოდა ზედაპირისკენ ამოსვლა.

მე ვეცადე და აღმოვცენდი ნორჩ მწვანე ყლორტად.

მე წვიმა აღმასის კრისტალებით მანებივრებდა.

მე მწვანე ყლორტიდან გრეხილ, ყავისფერ შტოებად გა-
დავიქეცი.

მე მოხუცმა წვრილ, გაბმულ თოკზე მიმაბა და მომცა სწორი
მიმართულება.

მე ნაყოფი გამოვიბი მსხვილ შავ მტევნებად.

მე ვენახი მიწოდა მან და დალოცა ჩემი გამჩენი.

მე შემოდგომაზე დამკრიფეს და ხმელ ურემზე მოათავსეს ჩემი
მტევნები.

მე მადლიანმა ხელმა დამწურა, წვენი გამადინა.

მე დიდხანს შემინახეს და დააღვინეს წვენი ჩემი.

მე დოქში ჩამომასხეს და გამიტანეს სუფრასთან.

მე თასით ამილო მან და თქვა:

- მიიღეთ პური, როგორც ხორცი ჩემი, და ღვინო, როგორც
სისხლი ჩემი.

მე ჩემი არსებობა მთლიანად შევალე მას და უფალმაც
დამლია...

Tea for one

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ თვრამეტი წლის გავხდი და შემამკეს საჩუქრებით. მარჯვენა ხელზე საათი, რომელმაც დარჩენილი ცხოვრების ათვლა დაიწყო, მარცხენაზე კი სამაჯური, რომელიც ყოველ წამს მახსენებდა, ვისთვის უნდა მეცხოვრა დარჩენილი წლები. თოვლი დნებოდა, ქრებოდა გულიდან იმედის სხივები, მაგრამ რეალობა უკეთესს მიმზადებდა, თოვლი დნებოდა.

ორი უმშვენიერესი თვე მასთან გავატარე, ჩვენ დავდიოდით, ვისხედით გაჩერებაზე და ველოდით სასურველ ავტობუსს. მე ვუკითხავდი მას და ის ბავშვივით ლამაზი სახით შესცქეროდა ჩემს გულმკერდს, ისმენდა ორმაგად. მე ვუმღეროდი მას და ის მორცხვად ხრიდა თავს, ან შემომანათებდა დამლულ თვალებს და გუგებით მეფერებოდა დაჭიმულ სახეზე. ჩვენ ყოველ ღამეს და ყოველ დილას ერთი მესიჯით ვინწყებდით: „მე შენთან ვარ!“ ჩვენ სამნი ვიყავით - მე, ის და კიდევ ხან მზე, ხან მზის სხივები, ხან თოვლი, ხან წვიმა, ხან ქარი და ხან სელპაკის ცხვირსახოცი. მე და ის კავშირის მუდმივი წევრები ვიყავით, მესამეს კი ღმერთი გვიგზავნიდა. ორი უმშვენიერესი თვე გაივლია კამათში, ერთმანეთის ფერებაში, სიყვარულში, რომლის მაგვარიც არაფერი გამომეცადა თვრამეტი წლის განმავლობაში. დედა მეუბნებოდა: „გამოფხიზლდი!“ და რეალურ სამყაროში მეპატიჟებოდა, მომიწოდებდა ოჯახის დაგეგმვას, სწავლასა თუ ეკონომიკურ აღორძინებას. მე კი მამაჩემივით მოუთოკავი გრძნობებით ვაგრძელებდი სვლას და ვიღებდი უდიდეს ტალღებს, რომლებიც ხან კარგს, ხანაც ცუდს მოასწავებდნენ. მე განვითარებადი კაცით მინდოდა ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა მასთან ერთად და უამრავი შვილის ყოლა იმ იმედით, რომ ერთ-ერთი მაინც გახდებოდა საქართველოს მორიგი დამაქცეველი პრეზიდენტი. მოკლედ, მე მთელი სხეულით შევტოპე სიყვარულის ამ უდიდეს, ულამაზეს კოლხეთის ქაობში, აი, სწორედ იმ ქაობში, რომელიც ქუთაისს ესაზღვრება...

დაღმასვლა ერთ დღეს დასრულდა, მაშინ, როდესაც მორიგი კამათის გამო ერთმანეთს შევხვდით. მე, როგორც ყოველთვის, ცივად ჩავეხუტე, ის მეამბორა. მე მივუშვირე ლოყა, არადა, მთელი სხეულით მინდოდა ისევ მეგრძნო მისი ტუჩების სისველე ჩემი გახსნილი ბაგით. შევიკავე თავი. კამათის მიზეზი რიგითი სისულელე და სასაცილო ამბავი იყო, არც ერთი ვაპირებდით უკან დახევას და პატარა ბავშვე-

ბივით სრული ექსტრემიზმით ვიცავდით ჩვენს სიმართლეს. ამ გაუგებრობაში, როცა ქუჩაში ათასი დაინტერესებული სახე შემოგყურებს და აკვირდება თქვენს ურთიერთობას, ისე, უბრალოდ ჯიბრზე, გული რამენაირად რომ სტკენოდა, მივახალე, რომ გუშინ სულ ორი წუთით შემზიზლდა, მეც გულზე ვიყავი გახეთქილი, მივახალე ისე უსამართლოდ, სიყვარულითაც კი, არადა, მართლა ასე რომ ყოფილიყო, მე ხომ აღარც შევხვდებოდი, ან ასე როგორ იქნებოდა, არავინ მეზიზღებოდა ამ ქვეყანაზე და ამ არსებას შევიზიზღებდი, რომელიც ჩამოვასხი, შემოვიკედლე, ჩემს მეთერთმეტე ნეკნად ვაქციე? ჩემი სიტყვების მერე ის, ჩვენი ურთიერთობის განმავლობაში პირველად, უსიტყვოდ გატრიალდა და ნავიდა... მე ისევ მიმატოვეს, შუა ქუჩაში თავში ნავიშინე ხელი და დარეტიანებულმა მახლობელ კედელთან ჩავიმუხლე. წითელი სისხლი მასხამდა ტვინში. თვალებზე ხელი ავიფარე, ვერ ამოვიქვითინე, ვერც ზიზღი ვიგრძენი, არც ვინანე, საშინლად მინდოდა დაბრუნებულიყო და კიდევ ერთხელ მენახა მისი ღიმილი - გაიღიმე, იი (ოღონდ ძალით არა)! დამარტყა გონებაში, რომ უნდა გავკიდებოდი, როგორც ეს happy end-იან სასიყვარულო ფილმებშია და წამოვდექი. ხელები მოვიშორე სახიდან და ვერაფერი დავინახე. დავრეტიანდი, დავიბენი, იქ აღარც ქუჩა იყო, აღარც მოსიარულე ხალხი, გადაჭედილი საავტომობილო გზატკეცილი, აღარც საგაზეთო ჯიხურები და აღარც ქვაფენილი. იქ მხოლოდ ჩემი ჩუმი წყვილიადა სუფევდა! შემომესმა: „ნელა იარე, ძმაო!“ ხელები გავაცეცი და მივხვდი, დავბრმავდი. სასონარკვეთილი მივეგდე ქუჩაში და გონება დავკარგე.

* * *

იმ დღით დასრულდა ჩემი ორთვიანი ცხოვრების დიდი ბედნიერება. სტრესმა დამიბნელა მზე, ღმერთი ისევ ამიბხედრდა, არ მაცალა არც ბავშვები, არც ოჯახი, თუმცა, იი! იი ჩემთან დარჩა. ჩვენ ველარ დავდივართ ძველებურად, ახლა მას დავყავარ, ველოდებით ავტობუსს, მაგრამ მე ველარ ვეუბნები, რა ნომერი მოვიდა. ველარ ვუკითხავ ლექსებს და ახლა ის მიკითხავს ჩემს ძველ ნაჯღაბნებს. ველარც ვუმღერი, დაბრმავების შემდეგ ის ბუშტიც გამეჭედა ყელში და ახლა მხოლოდ გიტარაზე თუ ვუკრავ სევდიან მელოდიებს. ველარ ვუყურებ იის მოწყენილ სახეს, ხანდახან თუ მომესმის მისი კისკისი. მახსენდება, ძველად როგორ იღიმებოდა და წარმოვიდგენ... ხშირად მესმის მისი ჩუმი, მორცხვი ქვითინი შორს, ოთახებში, თუმცა არ ვიმჩნევ, რომ გავიგონე. ვნატრობ, ოდესმე ისევ ამეხილოს თვალები, შევძლო მისი ციმ-

ციმა თვალების, ბრდღვიალა, ეშმაკის თვალების დანახვა, ღიმილის — „გაიღიმე, იი!“ იმ პატარა ცხვირის, რომელიც მე მოვუღრიცე, გაპუნული თმების, ტუჩების, ღანვების, სუსტი პატარა ტანის... კიდევ შევცქეროდე მის ვნებიან, შეშლილ, მოწყურებულ სახეს, შევცქეროდე მისი ტუჩების სისველეს. თუმცა, რაც დავბრმავდი, იმის მერე აღარ ვაძლევ უფლებას მეამბოროს, პირიქით, ვთხოვ, წავიდეს, დამტოვოს, შექმნას ოჯახი და ერთ-ერთ ვაჟს ბეჟა დაარქვას, მაგრამ ის აღარასდროს წასულა ჩემგან! იმ დღის მერე აღარასდროს მივუტოვებია. სინანულით კი მარტო ერთს ვნანობ, არ უნდა მიმენერა ერთხელ მისთვის - „იი, შენ ჩემი სიცოცხლე ხარ!“

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ თვრამეტი წლის გავხდი და შემამკეს საჩუქრებით: მარჯვენა ხელზე საათი, რომელმაც დარჩენილი ცხოვრების ათვლა დაიწყო, მარცხენაზე კი სამაჯური, რომელიც ყოველ წამს მახსენებდა, ვისთვის უნდა მეცხოვრა დარჩენილი ცხოვრება. თოვლი დნებოდა, ქრებოდა გულიდან იმედის სხივები, მაგრამ რეალობა უკეთესს მიმზადებდა, თოვლი დნებოდა.

თბილისობა

- გიო, გძინავს?

- კი.

მამა დაიხარა და ისე დამაცქერდა.

- არ მძინავს, რა გინდა?

- მე ეხა მივდივარ და ირაკლიმ თუ დამირეკა, სვანეთში ვარ წა-

სული!

- რა გინდა სვანეთში?

მამა გაიმართა.

- რა მინდა სვანეთში?

- რავი მე, შენ არ თქვი, მივდივარო...

- ებიჭო, კი არ მივდივარ, ირაკლიმ თუ დამირეკა, უთხარი, რომ

სვანეთში ვარ.

- და ვინმე სხვამ თუ დაგირეკა?

მამა დაფიქრდა.

- ყველას ეგრე უთხარი, ყველას, ვინც დამირეკავს, უთხარი,

რომ სვანეთში ვარ!

- და სვანებმა თუ დაგირეკეს?

მამა დაფიქრდა.

- მეკაიფები?

- მე გეკაიფები? დილა უთენია მალვიძებ და სვანეთში მივდი-

ვარო...

- ებიჭო, კი არ მივდივარ, ირაკლი თუ დამირეკავს, უთხარი, რო

სვანეთში ვარ!

- რას გერჩის ირაკლი?

- რას მერჩის ირაკლი?

- აბა, რატომ ემალები?

- სად ვემალები?

- სვანეთში!

- რა მინდა სვანეთში?

- აბა, მე რა ვიცი...

- ებიჭო, არაფერი შენ არ იცი... მე წავედი და თუ დამირეკავენ,

არ იცი სადა ვარ!

- ანუ, არ ხარ სვანეთში?

- რა მინდა სვანეთში?

- ხო, კარგი, ნადი...

- აბა, რას ეტყვი ვინც დამირეკავს?
- საერთოდ არ ავიღებ ტელეფონს, კაცო!
- რას არ აიღებ?! ირაკლიმ უნდა დარეკოს!

მამა კაი ხნის წასული იყო, რომ ავდექი. სამზარეულოში ჩაიდანს უკვე აღარ ეკიდა ცეცხლი, შიგნით ბოლომდე აორთქლებულიყო წყალი, გარედან კიდე კიდევე უფრო გამურულიყო და დამწვრის სუნი იდგა. სამზარეულოშიც და სხვა ოთახებშიც შუქი ენთო, მთქნარებაატეხილი დავდიოდი და ვაქრობდი, ტელეფონმა რომ დარეკა. სანამ იქამდე მივალნიე, მიწყდა და მერე ისევ დარეკა.

- რას შვები, გიო, სად ხარ?
- სახინკლეში ვზივარ ბიჭებთან ერთად.
- ებიჭო, ხო გითხარი, სახლიდან არ გახვიდე-მეთქი.
- სახლში მირეკავ, მამა!

მამა დაფიქრა.

- ჩახვედი უკვე სვანეთში?
- რა მინდა სვანეთში?
- ირაკლიმო, ისაო...
- ხო, ხო, დარეკა?
- ვინ?

მამა გაბრაზდა.

- ბებიაშენმა!
- არა, ბებოს არ დაურეკავს.
- ირაკლის?
- არც ირაკლის.
- რატო, კაცო?
- რა რატო?
- რატო არ დარეკა?
- ბებომ თუ ირაკლიმ?

მამამ გათიშა.

მე ჩაის დაულევლად ვისაუზმე და რეზისტან მივედი. რეზიმ მომკიდა ხელი და გიგისტან ავედით. გიგიმ მოგვკიდა მე და რეზის ხელი და ლუკასთან ჩავედით. ლუკამ მოგვკიდა მე, რეზის და გიგის ხელი და ყიფოსთან წავედით. ყიფომ მოგვკიდა მე, რეზის, გიგის და ლუკას ხელი და შაკოსთან გავედით. შაკო გზაში შეგვხვდა და გაუკვირდა, ასე ხელჩაკიდებულები რომ დაგვინახა...

უკვე საღამოვდებოდა, როცა გამახსენდა, რომ მამაჩემი სვანეთში იყო წასული და ჩემთან ავედით ყველანი. კარი ღია დამხვდა და გამიკვირდა: სახლში მამაჩემი ძმაკაცებთან ერთად ქეიფობდა.

ირაკლი თამაძობდა. ჩვენც გვაქეიფეს იმ თბილისობას...

საახალწლო საჩუქარი ანუ თოვლის ბაბუა, რომელიც მართლა არსებობს

შარკა ბრაზობდა.

შარკა ბრაზობდა, რადგან პატარა და ნისლიან ქალაქ ბრნოში ახალი წელი ოქტომბრის მიწურულიდან იპარებოდა.

ლამპიონების მაღალ და მოჩუქურთმებულ ბოძებზე სხვადასხვა ფერის ნათურებით მოჭედილ გირლანდებს გააბამდნენ. პატარა შადრევნებთან ყინულმოდებულ ქვის ლომებს ყოველი მხრიდან ანათებდნენ და მომცრო სკვერებშიც დათოვლილ ნაძვებს და ერთმანეთს მიტყუპებულ ჯუჯა სახლებსაც ნათურებიანი გირლანდებით შემონწავდნენ. და შარკაც სხვადასხვაფრად გაჩახჩახებული გირლანდივით იყო და მერე, ბრნოს ბლანტ ბურუსს ბრდღვნიდნენ მბჟუტავი სინათლეები. ბრნო საშობაოდ მოულოდნელად აფეთქებოდა, მნიფდებოდა და ეს შარკას აბრაზებდა. შარკას აბრაზებდა განელილი მოლოდინი ოქტომბრის ბოლოდან დეკემბრის ბოლომდე (დეკემბრის ბოლომდე, როცა ბრნოში, როგორც ყველგან, ახალი წელი დგებოდა, უბრალოდ, ბრნოში უფრო მეტი ნისლები იყო).

- შარკა, მე შენზე მოთხრობას დავწერ!

- რატომ მეკაიფები, გიორგი?

- მე დავწერ, რომ შენ შობა არ გიყვარს!

- მიყვარს!

- მე დავწერ, რომ შენ არც ახალი წელი გიყვარს!

- მიყვარს!

- შარკა, მე შენზე მოთხრობას დავწერ!

- ნადი შენი!

საახალწლოდ მილან კუნდერას ორი წიგნი მერგო. უფრო სწორად, მამაჩემმა იყიდა და გასამართლებლად ერთი მე მაჩუქა და მეორე ჩემს ძმას. ასე თან საინტერესო წიგნი იშოვა და თან საჩუქრების პრობლემაც გადაიწყვიტა. ჩემმა ძმამაც, თავის მხრივ, მე მაჩუქა. ასე თან წიგნის წაკითხვის აუცილებლობა მოიშორა და თან საჩუქრის პრობლემა გადაიწყვიტა. მიდევს ახლა მე მილან კუნდერას ორი წიგნი და ვერ გადამიწყვეტია, წავიკითხო, თუ მეც ვინმეს ვაჩუქო.

შარკას კი უკვე კარგა ხანია ვუთხარი, ჩემი საყვარელი ჩეხი მწერალი მილან კუნდერაა-მეთქი. შარკას გაუხარდა, თან ცოტა გაუკვირდა და სანამ რამეს მკითხავდა, ისევ ლუდზე დავუწყე ლა-

პარაკი. შარკა ჩემი ჩეხი მეგობარია, ცხოვრობს პატარა და ნისლიან ქალაქ ბრნოში და გულით სჯერა, რომ „სტარობრნო“ (მისი ქალაქის ლუდი) საუკეთესო ლუდია მსოფლიოში. მე შარკას არასოდეს არაფერში ვეთანხმები და ვამაყოფ, რომ ჩეხეთის ფეხბურთზე მასზე მეტი გამეგება. მე და შარკა ინგლისურად, გერმანულად, აქა-იქ რუსულად ვსაუბრობთ და გაბრაზებული ქართულად მაგინებს ხოლმე.

„წადი შენი!“ შარკას საყვარელი ფრაზაა ქართულად. „გიორგი, წადი შენი!“ მე ჩეხურად ერთადერთი სიტყვა ვიცი - „სლენჩო“. „შარკა, შე სლენჩო!“ „სლენჩო“ ქალიშვილს ნიშნავს. შარკა ჩემი ჩეხი მეგობარი გოგოა, შარკა გოგოა და მაინც შარკა ჰქვია, შარკა გიორგობასაა დაბადებული და მაინც შარკა ჰქვია, მე ჩეხი მეგობარი გოგო მყავს, მაგრამ მას შარკა ჰქვია.

- შარკა, შე სლენჩო, მე შენზე მოთხრობას დავწერ!

- წადი შენი!

- შარკა, მოდი შენ ჩემი მუზა იყავი, მერე რა, რომ შარკა გქვია!

- მერე რა, რომ შარკა მქვია?!

- შარკა, მე დავწერ, რომ შენ ჩემი მუზა ხარ!

- არ ვარ!

ორივენი ჩვენ-ჩვენი ეკრანების წინ ვიცინოდით.

- დავწერ და საახალწლოდ გამოგიგზავნი!

- რას?

- მოთხრობას შენზე!

- და ქართულად დანერ, არა?

- აბა რა!

- და მე ვერ წავიკითხავ, არა?

- აბა რა!

ჩვენ-ჩვენი ეკრანების წინ ვიცინოდით ორივენი.

- და რას დაარქმევ?

- რას?

- მოთხრობას ჩემზე!

- ესე იგი, მაინც გინდა, რომ დავწერო.

- და რას დაარქმევ?

- უნდა საერთოდ კი სათაური?

- შენ რა, უსათაურო მოთხრობას მომიძღვნი?

- შარკა, შე სლენჩო! არაფერსაც არ გიძღვნი, მე, უბრალოდ, ვწერ შენზე. მე ვწერ, რომ შენ ჩემი მუზა ხარ, მიუხედავად იმისა, რომ შარკა გქვია!

შარკას ვერაფრით გაეგო, რა შუაში იყო მისი სახელი. შარკა

ცხოვრობდა პატარა და ბურუსით მოცულ ქალაქ ბრნოში, სადაც თოვლით დაფარულ, მოკირწყლულ ქუჩებში ახალი წლის მოულოდნელად მძაფრი სუნი იდგა. მერე რა, რომ ბრნოელებს სულ არ ჰქონდათ გოზინაყი.

ოთხი წლიდან არც ერთ ახალ წელს არ მიძინია. ბუხარი არ მქონია, ამიტომ კარებთან მაღალ სკამს მივაჩორებდი, ზედ შემოვდგებოდი და კარის ჭუჭრუტანაში ვიჭყიტებოდი. მერე უფრო დაბალი სამფეხა სკამიც მკმაროდა. ცოტა უფრო მერე კი საერთოდ აღარ მჭირდებოდა სკამი, მაგრამ თოვლის ბაბუა არც ერთხელ გამოჩენილა. გამოჩნდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ლოდინისგან სულაკანკანებულს სულ ერთი წუთით მაინც ნამძლევედა გული საახალწლო სუფრისკენ. გამოჩნდებოდა უჩუმრად, მოკრძალებულად მიაწყობდა საჩუქრებს კართან, ზარს დარეკავდა და სანამ მე და ჩემი ძმა კართან პირველად მირბენისათვის ვიბრძოდით, უჩუმრადვე გაუჩინარდებოდა ხოლმე. ახალ წელს მხოლოდ ერთხელ ჩამეძინა, ოთხი წლის ვიყავი და დილაადრიან გამოღვიძებულს საჩუქრები რომ დამხვდა საწოლში და განცვიფრებისგან ძალიან გვიან გამოფხიზლებულს რომ მითხრეს, თოვლის ბაბუას შენი გაღვიძება მოერიდა, საჩუქრები დაგიტოვა და წავიდაო, მაგრად გავბრაზდი. მაგრად მაბრაზებდა თოვლის ბაბუას მოკრძალება და მორიდებულობა და ყოველ წერილში საჩუქრების ნაცვლად ვთხოვდი, გამბედაობა მოეკრიბა და არ შეშინებოდა მამაჩემის დიდრონი უღვაშების, რომლისაც ხანდახან მეც მეშინოდა. როგორც ყველას, მეც ჩემი თოვლის ბაბუა მყავდა, უბრალოდ სხვებზე უფრო მოკრძალებულ-მორიდებული.

- შარკა, შენ გჯერა თოვლის ბაბუის?

- რა თქმა უნდა, შენ რა, არა?

- რა თქმა უნდა, არა, მე მაღალი, ქერათმიანი და გრძელფეხება სნეგუროჩკების მჯერა.

- მე არ ვიცი, ვინ არიან სნეგუროჩკები, გიორგი, - მეუბნებოდა შარკა, - ამიხსენი.

უხსენი ეხა ამას, ვფიქრობდი მე და მაინც ვუხსნიდი:

- სნეგუროჩკა, შარკა, თოვლის ბაბუის ელფივითაა, ოლონდ უფრო...

- რა უფრო?

- უფრო ქალური და მიმზიდველი, ხო, აი, ეგეთია სნეგუროჩკა!

- და შენ თოვლის ბაბუაზე უფრო გჯერა მისი?

ჰეჰ, უხსენი ეხა ამას!

ვიცინოდით ორივენი ჩვენ-ჩვენი ეკრანების წინ.

მოღრუბლულ თბილისში კი ბრნოსგან განსხვავებით ახალი წელი ერთბაშად შემოდგა, რომ არავინ ელოდა, ისე. ბრნოსგან განსხვავებით თბილისში არ იყო რძისფერი ნისლები, აქ არც ნაღდი თოვლი იყო და არც გამოძახებული თოვლის ბაბუები იყვნენ ნაღდები. თბილისში ნაღდია მხოლოდ ქყაპი და მობუზული ბედურები და დანარჩენი ნაღდი რაც გვექონდა, სადღაც თვალიდან გამოგვეპარა, ყურადღება ვერ მივაქციეთ და თბილისური თოვლივით დადნა.

- ნეტა, რას აკეთებენ თოვლის ბაბუები გამოძახებით, როცა მათ არ იძახებენ?

- გამოძახებას ელოდებიან.

- არა, შარკა, სხედან ფეხზე ფეხგადადებული და ლამაზ სნეგუროჩკებს აბამენ, რომლებიც სიცილ-კისკისით ამზადებენ მსუყე გოზინაყს, რომ თოვლის ბაბუებს ღიპები არ ჩაეფუშოთ.

- არა, გიორგი, ეგენი არ არიან ნამდვილი თოვლის ბაბუები. ნამდვილ თოვლის ბაბუას არავინ იძახებს და ნამდვილ თოვლის ბაბუას თავისი თოვლის ბებო ჰყავს და ნამდვილი ელფები, უშნოები და კაცურები, დიდი ყურებით და დიდი ცხვირებით.

- ეჰ, შარკა, შე სლენჩო, ვის რად უნდა შენი არარსებული თოვლის ბაბუები.

- მე მინდა, ყველას უნდა!

- მე კიდევ არ მინდა!

- ნადი შენი!

ჩვენ-ჩვენი ეკრანების წინ ორივენი ვიცინოდით.

- შარკა, მოდი შენ ჩემი სნეგუროჩკა იყავი, მერე რა, რომ შარკა გქვია.

- მერე რა, რომ შარკა მქვია?!

- მერე ჩაგკიდებ ხელს და ვივლით სახლიდან სახლამდე. კარებთან დაგტოვებთ საჩუქრებს, ფრთხილად დავერეკავთ ზარს და მერე მამჩემის დიდრონი უღვაშების შეგვეშინდება და ჩუმად გავქრებით, სანამ კარის გაღებას მოასწრებენ.

- გიორგი, მე არ ვიცი გოზინაყის გაკეთება.

- მერე რა, არც მე მომიხდება გაბერილი ღიპი.

ორივენი ვიცინოდით ჩვენ-ჩვენი ეკრანების წინ.

- შარკა, ნავედი მე ახლა, სანამ თოვს, ძალღი უნდა გავასეირნო!

- გიორგი, შენ არ გყავს ძალღი!

ძალღი მე, რა თქმა უნდა, არ მყავდა.

თოვით კი თოვდა, პირველ თოვლს თოვდა. თოვდა და გადა-

თოვდა და თან თოვდა და თან დნებოდა და რაც რჩებოდა - იყინებოდა და რაც დნებოდა - ტალახად იქცეოდა და მერე მოყინულ თოვლზე ფეხასრიალებულნი, ატალახებულ თოვლში ვიშხლართებოდით, უარეს შემთხვევაში - თავქვე. და მერე ჩუმი ვტიროდით, ვიცრემლებოდით და ან ხმამაღლა ვიგინებოდით და ახალი წელი კი შემოდოდა, უჩუმრად დგებოდა, არაფერს გვეკითხებოდა და ისე, რომ ჩვენც არ გვესმოდა, ცოტა უფრო ნაღდეები და ნამდვილები ვხდებოდით.

- შარკა, წავედი მე ახლა, სანამ თოვს, შენზე მოთხრობა უნდა დაგწერო!

- გიორგი, შენ არაფერსაც არ დანერ ჩემზე!

შარკაზე მე, რა თქმა უნდა, არ ვწერდი.

თოვით კი თოვდა, ახალი წლის პირველ თოვლს თოვდა.

მატარებელი

სწრაფვა

...როცა ბავშვმა იმდენად აუწია ხმას, რომ მოსაუბრეები შეაწუხა, ვილაცამ კალამი შეაჩერა ხელში და პატარამაც ტირილი შეწყვიტა, - საქმე გამოუჩნდა - ფურცელზე, რომელიც უპატრონოდ იყო მიგდებული, რალაცის ჯღაბნა დაიწყო. ეს, რა თქმა უნდა, ვეარავინ შენიშნა, არავის უნახავს, რომ პატარა ნაჯღაბნი წირების თავსა და ბოლოს ერთმანეთთან აერთებდა და ასე გამოდიოდა ძალიან, ძალიან უშნო წრეები...

წრე სრულყოფილი ფიგურაა. მისთვის არც ერთი წერტილის მიმატება შეიძლება და არც გამოკლება. უფრო სწორად, შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ შედეგად მიღებული რამ წრე აღარ იქნება. თვალს მოატყუებს ფიგურა, რომელიც, უბრალოდ ძალიან ჰგავს წრეს.

უნაკლო წრეს ვერავინ დახატავს, რადგან წერტილის აღქმამდე გამახვილებული შეგრძნება არავის აქვს. ადამიანები, უბრალოდ, მეტნაკლებად ზუსტ წრეებს ხატავენ, თუ გნებავთ, ხაზავენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილი წრე არ არსებობს, არა, ის არსებობს, მაგრამ ჩვენ ვერ ვქმნით, არა გვაქვს. სამაგიეროდ, შეგვიძლია, ძალიან, ძალიან ლამაზი, ნამდვილთან ბევრად მიახლოებული წრეები დავხაზოთ...

ადამიანმა წრეს, სრულყოფილებას, ღმერთი დაარქვა. დაიწყო სწრაფვა მისკენ... ეს პროცესი დაემგვანა ცასთან კიბის მიდგმას, უფრო სწორად, ამ კიბეზე ასვლას. ცა, ანუ ატმოსფერო, აქვე, მიწაზე იწყება, თუმცა, როგორც ჩანს, მის მეორე ბოლოს ვეძებთ. ამ კიბეზე, გნებავთ, გოდოლზე ავდივართ დაუსრულებლად და დაუსრულებლად ვუახლოვდებით სრულყოფილებას. იმ საფეხურზე, რომელზეც მოვკვდებით, ვტოვებთ მომავალს, ახალ ანწყოს, ანუ შთამომავალს. ეს შთამომავალიც გვგავს, ანუ ასევე იქცევა. საბოლოოდ გამოდის, რომ სრულყოფილება მხოლოდ მიმართულებაა, რომლისკენაც დაუსრულებლივ უნდა იარო, მარცხის, წარმატების, სიცოცხლის, სიკვდილის და სხვა რამეების შემდეგაც.

ბევრმა ვერ გაუძლო მიზნისკენ დაუსრულებელ სწრაფვას, რადგან ეძებდა შვებას. მათ ეგონათ, რომ მიზნის მიღწევა იყო შვება. მათ არ იცოდნენ, რომ არ არსებობს შვება, არსებობს მხოლოდ შვებისკენ სწრაფვა. ამიტომ მათ გამოიგონეს უამრავი მიზანი და ოცნება, და ჩათვალეს, რომ მათი მიღწევა მიაღწებდათ ნანატრ შვებას. ასეთი

გამოგონება უამრავია – ეს არის ყველაფერი, რასაც წარმატებას ვუწოდებთ, ფულით დანყებული და ფულით დამთავრებული. როცა მარტივი მიზნები მიღწეულ იქნა, შვება კი - ვერმიღებული, ჯერი დადგა უფრო და უფრო რთული მიზნებისა, რომელთაც შეიძლება ფოლადის მიზნები ვუწოდოთ, რადგან თვისებებით ძალიან ჰგვანან ფოლადს – განუზომლად დიდ სიმყარესთან ერთად სიმყიფე, ანუ ზღვარი ახასიათებთ. შედეგად, ურთულესი მიზანიც კი მიღწევადია, მისი მიღწევის შემდეგ კი შვება მაინც არ ჩანს და ძიება კი გრძელდება...

აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“, ამიტომ ისევ იმ ერთადერთი მიუღწევადი მიზნისკენ ისწრაფიან, რომელსაც სრულყოფილებამდე მიღწევა ჰქვია. ამ სწრაფვას ბოლო არა აქვს, ის იმისთვის არაა, რომ მიზანს მიაღწიო და ამოცანის პასუხი მიიღო, არამედ იმისათვის, რომ ამოხსნის გზა იპოვო და ამ გზაზე სიარულით დატკბე, მიზნის მიღწევის იმედით იყო ბედნიერი და არა მიღწევით, რაც უკმარისობის გრძნობას ბადებს. ამ გზაზე ყოველი ნაბიჯი სიხარულია, რადგან სრულყოფილებასთან კიდევ უფრო მიახლოებას ნიშნავს. და საერთოდ, ცხოვრება იმიტომ არის სასრული, რომ ის აჩვენო, თუ რას გააკეთებდი, ცხოვრება უსასრულო რომ ყოფილიყო. ...ბავშვი ისევ ხატავდა (თუ ხაზავდა) წრეებს, ოღონდ უკვე ბავშვი აღარ იყო... ახლა ტელეფონზე ლაპარაკობდა და ისე ხატავდა, ქვეცნობიერად... ეს წრეები ბევრად, ბევრად სრულყოფილი იყო, ვიდრე ისინი, მაშინ რომ ხატავდა, ბავშვობისას, თუმცა სრულყოფილებას კიდევ ბევრი უკლდა....

ორი

„ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული, გამოძიების საფუძველზე დაკავებულია დამნაშავე, წაყენებული აქვს ბრალი განზრახ მკვლელობის მუხლით,“ - თქვა პოლიციელმა.

„შემოიყვანეს პაციენტი, ძალიან მძიმე მდგომარეობაში. გულის არეში აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გამჭოლი ჭრილობა. მოვახდინეთ სწრაფი რეაგირება, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ...“ - განაცხადა ექიმმა.

- ამას დაუნყია თურმე, უგინებია თუ რალაცა... მტყუანია მკვლელი, მაგრამ არც ის საცოდავი ყოფილა მართალი.

- რას ამბობ, შე ქალო, კრავივით ბიჭი იყო ის საცოდავი, ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს. - თავისი თქვეს ჭორიკნებმა.

გარშემო ტრამალი. კაცი. ტვინში ხმაც და წითელი ლაქებიც

განუწყვეტილივ. ხმა ორნაირი.

ხმა პირველი: გასროლა.

ხმა მეორე (ჩურჩულით მოლაპარაკე, მაგრამ ბოხი და გარემოს ამავსებელი): „შენ რა გეგონა! ეს სხვაა, სხვა, უფრო საბედისწერო! მკვლელობა ადამიანის სულს გლეჯს ორ წინილად, სინდისად და დამნაშავედ გლეჯს! ნახავ, დაგენევა სინდისი.“

კაცი გარბის, ხშირად უკან იხედება - თავის ჩრდილს ხედავს. ეშინია, საშინლად ეშინია და გაურბის საკუთარ ჩრდილს - უკვე მიხვდა, რომ ეს არის სინდისი. კიდევ უფრო ჩქარა გარბის, მაგრამ მაინც ვერ უსხლტება, ჩრდილს ვერსად გაექცევა, თითქოს წინასწარ იცის, სად წავა... კაცს ეს ჩრდილი ხანდახან ის მსხვერპლიც ჰგონია და კიდევ უფრო ეშინია. მერე გაახსენდება, როგორ წარმოიქმნა ჩრდილი და ახედავს მზეს. უსასრულო ტრამაღზე უსასრულო ცისფერი ხვიმირია დამხობილი და თვალს აბრმავებს უზარმაზარი, მრგვალი, ჩახჩახა მზე. კაცს მზისა უფრო ეშინია და სასონარკვეთილებაში ვარდება - უკან ის იყო, რაც თავს არ ანებებდა და განუწყვეტილივ დასდევდა, წინ კი მზე. კაცი უცებ ფეთდება, მკვეთრად უკან შემობრუნდება და გიჟივით გამოუდგება თავის ჩრდილს. ახლა უკვე დამნაშავე მისდევს სინდისს, გათელვას, გასრესას, განადგურებას უპირებს.

გადაჯეგავს მკვლელი ტრამაღს, ვერ გრძნობს აჩქარებულ გულისცემას და მაინც ვერ ეწევა ჩრდილს. მზე უფრო მწვავედ აჭერს ზურგზე. მაშინ მივა სინდისს გამოკიდებული კაცი უფსკრულის პირას და მოიხელთებს სინდისს, იმიტომ რომ სინდისს არ უნდა გადაჩეხვა, იცის ეს კაცმა და უფრო და უფრო კუთხეში იმწყვდევს საკუთარი სულის მრისხანე ნაგლეჯს. ბოლოს ფეხს ასწევს დასადგმელად, დადგამს, აუსხლტება ფეხი, გადაიჩეხება უფსკრულში, გარემოს კივილი ავსებს, გულშემზარავი, გულისგამანყალბელი, ყურისნამღები კივილი...

გზით

უკეთეს შემთხვევაში, ადამიანები კიდევ „არიან“, კიდევ „ჰყავთ“ და კიდევ „აქვთ“. ჯანბეგი კი მხოლოდ „იყო“, მას არც „ჰყავდა“ და არც „ჰქონდა“. იმ ადამიანს კი, რომელიც მხოლოდ არის, ბევრს არაფერს ეუბნებიან ადამიანები, რომლებიც კიდევ „არიან“, კიდევ „ჰყავთ“ და კიდევ „აქვთ“...

ამიტომაც არხეინად იყო ჯანბეგი, არც დავალებული იყო ცხოვრებისგან და არც თვითონ ავალდებულებდა მას...

ჯანბეგს ადრე ვილაცები „ჰყავდა“ და რალაცებიც „ჰქონდა“.

მაშინ მან ნახა, თუ როგორ იკეტებოდა ერთი ქალაქის უზარმაზარი კარიბჭე... ისიც ნახა, რომ ხანდახან ადამიანები კარგ საქმეს აკეთებენ... კიდევ ის, რომ მთაზე ფეხით ასვლისას, კარგი შეგრძნება მოდიოდა და სუნთქვა მთის ჰაერით ადვილი და სასიამოვნო იყო... ნახა დიდი ჩახჩახა მზე, თაკარას რომ ეძახიან... ამის გარდა, ბევრი რამ ნახა და გაიგო ჯანბეგმა და ბოლოს გადანყვიტა, ენახა, თუ როგორ ლელავს ზღვა, მაგრამ სწორედ ამ დროს დაკარგა ის ვილაცები, ვინც „ჰყავდა“ და ის რაღაცები, რაც „ჰქონდა“ – საყოლებელი უფალს მიაბარა, საქონებელი კი თვითონ მიიბარეს ადამიანებმა, რომლებიც ხანდახან ცუდ საქმესაც აკეთებენ... მაშინ გახდა ჯანბეგი ადამიანი, რომლიც მხოლოდ „არის“... მას მერე ჯანბეგს არაფერი უნახავს ისეთი, რაც დაამახსოვრებოდა, ვერ ნახა, თუ როგორ ლელავს ზღვა და დაკარგა თავი....

და ახლა, როცა უკვე ნანახი თაკარა მზის ნახვა არ უნდოდა, ჯანბეგი იწვა ხის ძირში, რომელიც წარმოქმნიდა ჩრდილს და არ აჩვენებდა ჯანბეგს უკვე ნანახ მზეს...

ჯანბეგს ეძინა, როცა უთხრეს:

- ადექი!

ჯანბეგს მაშინაც ეძინა, როცა გაუმეორეს:

- ადექი! - და დაუმატეს, - ადექი, კაცო, რით ვერ გაიგეო!

მაშინ გამოელვოდა და ისე, რომ მზისთვის არ შეეხედა, თვალები მიმართა მთქმელისკენ, გამღვიძებლისკენ.

- რა გინდა?!

- მოსვენება. - მშვიდად უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, მაღალმა, დაკუნთულმა და სახით სანდომ.

- რატომ?! განა აქ სხვა ადგილი არ არის, თუნდაც ჩრდილიანი, შეგიძლია იქ დაისვენო - უპასუხა ჯანბეგმა, ოდნავ გაკვირვებულმა იმით, რომ მისგან რაღაც მოითხოვეს.

- ეს იქნება საფასური. - კიდევ უფრო მშვიდად თქვა ახალგაზრდა კაცმა.

- საფასური? რის, განა რამე მომეცი?

- არა, მოგცემ. მე გეტყვი, რა უნდა ქნა. თუ გინდა, გითხრა, წამოდექი.

ჯანბეგს სწორედ ის აინტერესებდა, რა უნდა გაეკეთებინა. იმიტომ გახდა ასეთი, რომ ეს არ იცოდა...

ჯანბეგი მიხვდა, რომ სჭირდებოდა ძალა წამოსადგომად და გაუნოდა ხელი ახალგაზრდას. ახალგაზრდამ წამოაყენა.

- ადრე შენ დადიოდი შენი გზით. მერე შენ გაგიცრუვდა იმედი

და ისე მიატოვე შენი გზა, რომ ბოლომდე არ მისულხარ და გახდი ისეთი, როგორიც ხარ. არადა, ამ გზის ბოლოს შენ იპოვიდი ქეშმარიტებას, ანუ საკუთარ თავს. შენ ჯერაც არ გინახავს, თუ როგორ ღელავს ზღვა... წადი, ნახე და იპოვი!

ჯანბეგს არაფერი უთქვამს ახალგაზრდა დამრიგებლისთვის. ეს კაცი მისგან არც არაფრის თქმას ითხოვდა, მაღლობისაც კი. ჯანბეგი ხვდებოდა, რომ ამ კაცისთვის მთავარი და ერთადერთი საზრუნავი ხალხისთვის ასეთი სიტყვების თქმა უნდა ყოფილიყო.

ჯანბეგი გაუდგა გზას, რომელსაც ის საკუთარს უწოდებდა. მან იცოდა, რომ ამ გზის ბოლოს იპოვიდა იმას, რაც დაკარგა, რადგან გაკეთებული ექნებოდა ყველაფერი, რაც უნდა გაეკეთებინა ცხოვრებაში. ის იქნებოდა ერთ-ერთი იობი, რომელსაც დაკარგული დაუბრუნდა.

შემოდგომა

მტვრიანი იყო გზა. ფეხის თითები ქვიშის მარცვლებით მეცვებოდა, ტურჩები უარეს დღეში მქონდა, ენითაც კი ვერ ვისველებდი და ნასიცხარ მიწას მიმიგავდა. მცენარეებს შემოჰქონდთ ჩემში მოხარშული მწვანე განწყობა, ისეთი, როგორსაც გახურებულ ჰაერში დაკიდებული ფოთლები ტოვებენ.

იქ, სადაც წყაროსკენ ბილიკი იწყებოდა, ორი ხე იდგა, კარიბჭესავით. გადავუხვიე და ორ წუთში წყაროსთან აღმოვჩნდი. იქ უკვე იყო ვილაც - ერთი მოხუცი იჯდა და ხელში ჩამქრალი ყალიონი ეჭირა. მე გამარჯობა ვუთხარი. პასუხს არ დავლოდებივარ, ისე შევუშვირე პეშვი წყალს და ხარბად დავლიე, მერე კი ბალახზე გულაღმა გავიშხლართე.

ცოტა ხანს ასე ვიყავით მეც და მოხუციც, მერე სიჩუმე ისევ მან დაარღვია.

- რა გქვია, ბაბუ, შენ?

- ყარას მეძახიან, - მივუგე მე და ისე, რომ ზეზე არ წამოვმდგარვარ, მისკენ გადავტრიალდი.

- ჰმ, - თქვა მოხუცმა პაუზის შემდეგ, - არადა, არ ჩანხარ შენ შავი კაცი, - მე გაოცებულმა შევხედე, - ჰო, ყარა სპარსულად შავს ნიშნავს. რამდენი წლისა ვარო, რა თქვი?

მე არ მქონდა ჩემი ასაკი ნათქვამი, მაგრამ გამეორების ტონით ვუთხარი:

- თხუთმეტი-მეთქი!..

კარგა ხანს ვუყურებდი მოხუცს, - რაღაცას მიპასუხებს-მეთქი,
- მაგრამ არაფერი უთქვამს. ის იყო წამოდგომა და წასვლას
ვაპირებდი, რომ მკითხა:

- ყარა, შენ თუ იცი, მინა რა არის?

ასეთ კითხვას არ ველოდი და ვუპასუხე:

- რა ვიცი, მარტივად რომ ვითხრათ, ის არის, რაზეც ახლა მე
და თქვენ ვიმყოფებით.

- უკეთეს პასუხს არც ველოდი, მაგრამ ოდესმე დაფიქრდები,
ალბათ, ამაზე, ბაბუ!

- თქვენ უკვე იფიქრეთ?

- ჩემი ხნის ხალხს თითქმის ყველა შემთხვევაში ნაფიქრი აქვთ
ამ შეკითხვაზე, სხვა საქმეა პასუხის გაცემა. მე ჩემებურად ვუპასუხე,
სხვამ ალბათ კიდევ თავისებურად... მინა ყველაფერია. აბა, რას ვერ
უნოდებ ამ სახელს? მარტო მზისა და ცის შესახებ ვერ იტყვი, მინააო,
სხვა კი რაც დაბლაა, ყველაფერი ეგაა, მინა. აი, ამ ფოთოლს ხომ ხედავ
ხეზე? შემოდგომაზე ჩამოვარდება მაქედან. სად წავა, თუ იცი? მინად
იქცევა. ის კი არა, აი, ამ ბუმბერაზ ხესაც კი დაუდგება თავისი შემოდ-
გომა და მინად იქცევა. ფოთოლიც და ხეც მინამ მოიყვანა. მაგრამ
საქმე ისაა, რომ მარტო მინამ არა - მინასთან ერთად ცამაც ასაზრ-
დოვა ორივე. ბოლოს, შემოდგომაზე, ეს ფოთოლი რომ ჩამოვარდება
და როგორც ვითხარი, მინად იქცევა, ჩამოვარდნამდე თავის ნაწილს
მალლა, ხეზე ტოვებს. ის ხეზე ტოვებს თავის ენერგიას, რომელიც
მზითა და ციური ნამით გამოიმუშავა. ესე იგი, ფოთოლიც ადამიან-
ივით სხეულს მინას აბარებს, სული კი მალლიდან აქვს მონიჭებული.
სანამ აქ, სააქაოში ვართ ჩვენ და ფოთლები, მანამ სულიც და სხეულიც
ჩვენ გვაბარია, მაგრამ, მოვა შემოდგომა და ორივეს პატრონი მი-
იბარებს. ამიტომ, ჩემო ბიჭიკო, ასე იტყვიან ჩვენში: ხორცი - მინას,
სული - ზეცას, სახელი - დროსო. კაცი ვერც მინას შეერკინება, ვერც
ზეცას, მაგრამ დროს კი ერჩის. ხორციც, სულიც და სახელიც რომ
თავთავის სამყოფელში წავიდეს, მათ შორის მთავარი - სული არ უნდა
დაიმიძიმო. ამ შემთხვევაში შევძლებთ ვაჯობოთ დროს და ვიპოვით
ჭეშმარიტებას.

თავი ავნიე და მოხუცს შევხედე. ის მილიმოდა...

მაიკო

- ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... - იჯდა მაიკო გვირილებით გადათეთრებულ ყანაში, გვირილებიანი კაბით და გვირილებს აცლიდა ფურცლებს. უბეში ასეთი დაწინკნილი სითეთრის მთელი გროვა ეყარა... - ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... - და ასე გრძელდებოდა საღამომდე. მისი გამოთვლების საბაზი სოფლის ხან ერთი მზით დამწვარტანიანი ბიჭი იყო, ხან მეორე - სახეჯორფლიანი, ხან მესამე - ხუჭუჭი, ცისფერთვალეა და რა ვიცი, კიდე ვინ აღარ... მაგრამ მერე რა... ვინ აუკრძალავდა მაიკოს გვირილებით თამაშს? ლამაზ მაიკოს, მწვანეთვალა მაიკოს, მზეუკარება მაიკოს. თვითონაც მზეს, მზის მთელი კონა ედგა თავზე, სოფლის მშვენება იყო... გვშურდა კიდეც მისი... დედ-მამა არ ჰყავდა. რატომ, არც ჩვენ გვახსოვდა და არც უფროსები ამბობდნენ რამეს. იქნებ, არც თვითონ იცოდა. ბებია ზრდიდა, ხელებდაკოჟრილი, შავთავშალიანი ბებია. გადმოდგებოდა ძველი ფიცრული სახლის მოაჯირებყანყალა აივანზე და გასძახებდა:

- მააიიიკოოო....

- ვუყვარ, ბებოოო... - გამოსძახებდა ყანიდან მაიკო. ბებომ ყოველთვის იცოდა, სად იყო მაიკო, მაგრამ მაინც ასე ეძახდა, ალბათ, ისე, უბრალოდ. ჩვენთან არასდროს თამაშობდა, უცხო იყო, მონატრებული. ყველას გვიყვარდა შიგნიდან, თბილად, ლამაზად...

დრო გადიოდა... მაიკო მშვენდებოდა. უფრო და უფრო ემსგავსებოდა იმ ფერიებს, ვარსკვლავები რომ უჭირავთ და სასწაულების მოხდენა შეუძლიათ, მაგრამ მაიკოს ხელში ისევ გვირილა ეჭირა, - ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... - ის გვირილებიანი კაბა დამოკლებოდა და ძლივსღა უფარავდა სათლის სახელურებივით მორკალულ გვერდებს. ფითქინა, გრძელი ფეხები თითქმის არ უჩანდა გვირილებში. ხვეული თმა წელზე სცემდა. მაღალ შუბლს ნახევრად უფარავდა თეთრი დაწნული გვირგვინი მზეებით.

ერთხელ ჩვენს სოფელს თეთრი, ზეუკარება ხალხი ესტუმრა. რაღაც დიდი ნაჭრის ბუნაგები გაშალეს და ჩაიბუდეს. ჩვენ ბუჩქებს უკან ვიმალებოდით და თვალეზდაჭყეტილი მივშტერებოდით მათ ყოველ მოძრაობას. სუფთა, ახალი ტანსაცმელი ეცვათ და გამუდმებით აქეთ-იქით იცქირებოდნენ, თვალეზთან რაღაც შავი, პატარა ყუთები მიჰქონდათ, ილიმებოდნენ და აჩხაკუნებდნენ, ანათებდნენ. ის რაღაც ყველაზე მეტად მოგვწონდა ჩვენ. მერე იმ ზეუკარებებმა

სოფლის ორღობეებშიც დაინყეს ხეტიალი. ბავშვები გუნდად, მოშორებით დავეყვებოდით... ხანდახან ჩვენკენაც მოტრიალდებოდნენ თავიანთი ჩხაკუნებით...

ერთ დილას მოაჯირებყანყალა სახლთან მთელი სოფლის ქალები შეგროვდნენ, ყველა თავისთვის ჩურჩულებდა და ფუს-ფუსებდა. ზოგი ეზოს ასუფთავებდა, ზოგი ფარდებს ხსნიდა გასარეცხად, ზოგი იატაკს წმენდდა... შიგნით, ოთახის შუაგულში, ძველ მუქორნამენტებიან ხალიჩაზე იწვა მაიკოს ბებო და დაკოჟრილი ხელები დაეკრიფა გულზე. არ გაგვკვირვებია, სოფელში ხან ერთ სახლში იწვნენ სხვების ბებოები ასე, ხან ჩემი მეგობრების ბებოები, ჩემი ბებო და ახლა მაიკოს ბებოც. ასეთია ბებოების წესი... მაიკო კი იჯდა თავისი გვირილებიანი კაბით ბებოს თავთან. მერე რომელიღაც მოფუსფუსე ქალმა თბილი შალი მოახურა ბეჭებზე. ჩვენ ფანჯრებზე ცხვირმიჭყლეტილი ვიჭყიტებოდით შიგნით, მაგრამ აპრიალეზულ მინებში ისევე ჩვენ ვჩანდით და კარგად ვერ ვარჩევდით, რა ხდებოდა იქ... მოჩხაკუნებმა აქაც ჩამოიარეს, დაინტერესდნენ, აჩხაკუნდნენ... გაასვენეს... ჩაფლეს... ჩამარხეს... გააცილეს... წესი იყო... უამრავქვიან და ჯვრებიან ეზოში მაიკო არ წამოსულა. წევსო, ავად არისო...

მოინყინა სოფელმა. ხან ერთი ქალი გადადიოდა ცხელი საჭმლით მოაჯირებყანყალა სახლში, ხან მეორე, ხან ბევრი ერთად. სხვა სოფლიდანაც ამოიყვანეს ექიმი, მაინც ვერეფერი გაუგეს... ჩვენც წაგვიყვანეს ჩვენებმა, ნახეთო, იქნებ თქვენთან გამოხალისდესო. წავედით. ავაჭრიალეთ ამდენმა კეთილისმსურველმა ყანყალა კიბე, მოაჯირები, შუშაბანდი... თეთრ ლოგინში იწვა თეთრი მაიკო, უფრო თეთრი, გვირილაზე თეთრი... მწვანე თვალები ჩასცვენოდა და სულ დაეკარგა სიმწვანე... ბალიში მთლად დაეფარა ოქროსფერ კულ-ულებს... უფერულ ტუჩებს ოდნავლა ეტყობოდა ჰაერის მიმოსვლა... მაინც ლამაზი იყო, მაინც შესაშური... არ შემოუხედავს... კედელზე გაკრულ მუქორნამენტებიან ხალიჩას მიაპყრო ნახევრად გახელილი თვალები, ერთხანს ასე იყო, უმოძრაოდ, მერე მზეუკარება, თეთრ, ლამაზ, ფითქინა, მზეებიან მაიკოს ჩაეძინა... პირველად ვიგრძენი ასეთი ღრმა ძილის სურნელი, ღია კარში რომ გაჰქონდა ნიავს, სურნელი წესტით, გვირილებით, ჭრიალა სახლით გაჟღენთილი...

- ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... - იჯდა მაიკო გვირილებით გადათეთრებულ ველზე, ღობის ნასახიც რომ არ ჩანდა, ისეთზე და გვირილებს აცლიდა ფურცლებს. უბემი ასეთი დაწინკნილი სითეთრის მთელი გროვა ეყარა...

- ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ.

ვაჟა-ფშაველადან ნაძალადევამდე

ზუსტად ვიცი, ქუჩაში მეორედ რომ შემხვდეს, ველარ ვიცნობ. ველარ ვიცნობ, იმიტომ რომ სულ სამჯერ შევხედე. სამჯერ, იმიტომ რომ მეტი ვერ გავხედე. რამეს არ მიხვდეს-მეთქი, შემეშინდა. თუმცა, რას უნდა მიმხვდარიყო, ვაგონში ვინც კი ვინმე მდებრი იყო, ყველა მას მისჩერებოდა, მიუხედავად ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა. რა თქმა უნდა, თვითონაც შეამჩნია. ალბათ, ამიტომ იყო, შიგადაშიგ უღვაშებში რომ ეცინებოდა ხოლმე. გითხარით, სულ სამჯერ შევხედე-მეთქი, თანაც სამივეჯერ თვალებში და თავი ქალი მეგონა. თქვენ იცინეთ, იცინეთ. სამჯერ შევხედე, მაგრამ ისე, რომ დიდხანს აღარ დამავიწყდება. მემახსოვრება ისეთი, როგორიც იმ წუთას იყო. გაუპარსავი, ჯინსებში და მწვანე კეტებში, შავ ქურთუკში და ორ ქუდში. კიდეც, მემახსოვრება შუშის ანარეკლში როგორ დადიოდნენ ჩვენი მეორე მეები ერთად. უჰ, სად არ იყო ამ დროს ამურის ისარი?..

ამ ოცნებებში ვიყავი, როცა გავიგონე: „ვაგ ზღის მოედანი, ბოლო გაჩერება...“ ჰოდა, მორჩა, აქ გაიყო ჩვენი გზები, ის ნაძალადევიში წამომსვლელი მაინც არ არის-მეთქი. და გაბრაზებული ამ ყველაფერზე, ისე გავვარდი წინ, მგონი, ჯერ კარიც არ იყო ბოლომდე გაღებული. ჰოდა, ასე გაბრაზებულმა მაინც მივიხედ-მოვიხედე და სულ შემთხვევით მოვკარი თვალი ნაცრისფერ კაპიუშონზე ქურთუკის მეორე შავ კაპიუშონს. ისე გამიხარდა, თითქოს მოვიდოდა და რამეს მეტყოდა, რა... მე შენ გეტყვი, ყავაზე დამპატიჟებდა, თუ სახლამდე მიმაცილებდა? მაგრამ მაინც გულის ბრალი იყო ყველაფერი რა... ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ჩემგან საკმაოდ შორს მოვკარი თვალი და ვაგონში მაინც ერთად აღმოვჩნდი. - ვა, -გავიფიქრე ჩემთვის, გამიკვირდა. თუმცა, რა ვა, ჭეჭყვა იყო გაქანებული. კარი რომ დაიხურა, კარგად დავინახე, ქუდის ქვემოდან აპარებდა თვალს. ოხ, ამ გერმანულის დედაც, იქნებ გავაცდინო და ცოტა ხანს კიდეც ვიმგზავრო-მეთქი? - ისე ვაწყობდი გეგმებს, თითქოს, ეგ იყო და კინოს ბილეთებით მელოდებოდა, რა... მერე უსიამოვნება მასწავლებელთან, უსიამოვნება ოჯახში და უსიამოვნო ნიშნები წლის ბოლოს? რა ამბავია... ამდენი უსიამოვნო და არც ერთი სასიამოვნო? ჩემი ბედი რომ ვიცი, გამიყვანს სადღაც ღრმადღეღეში და ისე ჩავა, ხმასაც არ ამოიღებს. ეჰ, წავედი, წავედი, სანამ გასცდა აქაურობას. მეტროში გაცნობილი ბიჭი მაინც რა უნდა იყოს-მეთქი, - და ჩავედი. თანაც ისე, რომ უკან არც კი მომიხედავს. არადა, ზუსტად ვიცი, რომ ორი ქუდის

ქვემოდან ისევ მე მიყურებდა.

თავისუფლების მწერლები

თავი I

პირველი ტყუილი ყოველთვის ძნელია. შემდეგ გადავილდება. როდესაც პირველად მითხარი, “მიყვარხარ”, ღამე იყო და ციოდა. როდესაც საკუთარ თავში არც თუ ისე დარწმუნებულმა გიპასუხე, “მეც”, დღე იყო და მზე ანათებდა.

როდესაც პირველად მოვიტყუე, მენყინა. შემდეგ უკვე თავის-თავად მოხდა.

როდესაც საკუთარ თავს ებრძვი, ყოველთვის მარცხდები, როდესაც გული შენ გებრძვის, ყოველთვის იმარჯვებს.

როდესაც ყველაფერს ტოვებ და გინდა წერო თავისუფლებაზე, მაშინ იკეტები საკუთარ თავში და ცდილობ, არ იფიქრო ცუდზე.

თავი II

როდესაც სხვა გზა აღარ გრჩება, როდესაც იხსენებ განვლილ დროს და როდესაც ყოველივე ამის შემდეგ ამჩნევ, რომ მთელი ბალიში მლაშე ცრემლებით გაქვს დასველებული, ალბათ, ყველაზე კარგი გამოსავალია, გაალო კარი და გაიქცე რაც შეიძლება შორს, შორს მისგან და ყველაფრისგან, რაც მის თავს გახსენებს. მოატყუო ყველა, ოჯახის წევრები თუ მეგობრები. მოატყუო და თვალეში ჩაუხედავად უთხრა, რომ ყველაფერი კარგად გაქვს, რადგან სიმართლის გაგების შემდეგ თანაგრძნობითა და შეცოდებით არ გადმოგხედონ. გაიქცე საკუთარი სახლიდან და გაიქცე საკუთარ თავსა თუ წარსულს. გაიქცე ყველაფერს, რაც ადრე მოგწონდა და სიამოვნებას განიჭებდა. გაიქცე ბავშვობას და ნაადრევად გაიგო, თუ რა ძნელია იმედგაცრუება.

ამ ყველაფრის შემდეგ რჩები მარტო დიდ მწვანე მინდორში და ხვდები, რომ გინდა წერო თავისუფლებაზე.

თავი III

ცხოვრება ასეთია - სასტიკი, დაუნდობელი. თითქოს ყველაფერს გეგმავ. იაზრებ, განიცდი, გგონია. თითქოს, გიხარია, რომ მარტო არ ხარ, არადა, ხვდები, რომ მარტო ხარ. თითქოს, გინდა რაღაც ახალი, დიდი და დაუსრულებელი, და ამ დროს ხვდები, რომ გჭირდება ვიღაც, ვინც მოგკიდებს ხელს და დაგეხმარება ამ ცხოვრებაში გადარჩენაში.

ებრძვი თავს, ებრძვი ქარს და მისი ტალღებიდან გადარჩე-

ნილს, ცხოვრება გიხარია და სამყარო შენი გგონია. არადა, ცდები. და მარტო რჩები, სულ მარტო საკუთარ თავთან. ამის შემდეგ კი მალევე ხვდები, რომ გაკლია რალაც ახალი.

ქარი გინუნავს თმას და თვალს უჭრის საპირისპირო გზაზე მომავალს, თუმცა იცი, რომ ესეც დროებითია და წარმავალი.

ოცნებობ ბევრს, ოცნებობ, რომ არ იყო მარტო, ოცნებობ, რომ გაგიგოს ვინმემ. ვოცნებობთ მანამ, სანამ ცრემლიან სახეზე არ მოგვერევა ძილი. ოცნებობს ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თუმცა ოცნებობენ განსხვავებულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ვოცნებობთ ფრთებზე, ვოცნებობთ უხმო ყვირილზე, ვოცნებობთ თავისუფლებაზე, ვოცნებობთ მეგობრებზე. ვოცნებობთ მანამ, სანამ ცოცხლები ვართ, თუმცა, ვცოცხლობთ ცოტას. სამაგიეროდ ვჭამთ ყველაფერს, რაც ხელში მოგვხვდება, ვყლაპავთ ბოროტებას, ვძლებით ტყუილებით. ვთამაშობთ ერთმანეთის ნერვებზე. ვითმენთ მანამ, სანამ შეგვიძლია, მერე ვსკდებით, ბოლმებად ვიქცევით, და სადღაც ისევ მარტოები ვიღვრებით. ვართ უმადურები, ძალიან უმადურები და ვჭამთ ყველაფერს, უფრო ხშირად კი ერთმანეთს. შემდეგ ვსხდებით ყველანი ერთად და უსინდისოდ ვსაუბრობთ თავისუფლებაზე.

თავი IV

ვხვდებით, გვიყვარდება და გულს ვტკენთ. მერე მიდის, გვიბრაზდება და გულს გვტკენს. სინამდვილეში არავის არასოდეს ვყვარებივართ. მხოლოდ ჩვენ გვიყვარდა, ისიც ხანდახან და უაზროდ. მერე სიყვარული დნებოდა გაყინულ თოვლზე და ქრებოდა უკვალოდ სადღაც. ალბათ, რჩებოდა გულელებში მარად.

და ანათებდა ირგვლივ ყველაფერს მზის პატარა შვილი, საწყლად მარტოკა... და მისი მზერა... და ეს ფიქრები მუდამ რომ თან გდევს, კისერში გიჭერს და თავს გახსენებს. ცხოვრებას ებრძვი, მარცხდები, გტეხავს.

უყურებ სარკეში, გეზიზღება, გძულს, ვერ იტან. არადა, იმას რას ერჩი, ყველაფერს ბედი უნდა, საკუთარი თავის პოვნასაც კი. უბალოდ, მინდა ვისწავლო, როგორ ვიცხოვრო. უბალოდ, მინდა გავიგო, როგორია, როცა არ გტკივა და მხოლოდ გიხარია. უბრალოდ, მინდა ვიცინო უაზროდ ბევრი. მინდა უბრალოდ ვცადოთ და ცოტა ხნით მაინც ვიყოთ თავისუფლების მწერლები. ცოტა ხნით ვიოცნებოთ და მოვიტყუოთ თავები, თითქოს ვართ თავისუფლები.

იეროგლიფი

კიბის საფეხურიდან თოვლჭყაპში ჩამოვხტი. ყინავდა. ვრცელი ეზო უნდა გადამეჭრა. ცა სულის შეხუთვამდე ჩამონოლილიყო ძირს, მძიმედ, ტყვიისფრად.

ზამთარი შვიდ წელიწადს გრძელდებოდა. შვიდი წელი-მეთქი... არა მზე, არა ცა – ლურჯი. ყვავებს დასჩემდათ ჩვენი საგვარეულო ციხესიმაგრის თავზე ტრიალი.

მამიდაჩემი ამბობს, ჩვენს გვარს წყევლა აქვს, ჩვენი ყველა მეზობელიც საგვარეულო წყევლით იტანჯებაო. უცნაური ქალია მამიდაჩემი კადე. თავისი პირქუში ციხე-კოშკის პირქუში დანამატი. ლაფის უზარმაზარ გუბებს გადავახტი და ისევ თოვლში მივპარიშურობ. ისეთი სინყნარეა, მთელ ბალში ისმის ჩემი ნაბიჯების ხმა.

მუხის ახალი კარი დაუყენებიათ, აღარ ჭრიალებს. თოვლი შევიბერტყე და მარმარილოს ფართო კიბეს მივუყვებო.

- ჩვენი მეზობლის გვარში ყველა მამაკაცი რალაც ნივთად უნდა იქცეს და საუკუნოდ დარჩეს მათი ციხედარბაზის განუყოფელ ნაწილადო, - ამბობს მამიდაჩემი.

ის მობუზლუნე, ბებერი კარი მახსენდება, არაფრის დიდებით რომ არ შეგიშვებდა მეზობლის ბიბლიოთეკაში.

ჩვენი გვარის წყევლა... მაინც, საიდან იღებს სათავეს?! მამიდაჩემი ამბობს, ჩვენი გვარის მანყევარი ცხრამეტი საუკუნის წინ მიიცვალა არმონანიე და მარადის შფოთვით სულდამძიმებულიო.

ახლაც მამიდასთან მივდივარ სასაუბროდ და დროის მოსაკლავად. ზამთრის საღამოებს მამიდაჩემის ზღაპრებივით განლანული საუბრის ელფერი ადევს. ცეცხლთან მიმჯდარა სარწვეველა სავარძელში ჩაფლული. შესვლისთანავე მსუქანი, შავი კატა მაცოცდება მუხლებზე. დარბაზში თბილა და ბნელა, უზარმაზარი ოქროსჩარჩოიანი სარკე კიდია, ძველი, დაბრეცილი..

- მთელი ჩვენი ქალაქი დაწყევლილიაო, - ამბობს, - უკვე მერამდენე თვეა, ყავისფრად თოვს, ავის მანიშნებელიაო. მაშინაც ასე იყო, შენს დაბადებამდე ხუთიოდე წლით ადრეც ყავისფერი თოვლი მოვიდა ჩვენს ქალაქში, დიდი უბედურების დასაწყისის პირველნიშანი. რას აღარ იუნყებოდნენ ვითომ ნათელმხილველები. ზოგი ომს ვარაუდობდა, ზოგი მზის დაბნელებას, ზოგმაც ბედნიერების მანიშნებლად ჩათვალა, მაგრამ, აბა, რას წარმოვიდგენდით, რომ ჩვენს ქალაქს ჩურ-

ჩული შემოეჩვიოდა. მთელი წელიწადი გვტანჯავდა. შავებში მოსილი დადიოდა კარდაკარ. თან დაჰქონდა ჩურჩულით ნათქვამი თუ გულისხმადმყოფი ათასი ჭორ-მართალი. არა, ვერც კი მიხვდებოდი, ვინ იყო. ჩურჩულს სხეულში ჩასახლება ახასიათებს. ისე, ქვრივი დედაბრის სახე აქვს, ძალიან გამხდარია, გრძელი, ჭაღარანარევი თმა აქვს სამგლოვიაროდ ჩამოშლილი. სულ ერთმანეთს გადაგვიკიდა მთელი ქალაქიო, - ამბობს. სავარძელი დაარწია. კვამლშია გახვეული. არ საუბრობს. მისი ყოველი უჯრედი ოდესღაც, წარსულში მომხდარი ამბის გაბმულ თხრობად ქცეულა. კვამლიც ნელ-ნელა იკრებს ძალას, ნელ-ნელა ერთ წერტილში ხვავდება, ნელ-ნელა იძენს სამგლოვიაროდ თმაგანენილი ქალის სილუეტს.

ყავისფერი თოვლი... ნამდვილად მოასწავებს ავს. ნამდვილად გველის რაღაც წინო.

ჩურჩული ოთახში იწყებს ბორიალს. ფეხაკრეფით, მდუმარედ. სარკესთან მიდის და საჩვენებელი თითით ამოლამებულ ქუთუთოებს ისინჯავს.

- ქალაქის მერი ბატონი როდმერი... - უფრო თავისთვის ლაპარაკობს მამიდაჩემი... - ბატონი როდმერი, ბატონი როდმერი... ესოდენ ცრუმორწმუნე და ცრუ. ესოდენ უზარმაზარი... თავის კაბინეტში იჯდა გარდერობივით გახევებული ტანით და ზორბა იდაყვებით ჩამოყრდნობოდა მაგიდას, ქალივით მოვლილი ხელები მშვიდად დაეღაგებინა განკარგულებაზე:

“ჩამოახრჩვეთ კაედე ბებერი! თუ უკვე მკვდარი დაგხვდეთ, მოთხარეთ გვამი მისი და საჯაროდ დაწვით მანყევართა კოცონზეო”.

ამ ბრძანების დანერის წინ ჩურჩული შესულიყო იმის კაბინეტში.

- კაედე ბებრის წყევლა არის, ქალაქს ჩურჩული რომ შემოეჩვიო, - ეთქვა და ჩამომჯდარიყო მაგიდასთან...

ჩურჩულს ელიმება. სარკიდან გამოჰყურებს მამიდაჩემ კაედეს. თითქოს თვალნათლივ ვხედავ ზღვა ხალხს მამიდაჩემის საგვარეულო ციხესიმაგრესთან მოჯარულს, მათ კი ამაყად მოუძღვის ბ-ნი როდმერი, თან ქალივით მოვლილი ძალაუფლებიანი ხელი კაედე ბებრის სამყოფელისკენ გაუშვერია. იმატებს შფოთი და მძვინვარება. ხალხის ბრბო ღმუის და ზვირთებივით ეხეთქება ციხესიმაგრის კედლებს.

გამოსულა მამიდაჩემი ძალიან მშვიდად. გამოუკეტია მძიმე კარი და გადმოჰყურებს აღშფოთებულ ბრბოს. უცნაური ქალია-მეთქი მამიდაჩემი. ხალხის მთელ ნაკადს გადასდებია მისი სიმშვიდე. მარადის მბორგავი ბ-ნი როდმერიც დანყნარებულა ფრიად. ერთხანს ასე

შესცქეროდნენ ერთმანეთს კაედე და ქალაქის მერი, მდუმარედ. მერე ბატონი როდმერი გამოტრიალებულა, ხალხის ჯგრო გაერღვია და წამოსულა უხმოდ ქუჩისკენ. დაიბნა ქალაქის „ერუდირებული“ საზოგადოება, დაყარეს ფინლები თუ ქვები და გაჰყვნენ ბ-ნ როდმერს. შემდეგ უღიარებია, - ჩურჩული იყო. ჩურჩულმა მომატყუა და ამიბნია თავგზაო. ის დღე იყო და ის დღე, ამოიკვეთა ჩურჩულმა სამუდამოდ ჩვენი ქალაქიდან ფეხი.

- “ნახავთ, თქვენს ქალაქს ჩემი ბოგინი სამოთხედ მოეჩვენებაო”, ბოლოს ესლა მითხრა ჩურჩულმაო, - ამბობს მამიდაჩემი და ჩიბუხში თუთუნს ტენის, - მე ვამბობ, მთელი ქალაქი დაწყევლილია-მეთქი... და ქალაქის მერი ბატონი როდმერი - შვიდგზის წყეული ერთი დაღამებიდან დეკემბრის ყინვიან თენებამდე.

ბატონი როდმერი... შვიდგზის სამარედადგმული ამ ქალაქში, სადაც მისი წარსული დიდება და ძალმოსილება მითებშიც ვერ პოულობს ადგილს და მივიწყების არქივში ჩალაგებულს, საუკუნო მტვერი ედება.

მან ვერ შეძლო და არც შეიძლებოდა შეძლებოდა წასულიყო სადმე შორს, წასულიყო ქალაქიდან, სანამ ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო მოვლენათა ის მწყობრი მსვლელობა, რომელიც ჩამოგლეჯდა მას ნიღაბს და წარსულის ლანდად გადააქცევდა.

იმ დილას ჩვეულებრივზე ადრე მისულიყო მერიაში. გზაზე უჩვეულო ვერც ვერაფერი შეენიშნა, ანდა, რა უნდა დაენახა მარად-დღე ფანჯრებდაგმანული კარეკით დაიარებოდა. ჩურჩულის წასვლის შემდეგ ქალაქი საშინელ ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. იმატა შიმშილმა და სიკვდილიანობამ. გაივსო ქუჩები მათხოვრებითა და ავარალოთებით. საგონებელში ჩავარდნილიყო ბ-ნი როდმერი. რეპუტაცია ელახებოდა ბოლოს და ბოლოს. მთელი ღამე ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა. როგორც ჩანს, ეპოვნა კიდევ. და იმ დეკემბრის სუსხიან დილას სასახლიდან გამოსულიყო, კვლავაც ძალაუფლებით სავსე გადმოჰყურებდა ქალაქის ქუჩებს.

მერე, კაბინეტში შესული, მიუჯდა გრძელ მაგიდას და გასცა განკარგულება - შეკრებილიყო კონსილიუმი. თვითონ კი თავისი რბილი ხელები მშვიდად დაალაგა მაგიდაზე და კვლავაც ფიქრებში დაინთქა.

კონსილიუმი უკვე შეკრებილიყო, მაგრამ როდმერი აგვიანებდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა. ზოგჯერ საათობით ელოდნენ, ბოლოს კი გასცემდა ხოლმე ბრძანებას - სხვა დღისათვის გადაედოთ შეკრება. მელოტი თავები შფოთავდნენ და ეხლებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს

ერთ-ერთი მათგანი, შეკრებილთა შორის ყველაზე უმცროსი, რომელიც თავისი სიმელოტის დამალვას მარცხენა საფეთქლიდან თანაბრად გადმონანილებული თმით ცდილობდა, წამომდგარიყო ფეხზე, - როდემდე ვითმინოთ მაგისი ზნეგადასული საქციელიო?! - და მუშტი მაგიდაზე დაეხეთქებინა. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოეთქვა, წინა ღამით დაწერილი და კარგად გაზეპირებული. იქ შეკრებილი პატივცემულ მელოტთა საზოგადოებაც თავს უქნევდა და ყველაფერში ეთანხმებოდა. დაადგინეს, რომ აუცილებელი იყო ბ-ნი როდმერის გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან. მემამბოხე, ალფრთოვანებული საკუთარი ქარიზმითა და მჭევრმეტყველებით, ახლა უკვე თავმომწონედ ავლებდა თვალს ერთსულოვან აუდიტორიას.

ოთახში მდივანმა შეყო თავი, - ბატონი მერი მობრძანდებო, - აუწყათ. ყველა ფეხზე წამოდგა და მდაბლად დაუკრა თავი ბატონ როდმერს. წელანდელი ამბოხის კვალიც აღარსად ჩანდა. ერთ-ერთი მათგანი გულმოდგინედ ეხმარებოდა მერს დაჯდომაში - სკამი გაუსწორა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ბ-ნი როდმერი მიუჯდა მაგიდას და თათბირიც დაიწყო.

მამიდაჩემი ჩემკენ ტრიალდება, თმა კვამლივით წასვლია ჭერში.

- გიიომ მორტუს დე გორდონი თუ გაგიგიაო? - მეკითხება.

- არა-მეთქი, - ასეთი არავინ გამეგო.

- პირველმიზეზი ჩვენი ქალაქის შემდგომი დაქცევისა და განადგურებისაო, - ამბობს ჩურჩული, თან მამიდაჩემის გარდერობებში იქექება გულმოდგინედ. ხელმოუკიდებელს არც ერთ ნივთს ტოვებს.

ყავისფერი თოვლი და დეკემბრის სუსხიანი დილა. საინფორმაციო გამოშვებას მივშტერებოდით ყველანი. იმ ღამით ქალაქის უდიდესი ადამიანი, მულტიმილიონერი ბიზნესმენი გიიომ მორტუს დე გორდონი ეპოვათ თავის ბიბლიოთეკაში გარდაცვლილი. მაგიდასთან მჯდარიყო და ხელები ძირს ჩამოეყარა.

ექსპერტებს ელვანათ და დასკვნა იმავე ღამეს დაედოთ, - ტვინის სიმსივნით იტანჯებოდა უბედური და მოულოდნელად გარდაიცვალაო.

ბ-ნი გორდონის დაკრძალვაზე წავედი. ცოტა ხალხი იყო. ორიოდ ვექილი, პოლიციის სამმართველოს უფროსი ბ-ნი სადმორ ტრაური და ბ-ნი როდმერი. მეგობრები არ ჰყავდა გორდონს. აშარი და კაცთმოძულე, მარად თავის საგვარეულო სასახლეში იჯდა რომელიმე

მკვდარი ენის იეროგლიფებით აჭრელებულ გრაგნილებში დანთქმული.

ერთადერთხელ მოვარდა ჩემთან, დირიჟორით იქნევდა ხელებს თმაგანწილი. გრძელი პლაში იატაკამდე დასთრევდა. გაუგებრად მეტყველებდა რომელიღაც მკვდარ ენაზე. მშვიდად ვუსმენდი და ვხვდებოდი, საზოგადოებიდან გარიყული და დროიდან ამოვარდნილი ბ-ნი გორდონი, რაოდენ მდიდარ და ღირსეულ სულს ატარებდა. ცოტა ხანში დამშვიდდა და თვალეში მომაშტერდა, - არავინ მჭირდებითო, - მომაძახა და კარში გაუჩინარდა. სწორედ ამ შემთხვევამ მაიძულა მის დასაფლავებას დავსწრებოდი. ცერემონიამ მშვიდად და უემოციოდ ჩაიარა.

ბ-ნმა როდემერმა უპატრონოდ დარჩენილი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გადააფორმა და დაკრძალვის დღიდანვე დაიწყო ქალაქის მშენებლობა. ბევრი რამ გაკეთდა ბ-ნი გორდონის ქონებით: აშენდა თავშესაფრები, სკოლები და საავადმყოფოები. ბ-ნ როდემერს ხელის ჩამორთმევით ულოცავდნენ გამარჯვებას. მადლიერი მოქალაქეები დიდი პატივით ეგებებოდნენ ხელისუფალს. ყოველ კვირას სატელევიზიო გადაცემები გადიოდა მასზე, როგორც ისტორიულ პიროვნებაზე.

იმ დილითაც ჩვეულებრივზე ადრე მობრძანებულიყო მერიამი შუშუბჩამოგმანული, მოოქროვილი კარეგით.

შესვლამდე მდივანს უშაქრო ყავა შეუკვეთა და კაბინეტის კარი შეაღო. ორ წუთს არ გაეგლო, რომ კაკუნი გაისმა და ოთახში ბ-ნი გიომ მორტუს დე გორდონის გვამი მიუპატიჟებლად შევიდა. ერთი თვის დასაფლავებულს ხრწნა არც კი დაეწყო, მძიმე ნაბიჯით გადაჭრა კაბინეტის მოჭრიალე პარკეტი და მაგიდასთან დაჯდა.

თვალნათლივ ვხედავ, როგორ ზის ბ-ნი გორდონი ქალაქის მერის პირდაპირ. თმა და წვერი წამოზრდია. თვალეები ღია აქვს და არაფრისმთქმელი. მინაში დებით გამტვრიანებული კოსტუმი აცვია. ზის გულზე ხელებდაკრეფილი. ხმას არ იღებს. არც მოძრაობს. ენაჩავარდნილ როდემერს ისლა მოეხერხებინა, განგამის ღილაკისთვის დაეჭირა თითი.

შემოცვივდნენ ძალღებვიით დანვრთნილი სქელკისერა ბიჭები. ყოველგვარი ემოციის გარეშე დაავლეს გვამს ხელი და გააქანეს დილეგში. ბატონი გიომ მორტუს დე გორდონის შორს წაღება არც დასჭირდებოდათ. ღმერთმანი... მერიის შენობის სარდაფებს საპატიმრო კამერებად იყენებდნენ ხოლმე როდემერის მერობის დროს.

იმ დილას მარტო ბატონი გორდონის გვამს არ მოეწადინებინა თავისი მარადიული განსასვენებელიდან გასეირნება, არამედ მთელი ქალაქის მკვდრები ამოვიდნენ საფლავებიდან და ქალაქის ქუჩებში დაიწყეს ყიალი. ნახევრად მიხრწნილი, თუ უკვე ძვლებადქცეული მოსეირნე ცხედრები დიდი ვერაფერი შვილი სანახავი იყო.

შეშინებული მოსახლეობა მოზავდა და მიანყდა ქალაქის მერიას. სასწრაფო რეაგირებას ითხოვდნენ იქ შეკრებილნი. იმ დღეს მიცვალებულების შუასკნელში ბორიალი დიდხანს არ გაგრძელებულა. ბ-ნი მერი გამოსულიყო ტერასაზე და წარმოეთქვა სიტყვა, - ერთად აღვკვეთოთ თავს დამტყდარი უბედურებაო. სალამოსთვის ყველა ცხედარი უკვე თავ-თავის სამარეში ჩავაბრუნეთ. თავები დავახურეთ კუბოებს და გადათხრილი სასაფლაოც ხელახლა მოვალამაზეთ.

ერთადერთი საფლავი, რომელიც იმ სალამოს ცარიელი დარჩა, გიომ მორტუს დე გორდონისა იყო.

სახლში დაბრუნებულები ორი საათის განმავლობაში ვისმენდით ბ-ნი როდმერის სატელევიზიო გამოსვლას:

- ამ მკრეხელობის ჩამდენმა რაღაც მანქანებით შეძლო გვამების ამოძრავება. მან ნაბილწა ჩვენი წარსული, შეურაცხყო ჩვენი მიცვალებულები და ჩვენ ვპირდებით მას დაკავებასა და ლინჩის წესით გასამართლებასო.

ამ გამოსვლას მორჩა თუ არა, ბ-ნმა როდმერმა გამოკეტა კაბინეტი და ვინრო დერეფანს გაუყვა. თვითონვე არ სჯეროდა საკუთარი ნაბოღვარის. ველარც კი იხსენებდა, ქადაგად დავარდნილმა რა წამოროშა კამერების წინ. ფილებაყრილ გრძელ კიბეს ჩაუყვა, რომელიც მიწისქვეშეთში მიიკლაკნებოდა. უკუნეთ სიბნელეში ძლივს იკვლევდა გზას...

დაკითხვის ოთახში სკამზე დაედოთ გვამი, გაშეშებულ თვალეებში ნათურა ჩაენათებინათ. ბ-ნ მერს მძიმე კარი რომ გაუღეს, ოთახის რომელიღაც ბნელი კუთხიდან გამომძიებლის ხმა გაისმა, - მიცვალებული უარს ამბობს ჩვენთან თანამშრომლობაზე, წამებამაც არ გაჭრაო, - დააყოლა, მაგიდაზე მორტუს დე გორდონის ორიოდ თითი დადო და ოთახიდან გავიდა.

ბ-ნი როდმერი... რკინის ნერვებით, შვიდგზის წყეული გვარის მატარებელი, ახლაც აუმღვრევლად დაჯდა მორტუს დე გორდონის წინ და, - რა გინდაო? - ეკითხება, - რისთვის დაბრუნდი, რა არ გასვენებსო? - წამით ასე ჩასცქეროდა გაყინულ თვალეებში, მერე საყელოში სწვდა, - მიპასუხეო, - უღრიალა და შეანჯღრია. გვამი კი ზის, არ იღებს ხმას. ანდა, რა ხმა უნდა ამოიღოს? პოლიციის სამ-

მართველოს უფროსმა სადმორ ტრაურმა შეყო ოთახში თავი, - ექსპერტიზის პასუხი მოვიდაო.

მეორე დილასაც ზუსტად იგივე განმეორდა, საგოდებელი კვლავაც გადაჩიქნილი დაგვხვდა, ქუჩებში კვლავაც ცხედრები დარიალობდნენ. ქალაქის საუკეთესო მკვლევარებმა განგვიცხადეს, მკვდრები ძლიერ არიან დაავადებული. ეს დაავადება არ აძლევთ მოსვენებას და აიძულებთ საფლავებიდან ამოვიდნენო. რალაც ეპიდემია გავრცელებულა მიცვალებულებში, სნებაშეყრილნი ჩვენგან ელიან დახმარებასო.

მკვლევარები დაგვპირდნენ, ცოტა ხანში ვაქცინას შევიმუშავებთ და ყოველივე დასრულდებაო.

კვლავ დავასაფლავეთ ჩვენი მიცვალებულები და სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადავიხადეთ, ვიმედოვნებდით, ეს მაინც დაასვენებდათ.

- ადამიანის სული რომ იმის გვამიდან გავალს, რომ დატოვებს თავის ჭურჭელს, მერე მათ ერთმანეთთან აღარა აკავშირებთო, - ამბობს ჩურჩული და კვლავაც უჯრებში აგრძელებს ხელების ფათურს.

იმ საღამოს ლაბორატორიაში ისხდნენ ქალაქის მერი ბატონი როდმერი, სადმორ ტრაური და ქალაქის მთავრი ექსპერტი სოუშო ალბედო. უცნაური მოთეთრო შუქი მკვეთრად ანათებდა ბატონ სოუშოს უთმო თავსა და გამღრძვალ კისერთან მიხვეტილ ნაკეცებს. თმის ნასახიც არ ჰქონდა მთელ სახეზე. ასეთი უნარბნამნამო დაბადებულიყო.

- რა ეპიდემიაზე მელაპარაკებითო, - კითხულობს როდმერი და შავ საქალღდეს ჩასცქერის.

- სწორედ ასეაო, - მოკუჭულ პირს ხსნის ექსპერტი ალბედო, - საფლავთა შინა დაშთენილ ძვლებში არ ჩასახლებულან ავი სულები, არც საკუთარი სულები დაბრუნებულან ლპობაგამჯდარ სხეულებში. არცა რაითა სატანისა მანქანებითა შთაუბერავთ სამშვინველი მათთვის. სწორედ რომ ეპიდემია მძვინვარებს. შფოთვენ გვამები! ვითარცა შფოთიანი კაცი ვერა ჰპოვებს სიმშვიდესა სულისასა, იგინიც ვერა დასდგებიან მარადიულსა განსასვენებელსა შინა.

სძულდა ბატონ როდმერს სოუშოს საუბარი, ერთი პირობა ენის ამოჭრა დაუპირა, მაგრამ მერე მიხვდა, წერიტაც ისევე დაწერდა, როგორი ენითაც საუბრობდა და ყოველივე სამომავლოდ გადადო.

კოლბაში ჩაგდებული ბაყაყით ერთობა სადმორ ტრაური, - შეი-

ძლება გორდონის გვამი ნაწილობით? - კითხულობს როკიოდ.

- ნაგრაგნით გუამი ეგე. უწყოდეთ, სნება მისი განვრცობილი არს სხვათა გუამთა ზედა.

- როგორ, გინდათ თქვათ, რომ გორდონის ცხედარი დაავადდა პირველი და შემდეგ სხვებსაც გადასდო?

- და სწორედ ასეაო, - პასუხობს სოუშო.

კვირა დილა თენდებოდა. მაშინ ასე არ იყო ხოლმე, მაშინ ბაზრობები მხოლოდ კვირაობით ეწყობოდა. გარდაცვლილების ქალაქში ბორილს ყველანი შეგუებული ვიყავით ასე თუ ისე. იმ დილით ბაზრობაზე უნდა გავსულიყავი აუცილებლად. ფეხსაც არ გავდგამდი გარეთ, ღმერთმანი, რომ არა ვალდებულება და ყოველდღიური ზრუნვა საკუთარი ხორცისათვის. გადავწყვიტე, პირველ რიგში ქალბატონ მარად საითახარის ყავახანაში ფინჯანი ყავის დასალევად გამევილო.

ყავახანას რომ მივუახლოვდი, მივხვდი, არ დამხვდებოდა მთლად დალაგებული სიტუაცია.

ერთი კვირის წინ გარდაცვლილი ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის გვამი საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ მაგიდასთან გამოქიმულიყო და მარადი ამოდ ცდილობდა მისი ყავახანიდან დათხოვას. ნამოვედი იქიდან და გრძელ ხეივანს გავუყევი. გასართობი პარკი უნდა გადამეჭრა, როდემერის სახელობის მოედანი და ბაზრობაზე გავსულიყავი. პარკის საქანელაზე ორი გვამი იდო და ორიც აინონა-დაინონაზე ბაირამობდა. მშვიდად გავცდი მოედანზე მოსეირნე მიცვალებულებსაც, მაგრამ საყიდლებზე გამოსული დოლორესების რვა დღის წინ გარდაცვლილი რძალი რომ დავინახე, ნერვებმა მიმტყუნა. საგვარეულო ციხედარბაზში დავბრუნდი. კარი გადავრაზე და ამ დროს მსახურმაც მაუწყა, ერთ-ერთი ცხედართაგანი ჩემს ჭაში მოკალათებულიყო და სასმელი წყალი დაებინძურებინა.

საერთოდ, მთელი ქალაქი სიბინძურესა და აუტანელ სუნში გაეხვია. სულ რამდენიმე ადგილასლა შეიძლებოდა სასმელი წყლის შოვნა, ვერც მეცნიერები გვშველოდნენ რამეს. ეპიდემიები მძვინვარებდა მოსახლეობაში.

ამ დროს კი ბ-ნი როდემერი საკუთარი ქალაქის დაქცევას ძველებურად აუმღვრეველი და ამაყი შეჰყურებდა. ცივი გონებით ჭვრეტდა ყოველივეს და გამოსავალს ეძებდა. მთელი ქალაქის ცხედრებს ვერ დავენავო, - ფიქრობდა, - გაჭირდება საქმე. მიცვალებულების დაწვა მთელი ჩვენი წარსულის, ჩვენი გვარისა და ჩვენი

გვარის სიმსივნის (წყველის) შეურაცხმყოფელი იქნებაო, - ტრადიცია იყო როდმერის ყველაზე დიდი შემკავებელი. ბოლოს ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები გაითავისუფლა და გასცა ბრძანება, ჩამოესხათ ფოლადის კუბოები, მიცვალებულები ჩაესვენებინათ და სახურავები დაედუღებინათ.

- გიიომ გორდონს რა ვუყოთო? - ჰკითხა სადმორ ტრაურმა.

გორდონის ცხედარი არ დაუბრუნებიათ თავის განსასვენებელში. სხვა დანარჩენი მიცვალებულები იმ დღესვე დაკრძალეს ფოლადის კუბოებში. სახურავები საგულდაგულოდ დაადუღაბეს და კვლავაც სულების მოსახსენებელი პარაკლისი გადავიხადეთ.

თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ყოველივე. მაგრამ როდმერს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. იმ საღამოს თვითკმაყოფილება სულაც არ დაუფლებია. გამოიკეტა მერიის კარი და წამით ტერასაზე შეყოვნებულმა მალა აიხედა. ჟანგისფერი ღრუბლები ჩამომხობოდნენ ქალაქს. ისეთი ცა იყო, დაუდევარი მხატვარი ფუნჯის ორი მონასმით რომ დახატავდა, - კვლავაც ყავისფრად ითოვებსო, - გაიფიქრა.

შუალამისას მიწის ძლიერმა რყევამ და გრუხუნმა გაგვალვია. ძილგამფრთხალი ქალაქის მთელი მოსახლეობა იგნისნოსტერის ბორცვზე შევიფინეთ, რომელიც სასაფლაოს გადაჰყურებდა. ხმაურიც სწორედ იქიდან მოდიოდა. ეს ჩვენი მიცვალებულები იყვნენ. საკუთარ ძვლებს ურაკუნებდნენ ფოლადის სამარეებს, ბორგავდნენ და ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით.

მალე ქალაქის მერიც მობრძანდა შემთხვევის ადგილას და სახლებში დაბრუნებისკენ მოგვიწოდა, - დაილღებიან და გაჩერდებიანო, - ირწმუნებოდა. ასეც მოვიქეციით. თუმცა, მიცვალებულები არ გაჩერებულან. კვლავაც შფოთავდნენ და ქაოტურად აბრაზუნებდნენ სამარის კედლებზე. ასე გავიდა ორი დღე, შემდეგ კი რიტმი დალაგდა და გულის ფეთქვას დაემსგავსა. ახლა ყველანი ერთად, ერთი სიძლიერითა და ინტერვალით არაკუნებდნენ სამარის კარზე.

ბატონი როდმერი... იგი კვლავაც აუძლვრევლად დაყრდნობოდა თავის ზორბა მკლავებით მაგიდას და უარს აცხადებდა მიცვალებულებთან კომპრომისზე.

ერთი კვირა ვიტანჯებოდით ასე, მიწა გაცოცხლდა თითქოს. მისმა გულისცემამ და ბლავილმა შთანთქა მთელი ქალაქი. იმ დღეებში მოსახლეთა ნაწილი დაყრუვდა, ნაწილი კი შეიშალა, გადავიდა ჭკუიდან.

ვეგრძნობდი, მეც აღარ მაკლდა ბევრი. გულის ყოველი ამოფეთქვა უცნაურად აღვიძებდა ჩემს სინდისს და ოდესღაც, ხსოვნაში დაძირულ ცოდვებს ატივტივებდა ზედაპირზე.

ამ დროს ქალაქის მთავარი ექსპერტი, ბ-ნი სოუშო აღბედო თავის ლაბორატორიაში იჯდა, რახმანიოვივით თითები თეთრი ხალათის ჯიბეებში ჩაელაგებინა და ფანჯრიდან იყურებოდა.

იცოდა ბატონმა სოუშომ, ამ არეულობის დამწყები იყო ერთადერთი, ვისაც ყოველივეს დასრულება შეეძლო. ისიც იცოდა, მკვდრები მანამ იბორგებდნენ, სანამ ძვლები არ შემოელენებოდათ და მაინც არ დამთავდებოდა ამით ქალაქის დაქცევა, - ახალი, და კაცის გონებისგან ჯერ კიდევ განუჭვრეტელი უბედურება დაგვატყდება, თუ არ შეიმუსრა მიზეზი და არ განიკურნა დასნებოვნებული ჩვენი ქალაქი მთლად.

ბევრი არც უყოყმანია ბატონ სოუშოს, არც როდმერს დაჰკითხვია რამეს, ისე მიაშურა ტელევიზიას და განგვიცხადა, - მიცვალებულებში ეპიდემიის გამავრცელებელი გიიომ მორტუს დე გორდონია და ჩვენი ერთადერთი ხსნა მისი უხრწნელი ხორცის დაშოშმინება არისო.

ამ დროს კი გიიომ გორდონის გვამი მერიის რომელიღაც ჯურღმულში ესვენა და არც კი შეეძლო, რომ ხრწნა დაენყო.

მისი სხეული, მისდა შეუცნობლად მარადიულ განსასვენებელსმომლოდინე, ახლა ბორგავდა და მძვინვარება ეუფლებოდა.

მარტო ერთი ადამიანის ნება რომ ყოფილიყო მისი სიკვდილი, კიდევ გადაიტანდა როგორმე, მაგრამ მკვლელობა ზემდგომ ინსტანციებში განიხილეს, წერილობით დააფიქსირეს და ბეჭედიც დაარტყეს. შფოთს ვერ იოკებდა გორდონი. უსამართლობის განცდა აიძულებდა ერთი მხრიდან მეორისკენ გადაენაცვლებინა და კვლავ და კვლავ სიზმარეულ ჩვენებაში განმეორებულიყო, თუ როგორ ენვია მკვლელი ღამით ბიბლიოთეკაში და მშვიდად მიუჯდა მაგიდას. ბატონმა გიიომმა იეროგლიფებით აჭრელებული გრაგნილი გადადო გვერდზე. ფინჯანი ყავა შესთავაზა მოსულს.

შემდეგ მთელი საათი მიმოიხილავდნენ ქალაქში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციას.

- სავალალო მდგომარეობააო, - ეთქვა მკვლელს თავის ქნევით და თვალეებში ჩაშტერებოდა გიიომს, რომელსაც წინასწარ შეემზადებინა სიტყვა, რომ ვერანაირ პროექტს ვერ დააფინანსებდა, მაგრამ

მკვლელს ამის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს, რაღაც უწყება ამოაძვრინა ჩანთიდან. უთხოვია, - გაეცანი და ხელი, აი, აქ მომიწერეო.

საბრალო გიიომ მორტუს დე გორდონი! კითხულობს თურმე და არ უჯერებს საკუთარ თვალებს...

ოთახის სიბნელიდან ჩურჩული გამოდის და ჩემკენ მოემართება. N-როდენობით მამიდაჩემის მძივები და სამაჯურები აუსხამს და მოჩხრიალებს.

- სჯობს თავად წაიკითხოსო, - ეუბნება კაედეს და რაღაც ქალაღდს მანვდის. მამიდაჩემი აღმაცერად გახედავს ჩურჩულს და თან ჩიბუხში თუთუნს ტენის. წერილია. სწორედ ის წერილი, რომელიც ამ ათიოდ წლის წინათ გიიომ მორტუსს ეჭირა და ვერაფრით დაეჯერებინა წაკითხული.

ბ-ნი როდმერი იუწყებოდა: ჩვენი ქალაქის მერიამ, შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება სიცოცხლე მოუსწრაფოს ამავე ქალაქში მცხოვრებ ბატონ გიიომ მორტუს დე გორდონს, რადგან მისი სიკვდილი არაჩვეულებრივად წაადგება ჩვენს ქალაქს.

- თქვენო აღმატებულება, ბატონო გორდონ, გულწრფელ ბოდიშს გიხდით იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქის მერიამ თქვენს მაგვირად ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და დავასკვენით. თუ ეს შეღავათი იქნება თქვენთვის, მინდა მოგახსენოთ, რომ პირადად თქვენი სანინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ, ხომ იცით, ეს საზოგადოებრივი ინტერესები! ჩვენ განსაკუთრებული ვალდებულებები გვაკისრია ხალხისა და ქალაქის წინაშე. გულწრფელად გვშურს თქვენი ხვედრის, თქვენ ხომ გაქვთ პატივი მსხვერპლად შეეწიროთ მოყვასთა კეთილდღეობას. წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას განუელი სამსახურისათვის.

სხვა მხრივ, კეთილად ბრძანდებოდეთ, ბატონო გიიომ მორტუს დე გორდონ, ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი თქვენს სულს.

ქალაქის მერი ბ-ნი
როდმერი.

ღმერთი და ლიმონიანი ჩაი

დილის 7 საათი, ლამპიონებით განათებული სველი ქუჩა. ბრძანება - ძებნა! სამი წამი და ნაცრისფერი კორპუსი, მეთერთმეტე სართული, მწვანეშპალერიანი ოთახი, რკინის საწოლი, თეთრ ზენარში გახვეული თბილი მასა... ძილშიც კი არ ასვენებს დამქანცველი ფიქრები. ოდნავ გამოღებული კარის უკან ვიღაც დგას და მის წილ ჰაერს სუნთქავს. საჭიროა დაზუსტება - მიზანში ამოიღეს და წავიდა... გრძნობის რეცეპტორები - წესრიგში აქვს, სიამაყის მაჩვენებელი - არაამქვეყნიურად მაღალი, ემოციები - პაროლს ითხოვს, წარსული - დაბლოკილია, მომავალი - პაროლს ითხოვს ისევ... ძიება დასრულებულია, ობიექტი აღმოჩენილია, სიგნალმა ქვესკნელამდე ჩააღწია, ადრესატი კმაყოფილია, ინფორმაციის წყარო - განადგურებული... საწოლი შეირხა. რვა საათი დაიწყო. ცივ იატაკზე წყვილი გამხდარი ფეხი გამოჩნდა, ლანდი კედელზე განვა და ფანჯარას მიუახლოვდა... დამიმახსოვრე სამყაროვ, უფალი გესალმები! ირგვლივ სიბნელეა, გაყინული მინა თითების მიახლოებით დაიორთქლა, მაგრამ ანაბეჭდი არ ჩანს.. ჰმ, ანაბეჭდი? მერედა, არ იცით, რომ ღმერთებს ის არ გვაქვს? მიმიფუთხებია თქვენი თავდაცვის მექანიზმის სრულყოფილი სისტემისათვის, გიმეორებ, ჰეი, კაცობრიობავ! მე საკუთარი თავის და შენი უფალი ვარ. ნუ გიკვირს, სიცივე მეც თქვენსავით მაღიზიანებს, თვალეში რას მიყურებ, რას დაინახავ, საცოდავო ქმნილებავ, ვიღაცამ შენი დღიურის ფურცელზე მიგიჯღაბნა: „თვალეები სულის სარკეაო“ - და შენც გჯერა არაა? მანდ ავხორცი ღმერთების შთამომავლებზე არაფერი წერია? მე კი გეტყვი, რომ ჩემს თვალეში ვერაფერს დაინახავ, მე მხოლოდ მკერდზე დამეტყო, როგორ მოქმედებს სიცივე ჩემზე... რაო? სისხლი მოგანვა? მაგრამ რა მიკვირს ადამიანის, რომლის მახვილმა გონებამ „ინცესტიც“ კი აღიარა და შეისისხლხორცა. იქნებ შემდეგი მეც კი ვარ რიგში, მაგრამ ვერ მოგართვით, იქნებ დროს ჩამორჩა თქვენი ღმერთი, მაგრამ მაინც მოვითხოვ, თავი ვანი თუ არა, პატივი მაინც მცეთ! უბრალო მოკვდავებო, ერთმანეთით მოიკალით ჟინი, ჯავრი იყარეთ იმ ხორცის ნაგლეჯებზე, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეეხრწნებით. შემდეგ კი თქვენი პირმშოც წინაპრების განვლილ გზას დაადგება და ასე გაგრძელდება, სანამ ყელში არ ამომივა ეს ამაზრზენი სანახაობა, რასაც თქვენი ცხოვრება ჰქვია. დაწყველილი გენი გაქვთ, მაგრამ არ მეცოდებით, საკუთარი თავი მეცოდება, თქვენი ყურება რომ მიწევს, თქვენი ვედრებისთვის

ყურის დაგდება, ჩემს კერპებთან თქვენი ყალბი ცრემლების ღვრის ცქერა.

ზაფხულის ცხელ საღამოს, როცა რომელიღაც თქვენგანი, ერთ-ერთი გზააბნეული მდედრი კუთხეში იქნება მიმწყვდეული, მაშინ გავახსენდება, მხოლოდ შემდეგ დაინყებს ვედრებას, მე კი მაგ დროს ცხელ ჩაის ვსვამ ხოლმე ლიმონით და აივნიდან ვიყურები. შენ კი, საცოდავო ჰომოსაპიენსო, ტანსაცმელს გახევენ, მტვერში გსვრიან, ძალას გატანენ. შენი აზრით, მთელი მარადისობა ერთი და იმავეს ყურებით არ დავიღალე? შენ ჩემს ადგილას მაშინვე გავარდებოდი გაჭირვებულის დასახმარებლად? დავიჯერო, შენ არ გიყვარს ლიმონიანი ჩაი? მე კი მიყვარს და მილიონობით შენნაირს მირჩევნია, ეგრე ნუ მიყურებ, ღმერთი ვარ, ჩემი ნებაა. მაგრამ, როცა შენი „ნაპოლეონი“ საბოლოოდ დაგიპყრობს, მერე დაგეხმარები, სულ რაღაც ცხრა თვეში, შემდეგ კი მიხვდები, მაინც რა კარგია, მე რომ ვარსებობ ამქვეყნად. ნუ გეშინია, თუ ბევრს ილოცებ, ვეცდები, ბავშვს „ნაპოლეონის“ თვალები არ გამოჰყვეს, ეგრე რატომ მიყურებ? მიხვდი, რომ დაგცინი?!

მოიცა! ვინ ხმაურობს? ვინ გაბედა ჩემს ხუმრობაზე სიცილი?! ოოო, მამაკაცებო! ადამის მოდგმავ! ხელოსნებო და მეხანძრეებო, სანიმუშო მამებო და მარადიულო ქმრებო, თქვენ რაღა გაცინებთ? მათზე უკეთესი გგონიათ თავი? მოდი, მაშინ სხვაგვარად დავინყოთ.

დუბლი 2.

ოოო, მამაკაცებო, ადამის მოდგმავ, ხელმოცარულო ბიზნესმენებო და არშემდგარო მენარმეებო, გაკოტრებულო ბანკირებო და დაპატიმრებულო დირექტორებო, ბოლოს და ბოლოს, მარადიულად ქმრობისთვის განწირულო არსებებო! რა გიხარიათ, თქვენს ნაშიერებს იქნებ სხვისი თვალები გამოჰყვე... მაგრამ თავს მაინც სამყაროს ღერძად თვლით, მე გაკვირდებით და გეთანხმებით, განსაკუთრებით დილით, ნაგვის გადასაყრელად როცა მიდიხართ, მაშინ, მაგ დროს ერთ ხელში ნაგვის პარკი უნდა გეჭიროთ, მეორეში კი კვერთხი გეპყრათ, მაგრამ არა უშავს, ისედაც სასაცლოები ხართ. არც ერთი ხართ მოკვდავთა შორის უკეთესი. ცხვრები ხართ და თქვენგან ფარას მე ვქმნი, მსახიობები ხართ და სპექტაკლს კი მე ვდგამ. ცრუმორწმუნეები ხართ და, აჰა, მეც აქ ვარ! მონობა გაქვთ გენში და მიმიღეთ მე, თქვენი მბრძანებელი!

საუკუნეში ერთხელ თუ გამოერევა თქვენში ღირსეული, თქვენ კი ღირსების დანახვა არ გსურთ, ათასში ერთი ქადაგებს ჭეშმარიტებას, თქვენ კი არ გსურთ შესმენა. მე რით გიშველოთ? ფრთები

შეგასხათ? არც ეგაა პრობლემა, მაგრამ ფრთები ხოხვაში ხელს შეგიშლით, თქვენ კი რა უძლურები ხართ ამ ცდუნების წინაშე!

განთიადი არ მიყვარს-მეთქი, - ვამბობდი რამდენიმე საუკუნის წინ, მაგრამ მაინც დამათენდა. ეზოში ნარინჯისფერში გამოწყობილი მეზოვეები დავლანდე, უკვე გათენდა, თქვენთან საუბარი კარგია, მაგრამ გვერდით ოთახში უნდა გავიდე და ჩაისთვის ელექტრომაღულარა ჩავრთო. ხომ ხედავთ, ყოფით პრობლემებს ვერც მე გაუზრბივარ, მაგრამ სანამ კარს გავიხურავ, დღევანდელი საუბრით დაზაფრულო და შეძრწუნებულო ადამიანო, კიდევ ერთს გეტყვი: წადი და ნულარ ცდილობ სხვებისგან გამოირჩეოდე, წადი, ჩაები სიცრუისა და პირფერობის ფერხულში, საკუთარი როლი ითამაშე, შენ გადანყვიტე, ეს როლი დადებითი იქნება თუ პირიქით, წადი და იცხოვრე შენი ცხოვრებით, ოღონდ ღმერთი გირჩევს:

ნუ დაეცემი სულით, მუხლებს გადაიტყავებ.

კვილი
Edvard munch “scream”

გახსენებაც კი არ მინდა ამ ყველაფრის. საშინელებაა. ანდა, რომ არ მოვყვე, ისიც არ შემიძლია, ვინმეს ხომ უნდა ვუთხრა? „ვინმე“ კიდევ ვინ იქნება, თუ არა შენ. მეგობრები დამცინებენ, მშობლები წამლებს დამალევენებენ. შენ კი, მაქსიმუმ, მეორედ აღარ წაიკითხავ ნაწერს, ესაა და ეს, მეტი არანაირი გართულება არ მოყვება ამას შენთვის, ამიტომ გეტყვი. ესე იგი:

იმ დღეს, კონკრეტულად კი ერთი წლის წინ, და უფრო კონკრეტულად კი 28 ნოემბერს, ვსეირნობდი. მიყვარს მარტო სეირნობა და მუსიკის მოსმენა, მაგრამ იმ დღეს მუსიკას არ ვუსმენდი. მინდოდა შემემონებინა ჩემი ფეხების ინტუიტიურობა და ბოლომდე მივინდე, მაინტერესებდა, სად წამიყვანდნენ. ბევრი მატარეს. საერთოდ, როგორც წესი, ქუჩაში გამვლელებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე, ვიძაბები. ის დღე გამონაკლისი იყო ამ მხრივაც. ბნელიანივით ვიყურებოდი ირგვლივ და მივდიოდი. მოკლედ, ჯერ არაფერი ისეთი, შეიძლება გაიფიქროთ კიდევ, რომ ტყუილად მოცდით, მაგრამ მოიცათ, ყველაფერი წინაა.

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე... აი, უნებლიედ ზღაპრის ელფერს ვაძლევ თხრობას, პრინციპში, სხვაგვარად შეუძლებელიც კია. ეს ყველაფერი რა იყო, თუ არა... მორჩა, მორჩა, ვხვდები, რომ დალაგებულად ვერ ვყვები და თავს ვაბეზრებ მკითხველს, თუმცა, მკითხველი გამიგებს, როცა ისტორიას ბოლომდე ჩაიკითხავს. მხოლოდ ფაქტები, მეტს აღარაფერს ვიტყვი ანი. მოკლედ, 28 ნოემბერს ვსეირნობდი ქუჩაში. სუსხი იყო და ციოდა, თუმცა, ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სიცვიის აღქმაზე პასუხისმგებელი რეცეპტორების თანდაყოლილი უკმარისობა მაქვს. ეს, ერთი შეხედვით, კარგიც კია, რადგან არასდროს მცივა, თუმცა, მეორე მხრივ, ცუდია, რადგან არასდროს მცივა. ისევ მივედმოვედები, ხო? თავიდან:

28 ნოემბერს ვსეირნობდი ქუჩაში. სუსხი იყო. ქარი უბერავდა ცოტათი. საათნახევრიანი ბოდიალის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემს ფეხებს ტვინი არ აქვთ და საერთოდ არ დაეჯერებათ, რადგან სადღაც გადაკარგულში ამოვყავი თავი. ქალაქის ამ ნაწილში ცხოვრებაში არ ვყოფილიყავი და ცოტათი შემეშინდა კიდევ. ბევრი ადამიანიც არ დადიოდა. პრინციპში, საერთოდ არავინ დადიოდა. მოკლედ, გონება

ჩავრთე საქმეში, სხვა გზა არ იყო, და გამოსავლის ძიებას შევუდექი. ძიების პროცესში კი ჩემ წინ ხიდი დავინახე. ცოტათი გამიკვირდა. პრიციპში, ქალაქში რომ ხიდი ნახო, აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ დაუკვირდით: ხიდი იყო ხის, საკმაოდ გრძელი და ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მდინარეც არ იყო. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ჩემს გეოგრაფიულ უმეცრებას დავაბრალებ და გზა განვაგრძე. დავინტრიგდი, გადავწყვიტე ხიდზე გავლა.

ვგრძნობდი, რომ ფეხქვეშ ფიცრები ირყეოდა და ამან ცოტათი შემაშინა. გამახსენდა ხიდის ჩანგრევის ათასი შემთხვევა (სინამდვილეში, სულ ორი - ისიც რეგიონებში, მაგრამ ჩემი დაძაბული ფსიქიკისთვის ესეც საკმარისი გამოდგა). მიუხედავად შიშისა, უკან გამობრუნებაზე არც მიფიქრია, რადგან მტკიცედ მწამდა, რომ ხიდის ბოლოში ტაქსი მელოდა (არ ვიცი, რატომ მეგონა) და სახლში წასვლასაც შევძლებდი. ასე, ოცდაათი მეტრის სიგრძის იქნებოდა ხიდი. ათი უკვე გავლილი მქონდა, როცა ორი პერსონა დავინახე, ჩემკენ მოდიოდნენ და ვიფიქრე, ჩემი გატაცება ხომ არ უნდათ-მეთქი. ამ უცნაურმა აზრმა გამაკვირვა, ძლივს მივედი აღმოჩენამდე, რომ ჩემ უკან გზა იყო და ეს ორი პატიოსანი მოქალაქეც, სულაც არ მოდიოდა ჩემი მიმართულებით, უბრალოდ, იმ გზას მოუყვებოდნენ, რომელსაც მე საპირისპირო მიმართულებით მივუყვებოდი. დამშვიდებულმა სვლა განვაგრძე და შევამჩნიე, რომ ხიდის დასაწყისში შეყოვნდნენ, დაიხარნენ, ხელები გაიშვირეს წინ, დაბლა და მერე ისეც გაიმართნენ. ალბათ რამე აიღეს, ან ძალღს მიეფერნენ, ან რა ვიცი, რა ქნეს, ვერ დავინახე-მეთქი, აკი ვთქვი და მარჩიელობას აზრი არ აქვს. შავებში იყვნენ შემოსილი, საკმაოდ უცნაურად. ფილმებში მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელ ჯენტლმენებს რომ აცვიათ ხოლმე, ისეთი პლაშები ეცვათ და ერთს ცილინდრიც კი ეხურა. ამან უფრო დამაბნია, რადგან აქ და ამ ეპოქაში ამგვარად ჩაცმული აქამდე არავინ მენახა. მიახლოვდებოდნენ.

ღრმად ჩავისუნთქე და გზა განვაგრძე. გადავწყვიტე, შიში დამეძლია. სამი ნაბიჯი გაბედულად გადავდგი, თუმცა, მერე მზერა დავაბე და უცნაური კაცების ზურგს უკან რალაცას დავაკვირდი. სამი სილუეტი გავარჩიე. აი, აქ კი ნამდვილად შემეშინდა, თუმცა არ მახსოვს წესიერად - რატომ. ფაქტია, რომ რალაც საშინელება ვნახე, რამაც ადგილზევე გამაქვავა. ის რალაცა იმდენად საშინელი იყო, რომ ველარც ვიხსენებ, ჩემი მხდალი ტვინი თავს იცავს და ეშინია, რადგან იცის, რომ გახსენებამ შეიძლება ბოლო მომიღოს. საინტერესო კია, რა იყო, რას არ მივცემდი ახლა იმ სურათის დეტალურად აღსადგე-

ნად!

მერე კადრები იდღაბნება. მახსოვს, რომ შემოვტრიალდი და თავზე ხელები ვიტაცე, ვიფიქრე, რომ იმ კაცებს ვერაფრით ავუქცევდი გვერდს, ვაი და, ზურგიდან დანა ჩაერთყათ ან რამე ექნათ, რამე საშინელება. კაცი რომ მეცხრამეტე საუკუნის ლონდონელივით დადიხარ, შენგან ყველაფერია მოსალოდნელი. მეორეც, დავუშვათ, უვნებლად გავცდენოდი ამ კაცებს, ეგ კიდევ არაფერი, წინ ხომ ნამდვილი „საშინელება“ მელოდა და გულგრილად ნამდვილად ვერ ჩავუვლიდი! რა იყო, ღმერთო, გამახსენე რა, რა იყო?..

მოკლედ, შემოვტრიალდი და თავზე ხელები ვიტაცე. მერე ვიგრძენი, რომ ნელ-ნელა ცა განითლდა და მდინარე გაშავდა. ვხვდებოდი, რომ რალაც ხდებოდა ჩემს თავს და იმას ვნატრობდი, რომ ამ რალაცას დროზე მოღებოდა ბოლო და ან მოვმკვდარიყავი ან კიდევ რამე მომხდარიყო. ამ განელილი და მტანჯველი პროცესის ატანა უკვე აღარ შემეძლო. თვალები დავხუჭე, თუმცა, ორიოდ წუთში გახელა მომიწია, რადგან ვიგრძენი, რომ რალაც მემართებოდა. ტანზე დავიხედე და მივხვდი, რომ ჩემი სხეული საშინლად დეფორმირდებოდა და დრეკადი ხდებოდა, ჩემდა უნებურად წალმა-უკულმა ილუნებოდა და მე არ შემეძლო მისი გაჩერება, თითქოს საერთოდ არც არაფერ შუაში ვყოფილიყავი. რა უნდა მექნა? თქვენ რას იზამდით ამგვარ ვითარებაში? ავდექი და ვიკივლე. მერე აღარაფერი მახსოვს. აი, იმის გახსენებაში კიდევ, უუხ! ცხოვრებას მივცემ, ვინც გამახსენებს რა საშინელება ვნახე, მაგრამ მეეჭვება, ვინმეს რამეში გამოადგეს ჩემი ცხოვრება და, მით უმეტეს, ჩემი დახმარება შეძლოს, იქ ხომ მხოლოდ მე ვიყავი, ის ორი კაცი და სამი სილუეტი.

ორი დღის შემდეგ გამბედაობა მოვიკრიბე და გადავწყვიტე, ისევ იმ ადგილას წავსულიყავი. ვინიცობაა მენახა ის ორი კაცი და გამომეკითხა, რა მოხდა, ან სულაც იმ სამ სილუეტს წავწყდომოდი, მაგრამ ყველაფერი კრახით დასრულდა, რადგან როგორც თქვენ არ ყოფილხართ იმ ხიდთან არც პირველად და არც მეორედ, ისე მე ველარ მივაგენი იმ ადგილს. ყველას უკვირდა, როცა ვეუბნებოდი, სადმე ხომ არ იცი ხის ხიდი-მეთქი. არავინ იცოდა, ცხადია, და მე კი დამცინოდნენ მსგავსი სულელური კითხვებისთვის. ერთი სამი დღე ვიბრძოლე, ვინვალე, სად არ მივედე და სად არ მოვედე, მაგრამ, როცა არაფერი გამომივიდა, ფარ-ხმალი დავყარე და თავი ვაიძულე, დამეჯერებინა, რომ არც არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ნასვამი ვიყავი და დამახინჯებულად მახსოვს ფაქტები, ან კიდევ რამე ვჭამე, რისი ჭამაც არაა რეკომენდებული და ჰალუცინაცია იყო, ან ტებლეტი გადავყლაპე

შეცდომით, ან... თუმცა, სულ ტყუილად ვწვავლობდი, რადგან ისეთი რამე შემემთხვა, რის დავინწყებასაც ნორმალური კაცი არ ეცდებოდა. და როცა დავფიქრდი, მივხვდი, რომ სისულელეს ჩავდიოდი. გადავწყვიტე, კრინტი არავისთან დამეძრა მომხდარის შესახებ, დავინწყებით კი არც არაფრის დავინწყება მიცდია. თუმცა, არავისთვის არაფრის თქმაც რომ რთული საქმე გახლდათ?

„ძალი

ერთ მშვენიერ დღეს, როცა გარეთ მზე ანათებდა და ამინდიც შესაფერისი იყო, ოჯახმა გასეირნება განიზრახა. ოჯახს შეადგენდა ქალი, კაცი და ბავშვი. გარეთ გავიდნენ სახეტილოდ. ბავშვი ჩუმად მიდიოდა. ცოლ-ქმარი კი საუბრობდა და ყურადღებას არც აქცევდა პატარას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ხიდს მიადგნენ. ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, რადგან ვერ მიხვდნენ, აქ როგორ აღმოჩნდნენ და, საერთოდ, სად იმყოფებოდნენ. გადაწყვიტეს ხიდზე გადასვლა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ გაღმა ტაქსი იდგა, რომლის მემშვეობითაც ადვილად გაიგნებდნენ გზას.

- მოიცა, საყვარელო, ასე არ შეიძლება! - თქვა ქალმა და მეუღლე შეაყოვნა. კაცმა გაკვირვებით შეხედა ცოლს, რომელიც ჩანთაში იქექებოდა და რალაცას ეძებდა.

- მოდი აქ, მოდი დროზე! - ქალმა ბავშვს დაუძახა, რომელიც მორჩილად აიტუზა დედის წინაშე.

- ეს გაიკეთე, მომე კისერი!

- კარგი, რა, საყვარელო, იქნებ არაა საჭირო?

- მე უკეთ ვიცი, უცხო ადგილას ვართ და უხერხულია.

- რაა უხერხული?

- ხალხი რას იტყვის? ვინმე ნაცნობი რომ შეგვხვდეს? ხომ იცი ამისი ამბავი, რომ დაიწყოს ახლა თავისებურად...

- მიდი მაშინ, შენ უკეთ იცი, მართალს ამბობ.

- მოდი აქ! - ქალი ბავშვს ეძახდა, ერთი წუთის წინ ნორმალური ბავშვი კი ცოფიანივით დარბოდა წრეზე.

- დაიჭირე, საყვარელო, ამის დევნის თავი არ მაქვს მე!

კაცმა ბავშვს ქეჩოში წაავლო ხელი. ბავშვი იკლავებოდა, იგრიხებოდა, მაგრამ ხელიდან ვერ უსხლტებოდა. ამასობაში კი დედამ ყელზე თოკი გამოაბა და მოქაჩა კვანძის შესამოწმებლად. მყარად აღმოჩნდა განასკვული.

- ახლა კი შეგვიძლია გზა განვაგრძოთ! - ქალმა კაცს გაუღიმა და იგივე მიიღო საპასუხოდ.

ქალი, კაცი და დაოთხილი, თოკგამობმული ბავშვი ხიდზე გადასვლას აპირებდნენ, როცა ორი კაცი წამოეწიათ. უცნაურად გამოიყურებოდნენ: შავი პლაშები ემოსათ, ერთს ცილინდრი ეხურა თავზე, ზუსტად ისე, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელ ჯენტლმენებს როგორც ეცვათ ხოლმე.

- რა საყვარელია, თქვენია?
- დიახ, ჩვენია.
- შეიძლება მივეფეროთ?
- როგორც გენებოთ.
- ოღონდ ფრთხ...

მამამ სათქმელის დასრულება ვერ მოასწრო, ცილინდრიანი რომ დაიხარა და ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. იმან კი შეუღრინა და საკბენად გაიწია, თუმცა დედამ გააკავა.

- ბოდიში, გიუცხოვათ და... მოგვიტყვეთ.
- როგორ იქცევი, არ გრცხვენია?! - დარცხვენილმა კაცმა ბავშვი დაარიგა და ისიც გაიტრუნა, ეშინოდა ალბათ.

- ძალიან საყვარელია, რამდენისაა?
- ხუთის.
- უი, რამხელა ყოფილა!
- მართლაც!
- ღმერთმა გაგიზარდოთ! ბიჭია თუ გოგო?
- გოგო.
- სასიამოვნო იყო, კარგად ბრძანდებოდეთ!

ცილინდრიანმა გაუღიმა წყვილს და გზა განაგრ...

...აი, აქ კი კალამი გვერდზე გადავდე და დავფიქრდი. ახლავე გაგარკვევთ, რაშიცაა საქმე: იმ შემთხვევის მერე წერა დავინწყე, ვწერდი ბევრს. ვწერდი ფანტასტიკურ მოთხრობებსა თუ ნოველებს, რომლებიც ფანტასტიკურად ცუდი იყო და არავინ კითხულობდა. ყველა სიუჟეტში იყო ხიდი, ინგლისელი ჯენტლმენები, სამი პირი, წითელი ცა და შავი მდინარე, რაც, ცხადია, ბევრს არ აინტერესებდა, თუმცა ეს მე ფეხებზე მეკიდა, რადგან სხვა მიზანი მქონდა: რაც კი რამ მომივიდოდა გონებაში, ყველაფერი ფურცელზე გადმოიმქონდა, თუნდაც სრულიად აბსურდული და უაზრო, ეს ერთგვარი ტესტი იყო - ტესტი გონებისთვის! ასე ვცდილობდი, იმ დღეს მომხდარის შესახებ ჩემი მეხსიერებისათვის რამე დამეტყუებინა. ვინიცობაა, რომელიმე ჩემი სიუჟეტი მიმემსგავსებინა იმდღევანდელისთვის და ყველაფერი გამხსენებოდა. ასე რომ, სულაც არ ვღელავდი, თუ ჩემი რომელიმე

მეგობარი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, თუ რა საშინელებებს ვნერსხვა თანამედროვე მწერლებთან შედარებით. ისე, ეს მდგომარეობა სასაცილოც კი გახლდათ, რადგან მე მათ ნამდვილ მიზეზს ვერ ვუმხედდი, ისინი კი სერიოზულად აღიქვამდნენ ჩემს ახირებას და მეტიც, მეუბნებოდნენ, რომ ნიჭი მქონდა, მაგრამ ტყუილად და უაზროდ ვფლანგავდი! ჰაჰა, არადა, ზუსტად ვიცოდი, რომ ნიჭი რომც მქონოდა, მაინც არაფერში გამომადგებოდა, რადგან მწერლობას ნამდვილად არ ვაპირებდი.

მოკლედ, ამგვარად იყო საქმე, როცა ერთ საღამოს დავჯექი და დავინწყე ნოველა „ძალის“ წერა. ზემოთ ხსენებულ ადგილამდე რომ მივდი, კალამი ხელიდან გამივარდა (ნუ, ამ აქტში ცოტათი თეატრალური ელემენტებიც ერია, მაგრამ მერე რა?), რადგან გამახსენდა! ისეთი განცდა დამეუფლა, როგორც ექნებოდა ალბათ ბუდას გასხივოსნებისას, თუმცა ბუდას გასხივოსნება ამასთან შედარებით სისულელე იყო და მეტი არაფერი. მე უფრო დიდ რამეს წავაწყდი. ამდენი ხანი რაც მტანჯავდა და მღრღნიდა, იმას ბოლო მოვუღე და მეტი რაღა გასხივოსნება გინდათ?

ახლა კი დროა წერას შევეშვა და ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდე, არ შემიტყუოს ამ საქმემ და არ დავიღუპო თავი სრულიად შემთხვევით. კარგად ბრძანდებოდეთ, ძალიან დამეხმარეთ, მშვიდობით!

* * *

- დიახ, დიახ, ჩემი მეგობარია, რა ხდება, გამარკვევთ ვინმე?

- სასიამოვნოა. ახლავე გაგარკვევთ: ესე იგი, თქვენმა მეგობარმა ანამნეზის შეკრებისას განგვიცხადა, რომ გასული წლის 28 ნოემბერს სეირნობდა ქუჩაში და თავი უცნობ ადგილას ამოყო, უბანს ვერ გვისახელებს და აღწერილობით კი ვასკვნით, რომ ამგვარი უბანი ჩვენს ქალაქში არც არსებობს და არც არასდროს არსებულა. მან სრული დამაჯერებლობით განგვიცხადა, რომ რაღაც ხის ხიდს მიადგა და გადასვლა განიზრახა. მოგეხსენებათ, ჩვენს ეპოქაში ხის ხიდები მუზეუმებშიც არაა შემონახული. ის კი დარწმუნებულია, რომ ხიდი იყო ხის და ფიცრებიც კი ჭრაჭუნობდა ფეხქვეშ. შემდეგ გვითხრა, რომ ვილაც ორი შავებში ჩაცმული კაცი ნახა, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი ჯენტლმენებივით ეცვათ. სანამ მიუახლოვდებოდნენ, ცოლქმარს შეხვდნენ, მათ ბავშვი ჰყავდათ, რომელსაც კისერზე თოკი ძალღივით ჰქონდა გამობმული. მამაკაცები ბავშვს მიეფერნენ, ბავშვმა კი საკბენად გაიწია, ის დედამ გააკავა და მამამ კი დატუქსა. შემდეგ ორი მამაკაცი ისევ მისკენ გამოემართა, ამ დროს მდინარე

გაშავდა და ცა განითლდა. არ ვამეტებ, ბატონო, ასე მითხრა სიტყვა-სიტყვით: მდინარე გაშავდა და ცა განითლდაო! შემდეგ კი სხეულმა დეფორმაცია დაიწყო და ვიკივლეო. თქვენს მეგობარს ჰალუცინაციები აქვს, როგორ ფიქრობთ, არაა საჭირო მკურნალობა?

- გასაგებია, გმადლობთ.

ესეც შენ! გამყიდველი მეგობარი! იუდა! არადა, ყველაზე ნაკლებად ამისგან ველოდი! როგორ დამტოვა ამ ცხოველების ხელში? ხომ იცოდა, რომ არ ვიტყუებოდი და მართლა ვნახე ეს ყველაფერი?

არა რა, დასკვნა ერთია: არავის არაფერს ვეტყვი და ნაწერებსაც სასწრაფო წესით გავანადგურებ, თორემ მართლა გამომკეტავენ საავადმყოფოში და არც არავინ იქნება მერე იქიდან ჩემი გამომყვანი.

ასე რომ, მორჩა! ხმა, კრინტი, ჩუმად ვარ!

ორი ბილეთი ევროპამდე და უკან

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ირგვლივ განლაგებული ყველა ხმის გამაძლიერებლიდან გვატყობინებენ, რომ ჩვენი თვითმფრინავი ბაზელის მიმართულებით ორმოცდაათიოდე წუთში გაფრინდება. რეგისტრაციაგავლილები პირველსავე სკამზე ვეხეთქებით, მოხმარებულ საბუთებს უკან, ჩანთებში ვინახავთ და სრულიად კმაყოფილები ერთანეთს გადავხედავთ.

მაღევე ვამჩნევ, რომ ორივეს ერთი უჩვეულო და ცოტათი სასაცილო რამ გვჭირს: ყოველ ორ წუთში ჩვენ-ჩვენი ზურგჩანთის ჯიბეებს ისტერიულად ვხვნი და შეშლილი სახით ვამონმებთ უკვე ბარე ოცჯერ შემონმებულ ბილეთებს. ვფიქრობ, არაფერია გაუგებარი, ჩემი მარტივი და სრულიად არაპრეტენზიული ფსიქოლოგიური დასკვნით, უბალოდ, ორივეს საშინლად მიგვეჩქარება იქ, შუაგულ ევროპაში და მეტი არაფერი...

ორმოცდაათი წუთიც, როგორც ასეთ დროს ხდება, საშინლად გაინელა და თან ჩვენი მოუთმენლობაც ჩაითრია. აი, ჩასხდომის ნიშანიც და ხელჩაკიდებულები ტრაპისაკენ მივეშურებით. ცალი ხელით ერთმანეთს ვებლაუჭებით, მეორეთი - ბილეთებს...

ისე, რომ გეგმაში არც კი მქონია, თვითმფრინავში ჩამეძინა. როცა გამოვფხიზლდი, მას მუხლებზე რუკა ჰქონდა გაშლილი და ბაზელის თეორიულად ათვისებას ცდილობდა. რუკის მინანურებზე ამოვიკითხეთ, რომ ოფიციალურად მასპინძლობას შვიდი მილიონი შვეიცარიელი გაგვინევდა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანია და რომ იმდენად ბევრ ენას ფლობენ, თავისუფლად შეგიძლია მათთან საუბარი საოცრად მრავალფეროვნად წარმართო. ასეა, მეტყველებენ გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და თვით რეტორმანულ (!!!) ენებზე (მერე რა, რომ ჩვენ მას არ ვფლობთ). ამას დავუმატოთ ის დეტალებიც, რაც ამ რუკის გარეშე და მის დაუხმარებლადაც საერთო ძალებით ვიცოდით. მაგალითად, ის, რომ სულერთი იყო, ველოსიპედს ვიყიდდით, თუ სენდვიჩებს მივირთმევდით, ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, ფული ევროებში უნდა დაგვეხარჯა...

ევროებზე გამახსენდა მთავარიც, უკვე ოთხი წელია, სრულიად

საფეხბურთო ევროპა შიდა მასშტაბის ჩემპიონატს ელის. ჰო, 2008 წლის 7 ივნისის თბილ საღამოს, ადგილობრივი დროით (რომელსაც ახლა უკვე ყველა ევროპელი დაემორჩილება) 18:00 საათზე მატჩის მთავარი არბიტრი სასტვენით მთელ ევროპას (და არა მარტო მას) აუწყებს, რომ დაიწყო!!!

დაიწყო ის, რასაც ამ ხნის განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით გვიმზადებდნენ ავსტრალიელები და შვეიცარიელები, რასაც ერთ-ნაირად ელოდა ფრანგი და ესპანელი, თურქი და პოლონელი...

ეს ყველაფერი შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში, სენტ იაკობ-პარკზე მოხდება. სწორედ იქ, სადაც ასე მივიჩქარით ახლა ჩვენ ორნი, ჩვენი ორი ბილეთით...

- გთხოვთ მოემზადოთ, რამდენიმე წუთში თვითმფრინავი დაეშვება. შვეიცარიაში ახლა 12 საათი და 17 წუთია. ქალაქ ბაზელში ჰაერის ტემპერატურა 22 გრადუსია”, - მომსახურე პერსონალის ერთ-ერთი წევრის სასიამოვნო ხმის ტემბრი და ჰამბურგერის მოზრდილი ლუკმა...

ჩავედით... მგონი სტიუარდესამ აშკარად გადააჭარბა. ნამდვილად არ იგრძნობოდა, რომ ადგილზე 22 გრადუსი იყო. ცოტათი შემცივდა კიდევ...

ქალაქი ადგილობრივებითა და ათასი რჯულის ტურისტითაა სავსე. სულერთია მარკეტში შეიხედავ, თუ მეტროში ჩახვალ, ყველგან ზეიმია, ჰაერი ევროპული ფეხბურთით არის გაჯერებული.

დაბნეული ქართული ნაბიჯები ნეიტრალურ ქალაქში, სრულიად არანეიტრალური პოსტერები და სხვათა დახმარებით მიგნებული ვიწრო დერეფნიანი სასტუმრო. მის დანახვაზე ასოციაციად მოვლენილი ჩვენებური ფარდულები და ისევ ქუჩაში გამავალი კიბე, გაჭირვებით დაძლეული მისი საფეხურები და ტაქსი თავის მძლოლიანად, ჩვენი კუთვნილი ევროკუპიურები თავის მხარეს რომ გადაიბირა.

ეგ არაფერი, ნამდვილად ღირს ამაღ - მალე იწყება!..

მალვიძარას გულისგამანვრილებელი ზმუილი ჩამესმის და ვერაფრით ვხვდები, საიდან მოდის ეს ხმა. მალე ამ ხმას, „მისი” ხმაც დაერთო და ახლა უკვე ორნი, საერთო ძალით ცდილობენ გამალვიძონ. ჩამყვირის, რომ ლექციაზე მაგვიანდება.

თვალს ვახელ და სასწრაფო წესით ვცდილობ გავერკვე, რა ხდება. „მის“ ოთახში ვწევარ მაშინ, როცა მალე ტრიბუნაზე უნდა მოვკალათებულიყავით. ანდა რა დროს ლექციაა, როცა უკვე ფეხბურთელები გასახდელიდან გამოსასვლელად ემზადებიან?!

...სამართლიანი წუწუნით ვდგები, ზარმაცი და ახლადგახელილი თვალებით წამწამებს მიღმა აღმოჩენილ რეალობას ვიაზრებ, ევროპულ ქვაფენილს, ქუჩებსა და მოლოდინს ვეთხოვები...

თბილად ვიცვამ, თავზე კეპს წამოვიხურავ, კალამს ხელს დავავლებ და ზამთრის ქუჩაში გავდივარ. გაყინულ ხელებს ჯინსის ჯიბეებში ვმაღავ, ხოლო სპირალზე აგებულ ბლოკნოტსა და ევროსიზმარს ილღიაში ამოვიჩრი...

ერთი კითხვის ათი პასუხი (ინტერვიუები გზად სახლიდან სკოლამდე)

- გამარჯობა!
- გაგიმარჯოს!
- შენი სახელი?
- თამუნა.
- გვარი?
- მიქელაძე.
- რამდენი წლის ხარ, თამუნა?
- თექვსმეტის.
- ბედნიერი ხარ?
- რატომ მეკითხები?
- ისე, მაინტერესებს. შენი აზრით, ბედნიერება რა არის?
- როცა ადამიანი თავს კარგად გრძნობს, მე მგონი, ბედნიერია.
- უფრო ზუსტად?
- როცა სასიხარულო ამბავს გაიგებს და თავი ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ჰგონია.
- აი, შენ რა გახარებს, რა განიჭებს ბედნიერებას?
- ჩემი ოჯახი. თუ კი ის თავს კარგად გრძნობს, მაშინ მეც ბედნიერი ვარ.

- უკაცრავად, ერთი წუთით...
- მე მეძახი, ბებო?
- დიახ, თქვენ.
- რა ამბავია, მშვიდობაა, ქა?
- მშვიდობაა, ბებო, მშვიდობა.
- უი, შენ კი გაიხარე, ლამის გული გამისკდა.
- თქვენი სახელი, ბებო?
- მრცხვენია ჩემი სახელის თქმა. რად გინდა, შვილო?
- რატომ, ბებო, ყველა სახელი დასაფასებელია.
- რა ვიცი, აბა, ძველი დრო ხო იცი, ფატყუმე დამარქვეს. ისე, ყველა ფატა ბებიას მეძახის.
- რამდენი წლის ბრძანდებით, ბებო?
- დედაჩემი მეტყოდა, ბლობისას ხარ დაბადებული. ისე, სამოცდაათს კარგა ხანია გადავბიჯე. დეთ, მობრუნდი, ლევანიკო, შენს გახარებას, შვილო, ერთი ეგ ძროხა მომიბრუნე... ჰო, რას მეუბნე-

ბოდი, შვილო?

- შავი კაბა გაცვიათ, ვინმე მოგიკვდათ?
- ეჰ, ქმარი, შვილო, უკვე ოცი წელია.
- შვილები გყავთ?
- აბა, რას ამბობ, ბიჭო! შვილებით ვუძლებ ამ წუთისოფელს.
- რას ფიქრობ, ბებო, ბედნიერება რა არის, არსებობს კი საერთოდ?

- შენ თვითონ გინახავს ბედნიერება, შვილო?
- არა. ბედნიერებას ვერც ნახავ, მას შეიგრძნობ.
- ჰოდა, როცა სადმე წაანყდები, მაშინ მკითხე. ბედნიერება რომ არსებობდეს, ასე ოხრად ვეგდები მე?

- რეზო, რომელ კლასში ხარ?
- ვითომ არ იცის.
- კარგი, ჰო, მითხარი.
- მერვეში.
- რა ნიშნებზე სწავლობ?
- პირველი ხარისხის წარჩინებული ვარ.
- ბედნიერი ხარ?
- რა ვიცი.
- რატომ? არ იცი, რა არის ბედნიერება?
- ჯერ არ ვიცი. ვერც ვხედავ და ვერც ვეხები, ვერც აღვიქვამ.

არც მათბობს და არც ახლოს მიკარებს. ბუნდოვანია ჩემთვის. ერთი მოცლილი ხარ შენ, რა გებედნიერება, სკოლაში არ დავიგვიანოთ.

- ასიკო ბიცოლა, როგორ ბრძანდებით?
- გმადლობ, ჩემი ბიჭი, შენ?
- მე კარგად. შეიძლება ერთი კითხვა დაგისვათ?
- მე არსად მეჩქარება, შენ არ დაგაგვიანდეს.
- დრო მეც მაქვს. ბედნიერება რა არის, თქვენი აზრით?
- რალა ბედნიერებაა, შვილო, ჩემზე უბედური ქალი არ დადის...
- რატომ, ასეთი რა მოხდა?
- გოგო გამიუბედურეს, შენი კბილა, შვილო, ჩემს გაჭირვებას ეს სიმწარე რალაში სჭირდებოდა...

- უი, ვწუხვარ.
- სად არის, სად, ბედნიერება? ნახევრად მშვიერი, ნახევრად შიშველი, თან ეს ამბავიც ზედ დაემატა.
- კარგი, დამშვიდდით, მეტს აღარ შეგანუხებთ...

- ღია მქვია, გვარად ბერიძე ვარ, სულ ახლახან შემისრულდა ჩვიდმეტი წელი.

- რას ფიქრობ, ღია, ბედნიერება არსებობს?

- კი, რატომაც არა. იგი ჩვენ ირგვლივაა, ჩვენ შიგნითაა, სულ ყველგანაა.

- და რა არის იგი?

- სიყვარული.

- რატომ მაინცდამაინც სიყვარული?

- არ გაგიგონია: „უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე“?

- შენ ხარ შეყვარებული?

- რაში გაინტერესებს?

- რატომ დაიმორცხვე? მინდა გაგიგო, რამდენად ბედნიერი ხარ.

- ვერ ვიტყვი, რომ მთლად ბედნიერი ვარ, რადგან ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი გამოჩნდა.

- მაინც?

- არ მსურს ამაზე საუბარი.

- ბაბუ, მერამდენე წრეზე მოდიხართ ამ დილით?

- უკვე მესამეზე. სიარული ჩემი დილის ვარჯიშია.

- ისე, მხნედ გამოიყურებით.

- რალა დროს ჩემი მხნეობაა, ჩემი ხნის ქვაც აღარ გდია, უკვე ოთხმოცდაათს მივუკაკუნე.

- ალბათ, კარგი ცხოვრება გქონდათ, ასე ახალგაზრდულად რომ გამოიყურებით. ბედნიერი ბრძანდებით?

- რა ვიცი, აბა, ვითომ უბედური რატომ უნდა ვიყო, ცოლი მყავს, შვილები, შვილიშვილები.

- ე. ი. ბედნიერი ბრძანდებით?

- ეჰ, შვილო, ჩემს თავზე კალო არ გალენილა მხოლოდ. ქორწინებაში არ გამიმართლა. ერთი ცოლი, მეორე, მესამე... პირველი მომიკვდა, ღმერთმა აცხოვროს მისი სული. მისგან ორი შვილი დამრჩა. მეორემ თავში ურო ჩამარტყა, ჩემი მოკვლა უნდოდა და გავაგდე. მისგანაც ხუთი შვილი დამრჩა, ხუთი წვრილი შვილი. ღმერთს მადლობა, ყველა დავაზარდე, დავაკარე. ახლა მესამე ცოლთან ვცხოვრობ. მასთან შვილი არ მყავს. ერთი ცუდი ზნე სჭირს, როცა გაბრაზდება, ბეჭემოს მეძახის, ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

- და მაინც, ბედნიერი ბრძანდებით?

- ცოცხალი ვარ, ბაბუ, ცოცხალი, ჩემი ფეხით დავდივარ და ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება.

- მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელი შემეცვარდა. მაღალი იყო, ოქროსფერი ქოჩორა თმა ჰქონდა. ტანსაცმელიც ოქროსფერი ეცვა ხოლმე. ამიტომაც ჩემს ფიქრებში „ოქროსფერი ჭაბუკი“ შევარქვი. სულ იღიმებოდა, უცოლო იყო. გოგონები გაგვაგოგო. მე უკვე სიცხიანივით ვბოდავდი. ენით ვერ აღვწერ, რას განვიცდიდი. ერთხელ ახლობელმა მითხრა: თამაზი (ასე ერქვა გეოგრაფიის მასწავლებელს) ამბობს, ჩემთვის ვზრდიო... - გადავირიე, ხეს და ფოთლებს ვკოცნიდი.

- შემდეგ რა მოხდა?

- ცოლი შეირთო. აქ დამთავრდა ჩემი ხანმოკლე ბედნიერება. ამის შემდეგ კიდევ მქონდა გატაცება, სიყვარულიც კი, მაგრამ ის ბედნიერება აღარ მიგრძენია.

- ახლა ბედნიერი ბრძანდებით?

- სრული ბედნიერებისათვის ბევრი რამ მჭირდება, თუმცა შვილები, აი, რა არის ყველაზე დიდი ბედნიერება. მე მათ გულ-მკერდზე ამოსულ ყვავილებს ვეძახი.

- და „ოქროსფერი ჭაბუკი“ რა იქნა?

- ის წარსულის სუნთქვასა და მოგონებას გაჰყვა.

- ფული ოხრად მაქვს, კომფორტი არ მაკლია, შვილები დავაკარე, ქმარს ბიზნესი აქვს, სხვა რა მჭირდება სრული ბედნიერებისათვის?

- ამბობენ, მარტო ცხოვრობთ.

- ეგ მართალია. გოგო გავათხოვე, ბიჭი მუშაობს. ორივეს ვასწავლე. სოფელი არ უნდათ, ქალაქს ვერ ელევინან, მე კიდევ, აქაურობას ვერ ვშორდები.

- ქმარი, ქმარზე რატომ არაფერს ამბობთ?

- ქმარი ოცი წელია რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს. აბა, სიმდიდრე ჰაერიდან ხომ არ მოსულა. აგერ, ბეჭედი რომ მიკეთია, ბრილიანტისაა, იცი რა ღირს?!

- ე. ი. ბედნიერი ბრძანდებით?

- ბედნიერი ვარ, თუნდაც იმით, რომ სხვაზე უკეთესად ვცხოვრობ, სხვაზე უკეთ მაცვია. ხელის განძრევა არ უნდათ, - გვიჭირს, დავგვებმარეო, - წუნწუნებენ. არა და, ოცი თეთრიც ფულია. ტყუილად ვერ დავკარგავ. წაღების დროს წაიღებენ, მოტანა კი არ იციან. აგერ,

ლევანის ცოლი სულ ახლახანს უარით გავისტუმრე. მე რომ მარტოდ ვარ, ვინმე მეხმარება?!

- ე. ი. მართლა გაკლიათ რალაც სრული ბედნიერებისათვის.

- ძნელია მარტოობა. ჩემს ნაოჭებს რომ უყურებ, სამოცდაათი წლის გეგონები, არა და, ორმოცდაათი გუშინ შემისრულდა. სხვათა შორის, დიდებულად აღვნიშნე. მარტოობამ და უძილო ღამეებმა დამანელა, შენ ადვილი გგონია?

- მაშ, არ ყოფილა სიმდიდრე ბედნიერება.

- იქნებ არც არის, მაგრამ სხვას გულს ვერ გავუხარებ, ვერ მივახვედრებ, როგორ მარტო ვარ და როგორ მიჭირს.

- ლეილა მახარაძე, ორმოცდაათი წლის.

- სახელიც ისეთივე ლამაზი გაქვთ, როგორიც სული.

- შენ ჩემი სულისა რა იცი?

- თვალებში გემჩნევათ. იმდენი სითბო და სიკეთეა მათში, ალბათ, ჩავიძირები.

- დიდი მადლობა. ამას ხშირად მეუბნებიან, - კეთილი ხარო.

- მერე, ამით ბედნიერი არ ხართ?

- ამით კი, მაგრამ ისე არა ვარ ბედნიერი.

- კი, მაგრამ, რატომ?

- არ შემისრულდა სურვილები.

- მაინც რა სურვილები გქონდათ?

- ჩემი ოჯახი მინდოდა მქონოდა. სამი წლის გათხოვილს ოჯახი დამენგრა. ქმარს დავშორდი და მშობლებთან დავბრუნდი. ვაჟი მყავს. ივერია ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერება.

- აკი, ბედნიერი არა ვარო?

- ეს ბედნიერება ერთხელ ვიგრძენი, ისიც მაშინ, როცა შვილი შემეძინა.

- რას გრძნობდით მაშინ?

- უდიდეს სიმსუბუქეს, ალზევებას. მაგრამ ერთია კიდევ, ბედნიერებასთან შეიძლება ახლოს მიხვიდე, მაგრამ რალაც ვერ გათვალო, ვერ მოზომო და დაკარგო. მეც ასე დამემართა.

ასეთი სიზმარი ვნახე:

ლეღავდა ზღვა, თავს იწონებდნენ მინდვრები, მთები, ბაღები, კოხტა სახლები. არავის ეძინა. ყველა გარეთ გამოსულიყო. ხელიხელჩაკიდებული იდგნენ და გაცეცხული შეჰყურებდნენ ზეცას. ცაში ბედნიერება დაფრინავდა, ანგელოზის ფრთები ჰქონდა, უცნაური შუქით

აჩირაღდნებდა სამყაროს. სიყვარული უზარმაზარ ჯაჭვად შემოვლებოდა ადამიანებს, შეეკრა და შეედულაბებინა ისინი. ბავშვების ყრია-მულს ძილ-ღვიძილიდან გამოჰყავდა მიყუჩებული არე. არავის არაფერი ანუხებდა. ტკივილს დაჰყროდა მინა. აფხაზეთიც ჩვენი იყო, ოსეთიც. თხა და მგელი ერთად ძოვდა...

აი, მეათე პასუხიც. შემდეგი შენ მოძებნე. ან კიდევ შენ, რადგან ამით არ მთავრდება ყველაფერი.

ლიტფოტო

ნეტა, თუ იცი, რა გრძნობაა, როდესაც დილის ოთხ საათზე, როცა სამწუთში ხუთი გახდება, მუზები გეჯაჯგურებიან და არ გაძინებენ, გაკონტროლებენ და აინტერესებთ, როგორ გადმოიტან მათ ცხადში.

ფალიაშვილის ქუჩის კუთხეში შემთვრალი კაცი ძალიან გემრიელად, ნეტარი სახით ეწეოდა სიგარეტს. იდგა, თითქოს მოძრაობაში გააშეშესო და წარმოუდგენელი სიამოვნებით ისრუტავდა ნიკოტინს. მინი-რიტუალივით იყო. თითოეულ ნაფაზს საყვარელი ქალივით ეპყრობოდა. იასამნებიანმა კაცმა ჩაიარა. ცხვირი იასამნებში ჰქონდა შერგული. ტანით წინ იყო გადანეული და შავფეხსაცმლიანი ფეხები ძლივს ეწეოდა პატრონს.

იქვე ახლოს, საცხოვში, უგემრიელეს და უფაფუკეს ფუნთუშებს აცხოვდნენ. პატარა გოგოსავით ანცი სურნელი ფალიაშვილის ქუჩის ჭადრებს ეხვეოდა და ხსენებული ქუჩის ძაღლებიც პირდაპირ ცხვირით მიჰყავდა პატარა ფანჯარასთან. ახალგაზრდა გოგონა, მაღალ ქუსლებზე ამხედრებული, პარფიუმერული პიგმენტებით შენიღბული და ფლაკონში ჩამწყვდეული სურნელით შემკული, უცნაური სიამაყით მიაბიჯებდა და ქვემოთ ჩამოხედვას არც აპირებდა. პატარა ბიჭმა თოვლის გუნდა ესროლა. საიდან მოიტანა თოვლი მაისის ცხრაში? ალბათ, ძალიან უნდოდა და მისთვის მოთოვა. გოგონამ შეიცხადა და გზა განაგრძო. ბიჭი მიიმალა. დღეს ვილაცას დაბადებისდღე აქვს. გი-ლო-ცაავ!! შენი წამზომი გამორთულია. ვილაცის სიკვდილს ორი წელი შეუსრულდა. ბნელი ფანჯრიდან ბლუზი ისმის. რიტმულად ზანზარებს მინები. სარდაფიდან „სტეპის“ ხმაური ისმის. მოურიდებლად ხვრინავს ჯემალი ბიძია. თავისი ზოლებიანი ჯოხი ფოსფორისფერ უნიფორმაში ჩაუდია და დასაძინებლად მშვენიერი მანქანა, BMW აურჩევია.

სურათი უნდა გადაგიღოთ ყველას. გააღვიძეთ, ჯემალი ბიძია! ცოტა ახლოს მოიწიეთ. გააჩერეთ იასამნებიანი კაცი. ეგ ცხვირი ცოტათი ჩამოსწიეთ, გოგონი. საცხოვბი გამოაჩინეთ. აი ასე, არ გაინძრეთ! არა, ჩიტი არ გამოფრინდება. გაუშვი ეგ ჩიტი. ლიტფოტო მზადაა. შეგიძლიათ დაიშალოთ. ფალიაშვილის ქუჩის კუთხეში არომატები და ხმები ერთმანეთს ჩასჭიდებიან და მიდი-მოდიან. შემთვრალი კაცი კი წარმოუდგენელი სიფაქიზით და სიამოვნებით წოვს კვამლს სიგარეტიდან.

მოგწონს?

წყალი

ჩვენი სოფელი მდიდარია ტბებით, მინისზედა თუ მინისქვეშა მდინარეებით, წყაროებით.

იმდენი წყალია, თითქოს დასალევი წყლის პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ სოფელში, სადაც ოთხასამდე ოჯახი ცხოვრობს, სულ ხუთი წყაროა. ამიტომაც ამ სოფელში წყლის მოტანის თავისებური ფორმა და რიტუალი არსებობს.

წყალი ოჯახში ძირითადად ქალებს მოაქვთ, არ გეგონოთ ავტომანქანით ან ხელით, მათ ამ საქმისთვის სპეციალური „ჯოხი“ აქვთ, რომელსაც „უზლუყს“ ანუ „მხრიკეტს“ ეძახიან.

„უზლუყს“ ნახევარმთვარისებური ფორმა აქვს, თავსა და ბოლოში მაგარი რკინის საკიდებით, რომელზედაც ათ-თხუთმეტ ლიტრიანი ვედროს ჩამოკიდება შეიძლება.

უზლუყები თაობიდან-თაობას გადაეცემა. ზოგი მათგანი საუკუნეებსაც კი ითვლის. მას მარტო ქალები ხმარობენ. ის აუცილებლად მუხის ხისგან უნდა იყოს გამოთლილი.

ყველა ოჯახში არსებობს პატარა, სამუალო და დიდი ზომის უზლუყები, რომელსაც ასაკის მიხედვით ხმარობენ. ჰოდა, მემკვიდრეობით მიღებული უზლუყებით დილით და საღამოთი მოაქვთ წყალი ოჯახში.

ყველა წყაროსთან რიგი დგას, წყლის მოლოდინში რას არ გაიგონებს და მოისმენს კაცი. ისე, რამდენი რამე იცის წყარომ - დიდი მესაიდუმლეა.

წყლის ავსების შემდეგ უბნების მიხედვით დაჯგუფდებიან ქალები, მხარზე უზლუყგადაკიდებულები, ტანის რხევით გაუყვებიან სახლისაკენ მიმავალ ბილიკებს. ამ დროს შეუდარებლად ლამაზები არიან. ზამთარში წყალი ვირებითა და ციგებით მოაქვთ. დილასაღამოს ქუჩაში რომ გაიხედო, დაინახავ ზურგზე კასრებგადაკიდებული ვირების „ქარავანს“, რომლებიც ზღაზვნით მიედინ-მოედინებიან წყაროსაკენ.

ზოგი ვირი დიდია, ზოგი კი ტანით ისეთი პატარაა, რომ ზურგზე წყლის ჭურჭელნამოკიდებულს, მარტო წინ ყურები და უკან კუდი უჩანს, მიუხედავად ამისა, უპრეტენზიოდ, მორჩილად, ჩიკჩიკით მიჰყვებიან თავიანთ პატრონს.

ეს ყველაფერი ისე მოგეწონებათ, რომ თავს, სულ მცირე, რამდენიმე საუკუნით უკან იგრძნობთ.

გზა

ამ წელს ადრე დადგა ზამთარი, პირველი თოვლი ნელ-ნელა შემოიპარა, გაგვიღიმა და გვითხრა, - თქვენ გიხარიათ თუ არ გიხარიათ ჩემი მოსვლა, სულ არ მანაღვლებს, ექვსი შვიდი თვე არსად წამსვლელი არ ვარო. და ასე წამოჯდა თოვლი მთებზე, მინდვრებზე, გზასა თუ ორღობეებში.

თოვლის მოსვლა ყველაზე ძალიან ქარს გაეხაეხარდა: -აქამდე მარტო დავქროდი, ახლა ორივე ერთად ვიქროლებთო. თოვლისა და ქარის ერთად სირბილს ჩვენში „ქარბუქს“ ეძახიან, რომელიც ყველა მისასვლელ გზას კეტავს ქალაქთან, სოფელთან, ნათესავებთან თუ ექიმთან. მხოლოდ საიქიოში წასასვლელი გზა რჩება ღია, რომელსაც თოვლმა და ქარმა ვერაფერი მოუხერხა.

ამ ზამთარსაც, არავინ იცის, ვინ დარჩება ცოცხალი და ვინ მკვდარი.

სოფელში რამდენიმე მძიმე ავადმყოფი იყო. მათ შორის ჩემი მეზობელი ბებია შვილიშვილით.

ბავშვის მშობლები საშოვარზე იყვნენ რუსეთში წასულები.

ბებია ყოველდღე ელოდა მათ ჩამოსვლას, სულ გზისკენ ჰქონდა თვალები. ამ მოლოდინში ბაბუა გარდაიცვალა. ბებიას დაწნვა მთელი ოჯახის სიმძიმე. ვერ გაუძლო ამდენ შრომას, გაცვივდა და ლოგინად ჩანვა.

მთელი სოფელი ცდილობდა მათ დახმარებას წამლებითა თუ საკვებით. იყო ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლისა.

მათი საავადმყოფოში წაყვანა შეუძლებელი იყო. სოფელში ყველა მათზე ლაპარაკობდა.

ბებიას იმედი ჰქონდა, დღეს თუ ხვალ გზის მწმენდავები მოვიდოდნენ და გზა გაიხსნებოდა.

თუმცაღა... ბევრი დღე გავიდა, გზა ისევ დაკეტილი იყო.

სოფელში ყოველი დღე ასე იწყებოდა: ვილაცამ-ვილაცას დაურეკა, ვილაცამ ამბავი მოიტანა - თურმე თოვლმწმენდი ტრაქტორი მეზობელ სოფლამდე მოსულა და ხვალ ჩვენც გვეშველებაო.

ყველა მეზობელი, ვინც ავადმყოფი ბებიისა და შვილიშვილის სანახავად მოდიოდა, მოხუცს „გზის განმნდის“ თავისებურ ვერსიას უყვებოდა. ბევრმა იცოდა, რომ ეს ტყუილი იყო, მაგრამ მაინც იმეორებდა იმას, რაც თვითონ მოიგონა.

ერთხელ მეც მინდოდა ბებია გამეხარებინა, ტყუილი არაფრად

მიღირდა და ვუთხარი:

- მამაჩემს მოვუსმინე, ხვალ გზა გაიხსნება, თქვენც საავადმყოფოში წაგიყვანენ, გიმკურნალებენ და კარგად გახდებით.

ბებია გამხიარულდა და მითხრა:

- კარგია, მალე ჩემი შვილიც ჩამოვა რუსეთიდან და გვეშველებაო.

გავიდა დღეები, კვირები, თვეები, გზა კი მაინც დაკეტილი იყო.

ბოლოს მათთან რომ ვიყავი, ბებია ძალიან ცუდად იყო, ძლივს ლაპარაკობდა. მის სიტყვებს ვერც ვარჩევდი. მხოლოდ ეს გავიგე:

- ახლა აპრილის ბოლოა, გზა კიდევ არ გახსნილა, ვიცი, გზის გახსნას ველარ მოვესწრები, ვერც ჩემს შვილს ვნახავ. ღმერთსა ვთხოვ, ის ბიჭი მაინც მომჯობინდეს.

მაისი იყო, ბებია რომ გარდაიცვალა.

ბებია დაასაფლავეს, მეორე დღეს გზა გაიხსნა... ვინ იცის, მომავალ ზამთარს ვის როგორ გაუღიმებს ბედი.

* * *

შემორჩენილი ნაგლეჯი წარსულის შემოვინახე, მასთან უხმოდ ჩამოვჯექი და გავირინდე. თვალდახუჭული მზე ატუზულა შავი ღრუბლების გვერდით... ობოლი ბავშვივით გაიფანტნენ ფოთლები სადღაც... ცივი ხელებით შემოალო კარი ზამთარმა, აფორიაქდნენ ხეები და მიატოვეს „მწვანე“ და მოკვდა სევდა უსახლკარო, უაზროდ ჩურჩულებს სიცოცხლე ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი! და დავეუფლე ბგერებს უსასრულოს, მოკლულ გრძნობათა უსაშველო ფრაზებს, სიკვდილისას... დღეს მე მიზიდავს ქვიშიანი მინა, აქ ოდესმე დაიმსხვრევა ჩემი ცივი ძვლები... ამოვანთხიე ბოლმა და ერთ მარტოდ მიგდებულ ცივ ქვაზე მძიმედ ჩამოვჯექი! ფოთოლთა ნაკადი ქარის მიმართულებას უსიტყვოდ ემორჩილება, ისევე როგორც მე ამ დაუნდობელ წუთისოფელს...

მე ვხვდები, რომ სიკვდილთან ბრძოლა ამბორია სიცოცხლისათვის! მე მომწონს აღვზნებული ნატურა ჩემი ოთახის კედელზე, ალკოჰოლში ვიძირებით მე და ჩემი სამყარო, ეს დიადი დღეა... და გრძნობა მოკვდა უსასრულო, სისხლიანი და დაუნდობელი! ჩვენი მიმართულება ვინრო ბილიკს ჰგავს, სადაც არ არსებობენ წარსულის მოგონებები! კიდევ ერთხელ დაარწია წყნარმა სიომ ბებერი მუხის სევდით სავსე ფოთლები და სადღაც გაუჩინარდა... ოდნავ ბუუტავენ ქუჩის ბოლოს შემორჩენილი ლამპიონები... შევეგებები წითელ სიკვდილს, უკვალოდ დავტოვებ გრძნობებს და დავემშვიდობები წათელ ლამპიონებს! მშვიდად შევალე კარი მომავლის და დღევანდელობის გვერდზე წამოვწექი... ცერად გავუღიმე სიხარულის ნამსხვრევებს აქა-იქ მოფანტულს და მარტივად მოვიღუშე... შავ-თეთრ კადრებში ჩამოვკიდე ფიქრები ფრთხილად და მხოლოდ რწმენა ამოვქარგე იმედგაცრუებულ გონებაში! გრძნობები გავახვიე ყვითელ ნაჭერში და გვერდზე გადავდე... მე აღარ მანუხებს კივილი სისხლისფერი წარსულიდან, აღარც სითბო გამაჩნია და არც სიცივეს ვემალეები, არც საკუთარი მე მტანჯავს და აღარც შენ მებრალები... შენ ველარ დატოვებ ტკივილს გასაქრობად, რამეთუ აღარ არსებობს ნაშთი სიყვარულის! და როცა გადაწვე სინათლის ფარდას, შენთვის მხოლოდ დალაქული მინები დარჩება წარსულის მოსახსენიებლად, იქ, სადაც შენთვის აღარ აენტებიან ჩამქრალი ლამპიონები...

მე შევიცანი გრანელისეული გარდაცვალება...

ერთი ჩვეულებრივი დღე, ანუ როცა გიოს შეუყვარდა

- ე, ბიჭო, რა გჭირს?

- ჰა?

- თქვი რამე...

- პასი.

- რა პასი, ბიჭო, სამის კარტია მინიმუმ, - ველარ მოითმინა უს-
აქმოდ დარჩენილმა მეხუთე ზედმეტმა დადუმ.

- პასი, - ჯინაზე გაიმეორა გიომ.

- შეგეტენება! - ბოლოჯერ გაიბრძოლა დადუმ.

- დავაი, რა!

ხმამალალი ტკაცუნით ისროდნენ ბანქოს ფურცლებს და ნაგე-
ბის მთელ ბოლმას მაგიდაზე ანთხევდნენ. მარტო გიო აფრიალებდა
ორი თითით მსუბუქად და მარტო გიომ არ იცოდა, იგებდა თუ აგებდა.
ოთახში არ ციოდა, მაგრამ მაინც ქურთუკებით ისხდნენ. მათემატიკის
რვეულის უკანა ფურცელზე მინერილი იყო: „ზუკა, ჩიკვა, აჩო, გიო”.
მერე დადუმ აიღო და ოთხივეს თავზე თავისი სახელი დაანერა, - მაინც
მე ვთამაშობ ყველას მაგივრადო.

- მწყურია, - დადუ არ ჩერდებოდა და ზუკას შესაჭრელ ხუჭუჭა
თმას ქაჩავდა.

- იქაა ჭიქა, - ზუკამ ხელი აიქნია.

- კაი, გიო, რა, ამოიღე ხმა! - აჩო ფურცელზე რალაცას ჯღაბ-
ნიდა.

- პასი-მეთქი, ხომ გითხარი?

- მაგაზე არ გეუბნები.

- აბა რაზე?

- ლიზაზე.

- ვინ ლიზაზე?

- აი, ლიზაზე, ქერაზე და ცისფერთვალებაზე.

- ყველა ქერა და ცისფერთვალება ლამაზი არაა, - უადგილოდ
ჩაურთო ჩიკვამ, რომელიც ძირითადად უბრალო კომენტარებით
აფიქსირებდა საკუთარ აზრს.

- ეს ქერა და ცისფერთვალება ლიზა ლამაზია, - უფრო
გიოსთვის თქვა აჩომ და მერე შიშით გადახედა. გიო დუმდა.

- მორჩით მანდ ზუზუნს! ზუკა, აქ ჭიქა არაა!

- აუუ, ეს ისევ ჭიქას ეძებს.

გიო დუმდა.

- ვიპოვე! წყალი?

- წყალი - ონკანში! - ყველა მიჩვეული იყო დადუს იდიოტურ შეკითხვებს.

- ბიჭო, გიო...

- სამი.

- რა სამი, ბიჭო, ოთხი მაინც თქვი, - დადუმ წყალი დალია.

- დავაი, რა!

- კურტკებს რატომ არ იხდით? - დაინტერესდა ზუკა.

- ქურთუკებს, - შეასწორა ჩიკვამ, - ცივა შენთან.

- მიდი, კაცო, ერთი...

- ბიჭო, გიო...

- ვინმეს გინდათ ჯოკერი? - მოულოდნელად იკითხა გიომ.

- ისედაც ვთამაშობთ, გიო, ჯოკერს.

- მაგიტომ არ მიკითხავს.

- აბა?

- აღარ მინდა.

კარტი მარტო ჩიკვამ დაყარა.

- ბიჭო, გიო, ლიზა ხომ მოგწონს? - უცებ მიაყარა აჩომ, რომ აღარავის შეენწყვეტინებინა.

- ვინ ლიზა? - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა გიომ.

- ლიზა, ქერა და ცისფერთვალეზა.

- მერე?

- რა მერე, ქენი რამე...

- არა, ბიჭო, ეგრეც არაა, “ქენი რამე”... მე, მაგალითად, არაფერსაც არ ვიზამ, თუ არ შევატყობ, რომ გოგო ჩემზე გიჟდება, - ჩაერთო დადუ.

- და რაზე ატყობ? - ისე შეხედა აჩომ, თითქოს ამ ქვეყანაზე სხვა არაფერი აინტერესებდა.

- თვალეზზე, რა თქმა უნდა...

- აბა, ლიზას ისეთი თვალეზი აქვს, ტანისამოსიანი გიჟი გეგონება, გიოზე გაგიჟებული კი არა... რას გაუგებ...

- როგორი თვალეზი აქვს?

- დიდი, ცისფერი...

- ცისფერი არა, ის!.. - ხმა ამიოლო გიომ.

- რაცაა, ნახევარი სკოლა მაგის თვალის ფერზე მსჯელობს.

- მაგრამ ამოდ, - პათეტიკურად წარმოთქვა ჩიკვამ და აჩოს კარტი დააყრევინა.

- მაშინ, შარში ყოფილხარ, გიო, - გული დასწყდა დადუს.
- რატომ, ლიზას თვალის ფერი რომ არ ვიცი?
- აუუ...
- ბიჭო, გიო...
- დაარიგე, - გაანყვეტინა გიომ.
- რა დავარიგო? - დაიბნა აჩო.
- კარტი.
- ჭკუა დაარიგე გიოს, - შეაგულიანა ჩიკვამ.
- აღარ ვთამაშობთ. ბიჭო, გიო, ქენი რამე...
- მაგალითად?
- ჩაი გინდათ? - დააბრეხვა უცებ ზუკამ.
- აუუ...
- თუ არც... - და ჩუსტების ფრატუნით გავიდა სამზარეულოში.
- ბიჭო, გიო, წამო ლიზასთან.
- დავაი, რა! ნარდი მეთამაშე.

ითამაშეს. თამაში აშკარად არც ერთს უნდოდა, არც მეორეს. დადუმ რჩევა-დარიგებები არც ერთისათვის დაიშურა. გიომ წააგო.

- პირველი ხელი ფრაერებისაა, - უემოციოდ თქვა.
- აღარ მინდა, წამო ლიზასთან.
- ე, ბიჭო, რა გამიხურე, ეს ლიზა მე მომწონს თუ შენ?
- აჰა, ესე იგი, მოგწონს?
- დავაი, რა!
- დანერე რამე, გიო, და მოგეშვება! - ურჩია დადუმ.
- შენ რომ წერ, გეშვება?
- მე როცა მოშვება არ მჭირდება, მაშინაც ვწერ!
- და გეშვება?
- აუუ...

- ბიჭო, ჩაი ნალდად არ გინდათ? - გამოფრატუნდა ზუკა ძალღიანი ჩაის ქიქით ხელში.

- დავაი, რა!

დალამდა და გიო ფეხით წაბოდიალდა სახლში. იმ ღამეს პირველად მოთოვა. ლიზას სულაც მწვანე თვალები ჰქონდა. გაზაფხულის ფოთოლცვენას ჰგავდა.

იმ ღამეს პირველად დანერა გიომ მოთხრობა. მოეშვა.

უაზრო „გმირობა“

დღეს ადრე გამელვდია. საერთოდ, შუადღემდე მიყვარს ძილი. თვალები გავახილე, ინსტინქტურად მარცხენა ხელი ლოგინზე მოვაფათურე, მობილურს ვეძებდი, რომ მენახა, რომელი საათია... ვაა, ვერ ვპოულობ, სად დავდე, ნეტა... თავი ავწიე, გავიხედ-გამოვიხედე, ალბათ, ორნუთიანი პაუზა გავაკეთე და მონყვევით დავვარდი უხემ ლოგინზე. რა ტელეფონი, რის ტელეფონი, ციხეში ხარ, იდიოტო.

- მეოცე! - დაიყვირა ვილაცამ.

- ოციი! - განმეორდა.

წამოვჯექი სანოლზე, სიგარეტს მოვუკიდე, თვალები მოვიფშვნიტე და ჩავფიქრდი. მაგრამ ფიქრს ვინ გაცლის. დერეფანში ისევ ყვირილია:

- მეოცე! ოცი! მეოცე! - გაღიზიანდა ვილაც.

რა ნომერია ჩემი კამერა, ნეტა?! ავდექი, კამერის „გლაზოკი-დან“ წინა კამერის კარს გავხედე, „19“ აწერია. ღრმა ნაფაზი დავარტყი, ტუჩები „გლაზოკში“ მოვათავსე, გავაბოლე და დავიძახე, მეოცეს რომელი ეძახდა-მეთქი. სიჩუმეა.

- რომელი ხარ? - ბოხი ხმა მომესმა ცოტა შორიდან.

- გიო ვარ, შენ რომელი ხარ? - ვუპასუხე ცოტა უნიათოდ.

- რავა ხარ, გიო? - მკითხა. ვიცნობ, ნეტა, თუ ვინაა?

- მაგრა, ძმაო, შენ როგორ ხარ? - გავეცი პასუხი გაკვირვებულმა.

- მაგრად, ბრატ. ახალი ხარ?

- ხო, ნუხელ შემომიყვანეს.

- კაი, ბრატ, და ჩესტით რა კაცი ხარ? მასას აინტერესებს.

ვინაა? რა უნდა? რა ჩესტით ვინ ვარ?! გიო ვარ, ერთი ვაკელი ბიჭი. რა ჩესტი, რის ჩესტი? მასა, ანუ ხალხი?

- გიო ვარ, მეტი რა გითხრა, ჩესტი არ ვიცი, - უხალისოდ ვუპასუხე.

- კაი, კაი, ბრატ, - მომესმა ყრუდ და მერე კაი გულიანი სიცილი ატყდა. ისე, უნდა მეპასუხა, ჩესტით ერთი ტიპიური თბილისელი, მოქეიფე, ლალი, უსაქმური, ცოტა მოძველებიჭო სირი ვარ-მეთქი... ეგაა და ეგ ჩემი ჩესტი. მერე მენახა ჩემი დაცინვა... სადა ვარ, რამინდა აქ?

- გიკვირს, არა? - გაისმა ხმა კამერაში.

შევშფოთდი, აშკარად მარტო ვარ კამერაში.

- ვინ ხარ?

- მეც შენსავით მიკვირს, გიო, - ისევ ხმა. საიდან არ ვიცი. სასწრაფოდ ტულეტში შევევარდი, წყალი მოვუშვი, სახეზე შევისხი, სარკეში ჩემს თავს შეშინებული ვუყურებდი.

- გამოდი დროზე, გიო, სუნი შეგანუხებს! - ისევ ხმა.

გამოვარდი შეშინებული და დაბნეული.

- კაი, მომისმინე, - დავინწყე ნერვიულად, - საერთოდ სულ მჯეროდა რაღაც სულების და უცნაურობების, მაგრამ ციხეში რა გინდა, სული თუ ხარ. ნადი, გაფრინდი, რამე კარგი ნახე, აქ რა გინდა? იცინის. ვერ მიხვდები, რომელი კუთხიდან ისმის. თითქოს მთელ კამერაში გრიალებს.

- რა გაცინებს? - გავლიზიანდი.

- ეე, გიო, გიო... წასვლა შემეძლოს, ხომ წავიდოდი. მარა შენ-ნაირ უგუნურებს ვინ შეაწევს ერთ-ორ სიტყვას! - ისევ ხმა.

ვაა, ეს სად მოვხვდი, ჯერ შენი „ჩესტიო“, ახლა რაღაც სული უგუნურს მეძახის.

- მომისმინე, აზრი არა აქვს ახლა გაოცებას და პანიკას, მოკლედ მითხარი, სულ აქ უნდა იყო?

- თუ გინდა, გვერდზე კამერაში გადავალ, მაგრამ მგონი დამლაპარაკებელი გჭირდება.

ჰმ, დამლაპარაკებელი კი მინდა, მაგრამ ბადრაგმა თუ მკითხა, ვის ელაპარაკებო... რა ვუპასუხო, - იცით აქ სულია და უნდა ერთი-ორი სიტყვა შემანოს მე უგუნურს-თქო? სიგიჟეა!

- რა გქვია, ის მაინც მითხარი? - ვკითხე.

- ანგელოზი ვარ.

- რა უნდა ანგელოზს ციხეში? - ცოტა ცინიკურად მომივიდა.

- შენს დასახმარებლად ვარ აქ და თუ გინდა, გავბრუნდები.

სხვა რა გზა მაქვს, „19“-თან ლაპარაკს ისევ ამასთან ჯობია...

- არა, არა, იყავი აქ, დამელაპარაკე, - თავი მოვაჩვენე, ვითომ დავიჯერე, რომ ანგელოზია.

- გიო, რატომ დაგემართა ასეთი რამე? არადა, არაჩვეულებრივი ბიჭი ხარ. სკოლაში ფრიადოსანი, ოჯახში მოსიყვარულე, გული კეთილი გაქვს და მამაცი ხარ. იმას რა დამავინწყებს, შანრშან სანაპიროზე მარტო რომ მოსეირნობდი დაღვრემილი და გულნატკენი ნინისთან დაშორების გამო, ხმა მოგესმა მტკვრიდან, შენხელა ბიჭი იხრჩობოდა, შენ კი, რომ დაინახე, გადახტი წყალში შუა ზამთარში და გადაარჩინე. გიო, ახლა მაინც გჯერა, რომ შენი მფარველი ანგელოზი ვარ და სულ შენს გვერდით ვიყავი? მაშინაც, მტკვარში, სიცივეში...

გაოცებისგან ლოგინზე ჩამოვჯექი, ვეცადე თავი ხელში ამეყ-

ვანა, მაგრამ რანაირად? ანგელოზი შიგ ციხეში მენვია... თან ყველაფერს მართალს მეუბნება. ისე, მაგრა შემცივდა იმ დღეს მტკვარში...

- არ ვიცი რა ვთქვა. დამაბნეი ძალიან. როგორ მოგმართო, ანგელოზო? - ჩემს ხმაში უკვე ცოტა შიში იგრძნობოდა.

- მიქაელი მქვია, მაგრამ მთავარანგელოზი არ გეგონო, ერთი უბრალო ღვთის მსახური ვარ და შენი პირადი მცველი, - თითქოს ვიგრძენი, რომ გაიღიმა.

- გასაგებია, - ვთქი თითქმის ჩურჩულით.

- გიო, რატომ მიატოვე ღმერთი? - მკითხა.

ბანალური კითხვაა არა?

- არ ვიცი, - ვუპასხა გულწრფელად.

- ღმერთი არ ტოვებს ადამიანს, მთავარია, ადამიანმა არ დატოვოს ღმერთი, გიო.

მართალია, - გავიფიქრე.

- მიქაელ, ძალიან შორს შევტოვე და ახლავ მივხვდი.

- გიო, ეგ არის შენხელა ბიჭების პრობლემა, სადღაც მიდიან და ჰგონიათ, რომ ღმერთი ვერ ხედავს. ღმერთი გიყურებდა და თითოეულ შენს ნაბიჯზე გული სტკიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენად შორს ნახვედი ღვთისგან, რომ ვერ გაიაზრე ის, რომ თბილისის ქაობში იყავი მოქცეული...

- ჰმ, ღმერთო, რას მოვესწარი, - გავიფიქრე.

- განაგრძე, - ვუთხარი დაინტერესებულმა.

- რატომ ამხელა აგრესია, გიო, რატომ? რა ხიბლია ამ ქუჩურ ცხოვრებასა და ძველბიჭობაში? გიო, მეც შენნაირი ბავშვობა მქონდა, შენსავით 24 საათი ქუჩაში ვიყავი, ვსვამდი, ვჩხუბობდი, ვცდილობდი, იმისთვის მიმეღწია, რომ თბილისის მთელ თინეიჯერებს ჩემზე ეთქვათ, შემსურლებელიაო. ვინც გზაზე მელობებოდა, ყველას უმოწყალოდ ვექცეოდი, გოგოები ჩემზე ამბობდნენ, უვაჟკაცისია და დანით ყავს დაჭრილი ნახევარი თბილისიო. მე ეს მომწონდა.

გაკვირვებული დავრჩი კრიმინალური წარსულის მქონე ანგელოზით.

- და ანგელოზი როგორ ხარ, თუ ეგეთ ცხოვრებას ეწეოდი? - მგონი ლოგიკურად ვკითხე.

- მივხვდი, რომ არაფერი ეყარა ამ საშინელ ქაობში და ერთ დღეს გადავწყვიტე, სხვანაირად დამეწყო ცხოვრება. თუ რამე პრობლემა მექმნებოდა, ვცდილობდი, სიტყვით ისე მომეგვარებინა, რომ არავინ მენწყენინებინა. მივხვდი, რომ ქუჩურ ვნებას და რომანტიზმს

ბევრად სჯობს სიკეთის, სიყვარულის და კეთილი საქმის კეთების ვნება. კეთილ საქმეს როცა აკეთებ, გიო, ღმერთს ერთი ნაბიჯით უახლოვდები, ხოლო როცა სცოდავ, ისევ ერთი ნაბიჯით შორდები.

მართალს ამბობს, - გავიფიქრე და თან თვალი გადავაველე ჩემს წარსულს და მხოლოდ ერთი სიტყვა ვიპოვე, რომელიც მას შეესატყვისებოდა - სამარცხვინო და კიდეც - სასაცილო...

- გიო, შენ გმირი არ ხარ, - განაგრძო მიქაელმა, - შენ მსხვერპლი ხარ თბილისური გარემოსი. ნუთუ იმას ვერ ხვდები, რომ შენი წარსულით ღმერთს შეურაცხყოფდი? შენი გული მაგ ეგოიზმს და აგრესიას არ ეკუთვნის გიო, შენი გული იმასვე ეკუთვნის, ვისგანაც მოგეცა - ღმერთს! - შემრცხვა ჩემი თავის, მაგრამ არ ვიმჩნევდი.

- სამოთხეში როგორ მოხვდი, მიქაელ, ან ანგელოზი როგორ ხარ?

- როდესაც გონზე მოვედი და სიკეთის თესვა დავიწყე, ღმერთი გვერდში დამიდგა, სულ მაგრძნობინებდა, რომ არ მტოვებდა. ოცდახუთი წლისა მომკლეს და ღმერთმა თავისთან წამიყვანა. მთხოვა, ჩემი გამოცდილება შენნაირი მსხვერპლებისთვის გამეზიარებინა. გიო, შენ ბოროტმოქმედი არ ხარ, შენ ამ გარემოს მსხვერპლი ხარ! აი, ასე გავხდი შენი მფარველი ანგელოზი.

- გიო, შენნაირ ახალგაზრდებს ერთნაირი წარსული და ანმყო აქვთ. ყველა იმ სასაცილო და საძაგელი ქუჩური ინტერესების ჭაობში იხრჩობა. ვერ ხვდებიან, რომ ამ უგუნურობით საყვარელ ადამიანებს გულს სტკენენ. გიო, იცოდე, გამოგონილი მეგობარია ის, ვინც გითხრა, მაგრა შეასრულეო, როცა ის ბიჭი მუცელში სასიკვდილოდ დაჭერი.

ვინ მითხრა? აჰა... ნიკუშამ მითხრა.

- კი მაგრამ, ნიკუშასთან პირველი კლასიდან მოყოლებული ვმეგობრობ, გამოგონილი როგორ არის?

- გიო, მთავარი ის არ არის, რამდენი ხანია მეგობრობ, მთავარია, შენს საქციელზე რა შეფასებას გაძლევს! იცი, მე რატომ ვარ შენთან? იმიტომ რომ შენ გულკეთილი ბიჭი ხარ და როცა ღმერთი ფიქრობს, რომ შენნაირი კეთილი ბავშვი ამ საზიზღარი გარემოს მსხვერპლია, ცდილობს დაგეხმაროს, მიხვიდე მასთან და სინნულით პატიება სთხოვო! შენ ის არ ხარ, რასაც თამაშობ, გიო! შენ კეთილი ხარ! სიყვარულით სავსე, მაგრამ ეგოისტად მოგაქვს თავი, გგონია, რომ უკეთესია და არ იცი, რომ სიყვარულს ეგოიზმი უპირისპირდება! შენნაირი ახალგაზრდების თინეიჯერული წლები თამაშია, სადაც მოგებული არ არსებობს, მხოლოდ გადარჩენილები არსებობენ. ღმერთს

არ უნდა, რომ შენი სადავეები მიუშვას და ისე ნუ იზამ, რომ ღმერთმა მიგატოვოს. გამოიყენე ციხეში ყოფნის პერიოდი სინანულისთვის, გიო!

- არც კი ვიცი, რა გითხრა... ყველაფერში მართალი ხარ და ახლალა ვხვდები ჩემი წარსულის უმწეობას. რისთვის მიცხოვრია 16 წელი, რას ვაკეთებდი?!

- გიო, შენ იფიქრე შენს წარსულზე და ეცადე დაეხმარო იმათ, ვინც შენსავით თბილისის მსხვერპლია. თუ ღმერთი შენს სინანულს დაინახავს, ყველაფერს შეგიწოდოს. იფიქრე გიო, გადადე ყველაფერი გვერდზე, ეცადე ღმერთთან ახლოს იყო, სიკეთე თესო.

ხმას ვერ ვიღებ... ცრემლები მომდის... საიდან ამდენი აგრესია, რატომ ვიქცევოდი ასე? რატომ არ ვიცოდი, რომ სიკეთის ფასი არაფერია და ამ ქუჩაში არაფერი ღირებული არ ყრია. რატომ არ ვიცოდი, რომ ყველა წესზე, კანონზე და პრინციპზე უპირატესი სიყვარულია? კაი დროსია! მაგრამ გვიანი არ არის! რატომ ვკიცხავდი სხვას, როცა უნდა დავმჯდარიყავი და ჩემს ცოდვებზე მეტირა? ჰმ... რატომ მეგონა, რომ ყველაფერი გამაჩნდა მაშინ, როდესაც ღმერთის სიყვარული არ მქონდა? “ყველაფერი”... რატომ ვერ ვხვდებოდი, რომ ადამიანს სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს?!

მე გადავრჩი, მერე რა, რომ ციხეში ვარ. მე მარტო არ ვარ, ჩემთან ერთად ღმერთია, ღმერთი კი სიკეთეა, სიყვარულია, რომელიც არ მტოვებს, მთავარია, მე არ დავტოვო ის. მან შანსი მომცა და მე გამოვიყენებ ამ შანსს!

ხოსე ულამაზო

*„ძალიან ნუ დაიხარჯები, ცხოვრებაში ყველაფერი
საუკეთესო მოულოდნელად ხდება.“
გაბრიელ გარსია მარკესი*

წარმოიდგინე, ისეთი ბიჭი ხარ, რომ იტყვიან, ასეთი უშნო არავინ დადის დუნიაზეო. დავუშვათ, ხოსე გქვია და ყველას უმტკიცებ, ნობელის პრემიის ლაურეატის, კამილო ხოსე სელას პატივსაცემად დამარქვესო. სინამდვილეში კი ბაბუაშენის ფრონტის მეგობრის სახელი გიბოძეს, რომელიც ტყვედ ჩავარდნილა, მერე საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულა და ტყეში დამალული შიშისაგან მომკვდარა: რომ მიპოვონ, მერე რალა ვქნაო.

რეალისტი ხარ. ბავშვობაში წამით არ გაგივლია თავში, რომ თოვლის ბაბუა მართლაც არსებობდა. ხვდებოდი, რომ ისეთი სათნო და კეთილი არსება, როგორიც თოვლის ბაბუაა, არ შეიძლებოდა ასეთი ძუნწი ყოფილიყო.

შენდა საუბედუროდ, სახლში ბევრი სარკე გაქვს და ხშირად იცქირები შიგ. იცი შენი შესახედაობის ამბავი. ერთი პერიოდი კი ფიქრობდი, ქალებს ლამაზი მამაკაცები არ მოსწონთ, მათ იტაცებენ კაცები ლამაზ ქალებთან ერთადო, მაგრამ მერე მიხვდი, რომ არც ეს თეორია ასხამდა შენს ნისქვილზე წყალს და ჩანექი შლამში თევზივით. არადა, ქალი გესმის მაგრად. ალ პაჩინოს გმირივით სურნელის მიხედვით შეგიძლია თქვა, რა ფერის კანი, ან თმა აქვს, მაგრამ დედამინაზე მცხოვრები ქალების 0,00001%-ც არ იტყვის შენზე, ხოსე მიზიდავსო. ჯერ პოლიციელობაზე ოცნებობდი, მერე - მეხანძრეობაზე, ბოლოს - ფოტოგრაფობაზე. ეს უკანასკნელი კარგადაც გამოგდიოდა. შენ წინა კორპუსში მცხოვრები შავგვრემანი გოგონა მოგწონდა. არა, ეს ზუსტი სიტყვა არაა, გაგიჟებდა. ოცნებობდი, მისთვის სურათები გადაგელო. მერე ერთხელ გაუბედე და თხოვნით მიხვედი. ჰოდა, როცა უკვე მოფურთხებას ან რამე ამის მსგავსს ელოდი, შენდა გასაკვირად, თანხმობა მიიღე. სალამოს სახლში თქვი, მეგობარს მივყვები ქალაქგარეთ, ღამე სურათები უნდა გადავიღოთო. სინამდვილეში კი მთელი ღამის განმავლობაში იმ შავგვრემან შიშველ კახპას აქცევდი შენი ფოტოკამერის ობიექტივში. ის გოგო ისედაც შემცდენელად იყო მოვლენილი დედამინაზე და შენ მთლად დამლუპველად დახატე. ვაჟიშვილი იყავი და, როცა გაიხადა, ბუნებრივია, შეგიყვარდებოდა. იმ სახლიდან

ისე წამოხვედი, რომ ქალიშვილს, ამ სიტყვის ყველაზე საეჭვო გაგებით, გაოგნებულმა, მადლობაც ვერ უთხარი, ან, უარეს ში, მიხვედი და შიშველ ქალს მადლიერების ნიშნად ხელზე აკოცე.

ფოტოგრაფიის დიდი ნიჭი გქონდა, როგორც იმას - პოზიორობის, სურათები მშვენიერი გამოვიდა. არავისთვის გიჩვენებია. ძილის წინ მხოლოდ შენ ათვალიერებდი. უყურებდი, ოცნებობდი, იძინებდი, უყურებდი, იმედოვნებდი, გეძინა და ვინ იცის, კიდევ რა სისულელეს აკეთებდი.

მერე, ალბათ, ის გოგო, როგორც მის მსგავსებს სჩვევიათ ხოლმე, სხვა სახლში გადავიდოდა საცხოვრებლად. წასვლისას ნითელი მოკლე სარაფანი ეცმებოდა. რალაც ნივთებს ჩამოიტანდა და მანქანაში ჩაალაგებდა. ნელ-ნელა დაიღლებოდა, გულ-მკერდი დაენამებოდა. შენ ამას, ალბათ, ფანჯრიდან უყურებდი და იმის დაჯერება არ გინდოდა, რომ მას ველარასოდეს ნახავდი. იმასაც კი გაიფიქრებდი, თან ნაყვეები და სადმე, მის სიახლოვეს ვიცხოვრებო. მერე გადაიფიქრებდი. ბოლოს კი, როცა მანქანაში ჩაჯდებოდა და მიხვდებოდი, რომ მას მართლა ველარასოდეს ნახავდი, გაიქცეოდი, ლოგინის ქვეშიდან იმ საგულდაგულოდ შენახულ სურათებს გამოიღებდი, დაწვას დაუპირებდი. მერე ვერ შეეღეოდი და ისევ იქ შეინახავდი, მაგრამ ძილის წინ აღარ დაათვალიერებდი ხოლმე.

მერე გაივლიდა დრო, დაამთავრებდი სკოლას და სასწაულის წყალობით უნივერსიტეტში ფოტოჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარებდი. სასწაულის წყალობით, იმიტომ რომ მანამდე „ბიძია თომას ქოხიც“ კი არ გექნებოდა წაკითხული. უნივერსიტეტში მაგარი გოგოები არიან ხოლმე. გეყოლებოდა ერთი-ორი ისეთი ჯგუფელი, რომელზედაც ჭკუას დაკარგავდი, მაგრამ შენ უშნო იქნებოდი და მხოლოდ კარგი მეგობრობა გამოგივიდოდა მათთან. შენთან მეგობრობა მართლა მოეწონებოდათ. ამ გოგოებთან ერთად ხშირად დაგინახავდნენ ხოლმე სეირნობისას. შეეგუებოდი იმას, რომ მათთვის მხოლოდ მეგობარს წარმოადგენ და ხანდახან ეს გაგამხნევებდა კიდევც.

მერე, ალბათ, შეცდომა მოგივიდოდა და სიტუაციას რეალურად ველარ შეაფასებდი. გაგიტაცებდა ისეთი გოგო, რომელზეც ბევრი იოცნებებდა. შენ უფრო მონესრიგებულად ჩაცმას დაიწყებდი, გამუდმებით მიიპკურებდი სუნამოს. ის გოგო კი არ დაგაიმედებდა, მაგრამ არც იმას გეტყოდა, დაამუხრუჭეო. ეგ აქვთ ცუდი ქალებს - ძალიან მოსწონთ, როცა ვინმეს უყვართ, არ აქვს მნიშვნელობა, ვის. მერე აუტირებულნი ივლიდი შენი ფოტოკამერით. ერთ დღესაც უნივერსიტეტში მიხვიდოდი და იმ გოგოს მეგობარი გეტყოდა, გათხოვ-

დაო.

ასე, ორი თვე არ გაიპარსავდი წვერს, ან უარესი - არ იბანავებდი. შეიძლება სახლშიც ჩაკეტილიყავი (ისე, თუ არ იბანავებდი, ჯობდა, მართლაც სახლში ჩაკეტილიყავი). ჩუმი იტირებდი, იფხიზლებდი. მოუსმენდი ბრაიან ადამსის ან მერაია ქერის სიმღერებს.

შენი ხასიათზე მოსვლა გაზაფხულის დადგომას დაემთხვეოდა. გარეთ გამოხვიდოდი, გაისეირნებდი, მეგობრებს ნახავდი. თავს კვაზის მდგომარეობაში წარმოიდგენდი და, ერთი ხანობა, ეს გაგიტაცებდა კიდეც. მერე მიხვდებოდი, რომ თავის წვალეობა სისულელეა და ისევე ხოსე გახდებოდი.

უნივერსიტეტს დაამთავრებდი და მუშაობას დაიწყებდი რომელიმე იაფფასიან ჟურნალში, რომელიც შენს ქვეყანაში ყვითელი პრესის თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა. გადაიღებდი უნიჭო ჟურნალისტების უნიჭო რესპონდენტების სურათებს. მერე შენი მეზობელი უკეთეს სამსახურში მოგაწყობდა. დაგანინაურებდნენ და შენი სამუშაო მოგეწონებოდა. გადაერთვებოდი. ხელფასი კარგი გექნებოდა. მალე მანქანას იყიდდი. ყველაფერი კარგად წავიდოდა, მაგრამ ერთ დღესაც მიხვიდოდი სამსახურში და გეტყოდნენ, რომ უკეთესი მიიღეს და შენ აღარ სჭირდები. ყველაზე გამაოგნებელი კი ის იქნებოდა, რომ შენს შემცვლელსაც ის შენი მეზობელი მოაწყობდა შენს ადგილზე, რომელიც მანამდე შენ დაგეხმარა.

მერე რას იზამდი? მოდი, გამოვიცნობ: დაიღალე მარტოობით და ცოლობა სთხოვე შენს მეზობელს, რომელიც ფიზიკური „ღირსებებით“ ძალიან გგავდა. როცა წინადადება წაუყენე, გაიცინა და თვალ-იდან ცრემლი გადმოუვარდა. შენ, ალბათ, არ იტირე. მან ხმის ამოღება ვერ შეძლო - თანხმობა თავის მოძრაობით განიშნა და ჩაგეხუტა. თქვენს ჯვრისწერაზე მხოლოდ ძალიან ახლობელი ადამიანები შეიკრიბნენ. ჯვრისწერისას დედასა და ბებიას ცრემლები გადმოსცვივდათ. მამა ამაყად იდგა და მხედრული სწორება ეჭირა. ცერემონიის შემდეგ მშობლებმა დაგიძახეს და გითხრეს, რაც დაიბადე, შენთვის ფულს ვაგროვებთ და დადგა დრო, მოგცეთო. შენ მოგერიდა და გაქვავებული იდექი. მერე მუჭი მამამ თვითონ გაგაშლევინა და ფულის შეკვრა ჩაგიდო. აქ კი ნამდვილად იტირე.

გადანყვიტე, საცხოვრებლად უცხოეთში წახვიდე. თან პირადი ნივთები, მათ შორის, ის პატარა ყუთი წაიღე, ლოგინის ქვეშ რომ ინახავდი. უკვე უცხოეთში ხარ. ცოლმა, რომელსაც ძალიან უყვარხარ (ნელ-ნელა მიხვდი, რომ შენც ყოველთვის გყვარებია), იმ შიშველი კახ-

პის სურათები აღმოაჩინა. შენ ელოდები, როდის დაინყებს ტირილსა და მოთქმას იმაზე, რომ უნამუსო და მოლალატე ხარ... მის დასამშვიდებლად და თავის გასამართლებლადაც ემზადები. ცოლი კი ამბობს, რომ ეს იდეალური სურათებია და აღტაცებული გიყურებს. შენ გახარებული ზიხარ სავარძელში და ხვდები, რომ ცოლი ძალიან გიყვარს. მეორე დღეს ის ერთ-ერთ ძალიან ცნობილ ჟურნალში მიდის და შენი ფოტოები მიაქვს. ამის შესახებ შენ არაფერი იცი. მერე იმ ჟურნალიდან მონვევა მოდის - სამუშაოს გადავაზობენ.

ყოველ დილით გასვლის წინ და მერე სახლში შემოსვლისას ცოლს კოცნი. გყავთ შვილები, რომლებსაც აღმერთებთ. ბავშვები მშობლებს არ გვანან. სახელებიც საგულდაგულოდ აქვთ შერჩეული. იმ ჟურნალში მთავარ ფოტოგრაფად მუშაობ. და ბედნიერი ხარ.

გამოვიცანი?

მონატრება

ლამე ინურებოდა.

რამდენიმე საათის წინ დასავლეთის მთებს მოფარებული მზე ახლა უკვე აღმოსავლეთიდან უმზერდა თეთრ თოვლში გახვეულ პატარა, მყუდრო, შეღვიძებულ სოფელს. ისე მალვით აბნევდა სხივებს გარშემო, თითქოს საუკუნე გასულიყო, რაც მშობლიური და კარგად ნაცნობი მხარე არ ენახა.

უმზერდა და ამკარად ესმოდა ცივი, სუსხიანი და მიმოფანტულ სხივებში არეული ქარის კივილი. იქვე, სოფლის ბოლოს, უღონოდ ჩაკეცილიყო მისი სახლი, თითქოს მოლოდინისაგან გადაღლილიყო. ეზო სპეტაკი და უცოდველი თეთრი ფიფქებით დაფენილიყო, მონატრებით შესცქეროდნენ მზეს, ისეთი მონატრებით, თითქოს უნდოდათ, გულში ჩაეკრათ თითოეული სხივი და ზედ დაუფიქრებლად შეკვდომოდნენ, ოღონდ კი შეხებოდნენ. სიღარიბე სუფევდა. კაცის ხელი აკლდა სახლს.

უეცრად კარი გაიღო. დათოვლილ გზაზე მოხუცი ქალი გამოჩნდა, დარდისა და მწუხარებისგან წელში სამად მოხრილიყო, სახე დანაოჭებოდა. წამიერად შეჩერდა და კაშკაშა, მაგრამ უძლურ მზეს თვალი შეავლო. რაღაც იგრძნო, თუმცა... თვალზე გამშრალი ცრემლი მოადგა. ცრემლთა ნაკადმა გზა ვერ იპოვა და დადუმდა. მზეს თვალი მოაშორა და შორს, თოვლში ჩაფლულ საყდარს გახედა, ღმერთს შეჰღალადა, პირფვარი გადაინერა და გზა განაგრძო...

...მიდის ჩუმად, მარტოდმარტო, დოქით ხელში. წყაროსთან შედგა, წელში გაიმართა. ის კი ისევ უმზერს და თბილი, მაგრამ ჯერ კიდევ უძლური სხივებით ეალერსება. უნდა, ახლოს მივიდეს, ჩაეხუტოს და ანუგეშოს, თუმცა იცის, რომ ეს შეუძლებელია. „ნუ გეშინია, დედა, მალე დავბრუნდები ჩემს მშობლიურ მინა-წყალზე“, - ბუტბუტებდა თავისთვის. ტანში სიცივის ჟრუანტელმა დაუარა და ააცახცახა. ძილისგან დაღლილი და მითენთილი თვალები ზანტად გაახილა. ირგვლივ მხოლოდ ავტომანქანების უწყვეტი და ხალხის გაუგებარი ხმაური ისმოდა. მზე აღარ იყო, ნაცრისფერ ღრუბლებს შთაენთქათ. წინ მხოლოდ დანისლული მომავალი მოჩანდა... ასადგომად წამოინია, ქურჩა დალანდა. მიხვდა, რომ ისევ სიზმარი ნახა, სიზმარი დედაზე, რომელიც ასე დაეჩაგრა ცხოვრების უსამართლო დინებას. გულში რაღაც ჩასწყდა.

გალურჯებულ მუჭაში ცივმა ხურდამ გაიჩხრიალა...

მოჩქარეს მოუგვიანდეს

სოფელი. ვარსკვლავებით მოჭედული ცა. ეზოში ჭრახის შუქით განათებულ ტაბლას ორი ძმა უზის და მადიანად შეექცევა შეუკაზმავ ლობიოს პრასთან და წინა დღის გამომცხვარ მჭადთან ერთად. დოქში მეზობლისგან ნასესხები ღვინო ასხია და ძმები ბედნიერად გრძნობენ თავს. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ უფროსი ძმა იწყებს საუბარს:

- რა ქენი, ბიჭო, იშოვე ქალაქში ფული, ქორწილი რომ გადაიხადო? თორემ დადნა მადონია შენი მოლოდინით.

- ფული კი ვიშოვე, მაგრამ სად მოვიყვანო? ამ სახლში შენი ბაღებით ძლივს ეტევი და მე სად დავწვე ჩემს ცოლთან ერთად?

- თავიდან „ზალაში“ დანვებით, ახლა არც დენია, არც გაზი, ხელი რომ შეგიშალოთ ტელევიზორის ყურებით ან აბაზანაში შესვლით, წყალიც არ მოდის და რატომ შევალთ?!

- კარგი, ბატონო, არ მოვიდა დენი, წყალი, გაზი, მაგრამ როცა მოვა, მერე სად წავიდეთ მე და ჩემი მადონა?

- მერე? მერე გამოჩნდება რამე, მივამენოთ ამ ხუხულას ერთი ოთახი გარედან შენთვის, ახლა არ მითხრა, რითიო, დიდია სოფელი, მოგვეშველებიან მეზობლები, ნათესავები და გავალთ ფონს, აჰა, ასე დაქცეულები ხომ არ ვიქნებით მთელი ცხოვრება? გამოსწორდება ეს ქვეყანა ერთ დღეს და დავუბრუნებთ სიკეთით ჩვენც ყველას, აჰა, რავა იქნება?!

- ეჰ, ქვეყანა რომ გამოსწორდება, მანამდე ვიყოთ კარგად მე და შენ შენი ანგელინათი და იმ ხუთი ანგელოზი ბაღანათი.

ძმებმა ხმამაღლა გაიცინეს, თითო ჭიქა გადაკრეს და სიმღერაც წამოიწყეს.

ქორწილისათვის მზადებაში მთელი სოფელი გვერდით დაუდგა ბიჭოთა შვანგირაძეს, ზოგმა გოჭი მისცა იაფად, ზოგმა ქათამი, ბოსტნეულით და ხილით გაუფასეს ბედელი ძმებს, ღვინოც საკადრისი შეურჩიეს. შეუდგნენ სამზადისს თონეში ფიჩხზე დანთებული ცეცხლით. ვინ ხაჭაპურს და მჭადს აცხობდა ბუხარში, ვინ ქათმებს პუტავდა, დომენტია გოჭს ატრიალებდა შამფურზე, ხუტა ღვინოს ასხამდა დოქებში და ცოტა-ცოტასაც წრუპავდა, ცდილობდნენ მოესწროთ ყველაფერი ნეფე-პატარძლის მოსვლამდე. ლამფები მოიმარაგეს, წყალიც მეზობლის ჭიდან ამოიღეს, ამ ორომტრიალში გაისმა მახარობლის სიგნალის ხმაც.

- სიძე-პატარძალი მობრძანდება! - იყვირა უკვე გაღეშილმა ბუხუტიამ და ერთი ათლიტრიანიც მიაფშვნა იქვე. გულშელონებულმა და შეშინებულმა „ბედნიერებაშიო!” ქე იყვირა, მაგრამ ბიჭოიას ძმამ ისე უცებ წაავლო ქეროში ხელი და ისე უცებ უთავაზა პანდური, რომ დაფეთებული ბუხუტია ჰაერში მიხვდა, ჭინჭრებში რომ ვარდებოდა და ფართხალ-ფართხალის შემდეგ მაინც მოახერხა ფეხზე წამოხტომა და ეზოდან გავარდნა, იმას აღარ დარდობდა, თუ როგორ აგინებდა ბიჭოიას მარანში დარჩენილი ძმა.

ატყდა ერთი ალიაქოთი, ყველა ცდილობდა პირველს მიელოცა ნეფე-პატარძლისთვის გაბედნიერება. პატარა ძმიშვილიც ჩაუგორეს ხელებში სულ ასე გამრავლოთო, უთხრეს და სეფაში შეუძღვნენ.

დიდხანს გაგრძელდა ქორწილი ბიჭოიას და მადონიას ჯინაზე. ათი წლის შეყვარებულებს განმარტოება უნდოდათ, მაგრამ სანამ ყველაფერი არ შექამეს და დალიეს, ფეხი არ მოიცვალეს სტუმრებმა. როგორც იქნა, მორჩა ქორწილი და ბიჭოიას რძალი შეუძღვა სიძე-პატარძალს ზალაში, სადაც მათ ახალი თეთრეულით განყობილი ზამბარებებიანი საწოლი ელოდათ. სიძე-პატარძალს სისხლი აუვარდა თავში, ათ წელს ელოდნენ ამ დღეს, ანთებული და აღგზნებული შესცქეროდნენ ერთმანეთს და ცალი თვალი ორივეს საწოლისაკენ ჰქონდა, რომელსაც ბიჭოიას რძალი შლიდა. ჩვენ მოვუვლით აწი ყველაფერსო, თავაზიანად უთხრა ბიჭოიამ და ხელით ანიშნა რძალს, დაგვტოვეო.

- ლამფას მე წავიღებ, შვილებო, თქვენ სიბნელეში უფრო გაუგებთ ერთმანეთსო, - ჩაიქირქილა ბიჭოიას რძალმა და კარი გაიხურა.

- ჩაკეტე კარი, - ჩურჩულით უთხრა მადონიამ.

- ვინ შემოვა, გენაცვალე, - უთხრა ბოჭოიამ მადონიას და გულზე მიიკრა. ერთი კოცნით გამოხატა ათი წლის მონათმენი. მადონიამ კი უკან დაიხია, - მთელი ცხოვრება წინ გვაქვს და ნუ აჩქარდებიო, - მაგრამ რა გააჩერებდა აღგზნებულ ბიჭოიას, ეცა და საწოლზე წამოაქცია. არაფერი ახსოვდათ ერთმანეთის ხვევნა-კოცნაში ნეფე-დედოფალს, არც ხმაური გაუგონიათ, არც “წყალი მოვიდაო”, ბიჭოიას ძმიშვილი რომ გაჰკიოდა. “ზალაში” ტაბლებით და ლახანკებით შეიარაღებული ბიჭოიას ძმის მთელი მონაგარი შემოცვივდა წყლის ასაღებად და მოსამარაგებლად, ბარემ, სანამ მეზობელი ქალები აქ არიან, დღესვე დავრეცხავთ ჭურჭელსო. ერთი წვეთი წყლის დაკარგვაც არ უნდოდათ, აწი როდის მოვა, ვინ იცისო, და იყო ერთი განამანია.

მადონია აწითლებული უღიმოდა მოფუსფუსე ბრბოს, ვერც კი

ამჩნევდნენ მას, ისე სწრაფად გარბი-გამორბოდნენ წყლის ასაღებად. რამდენიმეჯერ მწყრალად შეიგინა ბიჭოიამ, მაგრამ რას იზამდა...

ნეფე-დედოფლის იღბალზე წყალი მალევე შეწყდა და ყველა ბოდიშის მოხდით გავიდა გარეთ.

ძლივს დაანყნარა შერცხვენილი მადონია ბიჭოიამ. ნელა და ნაზად დაუნყო ფერება.

- ჩემო სიცოცხლევე, წავსულიყავით ქალაქში, აგველო ერთი ნომერი და წყნარად ვიქნებოდითო, - უთხრა ბიჭოიამ ცოლს. გაუღიმა და გააგრძელა ხვევნა-კოცნა. უცებ განათდა იქაურობა, დაბნეული სიძე-პატარძალი ხმაურზე და ყვირილზე მიხვდა, შუქი მოვიდაო. გაიღვიძა სოფელმა და ატყდა „ზალის“ კარებზე ბრახუნი და ყვირილი, - ბიძია, სერიალი დაიწყო და შემოგვიშვიო!

ნახევრად შიშველმა და გიჟმა ბიჭოიამ ნაძალადევი ღიმილით გაულო კარები ძმისშვილებს და ოთახში შეუძღვა.

ფაცხა-ფუცხით იკავებდნენ ბავშვები ტელევიზორის წინ ადგილებს. მადონია კი ელვის სისწრაფით იკრავდა კავის ღილებს და ჩულქებს ბალიშის ქვეშ მალავდა. ყვირილით შემოვარდა ბიჭოიას ძმა ბავშვების გასაყრელად, - ეს რა ქენით თქვე ურწმუნოებო, არ აცლით ხალხს მოსვენებასო, მაგრამ ბავშვები ისე ჩაეფლნენ სერიალის ყურებაში, რომ ველარავინ მონყვეტდა მათ ტელეეკრანს.

რა უშავსო. ერთდროულად იმეორებდნენ შეშლილი ღიმილით შეუღლებულები. მადონია კი ცდილობდა ლოგინი გაესწორებინა. ბიჭოიამ გვერდზე გაიწვია ძმა, რომელიც ძლივს მონყვიტა ტელევიზორს და უთხრა: ნადი, ბუხუტიას უთხარი, რომ ქალაქში წაგვიყვანოს, ავიღებ სასტუმროში ნომერს და იქ ვიცხოვრებ ცოტა ხანსო.

ბიჭოიას ძმა დარცხვენილი წავიდა ბუხუტიასთან.

ქალაქისაკენ მიმავალი ბიჭოია დიდხანს უყურებდა გაბრდღვიალებულ სოფელს და ხმამაღლა იგინებოდა, ახლა არ ქრება ეს შუქიო. მადონია შესციცინებდა მეუღლეს თვალებში და ფიქრობდა, ან რა გვეშველებო.

ქალაქში ისე ძვირი დაუფასეს ბიჭოიას ნომერი, რომ რაც ჰქონდათ, ერთი ღამის გათენებასაც კი არ ეყოფოდა. ადმინისტრატორმა ვაგზლის სასტუმროში გაგზავნა შეუღლებულები.

ვაგზლის სასტუმროში ძლივს მოახერხეს ნომრის აღება. ჩაბნელებული დერეფანი გაიარეს ბებოსთან ერთად.

- ა, თქვენი ოთახიო, - და შეუშვა შეყვარებულები ერთ პატარა ოთახში. მათთვის ოთახის ზომა კი არა, მთავარი იყო ეს ათი წლის ნა-

გროვები გრძნობები გადმოეფრქვიათ. აქ ვინღა შეუშლიდა ხელს მათ ბედნიერებას. შვებით ამოისუნთქეს და მიეფერნენ ერთმანეთს. მათი მყუდროება რაღაც ყვირილმა დაარღვია, რასაც კარებზე ბრახუნი მოჰყვა. შეჰკვივლა მადონიამ, - ნუ, ჩემო სიყვარულოო! ბიჭოიამ, - აქაც ხო არ მასვენებენ ეს ეშმაკის ფეხის მკვნეტელებიო და კარი საცვლის ამარამ გააღო. გაღებული არ ჰქონდა ბოჭოიას კარი, ორმა პოლიციელმა რომ გასკვანჩა.

- ეს კიდე აქ მოთრეულაო! - იყვირეს პოლიციელებმა და პანლური უთავაზეს ბიჭოიას.

ბიჭოია შარვალს ეძებდა და თან გაჰყვიროდა: რას მერჩით, პირველად ვარ აქო!

- შენ კი ხარ, შეიძლება, პირველად, მაგრამ შენი კნენა მესუთედ მაინც მოდის აქო.

სანამ რამეს იტყოდნენ და თავს გაიმართლებდნენ, პოლიციელები უკვე დერეფანში მიაჩანჩალებდნენ ნახევრად შიშვლებს.

მანქანაში, სადაც ისინი შეტენეს, გოგო-ბიჭების ტევა არ იყო. რის ვაი-ვაგლახით დახურეს კარი და გაუყენეს გზას საქორწინო მოგზაურობაში.

წერილები

...როცა ლამდება, მე ყოველთვის რაღაც მაშინებს, ხოლო დილას რაღაც მამშვიდებს, აი ეს არის იმის მიზეზი, რომ გაორება ჩემში თავს იჩენს. ღამით ვფიქრობ, რომ დამთავრდა ჩემი დრო და გათენება აღარ იქნება. დილით კი, მზის დანახვისას, შიში მიქრება და უცნაური სიმშვიდე მიპყრობს. ალბათ ჩაცხრება ბავშვური ვნება და მერე მეც ღალად ვისუნთქებ ჰაერს, თუმცა ახლა მე ველარ ვსუნთქავ და არც ის ვიცი, რა მელის ხვალე. ხანდახან რაღაც სურვილები მე სულს მიმუსრავს, და გასაქცევი გზის ძებნას ვინწყებ და სადაც კი წავალ, მსგავსი აზრები თან დამდევს...

...მე ყოველ ღამე ვფიქრობდი ცუდზე, ცუდზე გარდასულ დღეთა ნაშთიდან, და ყოველ ღამე მახსენდებოდა ის სიყვარული წინა ღამიდან. აღარ მიყვარდა მთვარის სილურჯე, მხოლოდ ტკივილი მეკრა ბაგეზე, მაგრამ ყოველი გახსენებისას, თითქოს იარას მარილს აბნევდნენ. ასე გაცვალა სუსხმა, ქარებმა კვამლში და სუნში ჩემი სიკეთე და რაც სიკეთე გარდაიცვალა, მას შემდეგ უკვე ბოროტს მიზრახვენ. დღეს დამენავლა და დამეშრიტა უკანასკნელი ძალა ცდუნების, ვინღა მაცდუნებს უკვე ნაცდუნებს, მე ხომ, პირიქით, სხვასაც ვურჩევდი... თოვლში თუ დავფლავ ჩემს ყოფილ გრძნობებს, ის არ გაყინავს ისე სასტიკად, როგორც ქარებმა, ლურჯმა მთვარემ, სულ თავ-ბოლომდე იგი გაყინა.

„კაბის შრიალში ფეხის ნაბიჯებს ვინ გაიგონებს,“ - იტყობი შენ და მერე ბრალი მიმტკიცდებოდა და გამარჯვება ხვდა წილად იმას, ვინც უსათვალოდ იმზირებოდა. ახლა მე უკვე ვენდობი არვის, და ეს ნდობაც კი უკვე დიდია, იმდენჯერ დამცეს, რომ წამოდგომა არც შემოიძლია და ზედმეტი. რა ვქნათ, დანებდა ყოველი საქმე, ჩვენ დანებება წელშიც გაგვიჯდა, მე კი ის ვიცი, არდანებება - მხოლოდ და მხოლოდ ეს აღარ ღირდა. მე მენვის მხარი და ვენვი მხარსაც, უკვე დაშლილი მინდორზე ვგდივარ, აღარ ამკრიფოთ, ვერ ავენყობი, „მინა ვიყავ და ვიქეცი მინად.“

...მაშინ დღეები ერთურთს ებრძოდნენ... კეთილთ უნდოდათ ჩვენი გათბობა, მაგრამ სიცივე ბოროტი ძალით განადგურებას ჩვენსას ღამობდა... იმ დღეს იჭეჭა საოცარ ძალით და ჩამოუშვა მინაზე წყალი, იმ დღეს ბუნებამ აღარ დაგვინდო, არ დაგვიტოვა ადგილი

მშრალი და მან კი მითხრა, რომ ჩემთან სურდა, მაგრამ ნვიმაში ვერ მოვედიო... ალბათ მიზეზებს რომ იგონებდა, გონებასაც არ ჰკითხა რჩევა. მე კი ვიცი, რომ სიკვდილის შემდეგ მომიგონებენ, როგორც მათ უნდათ. ამ ქვეყანაზე კარგის დათესვა უფრო და უფრო, უფრო გართულდა. ჩვენს არსებაში იცვლება რაღაც, ენა ხან გვერჩის, ხან - არა, მაგრამ ბოლომდე... სანამ ვართ ერთად, ერთმანეთს ბოროტს მაინც ვუკეთებთ და ჩვენს საქმეებს, ესოდენ მხდალებს, ჩვენი შვილები თავად უმზერენ. მერე კი ვითხოვთ შვილებისაგან წესიერებას. როცა მაგალითს თვალხილულ ვუდებთ, ნეტავ, ვიცოდეთ, მოსამართლენო, რომ კართან ახლოს არსებობს ზღუდე...

დღეები ერთურთს ისევ ებრძვიან, მე კი სიცივეს ვებრძვი როგორღაც, ბუხართან ვზივარ, ნახევრად მცივა ბაბუის ნაქონ უხემ ჯორკოსთან.

...უკვე მეოთხე წერილი არის... სამჯერ გამკიცხეს, სამჯერ შემაქეს... არ მომიწონეს მე პესიმიზმი და პესიმიტი უმალ შემარქვეს. მაგრამ გრძნობების თოვა რაღაა, თუ არ დავწერე ჩემი ლექსები. ლექსი არ ყვირის, უბრალოდ ამბობს, რომ ჩვენ სუყველა ერთად ვბერდებით...

მე ვწერ წერილებს - უადრესათოდ, მაგრამ ხომ უნდა სიტყვებს მიზანი? მე ვწერ წერილებს ყოფილ სიყვარულს, მას კი არასდროს არ დავჭირდები. მე ვწერ დედაჩემს ან კიდევ მამას, ბებიასა და ჩემს უფროს დასაც, მე ვწერ ბაბუებს - უკვე წასულებს, მე ვწერ უბრალოდ ლამაზ ალუბლებს.

...აჰ, გაიღო მარტოობის კარი, მოდიო ჩემთან, გულმხურვალედ გინვეთ. არ დახუროთ გაღებული კარი, არ ჩაუკლათ არსებობა იმედს. მოდიო ჩემთან, ვისაუბროთ ბევრი, მე ვერ მოვალ, დავილაღე ხვეწნით, თუ კი ასე გამამხნევებთ რისხვით, ახლა მოდიო, ახლა მართლა გიცდით. ამრიალებს ქარი ჩემ წინ ფარდებს, თან ფიქრებსაც უგზო-უკვლოდ აბნევს, გარეთ კიდევ გალობს ერთი ჩიტი, მე კი ისევ უმოწყალოდ გიცდით. გაზაფხულიც მოვა ალბათ მალე და გაივლის ზამთრის ცივი ხანა, რა კარგია, როცა იცი, ვიღაც, როცა ვიღაც გელოდება სადღაც...

გაკვეთილი მშობლებს
(lesson N 1)

თქვენ ხართ დედა!

თქვენ ყოველთვის ახვედრებთ სადილს სკოლიდან დაბრუნებულ შვილს. არასდროს გავიწყდებათ ჰკითხოთ, რა მიიღო სკოლაში, როგორ იქცეოდა.

რა თქმა უნდა! ეს ხომ დედის მოვალეობაა... ყოველ ფეხის ნაბიჯზე შენიშვნასაც აძლევთ და არც იმის თქმა გავიწყდებათ, რომ თქვენი მეგობრის შვილები ასე არ იქცევიან.

თქვენ შვილს ზრდით!

თქვენ ყოველთვის ეკითხებით შვილს, რა აქვს დავალებად მათემატიკაში, მაგრამ არც ერთხელ მოგსვლიათ თავში აზრად, გეთქვათ:

- დადექი წვიმაში, მოუსმინე, მერე შემოდი და რაც გაიგონე, დაწერე...

ქარი რომ ამოვარდება, არ დაგავიწყდებათ კარგად შეუკრათ ქურთუკი, ქუდი კისრამდე ჩამოაფხატოთ, კაშნე წაუჭიროთ და სირბილით გააქანოთ სახლში... რა თქმა უნდა! აბა, ხომ შეიძლება გაცივდეს. სამაგიეროდ, თქვენი შვილი ვერ ისწავლის ფრენას.

თქვენ არასდროს გიცდიათ ქარში გაგეჩერებინათ თქვენი შვილი და გეთქვათ:

- დეე, დახუჭე თვალები, ნელ-ნელა ასწიე ხელები... ნელა-ნელა, რას გრძნობ?

და არც თქვენს შვილს უბასუხია ოდესმე:

- მივფრინავ, დეეე!

ადამიანები იბადებიან, მერე დიდხანს ცხოვრობენ და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეუძლიათ გაფრინდნენ. და ეს თქვენი ბრალია, მშობლების!

თქვენ საგულდაგულოდ ჭედავთ იმ ჩარჩოს, რომელშიც თქვენი შვილი მოათავსეთ. ყველა მხრიდან ჭედავთ, რომ ველარასდროს გამოაღწიოს.

სამაგიეროდ, ისეთი იქნება, როგორიც გინდათ, მეზობლები იტყვიან - დედა, რა კარგი შვილი ყავსო! - სამსახურიც ექნება, ოჯახიც... და თქვენ ბედნიერი იქნებით... მაგრამ თქვენი შვილი - არა! თქვენი შვილი არ გამოიქცევა სახლში სიხარულით, რომ გახაროთ, როგორ მოუსმინა ქარს და როგორ დაინახა ფოთლებით დახატული

ნახატები.

ის მოვა და გეტყვით, რომ დღეს ხელფასი გაუორმაგეს.

თქვენი შვილი არ გაგაღვიძებთ დილით და არ შესძახებს:

- დეე, ნახე, როგორი მზე ამოვიდა!

და რა თქმა უნდა, თქვენც ვერ წამოხტებით ლოგინიდან, ვერ გაიხედავთ ფანჯარაში და ვერ უპასუხებთ:

- ნახე, რა წითელი ფორთოხალივით გაეჩხირა მზე ხის ტოტებში...

სამაგიეროდ, თქვენი შვილი დილაუთენია პერანგის გაუთოვე-ბას მოგთხოვთ და თქვენც სიამაყით შეხედავთ ჰალსტუხიან თქვენს შვილს და გეგონებათ, რომ ცხოვრება აუნყვეთ.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ აღიარების გეშინიათ, თქვენ არასდროს უხდით ბოდიშს შვილებს, არასდროს ეუბნებით, რომ თქვენ შეცდით...

გაუშვით, რა, იარონ...

მერე თქვენი შვილი ღიბსაც დაიდებს, ჰალსტუხს გაიკეთებს, ნაბიჯიც უფრო მტკიცე ექნება... ჯიბეში ფული ედება! და თქვენ ჩათვლით, რომ ბედნიერად ცხოვრობთ... სამაგიეროდ, თქვენი შვილი დაკარგავს ყველაზე მთავარს - გრძნობებს და ეს იქნება თქვენი ბრალი, რადგან თქვენ არასდროს აძლევდით სიარულის საშუალებას. რატომ ვერ ხვდებით, რომ თქვენ ვერასდროს აგებთ პასუხს ვერც თქვენს და, მით უმეტეს, თქვენი შვილების მომავალზე...

ამიტომ გაუშვით... იარონ... ან თქვენც მათთან ერთად იარეთ. რატომ არ გინდათ გაიგოთ, რომ ცხოვრებაში მთავარი არ არის რას იტყვიან ემზობლები, ან როგორი შვილები ჰყავთ თქვენს მეგობრებს. თქვენ უნდა გიხაროდეთ, რომ თქვენი შვილი ცოტა მეტს გრძნობს, ვიდრე სხვები. თქვენთვის კი ეს ტრაგედიაა! რადგან თქვენი მეგობრების შვილებს არ აქვთ გრძელი თმები, არ უკრავენ, არც დახეული ჯინსები და კეტები აცვიათ... სამაგიეროდ, ისინი დილიდან სალამომდე მეცადინეობენ (რომ მერე რომელიმე ბანკში დაიწყონ მუშაობა, იქაც დილიდან სლამომდე).

თქვენც ეგეთი შვილი გინდათ?!

მზრუნველი მშობლის როლში შეიჭერით და ვერ ხვდებით, რომ თქვენს შვილს, რომელიც სიარულს სწავლობს, გამუდმებით წინ ელობებით... ჰოდა, ერთ დღესაც დაიღლება და აღარასდროს გაივლის...

აცადეთ თქვენს შვილებს ცხოვრება, ან თქვენც იცხოვრეთ მათთან ერთად.

ცხოვრებაში გაცილებით საინტერესო რაღაცეებზე არსებობს,

ვიდრე მათემატიკაში მიღებული ხუთიანი, კარგად დაწერილი კარნახი რუსულად და ან თქვენი მეგობრის კულტურული შვილები...

თქვენ არასდროს გაგიყვანიათ თქვენი შვილი ეზოში და არ გიჩვენებიათ, როგორ ყვავის ატამი... სამაგიეროდ, ყოველთვის მოგეკონდათ ბაზარში ნაყიდი ატმით სავსე ჩანთა, უთლიდით და აჭმევდით...

თქვენ ყოველთვის გეშინოდათ, რომ თქვენი შვილი არასწორ გზას აირჩევდა... სამაგიეროდ, თქვენ თვითონ დაგყავდათ იმ გზით, რომელიც ვერასდროს მივა ბედნიერებამდე... თანაც ამ გზას ყველა მხრიდან ჯებირებს უშენებდით, რომ ველარ შეძლებოდა გადახვევა.

მაგრამ არც თქვენი ბრალია, თქვენც ასე გაგზარდეს, თქვენი შვილებიც ასე გაზრდიან თავიანთ შვილებს. ასე უნდა გაგრძნელდეს დაუსრულებლად?

ძნელია მშობლისთვის იმის გაანალიზება, რომ შვილი არ არის მისი საკუთრება... რომ ის მაინცდამაინც არ უნდა ძერწო და არ უნდა მისცე ისეთი ფორმა, როგორიც შენ გინდა...

ნუ ცდილობთ, რა, მათ მაგივრად იცქიროთ... აცადეთ თვალის გახელა.

თვალდახუჭული მიგყავთ თქვენ მიერ აშნებულ გზაზე და, რა თქმა უნდა, ვერასდროს მოუსმენენ ქარის შრიალს, ათას რამეს რომ ყვება. ვერასდროს დაინახავენ მზეს, რომელიც მათთვის ანათებს.

ნუ ცდილობთ მათ მაგივრად მოისმინოთ, აცადეთ! აცადეთ, დაძაბონ სმენა და, დარწმუნებული ვარ, ისინიც გაიგებენ.

ნუ გგონიათ, რომ თქვენ ყოველთვის მართალი ხართ... ნურც იმას იფიქრებთ, რომ სხვის შეცდომებზე სწავლა მართლა შესაძლებელია... მართლა ასე რომ იყოს, მაშინ დღეს აღარავინ უნდა უშვებდეს შეცდომას...

აცადეთ, შეეშალოთ!

და თუ, მიუხედავად ყველაფრისა, თქვენი შვილი მაინც ბედნიერად გრძნობს თავს, მაშინ თქვენი მიზანი მიღწეულია... თქვენმა შვილმა დაკარგა შესაძლებლობა ჰქონოდა ფრთები... დახუჭული თვალებით ადვილია სიარული, მით უმეტეს, თუ გზა უკვე აშნებულია, მაგრამ გახსოვდეთ, რომ სირთულეების გარეშე ბედნიერება არ არსებობს, ასე რომ, არჩევანი ისევ და ისევ თქვენზეა, ძვირფასო მშობლებო, რომლებსაც გგონიათ, რომ ყველაფერი იცით!!!

(დაგხატავ)
შავით თეთრზე,
ანუ ცხოვრების წამზომი

დაგხატავ რა...

აბსოლუტურ გრძნობას დავშლი ფერებად, ცისარტყელას ფერებად, ნითლად, ყვეითლად, მწვანედ, ლურჯად, ნითლად, ნითლად, ნითლად და დაგხატავ. პალიტრაზე ფერები ერთმანეთში აიჩეხება და მხოლოდ ნითელი ზოლები დარჩება, ზუსტად ისეთი ზოლები, ჩემს თმას რომ დაჰყვებიან სისხლისფერ ლეღებად, და მე უმოწყალოდ დაგხატავ, ჩემი სისხლით გამოვიყვან შენი არამინიერი სუნთქვის ნაკვეთებს, დასვრილ ხელებს ლოყებზე შევინმენდ და ნითლად ატირებულ ცის ცხელი ემოციებით დასველებულ გზებს გავუყვები, შევალ მეთვრამეტე ნაბიჯზე შემხვედრ ბარში, სადაც ჩემს ამოჩემებულ მაგიდასთან დამხვდება ნითელი ფორთოხლის ცივი წვენი სავსე ჭიქა, ყინულებისა და სანრუპის გარეშე... გულის გამაღებელი მოუსვენრობა ბზარებს გამიჩენს მკერდზე, რომელსაც შავი კორსეტი დააკავებს და ჩემი შავი, გრძელი ქვედაბოლო ნითელი წვეთებით დაინწკლება... ვიტყვებ? ალბათ კი, მოვუსმენ Anja Garbarek-ის "Her room"-ს და კიდევ მოვითხოვ ნითელი ფორთოხლის წვენს...

გარეთ?

გარეთ ბევრნი არიან, უსაშველოდ ბევრნი, არეული, აზელილი ერთნაირ, ნაცრისფერ აზრებში, ერთმანეთის ჩაცმულობაში, ერთმანეთის გემოვნებაში, ერთმანეთში... მე კი მოვითხოვ საკუთარი გოდოლის აგებას, რათა ავიდე, ბოლომდე ავიდე, კოსმოსის ვაკუუმს მივანვდინო ჩემი გრძელი, ნითელი თმა და გავსკდე ნითელი ცრემლების გაცემით, მოვითხოვო სიყვარულის კანონები, შავით თეთრზე დაწერილი კანონები, რომლებიც არ არსებობს...

უი, იცი?

სიკვდილი გვაახლოებს სიყვარულთან, რომელიც სრულ დისონანსს ქმნის სულსა და ცნობიერებაში. ჩვენ ვეძებთ, ვალაგებთ, ვახარისხებთ, ვივინყებთ, ვიმახსოვრებთ, გვცივა, გვცხელა, გვემინია, გვიხარია, ვტირით, ვიცინით, ვნერვიულობთ, ვდარდობთ, ვენევით, ვსვამთ, ვსუნთქავთ, ვისუნთქავთ, მუსიკას ვუსმენთ, ვუკრავთ, ვქმნით, ვანგრევთ, ვაფუჭებთ, ვალამაზებთ, ვგრძნობთ, ვხატავთ, ვხატავთ, ნითლით შავზე ვხატავთ, აბსოლუტური ემოციებით ცხოვრებას ვცდილობთ, აბსოლუტური გრძნობით, სიყვარულით

ცხოვრებას...

გამოდის?

იშვიათად, იმიტომ რომ გვეშინია, გვეშინია ერთმანეთში არეულობისა და ვცდილობთ, მათ სინაცრისფრეს შევერიოთ, ვიცხოვროთ „ნამდვილი“ კანონებით, შავით თეთრზე დაწერილი კანონებით, კოდექსებით, მუხლებით, თავებით, ქვეთავებით, შენიშვნებით, მცნებებით, - ავდგეთ რვაზე, ვისაუზმოთ, საყვარელ ადამიანს ნლობით ნასწავლი ღიმილით შევახსენოთ, რომ გვახსოვს მათი არსებობის შესახებ, წავიდეთ სამსახურში, გავაკეთოთ შავით თეთრზე დაწერილი საქმე, დავივლოთ, თანამშრომლები მსუბუქად გავჭოროთ, უფროსს მლიქვნელური, ნლობით ნამეცადინები ღიმილი შევაგებოთ, ან აქეთ შემოგვაგებონ, იმიტომ, რომ მდივანი გვყავს, რომელიც ყავას გვიდუღებს, ტრადიციულად სულ ტელეფონზეა ჩამოკიდული და ჭორების თანახმად, ხანდახან მინეტსაც აკეთებს, იმიტომ რომ საკუთარ ოფისებში ვსხედვართ და, ალბათ, კიდევ უფრო იმიტომ, რომ ჩვენ ვართ „უფროსები“. მერე სახლებში დაბრუნებულიებმა მეორე ნახევრებს დილანდელი, ცოტა დაღლილობაშერეული ღიმილი მივანოდოთ, შხაპი მივიღოთ, ვივანშმოთ, ტელევიზორს ვუყუროთ, თუ გაგვიმართლა და, მანამდე არ ჩაგვეძინა, წამახალისებელი სექსით დაკავადეთ, იმიტომ, რომ ეს კანონია, ვილაც გამო...ეუბნები დოგმატიების მიერ დადგენილი, რვაზე კი ისევ გასაოცარი სიზუსტით დარეკავს მალვიძარა...

და როდესაც ერთ დილას შუა სინაცრისფრეში დავინახავთ ადამიანს წითელი თმებით, რომელსაც ხელში პალიტრა უჭირავს და ცდილობს, ნაცარს წითელი შეურიოს, ავფორიაქდებით, შეგვეშინდება, მყისვე გადავშლით შავით თეთრზე დაბეჭდილებს, გადავთვალიერებთ ტელეარხებს, ამოვქექავთ არქივებს იმ კანონის ძებნაში, რომელსაც სიყვარული და თავისუფლება ჰქვია, რომელიც ქუჩაში ფეხშიშველა დგას და ხატავს, რომელიც ოფისში შემოგვისეირნებს და დილას დაღეულ წითელი ფორთოხლის წვენს ორი თითის დახმარებით მშვიდად გადაგვირწყევს კანონებზე, რომელიც გასაოცარი სიზუსტით დალაგებულ ცხოვრებას სრულ ქაოსად გვიქცევს, და რომლისაც, უბრალოდ, შეგვეშინდება, იმიტომ, რომ ჩარჩოებში ვსხედვართ, პატარა ჩარჩოებში, ზომით სამი ოთხზე, რომელიც პირადობის შავით თეთრზე დაბეჭდილ მონუმენტებში გვიკიდია, პასპორტებში, საქმიან ქალაქებში, რომლებზეც ჩვენი „ღირსებაა“ დამოკიდებული, ჩვენდამი ერთმანეთში აზელილობის აზრებია დამოკიდებული, ქალაქებზეა დამოკიდებული, რომლებსაც ერთი წითელი ნაპერწკალი ეყოფა

ნაცრად ქცევისათვის. კანონებს, ბუნებრივია, ვერსად ვპოულობთ და ინყება მასობრივი აჯანყება, ყველანი უეცრად და შეთანხმებულად ...ზე ვიკიდებთ ჩვენს „პატიოსნებასა“ და „ღირსებას“, ღვთის, ერის, რჯულის, ღირსების, პატიოსნების, მორალის, შავით თეთრზე დანერ-ილებს, ენის, მამულისა და სარწმუნოების სახელით ნაცარს ვაყრიოთ ამ სინითლეს და ვცდილობთ გავექცეთ იმას, რაც ქვეცნობიერად ყვე-ლას ძალიან გვინდა, უბრალოდ, ქალაქდები გვიშლის ხელს, ქალ-ალდები და ერთმანეთი...

დაგხატავ, რა...

არა, მე არ მწყინს, რომ გეზიზღები, მე ხომ შავით თეთრზე არ ვწერივარ, მე ხომ ქალაქდი არ ვარ... ვიცი, იმისათვის, რომ გიყვარდე, „კანონები“ უნდა დაარღვიო, რაც, მინიმუმ, შენს ბიძაშვილებს ძალიან ეწყინებათ, არადა, მე ხომ უბრალოდ მიყვარხარ, მე ხომ უბრალოდ მინდა თავისუფალი იყო...

იცი რა?

მოდის, ვითამაშოთ!

შენ კაპიტანი იყავი გემის, მე გემი.

ჩემი კაპიტანი იყავი...

შორეულ ნაოსნობაში წავიდეთ, დავირქვათ ოკეანეში დაკარ-გულეები და დავიკარგოთ...

მერე შტორმი წაგვლეკავს, მე სახელდახელოდ აწყობილ ტივად ვიქცევი და მხოლოდ შენ გადაგარჩენ, ვიცურებ თავდაუზოგავად, უკაცრიელ კუნძულზე გაგრიყავ და დაღლილი მივესვენები სველ და ქვიან ნაპირს, შენ ტყისკენ წამათრევ და მზიან ადგილას დამდებ გასაშრობად.

სალამო ხანს შეგცივდება, დაანთებ ცეცხლს და შეშად ჩემს გადაღლილ სხეულს იხმარ და მე გაგათბობ უკანასკნელად, მეყვარები უკანასკნელი ნამწვის ჩაქრობამდე...

მერე მოვა სხვა გემი...

მე კი დავრჩები კუნძულზე ნაცრად ქცეულ შავ ლაქად, რომელ-საც დროის განმავლობაში წვიმა გადამრეცხავს, წვიმისას გაჩენილ პატარა ლელებს ოკეანეში ჩაფყვები და ოკეანედ ვიქცევი, ჩემს გულში იქნებით შენ და გემი. მერე ისევ შტორმი, მაგრამ სახელდახელოდ აწყობილი ტივი გიმტყუნებს და შენ ისევ ჩემთან დაბრუნდები...

თამაში დასრულებულია, ჩვენ ოკეანე ვართ...

იცი? საათი!

უყურებ საათს, რომელიც წამებს ითვლის და, ალბათ, ზიზღსაც მოგგვრიდა, ფიქრის დრო რომ გქონდეს, შენ ხომ შეიძლება ხვალ ისე

გაქრე, რომ ვერც ვერავინ გაიგოს, რომ ოდესღაც არსებობდი, შენი „ღირსებებით“ გატენილი ქალაქები მუყაოს ყუთში ჩალაგდება და თაროზე შემოიდება, სურათს - სამი ოთხზე - დამკრძალავი ბიუროს გვერდით არსებულ კომპიუტერული მომსახურების ოფისში დაასკანერებენ, გაადიდებენ და ქვაზე ამოტვიფრავენ, გაადიდებენ, შავ ჩარჩოში ჩასვამენ და სასტუმრო ოთახის ყველაზე თვალშისაცემი კედლის შუაგულში ჩამოკიდებენ, ხანდახან სანთელს აანთებენ, შენზე ან კარგს იტყვიან, ან არაფერს, ყოველ შენს დაბადების დღეს, წლის-თავზე, აღდგომასა და მიცვალებულების მოხსენიების დღეს სასაფლაოზე ამოგივლიან, ღვინოს დაღვრიან იქ, სადაც, სავარაუდოდ, შენი კუბო უნდა იყოს ჩაფლული, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო არასოდეს გიყვარდა და მთელი ცხოვრება „კოკა-კოლას“ სვამდი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ კანონია, რომლისგანაც გაქცევა საშიშია, იმიტომ რომ მერე შენი შეეშინდებათ...

მე კი დაგხატავ...

შენ კი არ დაგაგვიანდეს სამსახურში, წამზომი ხომ უმკაცრესი სიზუსტით მუშაობს! ხო, და იქიდან გამოსულს ქამრის შეკვრა არ დაგავინყდეს, ჭორი ოხერია, ქალაქებში ჩანერილ „ღირსებებს“ გაუფრთხილდი, მე კი, უბრალოდ, იმიტომ მიყვარხარ, რომ სიყვარულის კანონები არ არსებობს, მაგრამ არ მეშინია...

„ადამიანი თავისი ცხოვრების ჯვარზეა გაკრული, დაბლა დახრილი თავი დაჩხვლეთილი აქვს საკუთარი აზრების ეკლებით.“ ©
პოლ ვალერი

სალომე კოჭლამაზაშვილი

კატა წვიმაში

სახლში უფუნქციოდ ჩართული ტელევიზორი... ცარიელი
ჭიქები... უამრავი ფურცელი... სიგარეტის ნამწვებით სავსე საფერ-
ფლე... კიდევ ერთი სიგარეტი ნიცას აკანკალებულ ხელში და მაგი-
დაზე დაყრილი დაპუტული გვირილები...

- უკვე მეცამეტე ღერია... ის კი არ რეკავს... არა, აღარ
დარეკავს, არა... მარამ ასე ვერ მოიქცევა... ძალიან ვუყვარვარ
იმისთვის, რომ არ დარეკოს. მაგრამ მაინც რომ არ დარეკოს?!

- ნიცა, ვახშამი მზად არის, გამოდი!

- არ მცალია, დედა, ხომ გითხარი! მოთხრობას ვნერ, შენ კიდევ
ხელს მიშლი!

- მე მეტს აღარ დაგიძახებ, რაც გინდა, ის ქენი!

- დედა... დე... დე...

- რა გინდა?!

- როგორ ფიქრობ, დარეკავს?

- ვინ?

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მარტო ის მითხარი, დარეკავს,
თუ არა.

- მაგ მოთხრობებმა სულ გაგაგიჟეს! თუ გინდა ტრაგიკული
გამოგივიდეს, მაშინ არ უნდა დარეკოს!

- ანუ არ დარეკავს... მე კიდე სულ არ მინდა ტრაგიკული ისტო-
რია...

- მაშინ დარეკოს!

- ეგრე ადვილად არ არის ყველაფერი, როგორც შენ გგონია!

- ნიცა, თავი დამანებე!

- დე, დე, დე, და შენ მაინც როგორ ფიქრობ, დარეკავს, თუ არა?

პატარა ქუჩაზე ფოთლები იწვის... ცივა... ნოემბერია... ნახმარი
შპრიცები ყრია კუთხეში... ფოთლებში გახვეული სიგარეტის
ნამწვები... კიდევ ერთი სიგარეტი ნიკუშას აკანკალებულ ხელში... და
უცნობის ხელში ჩაკუჭული ფული...

- ამაზე მეტის შოვნა ვერ მოვახერხებ ორ საათში. ჰა!

- რამდენია?

- 600\$ ოლონდ დროზე მომეცი, მაგვიანდება... დანარჩენს მერე
გამოვატან კოკიჩას.

- ექვსი ზახოდია. ორი დღე იმყოფინეთ შენ და კოკიჩამ.

ხუთშაბათს ახალი პარტია ჩამომივა. მაგრად...

- სპასიბა, ბრატ!

- იცოდე, ძალიან ძლიერია, ბევრი არ მიქაროთ!

დილის ექვსი საათი... სახლში უფუნქციოდ ჩართული ტელევი-
ზორი... ცარიელი ჭიქები... უამრავი ფურცელი... ძირს დაყრილი
სიგარეტის ნამწვები... და სავარძელში მოკუნტული, გაყინული ნიცა...

დილის ექვსი საათი... პატარა ქუჩაზე ჩამწვარი ფოთლები...
ფოთლებში გახვეული სიგარეტის ნამწვები...

იმ დღეს მეეზოვემ კიდევ ერთი შპრიცი ჩააგდო ნაგვის ყუთში
და კიდევ ერთი ვარსკვლავი მოწყდა ცას.

რა არის ცხოვრება, ტო... ზოგიერთისთვის ცხოვრება არის დრო, რომელიც ადამიანს სიცოცხლით დასატკბობად ეძლევა... ჩემთვის კი ცხოვრება ნაღდად არაფერია... ერთხელ მკითხეს: რისთვის იბადება ადამიანი? ღიმილით ვუპასუხე: იმისთვის, რომ მოკვდეს-მეთქი. როდესაც კითხვა შევუბრუნე, მიპასუხა: იმისთვის, რომ ბედნიერად იცხოვროსო. აი, პირადად მე კი იმისთვის დავიბადე, რომ მოვკვდე, მაგრამ სანამ მოვკვდები, მინდა, რაღაც ისეთი გავაკეთო, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცეს და ამის მერე შევძლებ მშვიდად სიკვდილს...

დილიდანვე ზარის ხმამ გამაღვიძა. ცვეტში ლექსოა-მეთქი, - გავიფიქრე. ყოველ დილით ეგ მაღვიძებს, მერე, ტრადიციულად, თბილი ლოგინიდან გამოძრომა, ტელეფონთან მისვლა და იმ ჩემისას ხმა: ეზოში ჩამოდიო. მერე, გაბრაზებულზე, ლექსოს კარგებს გავიხსენებ ხოლმე და ტუალეტში გავდივარ კბილების გამოსახეხად. სარკიდან ფერმკრთალი როჟა მიყურებს ნამძინარევი სიფათით და აჩეჩილი თმებით, დამცინავად იყურება. ხო, საკმაოდ ცინიკოსი როჟა ვარ, რაც ალბათ ცუდი ჩვევაა, მაგრამ რა ვქნა, ეგეთი ვარ და ვერ შევიცვლები...

ეზოში ჩასულს ლექსო შემხვდა და ბალისკენ დავანექით. ეს ბალი, იმენა, ჩვენი სახლია, იმდენი დრო სახლში არ მაქვს გატარებული, რაც იმ ბაღში. დავსხედით, სიგარეტს წაფუკიდეთ და ბურა მოვცხეთ ეგრევე... დილიდან ბურას ვყომარობთ, უღიმღამო, დედააფეთქებული დილაა, რასაც ვერ ვიტან რა... ყველაფრის მულამი მეკარგება, თან ბურაშიც ვაგებ და ნერვები მენიწკნება. ამ დროს ბიჭებიც გაეძრნენ, პრობლემებიო, სრაზუ მახარეს. ეგლა მაკლდა. ვილაცას ეხიპიშე კიდე. თან საქმე სერიოზულად ყოფილა, გასახვრეტები გვყოლია ვილაც ვაკელები.

ვაკელები ისედაც მაგრა არ მევასება. ვითომ ძაან ძერსკი როჟები და რამე. ვაკეში რომ ვიჩითები, სულ იმას ვლიღინებ: „ვაკე-ვერა დიღია-მეთქი“. ერთხელაც მაგარს გამიგდებენ მაგის გამო, მაგრამ ეგეც მაგარი მკიღია კიდე. იტოგში, ეს ვაკელები უნდა ვნახოთ ექვსისთვის ნეიტრალზე. ხოდა, ბიჭებმა, - ეგრევე დაფუშვათო. ხოდა, მეთქი, დაფუშვათ, მაგათი დედებიც! ჩემი რა მიდის, გასახვრეტი უნდა გაიხვრიტოს, რა...

მერე სახლისკენ დავანექით. წამოვწეკი და ვფიქრობ, ვილაც

როჟები უნდა გავხვრიტო, მაგრამ მაგარიც მკიდეა. ჩემი პრობლემე-
ბიც დო ხუია მაქვს, ახლა კიდე მაგათზე იდარდე...

რისთვის ცოცხლობს ადამიანი? გავჭედე დღეს ამ კითხვაზე.
სულ მაგაზე ვფიქრობდი, იმენა. ერთმა როჟამ თქვა: „სიცოცხლე
პატარა პერიოდია ორ სიკვდილს შორისო“. ისევ სიკვდილი... მაგარი
მანტიერესებს ეგ სიკვდილი რა პონტია, ტო. იმიტომ რომ იბრიდები,
რალაც ახალი და განსხვავებული ინყება და სწორედ მაგ ახლის მუ-
ლამი მაქ, ტო... მომბეზრდა ეს ერთფეროვანი ცხოვრება და ახალი
რალაც მინდა...

ისევ ზარი... ისევ ლექსო თავის კარგებიანდა... გავედი უბანში,
ბიჭები დგანან, ყველანი რალაც პონტში ნერვიულობენ. მე კიდე მაგა-
რიც მახატია, ეგეთი როჟა ვარ, რა... ერთხელ მითხრეს, შენნაირი
ცინიკოსი და უგულო როჟა არც უნდა დაბადებულიყო, სიყვარული
შენ არ შეგიძლია და სასტიკი ხარო. რა უნდა მეთქვა, ტო? მეთქი, თუ
ცვეტში ეგეთი ვარ, სალოლ მე-მეთქი. ხელი ჩაიქნია და წავიდა.

იტოგში, ბიჭებმა გავაჭერით, რკინები ავიღეთ და მივდივართ.
მაგარი რალაცაა რკინა, გიჭირავს და ყველაფერი შენი გგონია, შენ ხარ
ყველაზე მაგარი, იმ პონტში, რო ერთი თითის გამოკვრით შეგიძლია
ადამიანს ყველაზე ძვირფასი წაართვა. იტოგში, დავინახეთ ის როჟები,
მიუზახლოვდით და არ დაგვიშვეს, ტო? სანამ აზრზე მოვედით, ერთი
რაჟოკი დაგვაცალეს, ხოდა, მეთქი, ამათ დედებსაც... და მივუშვი მეც
და, იტოგში, ვხედავ, ბიჭები ძირს ყრიან, სისხლში ცურავენ, ტო, და მე
და ლექსოლა ვართ ფეხზე, ხოდა, მეთქი, ამათ დედებსაც... და ბოლო
ცხრა გრამიც დაწვნი და ვხედავ, ვილაც როჟა ლექსოს უმიზნებს, ტო,
და მეთქი, ბექუშ, დადგა მომენტი, ტო, ეს ყოფილა შენი სიცოცხლის
აზრი და ახლა შეგიძლია წყნარად მოკვდე, და გადავეფარე ჩემს ძმას,
ტო. ტკივილს ვერ ვგრძნობდი, პროსტო მიხარია, რომ ტყუილა არ
მიცხოვრია ამ დედააფეთქებულ პლანეტაზე და სადღაც თბილ ლო-
გინში უაზროდ არ ვკვდები, ტო. ძმაკაცის მკლავებში რომ ვკვდები, ეგ
მიხარია, ტო, იმ ძმაკაცის, რომელიც იმავეს იზამდა ჩემთვის იმ მო-
მენტში...

მახსენდება ერთხელ რომ მითხრეს: ბექუშ, იმისთვის იცხოვრე,
რომ გააკეთო რალაც მაგარიო, - და შევასრულე, ტო... და მშვიდად
ვკვდები.

და ისევ ზარის ხმა მაფხიზლებს...

და ისევ ლექსოს კარგებს ვიხსენებ...

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

ისე, არაფერი...

„რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი?
რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა!
ან შემოქმედი თავის მოკვლას რალატომ გვიშლის?
ო, ღმერთო, ღმერთო! რა ამოდ დავფუსფუსებთ ცოდვილ მი-
ნაზე.“
უილიამ შექსპირი

„მაშინ, როდესაც ყველას სჯეროდა, რომ საბოლოოდ დააღ-
ნიეს თავი საშინელ მუტანტებს, გიგანტური მონსტრი-მწერები
კვლავ დაბრუნდნენ და ახალი შეტევა წამოიწყეს ადამიანებზე.“
მცირებიუჯეტიანი ფილმის მოკლე აღწერა
ერთ-ერთ კინოსაიტზე

- სტეგ, გცივა?
- არც ისე.
- მე მცივა, სტეგ.
- ცუდია.
- რაზე ფიქრობ, სტეგ?
- არაფერზე.
- ჰო, მეც არაფერზე, აი, მცივა მარტო.
- მართლა არაფერზე ფიქრობ?
- აი, ისე როგორც შენ.
- მე ვფიქრობ.
- რაზე, სტეგ?
- პაუზა.
- არაფერზე.

სტეგი ჩემკენ მოდის. დიდი ვარდისფერი თვალები აქვს. იღ-
იმება. ალბათ, რალაც ახალი აღმოაჩინა. აი, მაგალითად, გუშინ აღ-
მოაჩინა, რომ მეოთხე თვალი ამოსდის, დანარჩენ სამ დიდ ვარდისფერ
თვალთან მუნუკივით რომ მოუჩანს. სტეგი ყოველთვის ამბობს, რომ
არავინ იცის ხვალ როგორები ვიქნებით. ადრე არ მჯეროდა მისი. ახლა
უკვე მჯერა. ის ჩემზე ბევრად დიდია და მეტი იცის. ადრეც უნდა დამე-
ჯერებინა. ალბათ. სტეგმა რალაც იცის და მე არ მეუბნება. ვგრძნობ

ამას, რალაცნაირად ვგრძნობ. მე არაფერი მახსოვს. ძალიან ბევრი კითხვა მანუხებს, მაგრამ სტეგი ყველაფერს არ მეუბნება. ისე, მგონი, არც მან იცის ყველაფერი. აი, ახლაც, ჩემკენ მოდის. დიდი ვარდისფერი თვალები აქვს. საერთოდ ძალიან ცოტას ლაპარაკობს. რამე თუ არ ვკითხე, თვითონ არაფერს იტყვის. მეც დავუჯდები ხოლმე და თავს ვაბეზრებ. არასოდეს ბრაზობს. თუმცა, ხანდახან აღარაფერს მპასუხობს და ასე ჩუმად ამტერდება თეთრ კედლებს. ჰო, რა გამახსენდა, ერთხელ, როცა სწორედ ასე, ჩემგან გაბეზრებულმა სივრცეში დაიწყო ყურება, მეც ჩავაშტერდი მისი მზერის მიზანს, ის კი მომიტრიალდა და მეკითხება:

- იედაი, იცი რა არის თეთრი კედლების მიღმა?

- „თეთრი კედლების მიღმა“ რას ნიშნავს, სტეგ? რა უნდა იყოს.

არც არაფერი.

- ჰო, არაფერი. სწორია, -თქვა და ისევ გაიღიმა.

ეს შემთხვევა კარგად დამამახსოვრდა. მაშინ პირველად შემეშინდა მისი. ისე კი, სტეგი ძალიან კეთილია. ძალიან ლამაზი ზღაპრები იცის. სულ მიყვებოდა ხოლმე ძილის წინ. მერე ჩვევად შემორჩა და ახლაც მიყვება ხოლმე, რალაცნაირ არსებებზე მიყვება, სტეგი მათ „ადამიანებს“ ეძახის. ის ამბობს, რომ ისინი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. უცნაურია. სტეგი მიახლოვდება. ისევ იღიმის. ცისფერ სითხეს მაძლევს და თვითონ იქვე ახლოს ჯდება. მომწყინდა ამ საზიზღრობის დაღევა. ადრე მეგონა, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო. მერე სტეგმა თანდათან შემაჩვია იმ აზრს, რომ სულ უნდა ვსვა ეს რალაც. ჯერაც ვერ მივხვდი, საიდან მოაქვს ეს ლურჯი სითხე, ან სად პოულობს ხოლმე საჭმელს, თუმცა სტეგმა იცის და მე აღარ ვეკითხები უკვე. ერთხელ ვკითხე და გაუგებრად მიპასუხა, სხვებს მოაქვთო, მაგრამ როცა ჩავეძიე, როგორ თუ სხვებს-მეთქი, არაფერი მითხრა და გაიღიმა ისევ. მან უკეთ იცის.

- იედაი, ბოლომდე დალიე.

- უგემურია.

- და აუცილებელი.

- რატომ?

- რომ იცოცხლო.

- და თუ არ დავლევ?

- უნდა დალიო.

- შენ რატომ არ სვამ ხოლმე?

- ვსვამ.

- მე ერთხელაც არ დამინახავს, რომ ეს სითხე დაგელიოს.
- მერე რა.
- მერე ის, რომ უგემურია.
- იედაი!
- ფუუუ!
- აი, ხომ ხედავ, რა იოლი დასაცლელი ყოფილა.
- ეგ შენთვისაა იოლი, ჩემთვის საშინელებაა.
- კარგი რა, იედაი, სულ არაფერია.
- არაფერი, არა?
- ჰო, არაფერი.
- მაშინ აღარ დავლევ.
- ძილამდე ნუ დალევ.
- არც მერე დავლევ.
- რატომ?
- უგემურია.
- და აუცილებელი.
- თან არაფერი, თან აუცილებელი?
- თან არაფერი, თან აუცილებელი.

ამ ბოლო დროს სტეგი ძალიან შეიცვალა. კიდევ უფრო ცოტას ლაპარაკობს. სტეგს ძალიან დიდი პირი აქვს, თითქმის ყურებამდე, და როცა ლაპარაკობს, ყურები ცოტათი უთამაშებს, ვეხუმრებოდი ხოლმე ამაზე და ისიც კი ვიფიქრე, ეს ხომ არ ეწყინა და იმიტომ ხომ არ დადის სულ ჩუმად-მეთქი, მაგრამ, მგონი, ეს არ უნდა იყოს მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ეს რომ სწყენოდა, ალბათ, მეტყოდა. მხოლოდ ლურჯი სითხის დაღვევის დროს მელაპარაკება. ამ დროს სტეგი განსაკუთრებით აქტიურია, თითქოს უნდა შთამაგონოს, რომ ეს უგემური რალაც ჩემთვის აუცილებელია. სისულელეა და მეტი არაფერი. თუმცა, სტეგმა უკეთ იცის. ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. ჩვენ გარშემო სულ თეთრი კედლებია, თეთრი კედლები ყველგან და მათ მიღმაც თეთრი კედლები. მაგრამ რალაცნაირადაა დაყოფილი, თეთრი კედლის მიღმა თეთრ კედელთან რომ აღმოჩნდე, თეთრი დერეფანი უნდა გაიარო და სულ ასეთი გასასვლელ-გამოსასვლელებითაა დაყოფილი ერთმანეთისგან, თუმცა, არაფერი განასხვავებს. ყველგან თეთრი კედლები. სტეგს თავისი ოთახი აქვს. ჩემი ოთახიდან მასთან მოსახვედრად მხოლოდ ერთ თეთრ კედელს უნდა აუქციო გვერდი. ნაცრისფერი სანოლივით რალაც უდგას მხოლოდ, სანოლსაც ვერ დავარქმევ, მაგრამ სტეგს ძალიან უყვარს. ერთხელ შევამჩნიე, როგორ

შეძვრა მის ქვეშ და თითქოს იქ რაღაცას აკეთებდა, მაგრამ მე რომ დამინახა, არაფერი შეიმჩნია და უკანვე გამოძვრა. არა, სტეგი ძალიან შეიცვალა. ჩემს ოთახში შავი სანოლი დგას და კიდევ ორი შავი სკამი. სკამები სტეგმა მაჩუქა, თუმცა, არ ვიცი, საიდან მოიტანა. სტეგს რაღაცნაირი უნარი აქვს, არარსებულ საგნებს და ნივთებს აჩენს ხოლმე მოულოდნელად. სტეგის ოთახის გვერდით კიდევაც პატარა თეთრი შესასვლელი და იქაც თეთრი კედლებია. სტეგი სულ ჩამჩინებს, რომ იმ ადგილს არ მივეკარო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სტეგმა იცის. მან უკეთ იცის, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა.

- იედაი, აქ მოდი.

- რა მოხდა?

სტეგს უკვე შესამჩნევად წამოეზარდა მეოთხე თვალი. თითქმის დანარჩენებივით დიდია. ახლა ზუსტად ახალ თვალს მამტერებს და მაკვირდება.

- იედაი, შენ თავს ატყობ რამეს?

- ანუ?

- რამე ცვლილებას ატყობ?

- არ ვიცი, რას?

- ვერაფერს ამჩნევ?

- ვერაფერს.

- იედაი, შენს მხრებს შეხედე.

- სტეგ, ხომ იცი, რომ ვერ ვხედავ ჩემს მხრებს.

- ჰო, მაპატიე.

- რა გაპატიო?

- არა, არაფერი, ისე. იედაი, მგონი ხელები გამოგდის.

- რა?

- ხელები!

- ანუ შენსავით, აი, შენ რომ გაქვს, ეგრე?

- ჰო, ვერაფერს გრძნობ? შენ, იედაი, შენ ყველაზე მეტად

ჰგავხარ ადამიანს.

- ვის?

- ადამიანებს. მე გიყვებოდი ხოლმე მათზე.

- აა, ჰო, - მელიმება, - რითი?

- აი, ხელები თუ გამოგივა, მერე ერთი თვალიც და შენ...

- რა? ადამიანს დავემსგავსები? სტეგ, ისინი ხომ ზღაპრებში

არიან.

- და არა მხოლოდ.

- როგორ?
- არა, ისე, უბრალოდ.
- ანუ?
- არაფერი. დალიე დღეს?
- ის საშინელება? დავლიე, ჰო.
- არ შეწყვიტო, იედაი, სვი.
- რატომ?
- რომ იცოცხლო.
- შენ უკეთ იცი, სტეგ.

ერთხელ, შუა ძილში რალაც ხმაური მომესმა და გამომეღვიძა, ხმაური გაგრძელდა. მივხვდი, რომ სტეგს არ ეძინა. თავის ოთახში ფრჩხილებით რალაცას ჩხაპნიდა კედელზე. გაურკვეველ ფიგურებს. ჩხაპნიდა და ხაზავდა. ჩხაპნიდა და შლიდა. სტეგი ხშირად იქცევა უცნაურად, მაგრამ მე იმის ნახევარიც კი არ ვიცი, რაც მან იცის. ის ჩემზე დიდია, გამოცდილი, ამიტომ ყოველთვის ვუჯერებ. თუმცა, მაშინ მეორედ შემეშინდა მისი. ეს მაშინ, თორემ ისე, სტეგი ძალიან კეთილია. მას მერეც არაერთხელ გამიგია ხმაური სტეგის ოთახიდან, რალაცნაირი ჩხაპნის და ხოკვის ხმა, მაგრამ მაშინ ყველაზე შთამბეჭდავად ისმოდა. მე, სტეგისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი თვალი მაქვს. ის ხშირად მეუბნება, რომ ასე ბევრად უკეთესია. არ ვიცი. მაგრამ ხშირად ძალიან მიჭირს ასე. სტეგს შეტრიალებაც არ სჭირდება, ისე შეუძლია გარშემო ყველაფერი დაინახოს, მე კი ასეთ დროს ძალიან მიჭირს. მაგრამ რადგან სტეგი მეუბნება, რომ ასე უკეთესია, ალბათ უკეთესიცაა, მან უკეთ იცის. მაშინაც, როცა სტეგის ოთახიდან ხმაურმა გამომალღვიძა, ერთი შეხედვით ვერ შევძელი აღმექვა, რას აკეთებდა სტეგი. ამისათვის დაკვირვება დამჭირდა, ამასობაში კი მანაც შემამჩნია. ის ყველაფერს ხედავს გარშემო. რომ შემამჩნია, გაჩერდა. კედლის ნახევარი აჭრელებული იყო. ის ნაჩხაპნები მერე თვითონვე ნაშალა სტეგმა, მაგრამ მაშინ ნახევარი კედელი უცნაურად გამოიყურებოდა. მე შევეცადე, არაფერი მეკითხა მისთვის, თვითონ შემატყო დაბნეულობა.

- იედაი, გლვიძავს?
- გამეღვიძა. მაპატიე, ახლავე წავალ.
- მოიცადე.
- ჰო.
- ალბათ, გიკვირს ჩემი საქციელი.

- არ ვიცი. უბრალოდ, არ ვიცი.
- იედაი, იცი, აქ რა წერია?
- „წერია“ - ანუ?
- ანუ, აქ მე რაღაც სიტყვები ამოვკანრე.
- მართლა?
- ჰო, გაინტერესებს?
- ძალიან.
- აი, აქ ნახევარ კედელზე წერია: „მუტანტი“.
- ეს რას ნიშნავს?
- ეს ჩვენი საერთო სახელია, იედაი.
- ანუ?
- აი, გახსოვს მითიური არსებები, ადამიანები.
- ჰო, ზღაპრიდან.
- მათ ხომ ჰქვიათ საერთო სახელი? ჩვენც გვქვია.
- ანუ, მე მუტანტი ვარ. და შენც.
- დაახლოებით.
- მაგარია.
- არა.
- რატომ?
- ადამიანებთან უფრო საინტერესოა.
- რა იცი?
- მე ვყოფილვარ მათთან. ადრე.
- სტეგ, ბოდავ?
- არა. კარგი, არაფერი, დაიძინე, იედაი.
- ...
- ისე, უბრალოდ ვთქვი.
- კარგი, სტეგ, შენ უკეთ იცი.
- ჰო.

ჩემ წინ ლურჯი სითხე დგას. უნდა დავლიო. ვუყურებ. ვაშტერდები. აი, ზუსტად ისე, როგორც სტეგი აკვირდება ხოლმე თეთრ კედლებს. ოღონდ მე ლურჯ სითხეს ვუყურებ, უგემურს და საშინელს. რა იქნება, ერთხელაც მოვიდეს სტეგი და მითხრას, რომ ამის დაღევა აღარაა საჭირო. უცნაური სითხეა. ძირში უფრო მუქია, ზედაპირზე შედარებით ბაცი. ნეტავ სტეგსაც ასეთი უგემური ეჩვენება? იქნებ, მას უყვარს კიდეც და მეც იმიტომ მაძალებს, ჰგონია, რომ სასარგებლოა და აუცილებელი. შეიძლება. სტეგი თავის ოთახში წევს. უფრო სწორად, იწვა, სანამ ამ ლურჯ სითხეს მომიტანდა. მერე მისი ოთახი-

დან ისევ ის ჩვეული ხმაური მესმის. სტეგს მეოთხე თვალი ბოლომდე გაეზარდა. უკვე აღარაფრით გამოირჩევა დანარჩენი სამისგან. მე ძალიან მიყვარს სტეგი. თვალებიც. დიდი ვარდისფერი თვალები. ის გარშემო იყურება და ყოველთვის, როცა ჩემს ოთახშია, მგონია, რომ თეთრ კედლებს უყურებს, ამ დროს კი შეიძლება მე მიყურებდეს. ახლა სტეგი ისევ ხმაურობს. მე კი ლურჯ სითხეს ვუყურებ და თვალს ვერ ვაცილებ. მე შავ სკამზე ვზივარ, ჭიქა მეორე სკამზე დგას. ვდგები და ჭიქასთან მივდივარ. ვყნოსავ. სუნიც საშინელი აქვს. სტეგის ოთახისკენ მივდივარ. ვჩერდები. იქნებ სტეგს სულაც არ ესიამოვნოს, რომ მის საქმეში ვეჩრები. იქნებ, ახლა განმარტოება უნდა? ან, საერთოდ, რას ნიშნავს ეს ხმაური მისი ოთახიდან? არ ვიცი. თუმცა სტეგმა იცის და მე მჯერა მისი, იმიტომ რომ მან უკეთ იცის.

- იედაი!

მეძახის. მიყვირის. ისევ მეძახის.

- იედაი! იეედაიი!

ჩემს ოთახში ლურჯი სითხე დგას. სტეგის ოთახიდან ხმაური ისმის. ჩემს ოთახში ორი შავი სკამი დგას. სტეგის ოთახში ერთი ნაცრისფერი სანოლი. ჩემს ოთახშიც დგას სანოლი, შავი. სტეგის ოთახში მეტი არაფერია, მხოლოდ თეთრი კედლები. ჩემს ოთახშიც თეთრი კედლებია. ოთახებს შორის დერეფნებშიც თეთრი კედლებია. სტეგი მეძახის. მე მივდივარ მისკენ. სტეგს სანოლი გადაუნაცვლებია. ახლა იმ კედელში, რომელთანაც მისი სანოლი იდგა, უცნაური ხვრელია. ახლა მესამედ მეშინია სტეგის. მაგრამ სტეგი კეთილია, ძალიან კეთილი.

- იედააი! მოდი აქ, მალე, იედაი!

სტეგი მიყურებს. ახლა ნამდვილად ვიცი, რომ ოთხივე თვალით მე მიყურებს. სტეგი თავისკენ მიხმობს, თვითონ ნახევარი ტანით იმ ხვრელშია შემძვრალი. მე მივდივარ სტეგთან. ახლალა ვამჩნევ, მისი ოთახის კედლები მთლიანად დაჩხაპნილია ისევ ისეთი ფიგურებით, ოღონდ სხვა რაღაც წერია. არ ვიცი, რა. სტეგმა იცის. სტეგმა ჩემზე ბევრი იცის და მე მჯერა მისი.

- მალე, იედაიი!

სტეგი ხელს მავლებს მხრებში და თავისკენ მიზიდავს, თვითონ იმ ხვრელში გადის. ეს, ალბათ, კიდევ ერთი ახალი ოთახის დერეფანია. არ ვიცი. სტეგი გადის. მე მივყვები. სტეგი გადის. მე მივყვები. სტეგი გადის. მე მივყვები. სტეგი გადის. მე მივყვები. სტეგი გადის. მე მივყვები. ვჩერდები. ხვრელის იქით არ ვიცი, რა არის. ვხედავ, მაგრამ

არ ვიცი. არ ვიცი. საერთოდ ვერ ვხვდები, რა ხდება.

- სტეგ, ეს რა არის?

- გავვდიოთ! გავვდიოთ. გავვდიოთ...

- სტეგ!

- მე ეს შევძელი, შენთვის მაინც.

- სტეგ!

სტეგი თანდათან იცვლება. რაღაც მოსდის. არ ვიცი, რა მოსდის. იყინება. დნება. იშლება. არ ვიცი.

- სტეგ!

- იედაი. ეს დედამიწაა. ჩვენი ლაბორატორიის მიღმა სამყარო. აქ შენნაირები ცხოვრობენ. ისეთები, როგორიც შენ უნდა გახდე.

- სტეგ!

- აი, აქ, მე გიყვებოდი. აი, ამაზე. აქეთ. ეს ადამიანები... აქ ადამიანები... - სტეგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს გაუგებარ ფრაზებს, - აქ ადამიანები არიან. გახსოვს ადამიანები?

- სტეგ!!

- ჰო, ჰო, ადამიანები, შენც, აი, ხედავ, იედაი? ხელები უკვე გამოგდის, თვალიც. თვალიც და ადამიანი ხარ. ნამდვილად ადამიანი.

- ...

- ლაბორატორია დაინგრევა. ისინი ძებნას დაგვინწყებენ. შენ უნდა გაიქცე. გაიქცე. გაიქცე.

- სად, სტეგ? სად? რა ხდება? შენ?

- მე დამტოვე აქ და დაგენევი. შენ უნდა გაიქცე, იედაი.

არაფერი მესმის. მაგრამ სტეგმა ჩემზე ბევრი იცის. გარშემო გაუგებარი გარემოა. არ ვიცი, ეს რა არის. სტეგმა იცის, ალბათ, სტეგმა უკეთ იცის და მე მჯერა მისი, მე მჯერა სტეგის. მივდივარ. მივდივარ. მივდივარ. უნდა გავიქცე. სტეგი უკან წევს. მე მივდივარ. სტეგს ჯერ კიდევ ვხედავ. მივდივარ, ზურგს ვაქცევ ხან სტეგს, ხან იქით სივრცეს.

- იედაი! იედაი!

სტეგი თითქმის განახევრებულია. მეძახის.

- სტეგ!

- იედაი, დღეს ხომ დალიე ლურჯი სითხე?

- სითხე?

- ხომ დალიე, იედაი?

- სტეგ!

- დალიე?

- ...

- იედაიი!
- არა, სტეგ.
- იედაი!
- არ დამილევია, სტეგ.
- არა?

სტეგი იცინის, ასეთ დროს ყურები უთამაშებს ხოლმე, მაგრამ არა ახლა. იცინის. ხმამალლა იცინის.

- სტეგ!
- არ დაგილევია, არა?

სტეგი ისევ იცინის.

არა, სტეგ. რა იყო?

უკვე შორიდან ვეძახი. მისი ხმა ძნელად აღწევს ჩემამდე.

- არაფერი, იედაი, არაფერი, ისე. ისე გკითხე. გაიქეცი, გაიქეცი, ან როგორც გინდა.

- სტეგ! სტეეეეეეეეეე!

სტეგი აღარ ჩანს. გავრბივარ.

ამბავი პირველი

მტრედებიან კაცს ზღვასავით ლურჯი და მღელვარე თვალები ჰქონდა, გალიაში მტრედები გამოემწყვდია და დილა-სალამოს მინდვრად უშვებდა.

მე მეგობარი მყავდა - ზამბარებიანი ბიჭი, თავზე ზამბარებივით ამოსვლოდა თმა, ყოველ დილით აივანზე გამოდგებოდა და თვალს არ აცილებდა მტერედებიან კაცს.

ზამბარებიანი მიჭი მინდორში იჯდა მწუხრისას და ცას უყურებდა, მტერედებიანი კაცი მტრედებს აპურებდა, მისი თვალების ზღვებზე თოლიები ისხდნენ.

მინდორში ერთი ხე იდგა, მარტოდმარტო და მოწყენილი.

ზამბარებიანმა ბიჭმა ხეზე ყვავილების სახრჩობელა გააკეთა.

მტერედებიანმა კაცმა დილით, როცა მტრედები მინდვრად გამოიყვანა, ზამბარებიანი ბიჭი დაინახა. ხეზე იჯდა და ფეხებს აქანვებდა.

თავი ყვავავილების გვირგვინში - ყულფში გაეყო და ფიქრობდა: „ცა რა ლამაზიაო!“

მტრედებიანმა კაცმაც გააკეთა ყვავილების სახრჩობელა.

მტრედები გალიიდან გამოუშვა და ზამბარებიანი ბიჭის გვერდით ჩამოჯდა.

თავზე ყვავილების გვირგვინი - ყულფი ჩამოიცვა.

ზამბარებიანი ბიჭი და მტრედებიანი კაცი ფიქრობდნენ: „ცა როგორი ლამაზიაო!“

მერე ხიდან ჩამოხტნენ, მტრედებმა მოიფრინეს მინდორი, მზე მინდვრის შუაგულს გასწორებოდა, მტრედები დაბრუნდნენ გალიაში...

მინდორში ერთი ხე იდგა, ორი გახევებული სხეულით ყვავილების სახრჩობელაზე.

ზამბარებიან ბიჭს სახეზე ღიმილი ჰქონდა შერჩენილი და სიო არხევდა.

მტრედებიანი კაციც ოდნავ ირხეოდა, მისი თვალები აღარ ღელავდნენ.

მე ვიდექი მარტოდმარტო და მოწყენილი მინდორში.

თავზე ყვავავილების გვირგვინი მეხურა, ვფიქრობდი: ცა როგორი ლამაზია მიწიდან!!!

ამბავი მეორე

ჯოხებიანი ბიჭი და გაზაფხულისფერი გოგო

ჯოხებიანი ბიჭს რძესავით ღიმილი ჰქონდა, ტკბილი ბაგედან გადმოღვრილი, თმა - თავთუხისფერი და პურის ღეროსავით სწორი.

ერთ მწუხრსაც იჯდა და ფიქრობდა მის გაზაფხულში მცხოვრებ ჯოხებიან გოგონაზე, რომელიც სამყაროს ფორმის სახლში ცხოვრობდა და ყოველ მის ღიმილს ქერში ღრუბელზე ინახავდა.

სალამოობით მინდვრად სეირნობდა, ბიჭს კი თმაში ნაკვალევი რჩებოდა, ტუჩებზე ფინჯნები ეკრობოდნენ, გოგონა ჩაის მისი ბაგით ატკობდა.

გოგონა ტრიალებდა და ბიჭს თავბრუ ესხმოდა, გოგონა წვიმაში მოყვა და ბიჭი დასველდა.

გოგონა სეირნობდა და ბიჭი დაილალა.

ჯოხებიანმა ბიჭმა გადაწყვიტა, მოეპარა ყველა თავისი ღიმილი გოგონას ღრუბლებიდან და გადაეღვარა თავისი ბაგით დამტკბარი ჩაი.

გოგონა მინდორში იყო ყვავილებისთვის...

მზე ცის შუაგულს ჩამოსცდენოდა.

ჯოხებიანმა ბიჭმა მოიპარა ყველა თავისი ღიმილი ღრუბლებიდან და გოგონას მინდორში ცა მოიღრუბლა.

გოგონა სახლისაკენ გაიქცა.

ბიჭმა ძველ თუნუქის ჩაიდანს ხელი მოკიდა და სამყაროს ფანჯრიდან გადაღვარა თავისი ბაგით დამტკბარი ჩაი.

გოგონა ცხელი ჩაის ოკეანეში ჩაიძირა და დაიხრჩო.

ჯოხებიანი ბიჭს აღარ ეკრობოდა ფინჯნები ტუჩებზე, აღარ ესხმოდა თავბრუ, აღარ სველდებოდა, აღარ რჩებოდა თმაში ნაკვალევი. ჯოხებიანი ბიჭს თმა თავთუხისფერი და პურის ღეროსავით სწორი ჰქონდა.

ერთ დღესაც იჯდა და ფიქრობდა მწუხრისას, სამყაროს კარზე მიყრდნობილი:

„ჩემი გაზაფხულისფერი გოგონა შემოდგომისფერ ჩაიში დავახრჩე და ჩემი ბაგე წინაკასავით მწარე გახდა, აღარავინ მკოცნის და მეც დამავინწყდა გაღიმება“...

ჯოხებიანი ბიჭს დავინწყებული ღიმილი ჰქონდა წინაკასავით მწარე ბაგედან, თმა - თავთუხისფერი და პურის ღეროსავით სწორი.

hitchhiker

გზატკეცილზე ვდგავარ, აქ ძალიან ცხელა, ასფალტი ფეხის გულელებს მწვავს. მე არ ვიცი, საით მივდივარ. ორმა სატვირთომ და ერთმა ფურგონმა არ გამიჩერა. აქედან შორს მინდა რომ ვიყო. აქ ყველაფერი ოქროსფერი და მტვრიანია.

თავზე თმა არ აქვს, მხარს ხშირად იფხანს და სამკუთხედის ფორმის ტატუ უჩანს, ვერ ვხვდები, რას უნდა ნიშნავდეს ეს სამკუთხედი, ბევრს ლაპარაკობს. მე მის ფურგონში ვზივარ. ალბათ დიდხანს ვერ გავძლებ მასთან და პირველივე სასტუმროსთან ჩამოვალ.

მე სასტუმროში ვარ, მხოლოდ ნომრის ფული მაქვს, დღეს მშვიდი ვარ.

ცხელი ასფალტი ფეხის გულელებს მწვავს, ჩემს ბატინკებში უკვე ძალიან ცხელა, ამიტომ ფეხზე ვიხდი და ჩემს მხსნელს ვუცდი, მაგრამ არავის უნდა ჩემი ხსნა, არავინ მიჩერებს. გუშინ გვერდითა ნომერში მცხოვრები ქალი გავიცანი, სრულიად შემთხვევით და უცნაურად. მე მას გავუღიმე და მან ვახშამზე დამპატიჟა. დღეს ძალიან აღარ მშია.

ჯიზა დამიძახეო, მითხრა, გრძელი თმა, ყვავილებიანი მანქანა და ბევრი მარიხუანა აქვს. ვენევით. მე ჯიზას არ ვეძახი, თუ რამის თქმა მინდა, პირდაპირ ვამბობ, მიმართვების გარეშე.

ჯიზა სადღაც მეპატიჟებოდა, მე არ გავყევი. მე ჩემი გზა მაქვს, ჯიზას - თავისი.

ლამეა, გზაზე არაფერი ჩანს, წვიმს. არა მგონია, ვინმემ განუწული თანამგზავრი ინატროს. არავინ მიჩერებს, მცირა.

მე ასფალტზე ლოტოსის პოზაში ვზივარ, თვალეები დახუჭული მაქვს. მახსენდება ბავშვის სახე, რომელიც ტელევიზორში ვნახე ორისამი წლის წინ, გოგონა იყო პატარა და ქერა. გონების ტალღებზე ხის სახლი ტივტივებს, რომელშიც ვცხოვრობდი და რატომღაც არ მახსენდება დედა და მამა. მგონია, რომ ჩემს სხეულში უდაბნოა, მე ვერ ვპოულობ გამოსავალს და ყოველი აზრის შემდეგ ვხედავ ჰაერში ჩამოკიდულ სახრჩობელას. მერე ვგრძნობ მინდვრებს, შვებას,

სივრცეს.

სატვირთოს მძლოლი ძალიან დაბალია, მიკვირს როგორ წვდება საჭეს. თმა მასაც არ აქვს და ხელზე მასაც სამკუთხა ტატუ აქვს. მე ძალიან მაინტერესებს ამ ტატუს დანიშნულება, გული მიგრძნობს, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანია.

შინაგანად მე ისევ უდაბნოში ვარ და ვერ ვპოულობ გზას.

მახსენდება ბავშვობა და მიტოვებული მეგობრები. მივატოვე ისინი და ლელავდნენ რამდენიმე თვე, მერე მათაც მიატოვეს ჩემზე ლელვა. მე ჩემი გზა მაქვს, მათ - თავისი. ჩემი გზა უდაბნოზე გადის. ვერავინ გაუძღლებს ასეთ სიციხეს.

სასწაულია, მაგრამ სამი დღეა, ერთი და იმავე სატვირთოთი ვაგრძელებ გზას. სატვირთოს მძლოლიც ჩემსავით მდუმარეა და ერთმანეთს ხელს არ ვუშლით. საუზმე, სადილი და ვახშამი ქიშმიშია, რომელიც არასოდეს მყვარებია, ახლა კი ჩემი არსობისა გახდა და მე ვერ ვიცოცხლებ მის გარეშე.

სამი დღეა ქუჩაში მძინავს, არავის მივყავარ.

მე მახსენდება ბავშვობა და თეთრწვერა მოხუცი კაცი. ის ყვირის. მე, გაცოცხლებული, ვდგავარ და არ ვიცი, რა ვქნა. მე მეშინია ჩემი ბავშვობის და ჩემი ფიქრებიდან უკანმოუხედავად გამოვრბივარ.

ცხელი ასფალტი ფეხის გულებს მწვავს. სიამოვნებით მივიღებდი ცივ შხაპს. გადავწყვიტე, რომ მასთან წავიდე. სულაც არ მინდა მისი ჩამონღლანული ძუძუების ყურება, უბრალოდ, ამ გზატკეცილთან ახლოს მისი ქალაქია. შხაპს მივიღებ და ნამოვალ, ჰო, უბრალოდ შხაპის მისაღებად შევუვლი.

ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, გამოიქცა და ჩამეხუტა. მე შეუვალი კლდესავით ვიდექი და არ ვმოძრაობდი. არც კი მიკოცნია. უბრალოდ ვუთხარი, რომ აზრი არ აქვს - მე მალე უნდა მოვკვდე.

ისევ მახსენდება ბავშვობა და ჰაერში ჩამოკიდული სახრჩობელა.

მან ვახშამი გაამზადა ჩემთვის და სცადა ხელზე მომფერებოდა. მე ხელი გავაშვებინე და ისევ ვუთხარი:

- აზრი არ აქვს, მე მალე უნდა მოვკვდე.

მან მარცხენა წარბი ასწია და „როგორც გინდაო“, - მითხრა.

უფრო ხშირად მახსენდება ბავშვობა და უფრო მეტად ვგრძნობ ცას. მე მეშინია მისი.

მინდოდა შემეშინებინა... რადგან მაიძულა ღამით დავრჩე-ნილიყავი მასთან.

ეს ბავშვური თამაში იყო. მე მისი საცვლები და საღამოს კაბა მოვიპარე, როცა ეძინა. ბაღში გავედი და ხეზე სახრჩობელა გავაკეთე. თავი მის საცვალ-ყულფში გავყავი, ნიშნად იმისა, რომ მისი სიყვარული მახრჩობდა და არ მაძლევდა ჩემი გზით სიარულის საშუალებას, ის ჩემს ყველა გზას ღობავდა. მე თავს ვიკლავდი, მას კი მშვიდად ეძინა. ეს ბავშვური თამაში იყო - ჩამოხრჩობანა. ის ჩემს შეგრძნებაში იხრჩობოდა, მე კი მისი საცვლები მახრჩობდა. მას თავისი გზა არ ჰქონდა, ყოველთვის ჩემი გზა იზიდავდა.

ცხოვრება მიზანია, უმიზნო ადამიანები დაღუპული არიან. მას დამღუპველი მიზეზი ჰქონდა.

ხის წვრილ ტოტზე ვიჯექი, თავი მის საცვალში მქონდა გაყოფილი და ვფიქრობდი, რომ ცხოვრება ცისარტყელაა, უნდა ახვიდე, მოექცე მწვერვალზე და გადაეშვა მარადისობაში - რკალად ერთი ბოლოდან მეორეზე გადასრიალდე.

ისევ ბავშვობა გამახსენდა და ისევ ის თეთრწვერა კაცი, რომელიც მომღევდა. შემეშინდა, გავრბოდი. მხოლოდ ხმა გავიგონე, ტოტი ჩამოტყდა, მე ვგრძნობდი სილურჯეებს და ვხედავდი სივრცეს. მას კი მშვიდად ეძინა.

მე პატარა გორაზე ვდგავარ და დაბლა სივრცეს გადავყურებ, ყველაფერი საოცრად ლურჯია. მე მომწონს სილურჯე. მე თითქოს ჰაერზე ვდგავარ და შემიძლია სივრცეში ვილივლივო. მე ვილაცის შინაგანში ვცხოვრობ. ის მგრძნობს, როგორც საკუთარ სისხლს.

მე მკვდარი ვარ.

ისევ გავქრი

დღეს ისევ გავქრი.

- Gtxov!.. Meti ra gavaketo.. Mapatie rom gikvire.. Gamochndi ra.

ტელეფონი სანოლზე დავაგდე. რა ვქნა, ასეთ დროს საზიზღრად ეჭვიანი და შხამიანი ვხდები და არ მინდა, რომ სხვებიც (უფრო სწორად, სხვა) მოვშხამო, თუმცა, ამას უჩემობითაც ისეთივე ნარმატებით ვახერხებ, როგორც მასთან ყოფნით მოვახერხებდი. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ „ასეთი დრო“ სულ უფრო ხშირად მაქვს. თავიდან თვეში ერთხელ გაქრობით დაიწყო და გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

- Me shen miyvarxar.

ტელეფონი ისევ სანოლზე ვარდება. თუმცა, სურვილი მაქვს სანოლს კი არა, იმ გარაჟის სახურავს დაასკდეს, ჩემი ფანჯრიდან ოცდაექვსი მეტრით და რამდენილაცა სანტიმეტრით ქვემოთ რომ მდებარეობს. თავისუფალი ვარდნის აჩქარება... ნეტა ჩემზე როგორ იმოქმედებდა ეგ აჩქარება? სიმსუბუქის რამდენიმე წამი და მერე... „რა კარგი ბიჭი იყო“, დამწუხრებული სახის მიღების წარუმატებელი მცდელობები და პანაშვილებისთვის დამახასიათებელი საზიზღარი ჭორაობა.

დროა. პირველი - პატარა, ზედაპირზე, უბრალოდ გამბედაობისთვის.

რა ჰქვია ამას? დებრესია? არა მგონია. არც გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი „რალაც“. რით ვერ გარდავტყდი და გავიზარდე? არ ვბრაზდები ადვილად. ადვილად კი არა, დროის უმეტეს ნაწილს კატატონიურ მდგომარეობაში ვატარებ, მამაჩემმა ერთხელ კინალამ ფსიქოლოგთან წაღება დამიპირა, მაგრამ დროზე გადაიფიქრა. ხომ იტყოდნენ მერე მეზობლები, ბიჭი გაუგიჟდაო. მერე რა, რომ „ბიჭზე“ დიდი ხანია ამბობენ, მამამისი ტაქსისტიაო. ნეტა, ახლა რა უფრო ეწყინება, მეზობლების ჭორაობა, თუ?..

- Bicho, 29-shi dalevas vapirebt da chemt...

წადით, თქვენი!.. 31-ში დედიკოებთან და მამიკოებთან სვამთ, ხო?.. ამჯერად ოდნავ აცდა კედელს. იმ ადგილს, სადაც წითელი მარკერით აწერია: **LIVING IS EASY WITH YOUR EYES CLOSED.** თავიდან ამ მინი-გრაფიტს ჩემები არ იმჩნევდნენ, მაგრამ მალე **Hell was full so I came back =)** -იც აღმოაჩინეს სხვა წარწერებს შორის და შეშფოთდნენ, ხოლო როცა ისიც გაახსენდათ, რომ ჩემი მუსიკალური

გემოვნება უკვე დიდი ხანია პანკსა და სქრიმოს შორის მერყეობს, შემფოთება სერიოზულ აღშფოთებაში გადაიზარდა და სასწრაფოდ მომთხოვეს ამ „სატანისტობის“ კედლიდან აფხეკა, რის შემდეგაც ჩემი აღშფოთების ჯერი დადგა და ხმამალალი ტონით კატეგორიულად მოვთხოვე: ჩემს საწოლთან ახეული შპალერის ყურებას საყვარელი ფრაზების ყურება მიჩრეენია, და თუ რამე პრობლემა გაქვთ, შეგიძლიათ რემონტი გამიკეთოთ-მეთქი. ხმა აღარ ამოუღიათ, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ნაკურთხი წყლით არ სცადეს მრავალჭირნახული კედლის „განწმენდა“.

მეორე - უფრო ღრმა. მთავარი ჯერ წინაა.

- Sakvarelo... Mismine... Rac ar unda gchirdes, rogori gatishulic ar unda iko da rogorc ar unda gekido, gtxov, gaige, rom mikvarxar, ertaderti xar, rac dzalas madzlevs am planetaze vicxovro, chemi cxovrebis azri xar da shens meti aravin mkavs. da kidev, shen ertaderti xar, vinc realur mes xedavs. kvela sxva danarchens, uaxloes megobars tu daqals arasodes unaxavs rogori var sinamdvileshi. Gtxov, nu martmev imis shanss, rom realurad varsebobde.

აუ, არ დაეზარა ამხელა რალაციის მოწერა? თან დარწმუნებული ვარ, იცოდა, რომ არ ვუპასუხებდი... როგორ დავაჯერო, რომ არ მკიდია? ალბათ, იატაკიდან ერთი ადგილის ანევიტ (ხელს ვგულისხმობ), ტელეფონის ალებით და ერთი წმინდა ქართულ-ვაჟაკური ჟღერადობის მქონე ცხრაასოიანი სიტყვის მიწერით. ვიცი, რომ ეგეც ეყოფა. “მიყვარხრ!!!” — აი, სუფთა ეგეთი სიტყვაა, რა... რატომღაც ის განსაკუთრებული, ნაზი გრძნობა კი არა, მთვრალი, ღიპიანი ბიძების ღვინისსუნიაანი ჩახუტება მახსენდება... მაგრამ, რომც შემეძლოს, არ ვიცი, მივწერდი თუ არა. მთელ ეფექტს გავაფუჭებ. ჯობია ის წაიკითხოს, რაც უკვე დიდი ხნის მოფიქრებული და კარგად დამუშავებული მაქვს. არადა, არასოდეს მიყვარდა წერა.

- Televizors vukurebdi da... Tu jer kidev ar gitqvamt rom gikvart, axlave utxarito... Da vifiqre, aqamde iqneb ise ar mitqvams, rogorc sachi-roa-metqi... gacuxeb?

არა, რა მანუხებ... არ მინდა მარტოობა. რომ არ მწერდე, ბევრად უფრო საზიზღრად ვიქნებოდი. მაგრამ მე ვერ გიპასუხებ. მე ხომ ეგოისტი ვარ და სულ მკიდია შენ რას გრძნობ. და ყოველთვის ეგოისტი ვიყავი. არასოდეს არსებობდა ის პატარა, საყვარელი და ოდნავ მოდებილო ბავშვი, შენ რომ შეიყვარე. ნამდვილი „მე“ ეს ვარ. დაგრუხული იდიოტი, იატაკზე რომ ზის და **Bayside**-ს უსმენს. ჩემებმა სხვისი პირადი ცხოვრების პატივისცემა ისწავლეს? მთელი ორმოცდახუთი წუთია კარი არ შემოუღიათ. დამავინყდა მეთქვა, რომ ჩემს

ოთახს შპალერის გარდა საკეტიც აკლია? ნეტა, რას იტყოდნენ, ახლა რომ მხედავდნენ?

მდაა.. აბა, მტკივნეული არ იქნებაო?

- Of... Lokokina xar. Ki ara da, ku! :@

არ დაჯდეს რა... არ მინდა რომ მარტო... მაგრამ ჩემი ძვირფასი „სიმენს A50“ (რომელიც მობილურისმაგვართა ოჯახის სულ პირველ თაობას განეკუთვნება და იმხელაა, რომ შარვლის ჯიბეში არ მეტევა და თუ ძალით ჩავტენი, ნემსი და ძაფიც უნდა წავიღო, ყოველი შემთხვევისთვის) ფიზიკის ყველანაირი კანონის დარღვევით, დაახლოებით, ორი კვირა მუშაობს.

ჰაერი არ მყოფნის, ე... ისუნთქე! ან არა, რა აზრი აქვს...

როგორც ჩანს, ჩემზე და ჩემს ნივთებზე ჩვეულებრივი კანონები არ ვრცელდება. ნაკითხული მქონდა, რომ ვენების გადაჭრის შემდეგ ადამიანი დაახლოებით ორიდან ხუთ წუთში კვდება. ნორმალური ადამიანი. ჩემნაირ ორმოცდახუთ კგ-იან დისტროფიკს კი ერთი წუთიც უნდა ყოფნოდა. მაგრამ ვიკიპედიაში არც სისხლის შედედებაზე იყო ნათქვამი რამე და არც იმ მოტკბო გემოზე, ახლა რომ ვგრძნობ... რამე არასწორად გავაკეთე? ა, არა, ნეტა რამდენს უოცნებია უკვდავებაზე?.. და რატომ უნდა ამიხდეს მე სხვების ნატვრა? აშკარად ბევრ კითხვას ვსვამ. ნეტა, ყველა ასეა ამ დროს (ჰმ, კიდევ ერთი კითხვა)?

მობეზრდა? რატომ აღარ მწერს? ერთიც რა... გთხოვ... ალბათ ველარც მოვახერხებ ნაკითხვას, მაგრამ ვიბრაციას ხომ ვიგრძნობ... გთხოვ რა... მოგენატრება დაუმთავრებელი ჩემი ზღაპრები?

მოხუცები

ბებია ბუხართან ზის და წინდას ქსოვს. ბაბუა ძველ, უკვე ათას-ჯერ გადაკითხულ გაზეთს ათას მეერთედ კითხულობს. ერთი შვილი უცხოეთშია გათხოვილი და ბებიაც პატარა შვილიშვილისთვის ქსოვს წინდებს. სჯერა, რომ ჩამოვლენ. მეორე შვილი კი ომში გმირულად დაეღუპათ. არიან მარტონი, თავიანთი ფიქრების ანაბარა. ბაბუა გაზეთს კეცავს და მაჯის საათს დასცქერის, არ მუშაობს, მაგრამ მაინც უკეთია. ბებია ამაზე ჩუმად ილიმის.

- დაგწვეთ?

- მოვრჩები ბარემ და მერე! - პასუხობს ბებია და ქსოვას აგრძელებს, ბაბუა თვალით ზომავს დარჩენილ ძაფს.

- კარგი, დაგელოდები! - თვალებს იფშვნეტს და სკამს ეყრდნობა. ბებია ამაზეც ილიმის, იმიტომ, რომ იცის, ბაბუა არ დაელოდება.

ბებია ისევ ქსოვს, ბაბუას სძინავს.

ნაცრისფერი

ფანჯრებს არ წმენდდა,

მტვრიანი რომაა, უფრო კარგად ჩანსო.

მიაკრობდა ხოლმე თვალებს თავის ნაცრისფერ ფანჯრებს და ყველაფერს შავ-თეთრად ხედავდა.

ერთხელ მთხოვა, ფანჯრის წინ დადექიო,

წვიმდა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი,

ვიდექი თხუთმეტი წუთი წვიმაში ფანჯრების წინ,

მაგრამ ღირდა! ისეთი კმაყოფილი თვალებით მიყურებდა,

თითქოს ეს-ესაა ლატარიაში დიდძალი თანხა მოეგო.

მერე მითხრა, ნაცრისფერი უფრო ლამაზი ხარო.

და მეც შევიფერე.

დაბადების დღეზე ნაცრისფერი კაბა მაჩუქა

და მიყვებოდა ისტორიებს ნაცრისფერზე.

რომ ვუთხარი, ნაცრისფერი სინამდვილეში არ არსებობს-

მეთქი,

ენყინა, მეორედ აღარ თქვაო.

მერე თვითონაც განაცრისფრდა,
და იყო ჩემი მე,
ოლონდ, ნაცრისფერი და ბედნიერი.
ნაცრისფერი ლინზები იყიდა,
არ მოუხდა, მაგრამ არ მითქვამს.
გიხდება-მეთქი... გაუხარდა.
მერე ყველა ნაცრისფერს ეძახდა,
მარტო მე ვეძახდი სახელს,
გამებუტა, შენც ნაცრისფერი დამიძახეო.
და დავუძახე...
დავდიოდით მე და ნაცრისფერი
ნაცრისფერ ქუჩებში
და ნაცრისფრად ვღებავდით
აჭრელებულ კორპუსებს.
ერთხელ დამირეკა,
ტიროდა,
თურმე დედამისს ფანჯრები გაენმინდა...
ეტკინა, მეც მეტკინა...
აღარ იყურებოდა ფანჯრიდან,
ლინზებსაც გაუვიდა ვადა,
და მეც დამიპატარავდა კაბა.
გახდა ნაცრისფერი ისევ წითელი,
ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე,
ცისფერი, ლურჯი და იისფერი,
მაგრამ მაინც ნაცრისფერს ვეძახდი.
ისევ უხაროდა
ნაცრისფერი სიხარულით
და ნაცრისფერსევდაჩაბუდებული თვალებით.

ტალახი

პირველად რომ შევნიშნე, მეუცხოვა, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, მეგონა, გადაღლილობის ბრალი იყო და მალე გაივლიდა. ოდნავი, ძლივს საგრძნობი ტკივილი დამიტოვა მხოლოდ. ესეც მაშინ ვიგრძენი, იმ საღამოს, სახლში რომ ვბრუნდებოდი.

კარი არავინ გამიღო, წერილი დამხვდა, სოფელში მივდივართ, ნათესავი გარდაცვლილაო.

გასაღები ძლივს მოვძებნე. საერთოდ, დიდჯიბეებიანი შარვლით დავდივარ, ათასი რალაც მიყრია ჯიბეებში. გასაღები კი, ყოველთვის მავინწყდება, რომელ ჯიბეში მიდევს.

კარი შევალე თუ არა, უცნაური სუნი მეცა, ნესტოები ამენვა, კეფა გამიხურდა, სხეულში შორეული გაელვებასავით აუტანელი ტკივილი შემოიჭრა.

წარმოდგენა არ მაქვს, რამდენ ხანს ვიჯექი იატაკზე ფეხმორთხმით, როდემდე ვიყავი გარინდული.

ტელეფონის ზარმა გამომაცალკევა სიჩუმეს. მეგობარი იყო, შევატყე, ხანგრძლივ საუბარს აპირებდა, ამიტომ შუა ლაპარაკში ყურმილი დავკიდე და მერე საერთოდ გამოვრთე ტელეფონი.

სხვა დროს ასეთ რამეს არ ვიზამდი, მაშინ კი უხერხულობაც არ მიგრძენია, - უტიფარი, - თქვა მან ჩემში და კუთხეში დაჯდა.

გავხევედი, პირი გამიშრა, კუნთები დამეჭიმა, ყურებში გაუსადლისი ხმაური ჩადგა.

- უგრძნობი, - თქვა მან და ფეხზე წამოდგა, მომაშტერდა, ვერ გავუძელი თავხედ მზერას, თვალები დავხუჭე, ქუთუთოები მძიმედ დაანვა გუგებს, უსიამო შეგრძნებამ მომიცვა.

და მერე ვიგრძენი მეორედ...

გული მომეკუმშა, ვერ შევძელი საკუთარი თავის შეცოდება, ამომშრალ თვალებში არ ჩადგა ცრემლი, ვიყავი სრულიად უღონო.

იყო უკუნის, ვიქეც ტალახად, განითლებული სული ვერ ფარავდა სიშიშვლეს...

კარზე დააკაკუნეს, ბარბაცით გავიარე გრძელი დერეფანი, ჭუჭრუტანიდან დავინახე მეზობელი. კვერცხი ხომ არ გაქვსო. არ მახსოვდა, გვქონდა თუ არა, შემოდი და ვნახავ-მეთქი. არ გადმოაბიჯა კარის ზღურბლს, აქ ვიდგებო. უცნაური გოგოა თაია, ჩემ დანახვაზე წითლდება. ბავშვობაში სიყვარული ავუხსენი, მაგრამ უკვე ოცი წელი

გავიდა. ახლაც დამორცხვებული მიყურებდა, დედაჩემის ნაცვლად მე რომ შევეფეთე. კვერცხი გავუნოდე თაიას და კარი დავხურე.

კვერცხი არ მიყვარს, სუნზე ცუდად ვხდები, მთელ ტანში მზურძგლავს. ბავშვობაში ბებია გოგლიმოგლს მიკეთებდა და პურზე წასმულს ძალით მაჭმევდა, სასარგებლოაო. მერე გამოსავალს მივაგენი, ეზოს ბოლოში ალუჩის დიდი ხე იდგა, როგორც კი დავინახავდი ბებიაჩემს კვერცხის დღევებაში გართულს, მაშინვე გავრბოდი და ალუჩის ხეზე ავდიოდი. მსხვილი ტოტები ჰქონდა და დასაჯდომად მოსახერხებელი იყო.

ვიჯექი ტოტზე და არ ჩამოვდიოდი, მომნონდა კიდეც.

პირველად რომ ავცოცდი ხეზე, ბებია ხესთან მოვიდა, ხელში გოგლიმოგლიანი პური ეჭირა და მეხვეწებოდა, ჩამოდი, ჩემო ჭკვიანო და კარგოო. სულ არ ვიყავი კარგი, ჭკვიანი - მით უფრო.

ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ეუბნებოდა დედაჩემს ბებია, მეორე აუცილებლად გააჩინე, ერთი შვილის იმედზე როგორ უნდა იყო, თან რთული ბავშვია, მაინც ენაცვალოს ბებო, მაგრამ შენ მეცოდებიო, შვილო.

ჰოდა, კარგა ხანს ვიჯექი ხეზე. მერე პაპამ კიბე მოადგა ხეს და ამოსვლა დააპირა. ვიფიქრე, ახლა თუ ჩამომიყვანეს, ჩემი საქმე წასულია-მეთქი, კვერცხის გულები მელანდებოდა უკვე. იმხელა ვიყვირე, კინალამ გული გაუსკდა ბებიას, გავიჭაჭე, ტოტიდან ჩამოვხტები, თუ კიბეს არ მოაშორებთ-მექი.

იმ დღეს რა დამავინყებს, საღამოს პირობა წავუყენე ბებიაჩემს და მოწმედ პაპა დავიყენე, კვერცხი აღარ მისხენოთ, თორემ ხეზე ავალ და სანამ ჩემები არ ჩამოვლენ, იქ ვიჯდები-მეთქი.

ჩემი მოთხოვნა შესრულდა. პირველი გამარჯვებაც მაშინ ვიგემე.

საერთოდ, სიტყვა „გამარჯვება“ არ მომნონს, რაღაცნაირად დამარცხებასთან ვაიგივებ და ცუდ ხასიათზე მაყენებს. ეს რომ ვთქვი, ჩემმა ძმამ, დებილი ხარო, მითხრა.

მე და ჩემი ძმა ისე განვსხვავდებით გარეგნობითაც, რომ უცხოებს არც ვგონივართ ძმები. ის თეთრია და ქერა, ლურჯი თვალები აქვს, გაკვირვებული. თან ისეთი კეთილი და გულუბრყვილოა, ახლაც მარტივად ვატყუებ.

ერთხელ უნივერსიტეტიდან სახლში რომ მივედი (მაშინ ფსიქოლოგიას ვსწავლობდი და თავი ჭკვიანი და „კაი ტიპი“ მეგონა), ჩემი ძმა, ტელევიზორს უყურებდა. კარი ყოველთვის ღია რჩება, ვერ გაიგო ჩემი ოთხაში შესვლა, მივეპარე და ყურში მაგრად ჩავძახე. ისე

შეეშინდა, გული წაუვიდა, მეც შეემეშინდა მაშინ, ძლივს მოვასულიერე. წარმოვიდგინე სასტუმრო ოთახში დასვენებული ჩემი ძმა, დედაჩემის და მამაჩემის სახეები და მეც იქვე - ძმის მკვლეელი.

ისე ცუდად გავხდი, კინალამ ვიტირე, მერე საკუთარ თავზე მომეშალა ნერვები. ზოგჯერ ისეთ იდიოტურ სცენებს წარმოვიდგენ, რომ მუცელი მტკიცდება და გული მერევა (უსიამოვნოს მოლოდინში უნებურად მემართება ასე). ერთი წლის შემდეგ მართლაც ამერია გული და თავი დავანებე ფსიქოლოგიის სწავლას.

გადარიგნენ მშობლები, როცა გამოვაცხადე, აღარ ვისწავლი-მეთქი. დედაჩემს ისტერიული კვილი აღმოხდა, თვალთ არ დამენახოო და ვალერიანის წვეთები დასჭირდა. მამაჩემმა მხარზე ხელი დამადო და სხვა ოთახში გამიყვანა სალაპარაკოდ. აუ, როგორ მძულს ეს განელილი ლაპარაკი და რა ვქნა! დიალოგი გამოგვივიდა ასეთი:

- შვილო, ცხოვრებაში არ გინდა კაცი გამოხვიდე?

- კაცი არა, მეცნიერი უნდა გავხდე-მეთქი, - ვუპასუხე სერიოზული გამომეტყველებით.

არადა, რა მეცნიერი, რის მეცნიერი! ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ ფოტოაპარატი ვიყიდე და მთელ დღეებს ნაწნალობაში ვალამებდი, ქურჩა-ქურჩა დავდიოდი, ვიღებდი ყველაფერს.

იმ წელს ჩემი ძმა სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა. მთელი ყურდღება მისი გამოცდებისკენ იყო გადატანილი, მეც კმაყოფილი ვიყავი, თითქოს აღარც მამჩნევდნენ, არ მეკითხებოდნენ, რას ვაკეთებდი, სად დავდიოდი. მეტი რა მინდოდა, დავეხეტებოდი, ვფოტოგრაფობდი.

ნი სწორედ მაშინ გავიცანი. ნი ლამაზი გოგოა, ახლა არ ვიცი სადაა, როგორაა, შეიძლება გათხოვდა კიდეც.

ჰოდა, ნის ქურჩაში სურათი გადავუღე, მერე ავედევნე, შეეშინდა, გიჟი ვეგონე, არ მოვეშვი, საუბარი გავუბი, თუმცა, აღარ მახსოვს, რაზე. სხვანაირი ხმა ჰქონდა ნის, არც ნაზი, არც წვრილი, არც ბოხი, არამედ მშვიდი.

მომწონდა ნი, ცოტა მერე ძალიან მომწონდა, იმ საღამოს ოპერაში რომ წავედით, უფრო მომეწონა და შუალამისას შემეყვარდა. არასოდეს მითქვამს მისთვის, რომ მიყვარდა, არც ოპერა მხიბლავდა, მაგრამ ნის გამო ყველაფრის შეყვარება შემეძლო.

ნიმ მიიღო სიყვარულის ფერი და სიყვარულმა მიიღო ნის სახე. ნი ნატიფი იყო, ისეთი მშვიდი, კინალამ დავიჯერე, რომ აღარ ვიყავი უხეში და რეგენი, როგორც ჩემები მეძახდნენ, როცა მორიგ სისულელეს ჩავდიოდი.

ნის ვუყვარდი, თუმცა, არც მას უთქვამს.

ჩემმა ძმამ გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა. ის გმირი უფრო გახდა, ვიდრე სტუდენტი, იმდენი მილოცვა და ქება დაიმსახურა, ცხოვრების ბოლომდე ეყოფოდა.

ყველაზე კმაყოფილი მაინც მე ვიყავი. ნი ისე მიყვარდა, ხანდახან ზედმეტად ბედნიერადაც ვგრძნობდი თავს, ერთი სიტყვით, ყველაფერი იდეალურად იყო, ან თითქმის იდეალურად.

მაგრამ, რა ვქნა, არ მიყვარს სრულყოფილება, ბავშვობაშიც ასე ვიყავი, ყველაფერს ვაფუჭებდი.

ბებიას ყვავილები უყვარდა, ეზო სავსე ჰქონდა ვარდის ბუჩქებით, მე მივდგებოდი და ფურცლებს ვაცლიდი ვარდებს. რატომღაც მიწის ამოჩიქნა მიყვარდა, ბალახს ვქელავდი, საწყალი ბებიარემი მთელი ზაფხული განერვიულებული და დაღლილ-დაქანცული იყო ჩემი უზნეობით. მივეპარებოდი თურმე ბავშვებს და ვკბენდი. ერთ სიკეთეს ჩავდიოდი მხოლოდ, მიწის ჩიჩქნისას ჭიანჭველის ბუდეს თუ მივაგნებდი, ვეხმარებოდი. ერთხელ ერთ ჭიანჭველას ხორბლის მარცვალი მიჰქონდა სადღაც, ძლივს ენეოდა, სადამდეც შემეძლო, მივეშველე და მივატანინე, მაგრამ მერე თითი ველარ შევატიე ხვრელში.

იმ საღამოს მე და ნი კინოთეატრიდან ვბრუნდებოდით, აგვისტოს მიწურული იყო, ნის უხდებოდა გარუჯული კანი, თვალს ვერ ვაშორებდი, ისთი კარგი, ისეთი ლამაზი იყო და უცბად შემეცოდა ნი, ჩემ გვერდით რომ მოდიოდა, ჩემნაირი იდიოტი უყვარდა, ტლანქი და მოუხემავი.

არ ვუხდებოდით ერთმანეთს, უფრო სწორად, მე არ ვუხდებოდი ნის. მეგონა, ნი პატარავდებოდა, ქრებოდა ჩემთან, ისე ცუდად გავხდი, მაშინაც მუცელი ამტკივდა და ცოტა ხანში გულისრევა დამენწყებოდა. ეს იყო უსაშინლესი წუთები ჩემს აუტანელ არსებაში.

ნი დავტოვე, თუმცა, მიყვარდა უფრო ძლიერად. ნიზე ფიქრისას მელანქოლიური განწყობა ამეკიდებოდა ხოლმე და სიგარეტის მოწევის ვინყებდი, საერთოდ, ნიკოტინი თავბრუს მახვევს. მერვე კლასში ვიყავი, ბიჭებმა ერთი ღერი სიგარეტი ვიმოვეთ და სკოლის ტუალეტში თითო-თითო ნაფაზი დავარტყით. მაშინაც არ მესიამოვნა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

ფოტოგრაფობაც მომწინდა და რამე ახლის ძებნაზე დავიწყე ფიქრი.

მეტალურგიას ვისწავლი-მეთქი, - გავიფიქრე, ესეც ისე, თორემ სურვილი არც მქონდა, ანდა, რა აზრი ჰქონდა, ოთხმოცდა-

თიანი წლები იყო, ქარხნები კი არა, ისე გაჭირდა, პური და ნავთი ძლივს იშივებოდა. მხრჩოლავი „კერასინიკა“ ძლივს ათბობდა ოთახს, ცხოვრება სანთლის შუქზე ჩემოგვენგრა. იმ დროიდან შემეყვარდა ნავთის სუნი. ვიჯექი საღამოობით და შევეყურებდი სანთელს, ჩემს ჩრდილს რომ ხატავდა. პრიმიტიული ცხოვრების ფონზე დამაკმაყოფილებლად ვსუნთქავდი.

მომბეზრდა უსაქმოდ ყოფნა. რა უნდა მეკეთებინა? ჰოდა, ერთ დღესაც გოლესთანის კითხვა დავინწყე, სამი წელი იქნებოდა, არაფერი წამეკითხა, ვიჯექი და ვკითხულობდი. დრო უფრო სწრაფად გადიოდა, მოვწყდი რეალობას.

ოთხმოცდაათიანი წლები იყო-მეთქი, წელან ვახსენე, ომში არ წავსულვარ, თავის დროზე არც ჯარში გამინვიეს, მამაჩემმა იმდენი იჩალიჩა, ინვალიდის საბუთი გამიკეთა.

ჩემი ძმა სულ სხვა ტიპია, ჯარიც მოიარა და აფხაზეთის ომშიც წავიდა. ცოცხალი გადარჩა, მაგრამ შიშები დასჩემდა, ხანდახან ძილში ისე ყვირის, ყველას გვადვიძებს. ენა ებმება, თავიდან ყურებიც დაგუბებული ჰქონდა, ხმას არ იღებდა, იჯდა თავისთვის, არაფერს ჭამდა, ჩაის თუ დალევა.

მერე ოთახში შეიკეტა, ლაბორატორია უნდა მოვანყო. გაუბერა მგონი.

ერთხელ, წარმოდგენა არ მაქვს, რა გააკეთა, მაგრამ შუადღისას ისეთი აფეთქება მოაწყო, მეზობლის ფანჯრის მინებიც კი ჩაიმსხვრა.

ჩემი ძმა სკამზე იჯდა და გიჟივით ხარხარებდა. ეგეთი ბედნიერი დაბრუნების შემდეგ არ ყოფილა. ამღვრეული თავალებით მიყურებდა. ქუჩაში გავედი, ცუდად ვიყავი.

მიხვდით, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მიფიქრია, არ მიფიქრია არაფერზე, ახლაც არ ვიცი რატომ, მაგრამ გადავწყვიტე, იმ წელს უნივერსიტეტში ისევ ჩამებარებინა. უკვე ოცდახუთი წლის ვიყავი, სახლში რომ ვთქვი, უნდა ვისწვლო-მეთქი. დედაჩემმა ამოიოხრა, არაფერი უთქვამს.

მამაჩემმა ყურადღებაც არ მომაქცია. შერვეული იყვნენ ჩემგან მოულოდნელ განცხადებებს.

სკოლას რომ ვამთავრებდი, ბიოლოგიის მასწავლებლმა მითხრა, უნიჭო არ ხარ, მაგრამ თუ ზნეს გამოისწორებ, უფრო ჭკვიანი იქნები.

ზნის გამოსწორებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე რომ სიბეჯითე გამოვიჩინე, თავადვე გამიკვირდა. სამართლის შესწავლა

გადავწყვიტე და ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩავაბარე. ისევ სტუ-
დენტი ვიყავი.

მართალია, მეცნიერობაზე ხელი ავიღე, მაგრამ მამაჩემი,
ვატყობდი, კმაყოფილი იყო.

ჩვიდმეტი წლის გოგო-ბიჭებთან ნამეტანი დიდი ვჩანდი. მეხა-
მუშებოდა ამხელა კაცს ცხრა საათზე ლექციაზე ჯდომა და რვეულში
ბეჯითი მოსწავლესავით რაღაცების ჩანიშვნა, თუმცა, იმავ-
დროულად, მსიამოვნებდა ხელში წიგნებამოჩრილი სიარული.

სემესტრის ბოლოს პირველი გამოცდა ისტორიაში მქონდა.
კარგი კაცი იყო ქართლოსი, მაგრამ გამოცდაზე რომ შევედიოდი, მაინც
ვინერვიულე, მაშინაც მუცელი ამტკივდა (ვერ გამოვისწორე ზნე).

წელს, შუა ზამთარში, სწავლა რომ არ მიმეტოვებინა, ცოცხა
ხანში დიპლომსაც ავიღებდი, მაგრამ მძულს ფორმალობები და რა
ვქნა. რომ წარმოვიდგინე, როგორ ვაბარებდი ბოლო გამოცდას და
მერე როგორ გადმომცემდნენ დიპლომს, კინალამ გულის რევა
დამეწყო.

არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მჭირდება, ესაა და ეს.
თავისუფალი პროფესიის ადამიანი ვარ და მორჩა.

ერთი თვის წინ სამსახურის ძებნა დავიწყე. სადაც მივედი,
ყველგან უარით გამომისტუმრეს. არც მიკვირს, არ ვამტყუნებ იმ
ხალხს, ბოლოს ლანძღვა-გინებაზე გადავდიოდი, აბა, რა იყო, ისეთ
იდიოტურ კითხვებს მისვამდნენ, თითქოს იცოდნენ, ჩემი ძმა აღრე
რეგვენს და დებილს რომ მეძახდა.

ვერაფრით ავიწყე ცხოვრება, გუშინ ჩემი ძმის ლაბორატორი-
აში შევედი. საერთოდ, იშვიათად ველაპარაკებთ ერთმანეთს. ის სულ
თავის ოთახშია, მე მთელი დღე აქეთ-იქეთ დავწანწალებ.

ქიმია-ფიზიკის არაფერი გამეგებოდა, მასწავლებელი სამიანს
ძლივს მიწერდა, ამას კი კოლბებით და რაღაც ხსნარებით აქვს სავსე
მაგიდა. ამას წინათ გოგირდი აახრჩოლა და ააყროლა მთელი სახლი.
კედელზე დაკიდებული ჩემი ფოტოაპარატი დავინახე. ამდენი წელი
გავიდა და ერთხელაც არ გამხსენებია. აპარატი ავიღე და ძველი
დროის გასახსენებლად წავედი. რუსთაველზე რამდენიმე ბავშვს გა-
დავუღე და სწორედ მაშინ ვიგრძენი, უკვე მესამედ.

საერთოდ, ბავშვობიდან სუსტი ჯანმრთელობა მაქვს, ბოლო
დროს კუჭი მანუხებს და გლანდებიც სამკურნალო მაქვს, ვერ მოვი-
შორე ანგინა, ექიმმა, უნდა ამოიჭრა გლანდებიო, მაგრამ მაგის თავი
სად მაქვს, საავადმყოფოს სუნიც კი ცუდად მხდის.

სულ ის მახსენდება, შარშან ჩვენი მეზობელი რეზო რომ

მოკვდა პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე.

მიცვალებულის ბავშვობაშიც არ მეშინოდა. სკოლის ძმაკაცი თაზო რომ გარდაიცვალა, მეოთხე კლასში ვიყავით. პანაშვიდზე რომ წაგვიყვანეს, მასწავლებლმა და მშობლებმა იფიქრეს, არ შეეშინდეთო და ოთახიდან სასწრაფოდ გაგვიყვანეს. ჩემს რამდენიმე კლასელს, მგონი, მართლა შეეშინდა, ფერი წაუვიდათ.

მე კი დღესაც მახსოვს თაზოს სახე, მძინარესავით იყო, შეხება მინდოდა, მაგრამ შემრცხვა, დამინახავდნენ.

სიკვდილი მაგარი სევდიანი რამეა. რომ წარმოვიდგენ, ბოლოს მოსაზელი თიხის ფორმა უნდა მივიღო, ისევე მუცელი მტკივდება და ღებინების ნაცვლად, გული მეკუმშება.

ბავშვობაში მე და ჩემი ძმა საათობით ვუყურებდით ერთმანეთს, ვისაც გაეცინებოდა, ის დამარცხებული იყო. ეს თამაში მე მოვიგონე.

ჩემი ძმა ეგრევე სიცილს იწყებდა, მე კი შემეძლო ტრაგიკული სახით მეცქირა დაუსრულებლად.

მერე ერთხელ ჩემმა ძმამ მკითხა, შენ რატომ არ გეცინებაო? - რა გამაცინებდა, ყოველთვის, როცა ამ თამაშს ვიწყებდით, გონებაში წარმოვიდგენდი, როგორ მოვკვდი და როგორ მგლოვობდა ყველა, როგორ მიხდიდა ბოდიშს გეოგრაფიის მასწავლებელი, ერთხელ გაკვეთილზე ჯოხი რომ დამარტყა ხელებზე.

თაია ჩემს თავთან იდგა, ტიროდა და მისი ცრემლები მისველებდა ფერმკრთალ სახეს.

ბოლო დროს ადამიანებს ვაკვირდები. უნივერსიტეტში ერთი გოგო შევნიშნე, რალაცით ნის წააგავდა და მომწონდა, თვალს თუ მოვკრავდი, მიხაროდა, მაგრამ გაცნობა არც მიცდია.

დიდი სევდიანი თვალები ჰქონდა ნის. ნი, ალბათ, გათხოვდა. ლამაზი იყო ნი.

დედაჩემი მეუბნება, უდარდელი ხარ, არაფერზე წუხხარო. მთლად ასეც არაა საქმე, აი, იმ დღეს ავტობუსში ისე ცხელოდა, მართლა შევწუხდი.

მე მაშინაც შევწუხდი, ნი ჩემ გვერდით რომ მოდიოდა, პატარა, მშვიდი ნაბიჯებით. იქვე რომ მივატოვე, ისე ვიდარდე, მეგონა, მოვკვდებოდი.

უკვე იმდენჯერ მეგონა, იმდენჯერ წარმოვიდგინე საკუთარი სიკვდილი, სათვალავიც ამერია.

იშვიათად დავდივარ დაკრძალვებზე, მხოლოდ მაშინ, თუ წაუსვლელია არ იქნება. მოტირალი ადამიანების დანახვა ცუდ გან-

წყობაზე მაყენებს. ნათესავი გარდაცვლილაო, მწერდნენ ჩემები, ნეტა, ვინ უნდა მომკვდარიყო?

ჩემი მეგობარი დაჩი მეუბნება, ეტყობა ეშმა მოგეძალა, აბა, სულ სიკვდილზე რატომ ფიქრობ, ტაძარში წადიო.

მორწმუნე არასდროს ვყოფილვარ, ბავშვობაში თეთრწვერიანი მოხუცი მეგონა ღმერთი.

სამი თვის წინ წირვაზე დასასწრებად ტაძარში რომ მივედი, ისიც არ ვიცოდი, მარჯვნივ დავმდგარიყავი, თუ მარცხნივ.

ცოტა ხალხი იყო, მოსმენაც კარგად შეიძლებოდა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ მოვისმინე, ისეთი მოგონებები წამომიტივტივდა თავში, დავინწყებული რომ მეგონა. ოფლში ვინურებოდი, მუხლები მეკეცებოდა, მეჩვენებოდა, ყველა მე მიყურებდა, მრცხვენოდა.

- დამლოცე, მამაო.

- ღმერთმა დაგლოცოს, შვილო. ტაძარში შედი, ხატებს ეამბორე, მე აქ დაგიცდი.

- როგორა ხარ?

- კარგად ვარ, ტკივილს აღარ ვგრძნობ.

- ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება უფლის შემწეობით.

სამი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა მკვდრეთით უფალმა, მისთვის რაა შეუძლებელი?

- გამიჭირდა აქამდე მოსვლა, არც კი ვიცი, როგორ, საიდან დავინწყო.

- აღსარება იმისთვისაა, რომ სული განვინმინდოთ, რაც გვანუხებს, მოვინანიოთ, გული გავხსნათ, რომ ქრისტე შემოვიდეს ჩვენში, უფალი აქვე დგას, ჩვენ გვერდით, მე გზას გაგიკვლევ, შვილო.

მეც გამიჭირდა პირველი აღსარება, ოცდაათი წლისა მივედი ტაძარში, დამაგვიანდა მისვლა.

ყოველგვარი განსაცდელი უფლისგანაა, უფალს უყვარხარ და ახსოვხარ, ამიტომ წყალობად მიიღე. კიდევ ხომ არაფერი გაქვს, შვილო, ისეთი, რაც განუხებს და ვერ ამბობ რიდის გამო? უფალი ყველაფაფერს ხედავს, თუ რამეა კიდევ დაფარული. მოძღვარს სამარეში მიაქვს ყოველივე, რასაც ისმენს.

- ახლა აღარაფერი მახსენდება, მამაო.

- კარგი, ყველაზე მეტად რა განუხებს?

- სიყვარულს ვეღარ ვგრძნობ ადამიანებისადმი.

- ეს მცირედმორწმუნეობის ბრალია. თავადვე ნახავ, ნელ-ნელა როგორ იგრძნობ უფლის სიახლოვეს. გაზიარებ, ეს ყოველგვარ წამალზე უებარია. სახარება იკითხე, შვილო.

- დიახ, მამაო, ისევ განვაგრძობ კითხვას.

ქალი შემოგვესწრო, სათნო სახე ჰქონდა, ამოღამებული თვალები, ხმა ჰქონდა ნისავით მშვიდი, - მამაო, გელოდებიანო...

მსუბუქი დღე იყო, მიხაროდა, პირველად ვგრძნობდი, რომ სწორად მოვიქეცი...

გასაღების ჩხაკუნი გაისმა. ალბათ, ჩემი ძმაა. დილას ამბობდა, ელექტრონი უნდა გავაკეთოო.

და მე მახსოვს, როგორ ინვებოდნენ პეპლები ელექტრონთან. როგორ მიკბინა კელამ ხელზე და პაპამ დანა დამისვა, აღარ გაგისივდებო...

ესეც მუდო ვინმეა, ისევ თავის ლაბორატორიაში შეიკეტა, არადა, ბებიაჩემს როგორ უნდოდა მეორე შვილიშვილი გოგო ჰყოლოდა. არ აუხდა სურვილი.

არც ჩემი ოცნებები ამხდარა. ისე, კაცმა რომ თქვას, ნატვრა არც მქონია. ნი იყო და გაქრა...

ტიკივილი უფრო გაუმძაფრდა, ჟოლოსფერი დაედო სახეზე, ისევ აენვა ნესტოები, კეფა გაუხურდა, დაუძიმდა, ველარ შეიმაგრა თავი, დაიკვნესა.

ჭიპლარშემოხვეული დაიბადა, მთლად გალურჯებული. მკვდარი ეგონათ. ყოვლადსულგრძელმა მაინც შთაბერა სული. მსუბუქი იყო, უფორმო, უსახური, მაინც არ ერქვა მახინჯი.

თვალი არ აეხილა ჯერ, სმენა ჰქონდა გამახვილებული. ეს-მოდა, როგორ ჩასჩურჩულა, - აჰა, ჰაერი და თავად გამოსახეო იგი.

ცუდად ხატავდა, მაინც დაუსვა ფუნჯი ტილოზე.

მალე ბეზრდებოდა ყოველი საქმე, დიდხანს არც ხატვა შეძლო, ვერც საკუთარი სული იგუა.

და უთხრა მერე, - გიბრუნებ, თუ მიიღებო.

ქარი ამოვარდა, ჟოლოსფერ ზეცას ფარავდა ღრუბელი, ღია კარი ეხეთქებოდა კედელს, მგონი ტიროდა ქალი.

თაია არ ყოფილა. ნიც არსად ჩანდა.

სიცივე და ყავა

ნელ-ნელა, მძიმე ნაბიჯებით ავედი ტალახიან კიბეზე. ხელში „ფრანგული ვანილა“ მეჭირა და ხელებს მითბობდა. კაფეტერიაში შევედი. იქ მარტო ერთი გოგო იჯდა. თავი მუხლებზე ჰქონდა ჩამოდებული და მაგიდაზე ყინულიანი კაპუჩინო ედგა.

- ახალი ხარ? - მკითხა.

- ჰო.

- სასაცილო თმა გაქვს, - ეს რეპლიკა უკომენტაროდ დავტოვე, - შეგიძლია ჩამოვდე.

დავჯექი და ყავა მაგიდაზე დავდგი.

- მკითხე რამე, თორემ მთელი ლანჩი ერთმანეთის ყურება მოგვინვეს.

- ჰმ... კარგი... რატომ ყინულიანი კაპუჩინო? - ვკითხე გონების დაძახვის გარეშე.

- რატომ არა?

- იმიტომ, რომ გარეთ ცივა, სუპერმარკეტშიც ცივა. ცივი სიტუაციაა, ხალხი არაა, იატაკი ცივი ქვისაა, გარშემო მაცივრებია, კედლებიც ცივი, არ ვიცი ეს რა მასალაა...

- სამაგიეროდ, გულში თბილა.

- და გაყინული ყავით აგრილებ?

- არა, უბრალოდ, ზაფხულს მაგონებს.

- მიზანი მაინც სითბო ყოფილა.

- შენ გგონია “ფრანგული ვანილა” გაგათბობს?

- ფიზიკურად კი, ფსიქოლოგიურად - ვნახავთ.

- შენი ყავა ბავშვობას მაგონებს, პატარა ვიყავი და სულელი.

- ჰმ... ახლა ბავშვი აღარ ხარ?

- ალბათ არა.

- დამიჯერე, ჯერ მთელი ბავშვობა წინაა.

- ჩემთვის არა, - თქვა და ლოყებზე ხელები მიიდო.

- მოდი, ყავა გავცვალოთ და მიხვდები, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ.

- თუ ვერაფერი ვიგრძენი, მაშინ ჩემს გაყინულ კაპუჩინოს ერთი მოყუდებით დალევ!

- ყინულებიანად?

- ჩაყლაპავ! და თუ რამე გამოგივიდა, მაშინ რა?

- არაფერი.

ქალაქის ქუჩა ორივე ხელით აიღო, ტუჩები აუთრთოლდა, თბილი მომწარო სუნი იგრძნო და თვალები წელა დახუჭა.

- არა, მე იქ დაბრუნება არ მინდა! ჩემი კაპუჩინო მომანოდე.

ცუდი თემა

- როგორ გინდათ მოკვდეთ? - მოულოდნელად იკითხა ჯეიკმა, როცა მათემატიკის გაკვეთილზე ვისხედით. ყველა დაიძაბა და მას მიაშტერდა.

- ამის ნაცვლად ბინძური კორეელი რომ მოვკლა, არ შეიძლება? - თქვა ოსტინმა და გადაიხარხარა. ჯეიკს ასეთი რასისტული გამოხედომები, როგორც წესი, აცოფებდა ხოლმე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, რეაქციაც არ ჰქონია.

- მე გაზით მინდა გავიგუდო, რომ ტკივილი არ ვიგრძნო, - თქვა ლიორამ.

- რა იცი, რომ სხვა გზით ტკივილს იგრძნობ? - ვკითხე მე.

- ნახევარი საათი სისხლისგან თუ დაიცვლები, ალბათ გეტკინება, - გამაჯავრა სტეისიმ.

- ეგ არავინ იცის, მომაკვდავებს არ ეკითხებიან, სტკივათ, თუ არა, - გავაგრძელე მე.

- ანუ, არ სტკივათ? - გაიკვირვა ლიორამ.

- ალბათ, არა.

- რატომ, ჯერ ხომ ცოცხლები არან?

- კი, მაგრამ ამ დროს ტკივილი მეორეხარისხოვანი უნდა იყოს.

- შენ რა იცი, რა და როგორ უნდა იყოს?

- ვვარაუდობ.

კამათი ხმაურში გადაგვეზარდა და მასწავლებელი მოგვიახლოვდა. ყველა გაჩუმდა.

- გამოიყენეთ დრო და ისწავლეთ, - თქვა მან, - სანამ ცოცხლები ხართ, - დაბოლოებამ საერთოდ დაგვშოკა.

სიჩუმე გაიწელა. პაუზით ვისარგებლე, საქალაქდე გადავშალე და აღინას სურათს დავაშტერდი. მემამყებოდა ასეთი სურათის გადაღება რომ შევძელი, არადა, ასი სურათიდან ერთი კარგი, უბრალოდ, ალბათობის თეორიითაც გამოვიდოდა. თან აღინას სილამაზე რომ არა, სურათი არაფრად ივარგებდა, მაგრამ მაინც, რატომღაც მემამყებოდა.

- იდიოტი! - თქვა ჯეიკმა, - თვითონ რომ ესწავლა თავის დროზე, ამ მასალას აგვიხსნიდა მაინც.

- იდიოტი შენ ხარ! - მიუბრუნდა მეგი, რომელიც ამ დროის გან-

მავლობაში ჩუმად იყო, - რისთვის წამოიწყე ეს უაზრო ლაპარაკი?

- რატომ? გეშინია? - ჯეიკს ბოროტი ღიმილი დაედო სახეზე.

- რისი გეშინია, როცა არ იცი, სიკვდილის მერე რა ხდება? - ისევ ჩავერთე მე.

- ან სიკვდილის დროს... - რატომღაც ჩემს აზრზე გადმოვიდა ლიორა.

- ის ხდება, რასაც შენი რელიგია გეუბნება.

- იქნებ არაა სიმართლე, ყველას ხომ სხვადასხვა რელიგია გვაქვს?

- მე მჯერა იუდაიზმის, - ამაყად თქვა მეგიმ, - ვიცი, რომ ჭეშმარიტია.

მინდოდა, მაგრამ არ შევეკამათე და ისევ სურათს დავაშტერდი. რამდენიმე წამით, საუკუნეებამდე სიამოვნებით რომ გავწელავდი, ქანდაკებად ვიქეცი. ის ულამაზესი იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მეც მიმიძღვოდა წილი მის შექმნაში.

- მე ქრისტიანი ვიყავი, სანამ ბებიაჩემი მოკვდებოდა, - ამოიოხრა ჯეიკმა.

- ახლა ვინ ხარ?

- ათეისტი.

- მეც, მეც! - მხიარულად დააყოლა ლიორამ.

- მე მეგონა, იუდეველი იყავი, - აღშფოთდა მეგი.

- ჩემს მშობლებს დღესაც ასე ჰგონიათ.

- უმაღავ? - ჯეიკმა ისევ ის უცნაური ღიმილი გამოსახა.

- ჯერ არ უკითხავთ, - ცივად თქვა ლიორამ.

- ჯორჯ, - მომიბრუნდა ჯეიკი, - შენ როგორ გინდა მოკვდე?

- ქუჩის ჩხუბში, - დაუფიქრებლად ვუპასუხე მე.

- ისევ შენსას ანვები? გგონია, რომ არ გეტკინება?

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

- აბა, რას აქვს?

- იმას, რაც მერე იქნება.

- და რა იქნება?

- ჩემი რელიგიის მიხედვით, - დაიწყო ოსტინმა, - ძროხები მოდიან, თუ რაღაც სპილოებთანაა დაკავშირებული... და მერე... მოკლედ, ინდუიზმი სულ ცხოველებზეა ანყობილი... თუ რაღაც ასეთი... როგორც იუდაიზმი - საჭმელზე...

ოსტინის მიკიბულ-მიკიბულ ლაპარაკს ვერ გავუძელი და ისევ აღინას სურათს დავაშტერდი. ჯერ არ მითქვამს, რომ ეს სურათი უნდა დამეხატა. უბრალოდ, უნდა დამემტკიცებინა, რომ ადამიანი

ტექნიკაზე ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა უფრო სწრაფია. კამერამ ერთ გაჩხაკუნებაში გააკეთა ის, რასაც მე, ალბათ, ერთი თვე მოვუნდებოდი. მაგრამ ვინ დააჭირა თითი კამერას? - ისევ მე. მე მივატრიალე კამერა ამ იდეალური სახისკენ და ეს იდეალური სურათი გამომივიდა.

საკუთარი ხელოვნების გადაჭარბებით შეფასება სტიესიმ შემანყვეტინა.

- ეს კორეელი სრული იდიოტია, - თქვა მან რუსულად, ჯეიკს რომ ვერ გაეგო, - რა სიკვდილი? რა სიცოცხლე? მკურნალობა სჭირდება მაგას.

მაქსიმალურად ვცადე ერთი გამოხედვით რასიზმის, ზურგს უკან ლაპარაკის და ადამიანების დაუფასებლობის ზიზლი გამომეხატა და სტიესი მიტრიალდა.

- ჩემზე თქვა რაღაც? - ჩუმად მკითხა ჯეიკმა.

- ჰო.

ჯეიკმა თავი მერხზე ჩამოდო.

- ჯეიკ! - მხარზე დაადო ხელი ოსტინმა, - ის, კორეელზე რომ ვიხუმრე მაშინ, ვიხუმრე, სანყენად არ მითქვამს, ხომ იცი.

- ვიცი...

ობიექტივიდან დანახული სილამაზე

- გასწიე კამერა!

- რატომ?

- მგონია, რომ ცუდად გამოვიყურები.

- მშვენივრად გამოვიყურები.

- ნუ მიყურებ.

- არ გიყურებ, კამერას ვუყურებ.

- მგონია, რომ ცუდად მაცვია, ან თმა მაქვს ცუდად, ან მაკიაჟი.

მომეცი აპარატი. აჰა, მოგწონს?

- „ამერიკულ სილამაზეს“ რამდენჯერ უყურე?

- არც ერთხელ. მოგწონს, თუ არა?

- მე ვიცი, როგორც გამოვიყურები.

- კარგად, თუ ცუდად?

- მშვიდად.

- „ამერიკულ სილამაზეში“ ვიდეო კამერა იყო.

- აბა, არ მინახავსო?

- რა მნიშვნელობა აქვს? ბალახზე დაჯექი და ბუდას პოზა

მიიღე. ქუდი მოიხადე. არა, დაიხურე. გადაღება როგორ უნდა?

- ჯობია, ისევ მე გადავიღო.

- არა.

ჩხაკ.

- მოიცადე, ამ ყვავილს დავიჭერ.

ჩხაკ.

- ისინი ნიუ-იორკში წავიდნენ, ჰო?

- ძალიან ბევრჯერ გინახავს, არადა, უარყოფდი.

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

- აბსოლუტურად სულ ერთია.

ჩხაკ.

მიყვარს შემოდგომა, ჩემი დროა, ჩემი ამინდებით, ჩემი ფერებით, ჩემი მზით. ვუნყოფ განწყობებს, ვგრძნობ მზეს და ცვლილებებს. მუსიკა მნიშვნელოვანი ხდება და მაჟორს სევდა დაჰკრავს. მჭირდება სადა, უბრალო სიტყვები, იმიტომ რომ ამ დროს ყველაფერი მარტივდება - წინადადებებიც. შემოდგომა ჩემი ახალი წელია. ამ დროს იწყებენ ჩემი პლანეტები მოძრაობას მარცხნიდან მარჯვნივ (ქართულივით) და ბევრს ვკითხულობ - აზრებს, ადამიანებს, თვალებს, განცდებს, ხაზებს ხელის გულებზე, ხასიათებს, წინათგრძნობებს, სიზმრებს... მერე ვჩუმდები, ვკრავ დიდ ხურჯინს და ზამთარში მივდივარ. ვდგები დედამინის შუაგულში და ქვეყნის ოთხივე მხრიდან ველოდები იმ ხმას, რომელიც დაბადებიდან მესმის და რომელსაც შეუძლია თოვლის მოყვანა და მზის დაბნელება ჩემს სამყაროში!

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ფიქრების გრძელი მწკრივი გავჭიმე, მაგრამ ახლა შენი ფანჯრის ქვეშ ყრია მკვდარი მტრედებით და სურნელებენ მოლოდინად. თუ შენ თვალებს დახუჭავ და დაიძინებ, ვერასოდეს გაპატიებ, იმიტომ რომ მე უკვე მესმის შენი ხმა, და თუ შენი წინათგრძნობაც გაქრება, აღარ ამოვა ხე ჩემი სიყვარულის გადაქცეულ წნელის ღობესთან და მეც ირიბი ნაბიჯებით იმედგაცრუების მთებს დავხატავ ჩემიდან შენამდე, მაგრამ ჩემი შენდამი რწმენის სიმღერა არ დაგაძინებს იქამდე, სანამ ხელისგულებით არ იგრძნობ ჩემს სევდას! მე კი, ინდური ფერებით ჩაფიქრებულ სიზმრების გროვას გადავაბიჯებ და გრძნობის გალიაში გამომწყვდეულ ნისლაჩიტებთან ერთად ხონჩით მოგართმევ უთქმელობისგან დამწიფებულ სისხლისფერ სიტყვებს!

ჩემი ტკივილების მთელი სიცხე ურითმო სუნთქვად გადამექცა. თმა დამცვივდა და თვალებში ჩამომემსხვრა სიცოცხლის თაღები. ჩემი მკლავები, მოლოდინად დაკიდებული ჩემსავე ტანზე,

ყვებიან ამბავს, კენტი რიცხვებით სავსეს. ჩემი მხრები კი მხოლოდ სევდიან ყვავილებს ისხამენ, რომლებიც არ ხმებიან ხელისგულებში. ყელიდან მკერდში მცვივა მკვდარი სიტყვები და მეც, მთელი ტანით აყოლილი მინის ცხელ ცეკვას, ტერფებით ვგრძნობ მთელ სამყაროს - მინიდან ცამდე.

* * *

თვალებს სიზმრით დაგრეხილი ძაფით ამოგიქარგავ ისე, რომ წამწამებს შეეხამოს, თუმცა, შავს ხომ ყველა ფერი უხდება. გაფითრებულ დუმილს აგახლერ ტუჩებიდან, მომსკდარი სისხლით ძაფს შევღებავ და იმ სიტყვებს დაგაქსოვ, რომელთაც არასდროს ამბობ, მე კი ისე მინდა მათი გაგონება! ყელს ტბილი სუნთქვით შეგიხვევ. უხეში ძაფით მოგიქარგავ მკლავებს (სირცხვილია ასეთი სინატიფე) მთელ ჩემს სიმშვიდეს და სიმსუბუქეს ძაფად დავართავ ჯარაზე და მხრებზე დაგაქსოვ, ბოლოს კი, ჩაგეხუტები და დავიძინებ!

ძველი მობილი

სოფლის ავტობუსში შეკუჭულ მგზავრებს სული ეხუთებათ, მაგრამ სწორედ ამ დროსაა ბედნიერი მძღოლი. ჯიბეს ემატება და იმიტომ. ჯიბე იმოდენა არაა, იმისმა ავსებამ სულიკოს ფეხი ფეხზე გადაადებინოს, მაგრამ იმდენს კი დაიტევს, ოთხი პირდაღებული შვილი და ფუტკრის ნაკბენივით გატკიპინებული ცოლი რომ ელოდება სახლში, იმათი სტომაქები ამოავსოს და ტორსი შემოსოს. განსაკუთრებით ცოლის. შიშველი მტერმა დაინახა. მაგის შემეყურეა, ალბათ, სულიკო სულ ჯმუხ ხასიათზე რომაა, თუ არა, ეზოში მოხევილ ტყემალს და ვაშლს რომ ყიდიან, იმისთანა მეზობლებზე უკეთ მაინც კი აქვს აწყობილი საქმე, რაც, უპირველესად, საბჭოთა აბრევიატურით დამშვენებული ყვითელი მობილის დამსახურებაა, რომელიც ჯერ კიდევ მოდაშია სოფლად და მისი ნყალობით თვითონაც პატივსაცემ კაცად თვლიან.

- დააჩქარე, ვენერა, ვინ გაგთვალა, შე ქალო, მაგ ქათმები სასეირნოდ გყავდა ნამოყვანილი, თუ სკოჩი ქონდათ ქალაქელებს გადაკრული პირზე, რომ ვერ გაგიყიდა და უკან მოგყავს? - მიაძახა ისედაც აჩქარებით მომავალ მეზობელს დაქოქილი ავტობუსის ფანჯრიდან სულიკომ და ვენერამაც გარმონივით მიკეცილ კარებში შემოჰყო თავი. ტანის შემოსატევი ადგილი აღარ იყო, მაგრამ მაინც შემოატია. მერე მანამდე თავდაყირავეებული ქათმებიც რიგრიგობით შემოაძვრინა და, თოკით ერთმანეთზე ფეხებგადაბმული, ავტობუსის ქერზე მიმაგრებულ ჟანგშეპარულ სახელურზე, როგორც ქანდარაზე, ისე შემოასკუპა. სიძველისგან აქანქარებული და ახლა გაქანდარებული სახელური იმათ წონას არ დაუმძიმებია, მაგრამ თავმოყვარე ჟორჟიკა ქათმების თავზე წამოსკუპებით უკმაყოფილო დარჩა და ვენერას გესლგარეული იუმორით მიმართა:

- აგენიზა ჰამპერსი მაინც გეგეკეთებია, შე ქალო.

ატყდა ავტობუსში ხორხოცი და სიმწრის სიცილით გაეცინა გულშენუხებულ ვენერასაც.

- ჩემი არ იყოს, თავზე თმა არ გაქ, ჟორჟიკა, და კიდევ რო რამე იკადრონ, ბევრს ვერაფერს დაგაკლებენ მაგ შავ დღეზე გაჩენილები,

- გამოესარჩლა ვენერას დედლებს უკანა რიგიდან ვილაც.

ჟორჟიკამ თავი გადაააქნია. კარგა ხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ვილაცამ ისევ წამოიწყო:

- ნამეტანი გლახა დღე იყო სავაჭროდ. მსხალი მქონდა წაღე-

ბული და კი მომაქ ნახევარი უკან. შენ რა ქენი, ოლია, გაყიდე ტყე-
მალი? - შეეკითხა გვერდით მჯდომს შავებში ჩაცმული ქალი.

- გადაყრა ქვია მაგას, ისეთ ფასში ჩავაბარე. სახლში მო-
ბრუნებას, ასე ვარჩიე. შაქარი და ზეთი მომაქ ბოვშებიზა და ესაა.

სულიკოს ავტობუსში ყველა ერთმანეთს იცნობს. მეზობლები
არიან და სალაპარაკოს რა დაუღევთ. თანაც, ქალაქად წოდებული
რაიონული ცენტრიდან სოფლამდე გაჭიმულ კბილებჩანგრეულ გზაზე
ჩაქჩაქში დროსაც კლავენ.

- ეგერ, ე, იმ სახლშია გამოთხოვილი თამროს გოგო, - თქვა
უცებ ერთმა და ყველას თავი „ეგერ, ე“-ს მიმართულებით მიტრიალდა.

- უყურე, რავალ დვარეცში შესულა. კაი ხელის გამოლება მარ-
თებს ამისთანა ოჯახის მოსაველეად, - დაასკვნა ვიღაცამ.

მერე რომელიღაც გაპარტახებული ეზო გახდა მგზავრების
განსჯის საგანი.

- რავა დააქციენ შვილებმა დათუნიეს მოყვანილი ოჯახი?!

- ყველა ქალაქში გეიქცა და, აბა, რა მოუვიდოდა... - ბოლოს
დაასკვნიან ერთად.

მე უკანა კართან ვდგავარ. დასაჯდომ ადგილს ვინ მალირსებს
ამდენი ხანდაზმულის გარემოცვაში. ფეხებთან ქატოთი სავსე ტომარა
მიდევს, უკან - პურის ფქვილიანი, წარწერით „ფათოლი“. ვენერას
ქათმები დუმან. ეტყობათ, საზოგადოებას მიჩვეული არიან და მეორე
კატეგორიის მგზავრთა წესებს ზედმინვენით იცავენ. სამაგიეროდ,
გრიშას უკანმობრუნებული გოჭი ჭყვიტინებს და თოკით გაკოჭილ
ფეხებს მომაკვდავი კაცივით ასავსავენს.

- რავა ყიდდი? - შეეკითხა გრიშას გვერდით მჯდომი და ახალი
დილოგიც გაჩაღდა.

- ასს ვაფასებდი.

- ნამეტანი მოგინდომებია, შეე კაცო.

- ღორის ჭაჭანება რომ არაა არსად, არ გაგიგია მაგი ამბავი,
თუ?

- შენი რაფერ გადარჩა?

- შუშაში მყავდა, შუშაში და ისე გამოუძვრა ამ ჭირიანობას.

- მაგი კი გამოუძვრა ჭირს, მარა ახლა ჩვენ გაგვიჭირა საქმე.
რამე დასამშვიდებელი მიგეცა, ასე რომ არ შევეწუხებინეთ.

- გაჩერდი, შეე სამგლე! - შეუყვირა გრიშამ გოჭს და დრუნჩში
მიარტყა დაკოჭრილი ხელი.

- ასლარიან გოჭს კი არ უნდა მიარტყა, მეეფერო უნდა. მაგის
იმედათ გყოლია ოჯახი, - გაეხუმრა გრიშას თავზე მდგომი.

ამასობაში ავტობუსი სოფელში შევიდა და იწყეს მგზავრებმა ნელ-ნელა ჩასვლა. ზოგმა შეჭედილი ყუთი ჩაიტანა, ზოგმა - ტომარა, ზოგმაც - „ლილო-სითის“ კუბოკრული ჩანთა და აქამდე სულშესუნ-თქულებმა ჯერ ამოისუნთქეს, მერე მხრებში გაიშალნენ და ბოლოს, ცალ-ცალად დარჩენილები, გვერდით გათავისუფლებულ სკამებზე ხრუმჩოვკებზე თვითნებურად მიშენებული ლოჯიებივით გაფართოვდნენ.

უცებ, ადრე დაქვრივებული ოლიას ჭიშკართან გააჩერა სულიკომ ავტობუსი. ლობესთან ჯირკზე ჩამომჯდარი მოხუცი ხელმოჩრდილული ელოდებოდა მის გამოჩენას.

ახლადღებული პენსია გაუტანებია მეზობლისთვის და ახალგამომცხვარი კალაპოტის პური და კანფეტები დაუბარებია. დალოცა. გაეღიმა ჯმუხ სულიკოს და აჩაქჩაქებული ავტობუსის უკანმოხედილი სარკიდან ხელი დაუქნია შავოსანს.

შემდეგი გაჩერება თოკზე გაფენილი ჩვილი ბავშვის საცვლებით დამშვენებულ ეზოსთან მოუნია. სახლიდან გოგო გამოვიდა, გულზე პატარა ჰყავდა მიკრული.

- ჰა, შენ, ბიძია, პამპერსი! - უთხრა სულიკომ გოგოს და ხურდა ჩაუყარა ხელში.

- გაძვირებულა! - ამბობს მეზობლის რძალი.

- შიბაქი აღარ მოგნონთ ახლანდელებს და, აბა, რაფერ იქნება?!

- ეპასუხება სულიკო.

- მადლობა, ღმერთმა გაგახაროს! - ისიც ლოცავს მძღოლს და ავტობუსი გზას აგრძელებს.

ამასობაში ჩემი ჩამოსვლის დროც მოვიდა. ბონდის ხიდთან გავაჩერებინე და რწევა-რწევით გადავედი ღელეზე. აღმართი ავიარე და სასაფლაოს რომ გავცდი, მეზობლის ჭიშკართან პატარა გოგო-ბიჭები შევნიშნე. ერთს ჩიტი ჰყავდა ხელში და აფრთხილებდა. ისეთი ლამაზი სანახავი იყო, ვინანე, ფოტოაპარატი თან რომ არ მქონდა. ამიტომაც ცოტა შევყოვნდი და კადრი თვალს სამუდამო მეხსიერებაში გადავავაზავინე. ჩიტის პატრონს მოეჩვენა, რომ ჩიტი მინდოდა და ჩემკენ წამოვიდა. გამომინოდა. მე მივეფერე და აღარ გამოვართვი. მას უფრო უხდებოდა. მერე შორიდან მივაძახე, გაუშვი-მეთქი. გაუშვა. ჩიტი გაფრინდა და ჰაერში შეფრთხილდა.

ამ საღამოს ჭიაკოკონობაა. ჩემი ტოლები უნდა მოვძებნო და მათთან ერთად კოცონი დავანთო. მანამდე კი ბებიაჩემი საგანგებოდ დამზადებული თაფლის სანთლების ნამცეცებს მიმანებებს ყურის ბიბილოებზე. ეს აუცილებელი რიტუალია, ბოროტი თვალისგან დამ-

იცავს და ეშმაკებიც ვერაფერს დამაკლებენ.

აქაურები იმასაც ამბობენ, რომ ამ ღამეს ყინვა ვარდება წყალში და ხვალიდან ბუნებაში ყველაფერი ფერს იცვლის. მე არასოდეს მინახავს ჩემი სოფლის მდინარეში ყინვა (ზამთარშიც კი), მაგრამ ასეთია თქმულება, რომელიც სულიკოს ავტობუსზე ბევრად უფრო ძველია და ჩემამდე იმ ხალხის გადმოცემით მოვიდა, ახლა რომ დაჰყვება სოფლის აღმართსა და დაღმართში ათასი დარდითა და ხალისით. ამ თქმულებების პატივსაცემად, შებინდებისას ვენერას უკანმოზრუნებული რომელიმე დედალიც, შეიძლება, ბუხარში შეიკიდოს მოსახარშად, ოლიას ეზოშიც ათუხთუხდეს სახელდახელოდ ჩამოკრეფილი ტყემალი სამფეხზე, ვიღაცის ნაყიდი „ფათოლიც“ იქცეს პურად, გრიშამაც, შეიძლება, გაიმეტოს შუშაში გამოზრდილი ასლარიანი გოჭი დასაკლავად. სულიკოც დაურთებს ქალაქიდან საგანგებოდ ამოტანილ ტკბილეულს ბავშვებს.

ხვალ ხომ უფლის დედის დღეა და ასეთი დღეები მეზობლის ბავშვის ხელში დაჭერილი ჩიტვივით მოფრთხილდებიან და გაფრინდებიან.

ოდესმე ვენერაც ამ დღეებთან ერთად გაფრინდება ცაში. ჟორჟიკაც, თამარაც, ოლიაც, გრიშაც, დათიკოც და მათ ეზოებში შემოფრენილი ვერო, გიო, ლიკა, თაკო და დათო ივლიან და იფრთხილდებიან.

მე ისევ გზას მივუყვები. დაგრძელდა, რადგან მტვრითა და ბულით გათანგული თბილისის შემდეგ ლამაზი სანახავია ხავსიანი ყორეები და ამწვანებული ეზოები, ჟღურტული, ყივილი, ბლავილი, ჩუხჩუხი. ასე მგონია, აქ დაიბადა ოდესღაც სამყარო და ახლა ყოველ დღე თავის დაბადებას აქ ზეიმობს.

მოდინდან გადასული ატრიბუტებით შემკული ძველი მობილი კი ყოველდღიურად ეზიდება ჩაქჩაქით მავანთ.

მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ...

აივლი, ჩაივლი. ჩაივლი, აივლი მეზობლის, სულ ახლო მეზობლის ქალო. აივლი, სალამს გამოიმეტებ, ჩაივლი - ღიმილს და წახვალ. იცი, როგორ არ იცი, იცი, რა ცეცხლსაც გვიკიდებს შენი გამოჩენა. იცი, რა თქმა უნდა, რა გამოგეპარება ქალს!.. და არხეინად აივლი, ჩაივლი!..

ვფიქრობ, სულ ვფიქრობ, ნეტა, რას დადიხარ?!. თუმცა, საქმეზე მიდიხარ, საქმეზე მოდიხარ. მაინც, ასეთი რა გაუთავებელი საქმე გაქვს, რომ შენი გაჩერება არ იქნა?.. იცი, როგორ არ იცი, იცი, რომ ქვაფენილზე კი არა, ჩვენს გულზე დააბიჯებ და შენც აუღელვებლად აივლი, ჩაივლი... თან რომ ილიმი კიდევ?

აივლი, რაღაც გრჩება და უკან ბრუნდები. ჩაივლი - რაღაც გახსენდება და ისევ მიდიხარ, თან აუცილებლად ღიმილი დაგყვება თან...

იარე, რა გვეთქმის, მეზობლის ქალი ხარ და, აბა, ხელს ვინ გახლებს.

ივლი.

ივლი და იარე!..

აივლი, ჩაივლი. ჩაივლი, აივლი... რაა, ბოლოს და ბოლოს!

არა, იარე, ვინ გიშლის. იარე, საქმე გაქვს, საქმეზე დადიხარ... იარე, მეზობელო, იარე, ხელს გახლებს ვინმე, გგონია?

ვერა, მეზობლის ქალი ხარ და ვერა! შენც იცი ეს, ისიც იცი, რომ ქვაფენილზე კი არა, გულზე დაგვაბიჯებ და ასე უდარდელად და ცოტა დამცინავადაც კი ილიმი!

რა ხართ ეს ქალები, მეზობლის ქალები! აივლით, ჩაივლით. ჩაივლით, აივლით... თან აუცილებლად ღიმილით და აუცილებლად ვილაცის გულზე...

თაგუნას ამბავი

იჯდა ბებია ცეცხლთან და თბებოდა. ფისო მის გვერდით წამოგორებულყო და კრუტუნებდა. ჩვენ, მთელი ოჯახი, მაგიდასთან ვისხედით და ვთამაშობდით. გამოვიდოდა თაგვი ერთი კუთხიდან და წავიდოდა მეორისაკენ. ადგებოდა კატა, გაეკიდებოდა, მაგრამ მოხუცებულიყო და ველარ ენეოდა საცოდავი. ბებია დაუძახებდა, - მოდი აქ, დაბრუნდი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ამ ვირთხებსო, - და ერთი მეგრულად კარგად შეიგინებდა. დედაჩემი მიუტრიალდებოდა და ეუბნებოდა, - ნუ იგინები ბავშვებთანო და ისევ თავის საქმეს უბრუნდებოდა. ამოიოხრებდა ბებო, - მე არავის ვუყვარვარ, რატომ დავიბადეო, - და ისევ ფისოს მიუტრიალდებოდა, რძით ავსებულ ფინჯანს ახლოს მიუწევდა.

სულ ასე მეორდებოდა სალამოდან სალამომდე და ბებო ვერ ხვდებოდა, რატომ არაფერს იღონებდნენ მშობლები თაგუნას წინააღმდეგ. ერთხელაც, დაჯდა ბებო ბუხართან, ხელში ცოცხი აიღო და თაგუნას გამოსვლას დაელოდა. დედაჩემი კვლავ ეჩხუბა, - ბავშვების თვალწინ ცუდი არაფერი ქნაო, - მაგრამ ბებიაჩემს, ოღონდ თაგუნა მოეშორებინა და სხვა არაფერი უნდოდა. იჯდა ასე საათები ცოცხით, თან ფისოს ეძახდა, მაგრამ ფისო არსად ჩანდა. უცებ გარედან კაკუნის ხმა მოისმა. ბებომ კარს გახედა და ვერც კი შეამჩნია, როგორ გამოიქცა ხვრელიდან ჩვენი ჭკვიანი თაგუნა. როცა გამოიხედა, თაგუნა უკვე კარგი ორი მეტრის მანძილზე მირბოდა. ბებომ ცოცხი მოიქნია, იფიქრა, მოვახვედრებო. როცა ცოცხი ასწია, ქვეშ მოყოლილ ფისოს შეავლო თვალი, რომელიც პარკეტზე გაშხლართულიყო.

- არც ამას ვყვარებივარ, ამ უბედურს, ამანაც მიმატოვაო, - თქვა და ნელი, გაბრაზებული ნაბიჯით საწოლისაკენ გასწია.

მე, თურმე, ყარაშვილი ვყოფილვარ!

- სალამი ბიჭებს! 2.5 მმ კვეთის ორწვერა კაბელი მინდა გაყვანილილობისთვის. ჰა, ვისა გაქვთ?

შუადღით გამდიდრებული (ასე ეძახიან დღეს ახლად გამდიდრებულებს) ბატონი არჩილი საცხოვრებელი ბინის რეკონსტრუქციას მორჩა უკვე. ახლა ელექტროგაყვანილობას აკეთებს. მერე ერთი კარგი რემონტი და შვილები სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებიან, თითის გატოკებაც არ დასჭირდებათ.

- ჰა, ბიჭებო, დროზე, მალავთ, თუ რა არი?? გუშინ ჩემს მეზობელს აქ უყვიდა. ფასს არ დავეძებ, სასწრაფოდ მჭირდება. ახლა ამის გულისთვის თბილისში ხომ არ წავალ?

ბიჭები, ანუ ბაზრის მისადგომთან ქუჩაში წვრილმანებით მოვაჭრეები, ჩუმად იშმუშნებიან, ხმას არავინ იღებს. ბატონი არჩილი კი გაოცებულია, - როგორ, ვაჭარი გასაყიდ საქონელს მალავს? თუ აღარაა აქვთ, თქვან მაინც, პასუხი მაინც გასცენ.

ბოლოს წყლის დასაღვევად გასული შოთა ზახარაძე დაბრუნდა თავის საქონელთან და მდიდარ მეზობელს შეუძახა:

- რაო, ბიჭო, არჩიუნა, რაშია საქმე, რისთვის გარჯილხარ?

მდიდარ ხალხს ასეთი გაბედული ხუმრობა არ უყვარს, მაგრამ ასაკით თავისზე გაცილებით უფროს მეზობელს ვერაფერი გაუბედა და შინაურულად შესჩივლა:

- ზახარაძე, ერთი შენ მაინც მითხარი, კაცო, კაბელი მინდა შიდა გაყვანილობისთვის და პასუხს არავინ მაძლევს. ვერ გავიგე, რაშია საქმე, ჩემს ფულს ნომერი არა აქვს, თუ რა არი?

- კი კაცო, როგორ არ არის. რამაზი ყიდის, ჩვენი დადიანი. ახლახან გაუთავდა და სანყოფნა წასული ახლის მოსატანად.

- რამაზ დადიანი? რას ამბობ, ზახარაძე, გურჯაანში როდის აქვთ გაჩნდნენ დადიანები, ჰა?

- ეგ თუ დადიანია, მაშინ მე ბაგრატიონი ვარ, ბურბონი და რომანოვიო, - ხითხითებს იქვე გვერდით მდგომი ფელიქსა და ჟანგიან რკინებს ადგილს უცვლის. თან უკვირს, დილას აბლაბუდაში თავი გაყვავი, ეს კარგის ნიშანია და რატომ ვერაფერს ვყიდო.

- კარგი, ფელიქს ედმონდოვიჩ, რა იყო. საშვილიშვილოდ ხომ არ უნდა გადაემტეროთ ერთმანეთს. კაცი ამბობს, ქართველი ვარო, და შენ კიდევ ერთი წყენის გულისთვის ქვეყანას უყრი, სომეხიაო. არ გეკადრება, განათლებული კაცი ხარ.

- მაგისი დედაც და ცოლიც! ნეტა რას ეფერები? რანაირი ქართველია, აქ რომ დაიბადა, იმიტომ? მაშინ მაგის მამა ხაჩიკა გარა-ჟშია დაბადებული და „სამასვალია“? ეგ ჩემისა ეგა, რალა დადიანად დაენერა, დედის გვარზე დაწერილიყო, დედა ხომ ქართველი ჰყავს. ან არუთინოვია და არუთინაშვილად დაწერილიყო. უჰ, აგე მობრძანდება! - ფელიქსამ გვერდზე გადააფურთხა და ზაურას თავის კურდღლებზე ჩამოუგდო საუბარი, ძალიან მრავლდებიან და აღარ ვიცი, როგორ მოვეუაროო.

თავის სავაჭრო დახლს თეთრი კაბელის დიდ გორგალაკიდე-ბული რაფიკ არუთინოვი, იგივე რამაზ დადიანი, მიადგა, ბატონ არჩილს მოკრძალებით მიესალმა და რითი შემიძლია გემსახუროთო, შეეკითხა.

- შენა ხარ, ბიჭო, დადინი? - ჩაიცინა ბატონმა არჩილმა, მეთქი, ვის ველოდებოდი?! მამაშენი ხაჩიკა კაგად მახსოვს. ერთხელ, ქარხნის ეზოში რომ ბაღჩა ჰქონდათ გაშენებული, მსხალი მოვწყვიტე და ყურები ამახია, ქურდობა როგორ შეიძლება, არ მიეჩვიო, თორემ დაილუპებო. კიდევ კარგი, არ დავუჯერე, თორემ მეც დღეს სხვე-ბივით მშიერი ვივლიდი. ჰო, მართლა, რალა დადიანად დაენერე, შე კაცო. ეს გვარი კახელებისათვის არატიპიურია.

- სწორედ მაგიტომ. არავინ დამინყებს გამოკითხვას, ამა და ამ კაცისა რა ხარო. ყველგან ვამბობ, ჩემი წინაპარია აქ ჩამოსახლებული რევოლუციის დროს-მეთქი და მანებებენ თავს. ზუგდიდიან აქ არავინ ჩამოვა ჩემს გასაცნობად. ნაცნობები მაინც აღმაცერად მიყურებენ, არ სჯერათ ჩემი ქართველობა. აქა ვარ დაბადებული და გაზრდილი, ქართულია ჩემი მშობლიური ენა, ღერი არ ვიცი სომხური. სკოლაში ქართულად ვსწავლობდი, უმაღლესში ქართულად ვსწავლობდი. დედა ქართველი მყავს, ცოლი ქართველი მყავს. რა ვქნა, ერთი მითხარით, რალა გავაკეთო, რომ ჩემი ქართველობა დაიჯეროთ?! - პასუხობს განერვიულებული დადინი.

- მტკვარი უნდა გადაცურო ორჯერ და დავიჯერებთო, - ხითხითებენ ფელიქსა და ზაურა, თან შურნარევი მზერას აპარებენ დადიანის საქონლით სავსე დახლისკენ.

- კარგი, კარგი, - ამშვიდებს აღელვებულ დადიანს ბატონი არჩილი, - მაგ კაბელს რა ფასში ჰყიდი?

გასული საუკუნის 60-იანი წლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი.

აუდიტორიაში უცხოები შემოვიდნენ, სამნი იყვნენ, ერთი წლო-

ვანი და ორიც ახალგაზრდა.

- აქ ერთი სტუდენტი გყოლიათ, გვარად დადიანი, - გვაჩვენეთ რომელიაო.

რამაზმა მოკრძალებით დაუკრა სტუმრებს თავი, მე ვარო (უნდა ითქვას, რომ დადიანს არასოდეს დარჩენია ზრდილობა სახლში, ყოველთვის სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩეოდა).

უფროსმა დაკვირვებით შეათვალიერა და ხელი ჩამოართვა. ახალგაზრდები გადაეხვივნენ, თან ჰკითხეს, სადაური დადიანი ხარო.

- გურჯაანელი ვარო, - კვლავ თავი დაუკრა რამაზმა. სტუმრებმა გაიკვირვეს, საიდან სადაო? ჩემი დიდი პაპა ჩამოსახლებულა რევოლუციის დროს. არეულობას გამორიდებია და შედარებით მშვიდ კახეთში დასახლებულა. გურჯაანში მხოლოდ ჩვენი ოჯახია დადიანების გვარისა. როგორ მინდა ჩემი გვარის ხალხის გაცნობა, მაგრამ ჯერ არა მქონია საშუალება, თქვენ ვინა ბრძანდებითო?

- სწორედ ჩვენა ვართ დადიანები და შენს გასაცნობად მოვედით. შემთხვევით გავიგეთ შენი გვარი. წამოდი, რესტორანში გეპატიჟებით, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთიო.

სუფრა მთანმინდაზე გაშალეს, აივნიდან გასცქერონენ დედაქალაქს და თან ერთმანეთს ეფერებოდნენ, ესიყვარულებოდნენ, ცოტანი ვართ დადიანები, ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეო.

მაშინ ხომ მამის სახელით მიმართვა პატივად ითვლებოდა და ერთმა, უკვე კარგად ნასვამმა დადიანმა, რამაზს სთხოვა, მამაშენის სახელი მაჩუქეო.

რამაზი ოცი წლის ყმანვილი იყო. ღვინის სმა ახალი დაწყებული ჰქონდა და მალე დაითვრა. დაავინყდა თავისი დადიანობა და ხაჩიკაო, - უპასუხა.

რაო, ხაჩიკაო???

თავპირდასიებული რამაზი ერთი კვირა გარეთ ვერ გადიოდა, ლექციებსაც აცდენდა. თურმე, მორიგეობით სცემდნენ.

გვარის შეცვლა ყმანვილ რაფაელს მამამ ურჩია. რა იცი, რა ხდება, წინ გაიხედე, ეგემანდ, გვარმა ცხოვრებაში ხელი არ შეგიშალსო.

თუ შეცვლაა, შეცვლა იყოსო და დიდხანს არც უფიქრიათ, კახეთში ჩამოსახლებული დადიანის ვერსია აირჩიეს. აბა, რაფიკას დადიანობას ვინ დაიჯერებდა და სახელიც შეცვალეს. ეს ყველაფერი დამამთავრებელ კლასში ხდებოდა და საშუალო სკოლის ატესტატი რამაზ დადიანის სახელზე გაიცა.

ორიოდე წლის შემდეგ ზემოთ აღწერილი ინციდენტი მოხდა, მაგრამ რამაზს წარბიც არ შეუხრია, დაივინყა, როგორც ცუდი სიზმარი, უნივერსიტეტში კი ცნობა წარადგინა, გრიპი მქონდა გართულე-ბულიო.

დაამთავრა სწავლა-განათლება და ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა მშობლიურ რაიონში. მერე მიხვდა, რომ მასწავლებლის ხელფასით ოჯახს ვერ შეინახავდა და ვაჭრობას მიჰყო ხელი, უფრო სწორად, სპეკულაციას, მაშინ ასე ერქვა, კომუნისტების დროს. წარამარა ექსკურსიაზე დადიოდა საბჭოთა კავშირის შორეულ ქალაქებში. ჩამოჰქონდა დეფიციტური საქონელი და მამასისხლად ჰყიდდა. მერე დრო შეიცვალა და თურქეთში დაიწყო სიარული, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა: წვითა და დაგვით ნაშოვნ ფულს ბიჭები ერთ კვირაში უხარჯავდნენ, რესტორნიდან არ გამოდიოდნენ. რესტორანში მოსწყინდებოდათ და სახლში მიჰყავდათ ძმაკაცები.

- აღარ არის, შვილებო, ღვინო, დურდოლაა ძირში, - ჩიოდა შეწუხებული რამაზი.

- მოდი დურდო! - გაჰკიოდნენ ბიჭები.

- აღარც დურდოა, ხალხო, ლექილაა მხოლოდ.

- მოდი ლექი! - ბლავიან გალექებული ბიჭები.

ბოლოს ოჯახში ლექიც რომ გამოიღია, შვილებმა მშობელი მამა კარგად დაბეგვეს, უკანასკნელი კაპიკები მოაქურჩეს და რუსეთში დურთეს თავი. მათი ხმა აღარ ისმის, ცოცხლები არიან თუ მკვდრები, არავინ იცის.

გაკოტრებულმა დადიანმა ძველ მეგობრებში ცოტაოდენი სატრიალო თანხა ისესხა, ბაზრის მისადგომებთან, ხევის პირზე, დახლი ჩადგა და წვრილმანებით მოვაჭრეებს შეუერთდა.

- ერთი გაიხედეთ, ბიჭებო, ეს ჩვენი თავადიშვილი რა დღით მორბის! - გასძახის მოვაჭრეებს ზაურა ნაპირელი.

- თავადიშვილი კი არა, ნამდვილი ვირიშვილია! - ხითხითებს ფელიქს მაისურაძე.

- კარგი, ხალხო, რა იყო, - დანყნარებას ცდილობდა შოთა ჩუგოშვილი, - დაბერდა კაცი ქართველობის ფიცი-მტკიცში და მეტი რაღა ქნას?!

ამასობაში აქოშინებული დადიანი დახლთან მიიჭრა (ცარიელთან!) და იქ მყოფებს ხელის ქნევით თავისკენ მოუხმო:

- გაიგეთ, ხალხო, გაიგეთ? მე, თურმე, მე, თურმე, ყარაშვილი ვყოფილვარ! ყარაშვილი ვყოფილვარ, ყარაშვილი! ქართველი ვარ,

თქვენი ჭირიმე, ქართველი, გესმით თუ არა?!

მენვრილმანე ვაჭრები იჭვნეულად აქნევენ თავებს და საიდან, როგორ? - კითხულობენ.

მღელვარებისაგან აცახცახებული დადიანი თავს ველარ ერევა, ენა ებმება და ერთი და იმავე სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებს: ყარაშვილი ვყოფილვარ, ყარაშვილი!

საიდანო?

- საიდან და თურმე დედაჩემს შეკითხვა გაუგზავნია თბილისში, ჩვენი გვარი საიდან მოდისო და ეგე, პასუხიც მიიღო, თქვენ არუთინოვები არა ხართო! უჰ, შენი გულისა! ქართველი ვარ, ქართველი!

სიხარულისაგან აცუნცრუკებული დადიანი, შუა ხნის კაცი, ადგილზე ხტუნაობს და ხმამალა გაჰყვირის: ქართველი ვარ, ყარაშვილი და რა ვქნა ახლა, გვარი კიდევ გადავიკეთო, თუ არაო?

ფელიქსა ეკითხება, თბილისიდან მოსული პასუხი შენი თვალთ ნახე თუ არაო.

- რას ამბობ, ძმაო? მშობელ დედას არ ვენდო?! ქალი მეუბნება, ყარაშვილი ხარო და არ დავუჯერო?

- ჰოო, ყარაშვილი კარგი გვარია, - ჩაერთო შოთა ზახარიჩი, - მგონი ეგეც თავადის გვარია. ისე, ერთი ყარაშვილი გამიგია, კომპოზიტორი. აი, ის რომ არის, პატრიოტული სიმღერა:

„სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო,
ზურმუხტო, ზურმუხტო, ანუ აღმასო...” -

მგონი მაგის დანერილია. არ გახსოვთ, კომუნისტების დროს საქართველოს რადიო მაგ მუსიკით იწყებდა მუშაობას.

- ერთი შენა ხარ კიდევ ჭკუის კოლოფი, - იცინის ფელიქსა, - ბიჭო, ყველაფერს „მალიარების“ დონეზე ნუ არჩევ.

- ვახ, მალიარობა რა შუაშია?

- იმ შუაშია, რომ ეგ შენი „სამშობლო, სამშობლო” იოსებ დავითაშვილის დანერილია და არა ვილაცა ყარაშვილისა.

- აი, შე მართლა უფიცო, შენა! დავითაშვილმა ტექსტი დანერა და ყარაშვილმა კიდევ მელოდია შექმნა. მაშ, მე „მალიარი“ უნდა ვიყო და შენ კი აგრონომი? - თვალებს აბრიალებს შოთა ზახარიჩი.

- კარგი, კარგი, გეყოფათ, - შემწყნარებელი ღიმილით ამშვიდებს მოკამათეებს რამაზ დადიანი-ყარაშვილი, - დღეს ვაჭრობას არ ვაპირებ, საქონელს არ გავშლი, ყველას გეპატიუებით, მალარიჩი დავლიოთ.

- მაშ, ყარაშვილი ვარო, არა? - ბაზერაშვილმა ვალიკომ

გაშლილ მუხლებზე ხელისგულები დაინყო, - და, ე.ი. დედაჩემმა მითხრაო, არა? სწორია, ბიჭებო, მართალი უთქვამს დედამისს. ეს ჩვენი ხაჩიკას ბიჭი ნამდვილად ყარაშვილია, ნამდვილად.

- ეგ როგორ, ვალიკო ძია, რას ამბობ? თუ არუთინოვია, ყარაშვილი როგორღაა? - შესძახეს აქეთ-იქიდან ახალგაზრდებმა.

- ბიჭებო, თქვენ ხომ იცით, რამდენი წელი ვიმუშავე რევიზორ-ბუღალტრად. ზეპირად ვიცი გურჯაანის ყველა წარმოება-დანესე-ბულება. ჰოდა, ახლა მისმინეთ: ეს ჩვენი ხაჩიკა დიდხანს დადიოდა უშვილო და უმშუვეარი, სულ ცოლთან ჩხუბში იყო, ცუდი ფეხი შემოიტანე, შვილი ვერ გაგიჩენია და მე კიდევ სამსახური ვერ მიშოვიანო. ბოლოს კაცისკაცით, როგორც იქნა, ეს ჩვენი წერა-კითხვის უცოდინარი ხაჩიკა საკონსერვო ქარხანაში საწყობის გამგედ მოენყო, ამოისუნთქა და ხასიათზე მოვიდა. ცოტა ხანში ქარხანას ახალი დირექტორი მოეკვლინა, თბილისელი, ვინმე პავლე ყარაშვილი. ყარაშვილმა თანამშრომლებში მოიკითხა, სადმე იაფფასიანი ბინა ხომ არ იცით, ვიქირავო, სულ სასტუმროში ხომ არ ვიცხოვრებო. ხაჩიკამ თავისი ბინა შესთავაზა, ქირა არ მინდაო.

რამდენიმე თვეში დირექტორმა უნიგნური ხაჩიკა მოადგილედ დაინიშნა, თან პირდებოდა, გურჯაანს ხომ არ შევაბერდები და მე რომ წავალ აქედან, ჩემს აგილზე შენ დაგტოვებო.

ხაჩიკა სიხარულით ცაში დაფრინავდა. ხუმრობაა - გუშინ ცოლმა ახარა, ფეხმძიმედ ვარ, ბავშვს ველოდებიო, დღეს კი დირექტორობას შეპირდნენ.

ისე ყოველივე კარგი აგიცხადდეთ, როგორც ხაჩიკას აუხდა ეს სურვილები. ჯერ ბიჭი ეყოლა და ერთი წლის შემდეგ კი დირექტორის სავარძელში მოთავსდა, კარგადაც მოერგო. საკმაოდ უნარიანად და ხანგრძლივად უძღვებოდა წარმოებას. პენსიაზე იქიდან გააცილეს.

რაც შეეხება ამ ჩვენს რამაზ დადიანს, რომ ვუყურებ, როგორც გაჭრილი ვაშლი, ისე ჰგავს ცხონებულ პავლეს. ყარაშვილია, ბიჭებო, ნამდვილად ყარაშვილი.

ქუჩაში, ტროტუარზე, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზო შესასვლელთან დგას სულთან ქათიბაშვილი და ფეხით ოთახის ძალღს ეთამაშება. ქვევიდან მომავალი დადიანი დალანდა. არ ესიამოვნა, არ უყვარს ეს კაცი. არც მამამისი უყვარდა. მიზეზს არავის ეუბნება. შეიძლება მანაც იცის მისი ყარაშვილობის ამბავი. არადა, სწორედ ქათიბაშვილმა შეცვალა არუთინოვი ქარხნის დირექტორის პოსტზე.

ისე, არც არუთინოვებს ეხატებათ გულზე თელაველი ქათი-

ბაშვილი, მაგრამ ნაცნობი მაინც ნაცნობია და რამაზიც, ანუ ყოფილი რაფაელიც შეჩერდა და ზრდილობიანად გამოელაპარაკა (მოგეხსენებათ, ზრდილობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი). მერე ძაღლს მიეფერა და, რა კარგი ლეკვია, რა ჰქვია სახელიო.

- მიკი ჰქვიაო, - უპასუხა სულთანმა.

- ეგ რა უცნური სახელიაო, - გაიკვირვა დადიანმა.

- აბა, რა ვიცი, რაფიკ, რომ ვიყიდე, მიკი ერქვა და ახლა ამასაც დადიანად ხომ არ გადავაკეთებდიო.

სირბილით მიმავალი დადიანი აფთიაქთან დაეცა.

ვილაცამ სასწრაფოს გამოუძახა.

- რაშია საქმე, დღეს დიდი ქართველი რად იგვიანებს? სხვა დღეებში გამოსვლას ვერავინ ასწრებს ხოლმე, ლამის აქ დაალამოს, - ფელიქსამ.

- ალბათ „დედა ენის“ გაუმჯობესებაზე მუშაობს. იაკობ გოგე-ბაშვილი აღარ მოსწონს, მოძველდაო, - ზურამ.

- კარგი, ხალხო, რა ამოჭამეთ ის კაცი. რა დაგვიანება, რის „დედა ენა“, - ბრაზობს შოთა, - გუშინ ქუჩაში ნაქცეულა, გულგაგლეჯილი წევს საავადმყოფოში. ეს უკვე მეორე ინფაქტი ყოფილა ან გადარჩება, ან არაო.

მეწვრილმანე ვაჭრები შოთა ზახარიჩის გვერდით მოგროვდნენ. ახალი ამბავი არავის ესიამოვნა. ცოდოა, ცოდოო, - თავს აქნევდნენ.

- არა უშავს, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, - უშნოდ გაიღრიჭა უთავო ნოდარა, რომელიც რამაზის სახით მხოლოდ კონკურენტს ხედავდა და არა მარტო რამაზის სახით.

ზახარიჩი წამოხტა და საცემად იწვედა. ახლა მაინც განყვიტეო ხმა, შენი დამპალი დედა... კაცი კვდება და შენ კიდევ ძაღლს ადარებ, შენი უნამუსო დედა... - ერთი სიტყვით, ამოუტრიალა ყველაფერი.

- ნეტა რასა ლოკავ მაგ ნასომხარს, რა გული გაიხეთქე, კარგი, - მხარი დაუჭირა ნოდარას ზაურამ, - რა ნახე მაგ კაცში, რომ სულ მის დაცვაში ხარ. შენ არ აფრიალებდი ილიას „ქვათა ლაღადს“, აი, ვინ არიან ჩვენი მეზობლებიო?! შენ არ აფრიალებდი 1920 წელს დაბეჭდილ საქართველოს ისტორიას?! აი, ვინ არიან ჩვენი „ძმებიო“?! შენ არ ილანძღებოდი ნაღმა-უკუღმა, ჩვენი სტუდენტები რომ ცემატყეპით გამოყარეს ჯავახეთიდან?!

- ჰო, მე ვაფრიალებდი იმ წიგნებს და მე ვილანძღებოდი, მაგრამ ყველას ერთ ქვაბში რადა ვხარშავთ, ეგეც არ იყოს, ქართველი

ვარო, ამტიკიცებს და რატომ არ უნდა დავუჯეროთ. ლოკვა რა საკადრისია, ჩემთავად ამლოკველსაც და დამბრალებელსაც! - გამძვინვარებულმა ზახარიჩმა საქონლის ალაგება დაიწყო, დღეს აღარაფრის გამყიდველი არა ვარ, დავითარსეო.

პალატაში უკუნი სიბნელეა. გონს მოსული რამაზი მძიმედ ახელს თვალებს. ნეტა ღამეა თუ უკვე მოვკვდიო, ფიქრობს.

გულთან მწვავე ტკივილს გრძნობს. რაკი მტკივა, ესე იგი, ცოცხალი ვარო. თან უხარია, თან სწყინს. უხარია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. სწყინს, იმიტომ რომ ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია, ნეტა მოვმკვდარიყავი, მაინც სიტყვით მკლავენო, ფიქრობს რამაზი, ფიქრობს. სხვა რა უნდა აკეთოს. გათენებამდე, ალბათ, ჯერ დიდი დროა, ყოველი განძრევა კი ჯოჯოხეთურ ტკივილს იწვევს გულში. გული ტკივა რამაზ დადიანს, გული.

რა დაგიშავეთ ქართველებო, რას მერჩით, რატომ მესვრით ტალახიან გუნდებს, რატომ მკლავთ მწარე ენით?

ხომ დაგიმტკიცეთ, რომ მეც ქართველი ვარ. რატომ არ გჯერათ, რომ ყარაშვილი ვარ, დედაჩემი მომატყუებდა?

მაშინაც კი, როცა თავი არუთინოვი მეგონა, ხომ სულით ქართველი ვიყავი!

მეც ქართულ ტრადიციებზე არ ვიზრდებოდი? ვისზე ნაკლებად ვმღერი ქართულ სიმღერებს? ვისზე ნაკლებად ვიცი საქართველოს ისტორია?

დედა მომატყუებდა? არამც და არამც.

მაშ რას მერჩით, რას!

ყორღანაშვილი და იასე ფალავანდიშვილი ქართველები იყვნენ, ორჯონიკიძე და ჯუღაშვილი ქართველები იყვნენ და მერე?!

სომეხიც რომ ვიყო, ვის ვუღალატე, ვის რა ზიანი მივაყენე?

რამდენმა გადაიკეთა გვარი ქართულად, ხმა არავისთვის გაუციათ, მე კი ცოცხლად შემჭამეს, რატომ?

გვარის გულისთვის? თუ გადაკეთებაა, გადაკეთება იყოს-მეთქი და ღამაზი, კეთილშობილური გვარი ავირჩიე. პატარა პატივმოყვარეობის ჭია მეც მანუხებდა და ამისთვის უნდა მომკლათ?

სულ შენი ბრალია, მამაჩემო, შენი. შენ წამაქეზე ქართულ გვარზედ დაენერე, ცხოვრებაში წინ წახვალო. ისტორიის მასწავლებლობას ვერ გავცდი, მთელი რაიონი გვიცნობს და ჩემს დადიანობას ვინ დაიჯერებდა. აგერ, საუკუნეზე მეტია ბაღდასაროვები მათი-აშვილებად ეწერებიან, მაგრამ დიდმა თუ პატარამ იცის, რომ სომეხები

არიან.

ეჰ, მცოდნოდა, რომ ყარაშვილი ვიყავი!..

ფიქრით დაღლილ ავადმყოფს თვალეები ეხუჭება. სამუდამოდ.

ვიღაცამ ამბავი ჩამოიტანა რუსეთიდან, რამაზის ბიჭები ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ და მანქანაში ჩახოცესო. თავად რამაზის საფლავს დიდი ხანია ბალახი ფარავს.

ვერ გამრავლდნენ კახეთში ცრუ დადიანები. ალბათ, ეს მათი ბედისწერა იყო.

ღმერთო, ნუ მიწყენ და იქნებ პასუხი იმ გახარბებულ ჩინოვნიკებსაც მოჰკითხო, ასე დაუფიქრებლად რომ არიგებენ მაღალი რანგის ქართულ გვარებს.

გა(მ)ივლის...

ჩემნაირი ადამიანები 1989 წელს ნელინადში ერთხელ იბადებიან.

როცა 3978 წელს ჩემნაირი ადამიანი დაიბადება, საფლავში გაიგებენ ჩემი ბებერი, ქათქათა ძვლები და გამივლის...

მე ბავშვობაში თოჯინებით თამაშის ნაცვლად ამ უსულო არსებებს კიდურებს ვაძრობდი, სათამაშო ურიკაზე ვდებდი და „შავლეგოს“ სიმღერით წარმოსახვით სასაფლაოზე მივასვენებდი.

მერე გამიარა...

როცა 1989 წლის შემდეგ დაბადებული ჩემნაირი პატარა ადამიანი თოჯინების მაგივრად ცოცხალ ადამიანებს დააჭრის კიდურებს, სათამაშოს მაგივრად ნამდვილ ურიკაზე დადებს, „შავლეგოს“ სიმღერით მთელ ქალაქს მოატარებს, გვამის ნაფლეთებს მჟავას დაასხამს და ამოჭმულ ხორცს რიყეზე ჩაფლავს, საფლავში გაიგებენ ჩემი ბებერი, ქათქათა ძვლები, ერთმანეთისკენ მიჩოჩდებიან და გამივლის...

მე ჩემს ტოლებთან შედარებით ათი წლით უფრო განვითარებული (და არა განათლებული) ვიყავი.

ვოცნებობდი გაევლო, მაგრამ არ გამიარა...

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანი შვიდი წლის ასაკში დაინტერესდება აცტეკების ისტორიით, ზედმინევნით გაეცნობა მათი მსხვერპლშენიერვის ტრადიციებს და დაუყოვნებლივ აღასრულებს მათ ოცდამეცხრამეტე საუკუნეში, საფლავში გაიგებენ ჩემი ბებერი, ქათქათა ძვლები, უფრო ახლოს მიჩოჩდებიან და გამივლის...

მე მსახიობი ვიყავი... სამაგალითოდ მიცნობდნენ ჩემს ქალაქში, განათლებული, ნიჭიერი და ზებუნებრივად განვითარებული ვეგონე ყველას, სინამდვილეში, ნაგავი ვიყავი მთელი ცხოვრება... უსუსური, ლაჩარი, დაუნი, გაუნათლებელი და უკანასკნელი მათხოვარი...

არც ამან გამიარა...

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანი უშიშრად გამოაჩენს თავის ნამდვილ სახეს, როცა მისი თაყვანისმცემლები დაინახავენ სისხლისმსმელ ვამპირს, სერიულ მკვლელს და შიშისაგან გულს შემოეყრებათ, როცა თითოეულ გულშემოყრილ თაყვანისმცემელს ჩემნაირი ადამიანი ცოცხლად გაფატრავს, ცხელი სისხლის ოხშივრით გაბრუვდება და სისხლმონოლილი თვალებით, დუჟ-მორეული ბაგეებით დაენაფება ცხელი სისხლის თითოეულ წვეთს,

ამოაშრობს, ხორცს დაამარილებს და ბავშვთა თავშესაფრებს გაუფზავნის, საფლავში გაიგებენ ჩემი ბებერი, ქათქათა ძვლები, მჭიდროდ შეუერთდებიან ერთმანეთს, ჩონჩხად აენყობიან და გამივლის...

მე ოცდასამი წლის ასაკში ავტოავარიაში ჩავძაღდი. როგორ?.. როგორ და... მანქანას მთელი სისწრაფით მივაქროლებდი სველ ტრასაზე, დიდ სატვირთოს შევასკვდი და დავკომპოსტირდი...

აღარ გამივლის...

როცა 1989 წლის შემდეგ დაბადებული ჩემნაირი ადამიანი, დამპლური ცხოვრებით თავმოებზრებული, ოცდასამი წლის ასაკში ჩემს საყვარელ ქალაქში ჩავა, „ტანგენციალზე“ დადგება და თავის მოსაკლავად ფეხებით გადაეშვება ხელოვნურ მდინარეში, ჩემი ქათქათა, ბებერი ძვლებისაგან აწყობილი ჩონჩხი იქ, ბნელ სასაფლაოზე ხრტილებს შეისხამს და გამივლის...

მე სიკვდილამდე გაცილებით ადრე დავტოვე ანდერძი. შავი კუბო, „სულთათანა“, ჩიფსები და ერთი ტაშტი ცხელი წყალი მოვითხოვე პანაშვიდებზე ფეხების დასაბანად.

როცა ოცდამეცხრამეტე საუკუნეში დაბადებულ ჩემნაირ ადამიანს იტალიელი მამუელები თმებით ამოათრევენ „ტანგენციალეს“ ქვეშ გამავალი ხელოვნური მდინარიდან და ანდერძის დანერის პირობით გაუშვებენ, საფლავში ჩაყრილი ჩემი ბებერი ჩონჩხი... აღარ შეივსება და აღარ გამივლის...

მას კი გაუვლის...

იტალიელ მამუელებსაც გაუვლით...

ჩემს პანაშვიდებზე ტირილის მაგივრად ლადო ბურდულისა და “Led Zeppelin”-ის ჩემი საყვარელი სიმღერები ისმოდა მუსიკალური ცენტრიდან. ჩემი აფერისტი, დამპალი ქართველი მეგობრები მოდიოდნენ, აფერისტულ ცრემლებს ყრიდნენ, ხელოვნური ყვავილები მოჰქონდათ, შავ, ძვირადღირებულ ფეშენებელურ კუბოში ჩადებულ ჩემს ფერმკრთალ გვამს შეგნებულად უვლიდნენ უკუღმა: სიცოცხლეშიც უკუღმართი იყო. აფერისტული მწუხარებით, ნიანგის ცრემლებით ართმევდნენ ხელს მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულ მამას და მერე შეკავებული სიცილით ტოვებდნენ ჩემი ოჯახის სახლს!.. უხ, ნეტავ, თქვენი დამპალი სისხლით გამაძღო!...

არადა, ყველაზე მეტად მამა შემეცოდა, ერთადერთი ადამიანი, რომელიც სიცოცხლეში მიყვარდა.

მასაც მალე გაუარა!..

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანი რეაბილ-

იტაციის კურსებს გაივლის ჩემს საყვარელ ქალაქში და მისი ავადმყოფური გონება ისევ მავნებლური, გარყვნილი აზრებით დაიტვირთება, როცა მისი ლამაზი, სუფთა, ჯანსაღი სხეული მახინჯი, ჭუჭყიანი და გახრწნილი სულით შენობიდან სამყაროსთან ურთიერთობისათვის გამოვა, ამასაც საფლავში გაიგებს ჩემი ბებერი ჩონჩხი და კუნთით დაიფარება...

მერე გამივლის...

ჩემს პანაშვიდზე სამძიმრის სათქმელად ბოლო მოდელის მანქანებით, „არმანისა“ და „ვერსაჩეს“ კოსტიუმებში გამონყოფილი, ყელში ჰალსტუხნაჭერილი პატივცემული ცოცხალი გვამები რომ მოვიდნენ, ჩემი ქართული კა აღშფოთებამ მოიცვა, ერთი ამბავი ატეხა და ისე გაჟღინთა ჩემი ხრწნადი გვამით დამძიმებული შავი კუბო და მთელი ოთახი სიძულვილით, რომ პატივცემულმა გვამებმა ჩოქვით შემომიარეს უკულმა, სისხლის ცრემლებით იტირეს ჩემი მოჩვენებითი ზებუნებრივი ნიჭი და ჩოქვით გავიდნენ გარეთ, სადაც ჩემი სრული განსახიერება - ტალახის წვიმა მოდიოდა.

მერე გაიარა...

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანი მორიგ მსხვერპლს გაფატრავს, შიგნეულს ამოაცლის, ხუთ ლიტრ ცხელ სისხლს სულმოუთქმელად ამოხაპავს და ეშმაკთან დადებულ სანაძლეოს მოიგებს, როცა მსხვერპლი მნიშვნელოვანი ფიგურა აღმოჩნდება, როცა ჩემნაირ ადამიანს გუანტანამოს ციხის მაგივრად ყელზე თოკმობმულს შეათრევენ რუსთავის მკაცრი ზედამხედველობის კოლონიაში, როცა იქ გაუგონარი, მხეცური მკვლევლობების სერია დატრიალდება და როცა, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემნაირ ადამიანს კარცერში ვენებგადაჭრილს იპოვიან, როცა ზედამხედველები გაკვირვებით გაშეშდებიან კარში, რადგან გადახსნილი ვენებიდან მჩქეფარე სისხლს ან მაჯებს ქვემოთ შედედებულ კოლტს ვერ დაინახავენ, როცა ექსპერტიზა დასკვნის, რომ ჩემნაირმა ადამიანმა საკუთარი სისხლი უკანასკნელ წვეთამდე დალია, ჩემი საფლავში ჩადგებული, კუნთგადაკრული ჩონჩხის საფარი ბუნებრივ ფერს დაიბრუნებს.

მერე გაუვლის...

ჩემს გასვენებაზე უამრავი დამპალი ქართველი აფერისტი მოვიდა. ისევ უკულმა შემოუარეს ჩემს ფეშენებელურ შავ კუბოს, იმავე მოტივით: ცხოვრებაშიც უკულმართი ადამიანი იყო, და გარეთ დადგნენ. ჩემი კა ისევ გაცოფდა, ისევ მოუნდა ამ დამპლების მყრალი სისხლით გაძლომა, ისევ დამუხტა მთელი სახლი თავისი ნამდვილი

ბუნების სულით და ეს ვირიშვილი დამპალი ქართველები მუხლებზე ხოხვით შემოიყვანა ნახევრად გახრწნილი გვამის წინ... ლაჩრებმა “სულთათანა” უგალობეს ჩემს არარსებულ სულს, სისხლის ცრემლებითაც დამიტირეს ისევ, ოღონდ, არა იმიტომ რომ შევენანე რომელიმეს, არამედ, იმიტომ რომ შეეშინდათ... გარეთ კი სისხლნარევი თოვლი მოდიოდა და ჩემს თეთრ მანქანას საპატარძლო კაბით მოსავდა.

გადარეცხეს და გაუარა!

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანის ლამაზ სხეულს დამპალი სულის გარეშე შუა ქალაქში დაასვენებენ, რათა გამვლელ-გამომვლელმა ყვავილებისა და ცრემლის ნაცვლად მისთვის ფურთხი არ დაიშუროს, საფლავში ჩემი კუნთგადაკრული ჩონჩხი კანსაც გადაიკრავს და 1989 წლის წინანდელი გვამი იმავე ფორმასა და სახეს მიიღებს, რაც შავი კუბოს შავი თავსაფრის დაფარებისას ჰქონდა.

ესეც გამივლის...

როცა ჩემი გასვენების დრო მოახლოვდა, სისხლის თოვლმა იმატა. წითელკაპიუშონიანმა ახალგაზრდებმა სწრაფად გაიტანეს ოთახიდან ჩემი ხელოვნური ყვავილები. ჩემი გვამი ზეიმობდა სისხლს... მერე ოთხმა მუტრუკმა ასნია ჩემი შავი, ფეშენებელური კუბო, მხარზე გაიდო ჩემი გახრწნილი გვამი და ფეხით წაასვენა სისხლის თოვლით გადანითლებულ სასაფლაოზე. ზედ დასდიოდა ჩემს ლეშს სისხლის თოვლი და ბედნიერი იყო ეგ დამპალი!..

წარმოდგენა არ მაქვს, გაუარა თუ არა...

როცა 3978 წელს დაბადებულ ჩემნაირ ადამიანს ხუთი დღის შემდეგ არ გაასვენებენ, როცა იდება ქარში, წვიმასა და სიცხეში საბოლოო აყროლებამდე, როცა დამპალ თოქს მოაბამენ ყელზე და ხოხვით წაათრევენ იმ სასაფლაოსკენ, სადაც 1989 წლის წინ ჩემი დამპალი სულის არანაკლებ დამპალი გვამი დაკრძალეს, ჩემს ხორც-შესხმულ სხეულში ლიმფური სითხე ამოძრავდება.

ესეც გაივლის...

ამოთხრილ სამარესთან მხრიდან ჩამომიღეს. გაანათლოსო, წითელი ღვინით უთხრეს ჩემს გარყვნილ-გახრწნილ ცხედარს, თავი დააჭედეს ჩემს ფეშენებელურ კუბოს და უკუღმა ჩამდეს სამარეში ძველი მოტივით: სიცოცხლეშიც უკუღმართი იყოო.

ეს არასოდეს გამივლის!..

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანის აყროლებულ გვამს ჩემსავით უკუღმა ჩამარხავენ სამარეში, ჩემს ხორცშესხ-

მულ გვამში სისხლი ამოძრავდება, აჩქევდება, აჩქროლდება, გაივლის სისხლის მიმოქცევის ორივე წრეს და გულს შეკუმშავს... სწორედ მაშინ გავახელ თვალებს და მხოლოდ სიბნელეს აღიქვამენ ჩემი 1989 წლის განმავლობაში დაბრმავებული თვალები.

მერე გამივლის...

რომ დამმარხეს, მერე იყო ტრადიციული ქელები: ქალები ცალკე, კაცები - ცალკე!.. მე კი ანდერძში შავით თეთრზე დავწერე, რომ მინდოდა ჩემი დამპალი სულის მოსახსენიებლად გამართულ ღრეობაზე ორივე ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩენილიყო!.. საზიზღრებო!.. ანდერძი არ შემისრულეთ. გადაგიხდით, საკუთარ არარსებულ სულს გეფიცებით!..

გაინტერესებთ, რა ქნეს ჩემი არარსებული სულის საცხონებლად გამართულ ღრეობაზე?.. ჩათქვლიფეს ლობიო, ხაშლამა, ჩახეთქეს გაკეთებული წითელი ღვინო. დათვრნენ. ისე დათვრნენ, რომ პირდაპირ ღორის სტადიაში გადავიდნენ. მერე, ქართული ფოლკლორი უყვარდა ამ უკუღმართსო, და რაჭული „ლაღე“ წამოიწყეს არეული ხმებითა და უწმანური სიტყვებით. მერე შარვლის ყველა ღილი გაიხსნეს, ღიპები რომ თავისუფლად ჰქონოდათ, მოუშვეს ყელში ნაჭერილი ჰალსტუხები, ჩემი დანატოვრების - მანქანისა და ტალახიანი ჩექმების სადღეგრძელოდ განსხვავებული ჩახეთქეს და წამოიშალნენ.

გარეთ ჩახდილები გავიდნენ, არ რცხვენოდათ, ღილების შეკვრა არც გახსენებიათ.

მეორე დღეს გაკეთებულ წითელ ღვინოს ბორჯომი დააყოლეს და გაუარათ...

ჩემმა მოგონებამაც ჩაიღურის წყალი დალია...

გავიარე!..

როცა 3978 წელს დაბადებული ჩემნაირი ადამიანის ყვითელ კუბოში ჩადებულ გვამს უკანასკნელ გოროხ მინას მიაყრიან, ჩემს 1989 წლის წინ გარდაცვლილ სხეულში სული დაბრუნდება, გამწარდება, აბორგდება და ზურგით წამოიმართება სამარიდან.

მერე გაივლის...

მესაფლავებებს შეეშინდებათ, ანერვიულდებიან, აბორგდებიან და შიშისგან გამოწვეული სტრესით იქვე განყდებიან!

მე გამიარა.

თქვენ არ გაგივლით.

არასოდეს გაგივლით.

მე დავბრუნდები შურის საძიებლად იმისათვის, რომ ჩემი ან-

დერძი არ შეასრულეთ, იმისათვის, რომ თვრამეტი საუკუნის გასვლის მიუხედავად, გენდერული პრობლემები მაინც არსებობს...

თუმცა, რატომ ვნერვიულობ, მანუხებს ვითომ ეს საკითხი?..

ნამდვილად არა...

მერე უკან ხომ არ ჩავბრუნებულიყავი?.. ისევ ჩონჩხად ვიქცეოდი და ძვლების გახრწნასაც დაველოდებოდი.

მერე, შური რომ უნდა გეძია?..

ეე... გამივლის...

გაგივლით...

მერე ერთად შევიკრიბებით, ვიცეკვებით, ვიმღერებთ, ვიმხი-არულებთ, დავინოცებით, აღვსდგებით...

მაგრამ ქართველები ყოველთვის უზნეო ერად დავრჩებით...

გაგივლის...

ეს მოთხრობაც გაივლის...

თქვენც გაგივლით ჩემი არსებობა გონებაში და მეც გამივლის...

გავიარე!..

მიდიოდა მატარებელი...

მიდიოდა მატარებელი...

ექვსი ჩაბმული ცისფერი ვაგონით და დაბურული ფანჯრის მინებით...

სიმპათიურად გამოიყურებოდა...

აგერ, ერთ-ერთ სადგურში შევიდა. კარი გაიღო და ხალხი გადმოცვივდა. ამომსვლელებიც მრავლად იყვნენ, ბარგიც ბლომად ჰქონდათ...

ისევ დაიძრა მატარებელი...

ისევ ექვსი ჩაბმული ცისფერი ვაგონით...

ისევ დაბურული ფანჯრის მინებით...

ოღონდ, უფრო გატენილი...

ხალხი ვაგონში ვერ ეტეოდა და წინკარში იდგა. ვაგონები სხვადასხვა პროდუქტითა და ხილით თავმოდგმული ვედროებით უფრო იყო სავსე, ვიდრე მგზავრებით. ეს უკანასკნელნი კი გალახულიყვნენ. ერთი ფეხი ვედროს ერთ მხარეს ედგათ, მეორე - მეორე მხარეს. ქუთაისიდან მომავალი, სკამებზე ნებიერად გადაწოლილი მგზავრები ნეტარი ღიმილითა და გაზულუქებული სახეებით აკვირდებოდნენ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ამოსულთ, ფეხზეც რომ ძლივს იდგნენ გასავათებულნი.

ვისაც არ გაუმართლა, წინკარში დარჩა. პატარა ფართობის ერთი ნახევარი ვედროებით გაიტენა, მეორე - მგზავრებით, რომლებიც ერთმანეთს ეკვროდნენ. არა, იმიტომ კი არა... - წონასწორობის შესანარჩუნებლად.

ძალიან ცხელოდა. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ ოხვრა თუ არღვევდა მატარებლის ბორბლების მონოტონურ ხმაურს.

ვილაც მელოტი, სათვალისანი ტიპი დიდი ჩანთით ატუზულიყო.

- დადე, გენაცვალე, აგერ დადე, თხილია, - ჭრელთვალა ქალმა ჭუჭყიან ტომარაზე მიუთითა, თან ისე შესცინა, მოეწონა ამკარად. ახალგაზრდამ გაიღიმა, უზარმაზარი ჩანთა ტომარაზე დადო და ფანჯრიდან მორბენალ ხეებს მიაჩერდა. ქალმა თავაზიანი ღიმილი მოიშორა და დაბალ, შუახნის ღიპიან მამაკაცს თვალეები დაუბრიალა, რომელსაც პატარა პარკი უწყინარად შემოედო ვაშლით თავმოდგმულ ვედროზე.

მატარებელი მორიგ სადგურზე გაჩერდა.

- გამატარეთ, გამატარეთ! - ყვირის ვაგონის სიღრმიდან შუახნის შავი მამაკაცი და ოთხივე კიდურით მოარღვევს ხალხის მასას. უკან უზარმაზარი ვედროები მოჰყვება... მგზავრები აბუზღუნდნენ. რამდენიმე ქოქოლაც მიაყარა. დიდი მცდელობის შემდეგ მგზავრი და მისი თვითმავალი ვედროები ვაგონს მიღმა აღმოჩნდნენ.

მატარებელი გატენილია, თუმცა, რკინიგზის სადგურზე კატასტროფული რაოდენობით მგზავრობის მსურველი დგას. საყვირის ხმაზე ერთმანეთს აჩქარებენ და ვაგონებში ამოტენვას ცდილობენ. მგზავრები უყვირიან, არის ერთი განევ-გამონევა. ბოლოს წინკარში ოთხი კაცი ამოეტენა. კარი ხმაურით დაიხურა და მატარებელი დაიძრა. ყველა თავის ადგილზე რომ მოეწყო, მერე შეათვალა იერეს ერთმანეთი. ერთი მოხუცი უზარმაზარ თეთრ ვედროებთან ერთად კარებთან მიჰყვლებილიყო. ამოსვლისას კარებში ფეხი მოჰყვა და მემანქანესთან ტანდემით მესამე ცდაზე მოახერხა კიდურის ტყვეობიდან დახსნა. წინკარში ნორმალურად ვერც ამოვიდა, ამიტომ კიბეზე იდგა და ისეთი თვალეებით უყურებდა დანარჩენებს, თითქოს მათი ბრალი იყო დილით ხარჩო რომ ჭამა და თან პურის. ახალშემოსულთაგან ორი შესანიშნავი გარეგნობის ქალიშვილი გახლდათ. ეს ზურგიდან, ვინაიდან, წინკარში არსებული ერთობ მჭიდრო მდგომარეობა დანარჩენ მგზავრებს მათი სახის ხილვის საშუალებას არ აძლევდა. ერთმა ახალგაზრდამ თვალი გააშტერა ქერა, ხვეულთმიან მზეთუნახავზე და ხორხი საეჭვოდ აუთამაშდა. თანაც, ბედის ირონიით, თუ სხვა მიზეზით, ახალგაზრდა მზეთუნახავის ზურგს უკან

აღმოჩნდა.

წუთით ყველაფერი მიწყნარდა. მატარებლის ბორბლების მონოტონურმა ხმაურმა და რწევამ მგ ზავრებს თვლემა მოჰგვარა. უცებ ტკაცუნის ხმა გაისმა. აი, ისეთის, შიშველ ხორცზე რომ სილა ტყაპუნებს ხოლმე. ტყაპუნს კვილი მოჰყვა:

- უნამუსო! გარყვნილო! უბედურო!

ისტერიული ხმა ქერა მზეთუნახავს ეკუთვნოდა. ამ უეცარმა შეკვივლებამ მთელი ვაგონი გამოაფხიზლა და ლამბაქისოდენა თვალებით მიაჩერდა ქერა მზეთუნახავის ზურგს უკან მდგარ ახალგაზრდას. მას კი ხორხი კვლავ უთამაშებდა და თვალებიც სიცხიანივით ამღვრეოდა.

შიდა გამოძიების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ახალგაზრდა ერთობ ნერვიული ადამიანი გახლდათ და ამდენ ხანს ფეხზე დგომით აღელვების ნიადაგზე ზურგხედით მშვენიერი ქერა ქალიშვილი კინალამ შემოეუჟატიურა. ახალგაზრდა ვაგონის აღმფოთებული ნაწილის მიერ 022-ზე დარეკვისაგან მხოლოდ პარტნიორი მდედრის უდიდესი მიმტევებლობის უნარმა იხსნა... ეტყობა, მოენონა. არა, ახალგაზრდა კი არა, ის, რაც დაუპირა.

- ეგ რა იყო, ახალგაზრდობაში უარესს ვაკეთებდით რუსეთში! აფსუს, რა დრო იყო! ოცდაათ მანეთად გადავფრინდებოდი მოსკოვში და გადმოვფრინდებოდი, - მსუნავ ხმაში ნალველი გაერია კართან მიჭყლეტილ მოხუცს.

- რუსები არ მიხსენო, თორემ გადაგაგდებ აქედან, კარგ ადგილზეც დგახარ! - ნერვებმა უმტყუნა ქრელთვალა ქალს.

- რას გვიშვრება ეს სააკაშვილი! - დაამატა წიკვინა ხმამ ვაგონის ბოლოდან.

წინკარში მხრებს დაბნეულად იჩეჩავენ, ეგ რა შუაშიაო, და პოლემიკას განაგრძობენ, სსრკ სჯობდა თუ ცოტა ხნის წინ მომხდარი ომი.

მატარებელი კი მიდიოდა...

ბორბლების მონოტონურმა ხმაურმა შთანთქა წინკარში გამართული პოლემიკა და გაუგებარი დარჩა, ვის სასარგებლოდ გადანანილდა ხმები.

- მოდიან, მოდიან, - შიშნარევმა ჩურჩულმა გადაუარა ვაგონს.

- ბილეთები მაჩვენეთ, ბილეთები! - გაისმა კონდუქტორის ხმა და კიდევ გამოჩნდა ვაგონის ბოლოდან ოთხივე კიდურითა და საკასო აპარატით მოძრავი, ოფლში გახვითქული ადამიანისებრი.

- რა დროს ბილეთებია, უნდა შეგრცხვებს, ფულს რომ

გვანდევინებ, ესაა ჩვენი ყოფა?.. ფეხზე ვდგავართ ამდენი ხანი! - კაპასობს დაბალი, შავუღვაშიანი ქალი და ყვედრებით უწვდის გაცრეცილ ლარიანს.

- ქალბატონო, მე უკეთ ვგრძნობ თავს?.. ორი ვაგონია მოვდივარ და ძლივს მოვალნიე აქამდე, - ოფლისა და დორბლის შადრევანს აფრქვევს ნერვებაშლილი კონდუქტორი.

- დაამატეთ მერე ვაგონები! - გაკაპასდნენ წინკარშიც.

- მიმართეთ ეზუგბაიას, მე რა შუაში ვარ?.. - წინმატობს მოლარე და ბლუჯით ხვეტს მგზავრების კუპიურებს.

- თქვენი ბილეთი მომეცით! - სადღაც გაჩხერილმა, რატომღაც მოკრძალებული ხმით გასძახა წინკარში მდგომთ.

- მიეცით, მიეცით, ხომ ხედავთ, კაცი გელოდებათ, - მიუბრუნდა ჭრელთვალა გაჩერებაზე ამოსულ ორ მზეთუნახავს.

- მივცემთ, ქალბატონო, აბა რას ვიზამთ?.. - თვალეები დააბრიალა ერთმა მათგანმა და კონდუქტორს ფული გაუწოდა.

- ჰმ, ახლა მე ამ ოფლიან გამომძალველს არ ვჯობივარ?.. - გული ყელში მოებჯინა ქერათმიანი მზეთუნახავის უკან მდგომ ახალგაზრდას.

კართან მიჭყლეტილმა მოხუცმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა. ახალგაზრდამ თვალი შეასწრო.

- ბიძიკო, არ გინდა, ადგილი გაგიცვალო? ხედი საუკეთესოა.

- გმადლობთ, აქედანაც კარგად ვხედავ, - მოკლედ მოუჭრა ახალგაზრდამ.

- მე სხვა ხედებზე გელაპარაკები, შვილო, თუმცა, ნება შენია, - მოხუცმა ვაი-ვაგლახით მოატრიალა თავი ფანჯრისაკენ.

ქერათმიანმა მზეთუნახავმა უხერხულად მოისვა ხელი შიშველ ბარდაყებზე და დემონსტრაციულად შეატყუა ფეხები.

აქა-იქ თავშეკავებული სიცილი გაისმა.

მატარებელმა თავისებურად დაიყვირა და გაჩერდა. ხალხი იენრციით დაეჯახა ერთმანეთს. ზოგმა წონასწორობა დაკარგა. ბედის ირონიით, თუ სხვა რაღაც მიზეზით, ქერათმიანი მზეთუნახავი ახალგაზრდის ქვეშ აღმოჩნდა. ვაგონში კვლავ გაისმა შიშველ ხორცზე გაშლილი ხელის ტყაპუნი და შეკვივლება:

- უნამუსო! გარყვნილო! უბედურო!

თუმცა, გამოსხაურება აღარ ყოფილა. ვაგონი ადიდდა, აზვირთდა და კარებს მოასკდა. ისმოდა განწირული შეძახილი, ნივილი, კივილი... ადამიანები ერთმანეთზე გადადიოდნენ...

- აბა, ახლა მე ამ ტვინით გამოცდის ჩამბარებელი ვარ?.. -

გაჭყლეთილი ქუდი ძლივს ჩამოიფხატა ერთიანად მტვერში ამოგან-
გლულმა ბიჭმა. ყურებზე ეტყობოდა, რომ მოჭიდავე იყო.

ვაგონს მიღმა ახალგაზრდა და ქერა მზეთუნახავიც გამოჩნდ-
ნენ. ერთმანეთს თვალს მორცხვად უსწორებდნენ და დაჭმუჭნული
ტანსაცმლიდან მტვერს იფერთხავდნენ.

ვაგონი ათ წუთში დაიცალა.

მატარებელმა ერთი დაიკვივლა და დაიძრა.

გაისმა ბორბლების მონოტონური ხმაური.

მიდიოდა მატარებელი...

წინკარში სისხლის კვალით...

დაცლილი...

ჭუჭყიანი...

მიდიოდა, რომ მეორე დილას კვლავ ანალოგიური ისტორიებით
გამომგზავრებულიყო დანიშნულების ადგილისაკენ...

მიდიოდა იმიტომ, რომ ათასი ჯურის ადამიანისათვის
დროებით თუ სამუდამოდ შეეცვალა ადგილსამყოფელი...

მიდიოდა. უბრალოდ, რეისი ჰქონდა ასეთი...

მიდიოდა მატარებელი...

კოსმონავტიკა

- ჩვენ გავფრინდებით! - ხშირ-ხშირად უმეორებდა ლადო თავის შეყვარებულს, როოცა მივარდნილ პარკში, ან სადმე ქუჩაში სეირნობდნენ, - აუცილებლად გავფრინდებით, - ამასაც დააყოლებდა და კმაყოფილი თვალებით შეხედავდა თიკოს. თიკოს გაელიმებოდა და თვალს მოარიდებდა, იმიტომ რომ არ იცოდა, რა უნდა ეპასუხა ლადოს გაბრწყინებული, თვითკმაყოფილი სახისთვის.

უსაქმური ტიპი იყო ლადო. გარდატეხის ასაკის მეამბოხეობა ჩუმად და მელანქოლიურად რომ შეეპარებოდა, მშობლებს დაერეოდა და დაემუქრებოდა, - ტრაილერში გადავალ საცხოვრებლად. ეს ფრაზა ფილმიდან ჰქონდა დამუღამებული. რა თქმა უნდა, ამერიკული ფილმიდან, რომელთა ყურებითაც ხშირად კლავდა დროს. კომპიუტერის ეკრანს მიშტერებულ და დაღლილ თვალებში რომ მოხვდებოდა უწყინარი დედ-მამა, წამოიმართებოდა ლადო, მალეების ტკაცვა-ტკუცით გაიმართებოდა ნელში და მშობლებს აუტეხდა ჩხუბს, უაზრო, არაფრისმთქმელ ჩხუბს. თითქოს ეგ ასაკი გავლილი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჯერ კიდევ დაუცხრომლად ითხოვდა თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ამბობდა, რომ ყველამ თავი უნდა დაანებოს. მშობლები ერთი-ორი სიტყვით შეეპასუხებოდნენ და ამით მთავრდებოდა ეს ამბავი. დასტაცებდა ნერვებაშლილი ლადო ჯინსის ქურთუკს ხელს და გარეთ გავარდებოდა. იქ მონახავდა თავის როკერულ სასტავს, სადმე გაივლიდნენ, დაღვედნენ, ესეც დაურეკავდა თიკოს და დაემუქრებოდა, - შენთან უნდა მოვიდეთ. თიკო გაბრაზებული ეტყოდა, - ეგ არ გაბედოო, - და მობილურს გაუთიშავდა. ნავიდოდა ლადო სახლში და ისევე ჩაუჯდებოდა ინტერნეტში ფილმებს, ასე, დილის ოთხ საათამდე, მერე კი შუადღემდე ეძინა, მშობლები მაინც აღარ აღვიძებდნენ უიმედო მოთხოვნით, რომ სკოლაში წასულიყო. საერთოდ, ლადოს უკვირდა, არავითარ წინააღმდეგობას რომ არ აწყდებოდა. მამა სამსახურის საქმეებში იყო ჩაფლული, დედას დიდი ხანია ყველაფერზე ჩაეჩნია ხელი. ლადო ამაზეც ბრაზდებოდა, უნდოდა მუდმივი მონინააღმდეგის, მოპაექრის ყოლა, რომელსაც დაუმტკიცებდა, რომ ის მართალია და მის სიმართლეს ჩაგრავენ. და ვერავის რომ ვერაფერს უმტკიცებდა, ნერვები ეშლებოდა, როკერ ტიპებთან სახურავებზე დაცოცავდა და საათობით ელაპარაკებოდა აქედან წასვლაზე და ტრაილერში ცხოვრებაზე.

მკვეთრად ჰყავდა გამიჯნული თიკო და სახურავის სასტავი.

გულმოდგინედ აკონტროლებდა იმას, რომ ერთმანეთში არ არეულიყვნენ და ისე იქცეოდა, რომ არასდროს ენახათ სახურაველებს თიკო და თიკოს - სახურაველები. თიკოსთან რცხვენოდა, ასეთ ბომჟ სასტავში რომ ჩნდებოდა, სახურაველებთან კი უტყდებოდა, ასეთი ბანძი, უინტერესო და ფლეგმა გოგო რომ მოსწონდა. ასე ფიქრობდა თვითონ და კმაყოფილიც იყო ამ გადანანაილებით. სინამდვილეში ორივე პოლიუსი თანაბრად უყვარდა და დარწმუნებული იყო, რომ ამ ჯადოსნურ ბალანსს ვერაფერი დაარღვევდა.

სკოლა უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. იქ იმ შემთხვევაში გაივლიდა, თუ ინტერნეტი გაეთიშებოდა და ვერავის ნახავდა თავისიანს. შეივლიდა, შეისეირნებდა, დახედავდა იქაურობას, იშვიათად კლასელებს გამოელაპარაკებოდა და წამოვიდოდა. სემესტრის ბოლოსაც თუ გამოცხადდებოდა, ბებერი, ინტერესდაკარგული მასწავლებლები გამსვლელ ნიშანს უწერდნენ.

კიდევ ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი არდადეგების შემდეგ ლადოს ოთახში მთელი ოჯახი შეიკრიბა, ბებია-ბაბუაც იქ იყვნენ. წაუყენეს მოთხოვნები: დამთავრდა შენი ბაირამობა, წელს სწავლას იწყებ, გამოცდებისთვის უნდა მოემზადოო. ეს დედის მხრიდან ნაქეზებულმა მამამ თქვა და თვითონაც გაუკვირდა, იმდენი სიმტკიცე ჰქონდა მის სიტყვებს.

ლადომ არ იცოდა, რა ეთქვა. იმის გამო, რომ მომავალი არ აღელვებდა და დღევანდელი დღით ცხოვრობდა, არ ფიქრობდა იმაზე, თუ სად ჩაებარებინა, საერთოდ არ იცოდა, ცხოვრებაში რისი კეთების სურვილი ჰქონდა და ძალიანაც არ სიამოვნებდა, ახლა რომ ანუხებდნენ. მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ სადმე მაინც უნდა ჩაებარებინა, ფორმალურად მაინც, იმიტომ რომ ასეთია წესი. თან ნაცნობებშიც ყველა მსგავს შარში გაეხვა, ხოდა, არ უნდოდა გამონაკლისი ყოფილიყო.

დაიწყო სიარული დალილ რეპეტიტორებთან და გადაკვრით უყვებოდა თიკოს, რომ შეიძლება სარეჟისოროზე ჩაებარებინა. ბევრი არც არაფერი შეცვლილა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ერთი ის იყო, რომ ფილმების ყურებას უკლო და ძალიან, ძალიან ცოტათი მოემატა პასუხისმგებლობის გრძნობა. ისიც თავისით, შეუმჩნეველად.

არჩევანის დროც დადგა. სარეჟისოროს იდეა მშობლებს არ მოსწონდათ, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ლადო კიდევ ერთხელ გაბრაზდა იმაზე, რომ არავინ ეწინააღმდეგებოდა და უნივერსიტეტების გრძელ სიას გადახედა. ბაბუამისი ჯერ კიდევ ასწავლიდა „გეპეიში“, საინჟინროზე თუ რალაც მსგავს ფაკულტეტზე. ჰოდა,

როცა „გეპეის“ ფაკულტეტების ჩამონათვალს მიადგა, თვალები გაუფართოვდა.

კოსმონავტიკა! ეს უნდოდა და მეტი არაფერი. კოსმონავტიკა მისთვის იყო შექმნილი.

ბავშვობისდროინდელი ოცნებები დაუდგა თვალწინ. მგონი მთელი კაცობრიობის საზიარო ოცნებაა კოსმოსში გაფრენა, ხოდა ლადოც კოსმონავტიკაზე ჩააბარებდა. იმდენად დებილი არ იყო, მცირე ილუზია მაინც რომ ჰქონოდა ქართულ „ნასასა“ და მთვარის დალაშქვრაზე. ამაზე ფიქრი კონვენუსიურ სიცილსაც იწვევდა, მაგრამ მაგრად მოსწონდა ეს ამბავი.

- რაზე სწავლობ?

- კოსმონავტიკაზე, „გეპეიში“.

არა, მართლა მაგარია. კოსმონავტიკა. მორჩა, ეგ ამბავი გადანყვეტილი იყო.

მშობლებს ყბები ერთდროულად, სინქრონულად ჩამოუვარდათ. ერთი პირობა ჩათვალეს, რომ ხუმრობა იყო, მაგრამ ლადო მათთან არადროს ხუმრობდა, და ეს კიდევ უფრო აშინებდათ, ხომ არ გაგიჟდაო. ბებია-ბაბუას უხმეს, ერთად ცდილობდნენ რამე შეეგნებინათ დებილი შვილისთვის.

დაუტკბა ლადოს სახე, გაეზადრა. ძლივს ოცნებებიც ასრულდა, სანატრელი ოცნებები.

თავს მოიკლავს, სახლიდან წავა, ტრაილერი, ტრაილერი, - ამას გაიძახოდა აფორიაქებულ-ანერვიულებული, - ტრაილერი სადღაც გადაკარგულში.

ოთხივე მშობელი მოსათათბირებლად სამზარეულოში გავიდა.

- უბრალოდ სიგიჟეა, კრეტინი და ტლუ გაგვიზრდია. სულ თქვენი ბრალია, - ჩხუბობდა ბებია და საგონებელში ჩავარდნილ დედამას კიდევ უფრო ანერვიულებდა. მამა ბებიაზე ბრაზდებოდა და რომ არა დედის ჩარევა, იქ ცუდი ამბები დატრიალდებოდა.

დედამ დალაგებულად დაიწყო არგუმენტების ჩამოთვლა:

- სარეჟისოროზე ხელი ჩაიქნია და ძალიანაც კარგი, ამ სისულელის ხსენებაც რომ აღარ უნდა. ამიტომ კომპრომისზე უნდა წავიდეთ. ამისგან მაინც რა დადგება, არავინ იცის და უსაქმურობას, ჯობია სადმე მაინც ჩააბაროს, თან ბაბუამისი ეყოლება იქვე, კაცი ბევრ საჭირო ხალხს იცნობს და ლადოც იქნება და გავა ფონს. მით უმეტეს, ძლივს რაღაც აზრიანმა დააინტერესა.

არა, არა, თავის თავს ატყუებს, აღარ შეუძლია დედას, აღარ შეუძლია. თვითონ რა დააშავა, ყველაფერი მამის უყურადღებობის

ბრაღია! მამა განრისხებული და თან შერცხვენილი იდგა.

შვილს ოთანში შეუვარდა. ლადო ღია ფანჯარასთან ენეოდა. ასეთი განრისხებული მამა არ ენახა და მისთვის შეუმჩნევლად ქუჩაში მოისროლა ანთებული ღერი. დარიგება ნახევარ საათს გაგრძელდა: ამიერიდან ყველაფერი შეიცვლებოდა, ლადო ისწავლიდა და ჩააბარებდა თვითონ სადაც გაუხარდებოდა, მაგრამ მერეც ისწავლიდა ბოლომდე და დიპლომსაც აიღებდა.

ცოტათი შეეშინდა დაპატარავებულ ლადოს, მაგრამ ყველაფერს უპრობლემოდ დათანხმდა.

გამოცდების დღეს დედამისი პაპანაქება სიცხეში ელოდებოდა. ლადო დაბნეული გამოვიდა და ერთი ის თქვა, აქამდე რატომ არ ნახვედიო.

დებილი არ იყო და მოენყო კიდეც კოსმონავტიკაზე. ზარზეიმით შეხვდნენ ამ ამბავს ცალკე ოჯახი, ცალკე თიკო და ცალკე სახურაველები.

- რაზე ჩააბარე?

- კოსმონავტიკაზე.

მაგარი კაიფი იყო. სიამოვნებისგან დნებოდა ლადო. პირველი კვირა ბეჯითად იარა ლექციებზე, მერე ნახა, რომ არაფერიც არ ტარდებოდა და დაუბრუნდა ძველი ცხოვრების წესს.

ერთი ის იყო, რომ ოთხშაბათობით არასდროს აცდენდა პრაქტიკულ მეცადინეობებს. დეკანი გაუღებდა დიდ დარბაზს, სადაც კოსმოსური ხომალდის შემცირებული ხის მოდელი იდგა. ის და ორი სამტრედიელი სტუდენტი საღებავის ჩამოცვენილ ნარჩენებზე გაივლიდნენ და სიამაყით შეხედავდნენ წითელ წარწერას კაბინაზე: "Союз II". მერე ლადო და ორი სამტრედიელი რიგ-რიგობით სხდებოდნენ ხომალდში და სტარტისთვის ემზადებოდნენ.

დეკანი ითვლიდა: "Три, два, один, пуск!" და ლადოც ხანდახან ხმამაღლა აყოლებდა ძრავის ხმების იმიტაციებს: ბლლ...ლლლ...ფშიუ...

მეორე სემესტრიდან თაკოც თან დაჰყავდა. ჩაისვამდა მუხლებზე კაბინაში, ორივენი სტარტისთვის მოემზადებოდნენ და დეკანი პუსკს რომ იტყოდა, ეცემოდნენ სამტრედიელები რაკეტის მოდელს და გამეტებით უწყებდნენ ჯანჯლარს და აქეთ-იქით ქანაობას.

ლადოც გადახედავდა თაკოს, გაუღიმებდა და სიამაყით ეტყოდა, - ხომ გეუბნებოდი, გავფრინდებით-მეთქი.

ჰამაკი
(ბოდვები)

1. ხომ გახსოვს, დედა?

ეს ის დროა, როცა დრო არ არსებობს და მე და ღმერთი ვთამაშობთ ბანქოს.

მე ვაგებ: 1-2.

ღმერთი მიყურებს, მაკვირდება და შემდეგ მეუბნება: „თუ გინდა მოიგო, უნდა ისწავლო, როგორ ითამაშო.“

ისევ მიყურებს და ვგრძნობ, როგორ მიძვრებიან მისი თვალები ჩემს სიღრმეებში, პატიმარავით მჩხრეკენ და ბოლოს ხვდებიან, რომ ჩემი სხეული ამინდია.

შენ, ალბათ, აღარ გცივა, დედა! ხომ აღარ გცივა, დე?

მე ვიცი, რომ წარსული არ არსებობს. ისტორია სისულელეა. ჩემი წარსულიც კი, რასაც „ბავშვობას“ ვუნოდებ, მხოლოდ ფილმია, რომელსაც ხანდახან ვუყურებ ხოლმე მონატრებული...

დღეს მე ისევ მთავარ როლს ვთამაშობ - ერთადერთი მსახიობი ვარ, ვისაც უფლება მისცეს, მაგრამ ეს მოძრაობაც პირობითია, რადგან კადრები მატარებლის ვაგონებივით მისდევენ ერთმანეთს და მე ვერ ვასწრებ ქუჩაზე გადარბენას, როცა მწვანე ინთება. ისევ მეუფლება შიში, როგორც ბავშვობაში, როცა გავრბოდი და ვეცემოდი. და ხელისგულებიდან სისხლი მდიოდა. და ვეძახდი დედას, რომელიც არასოდეს მოდიოდა. და მერე სისველე მიგუბდებოდა თვალებთან. და მტკიოდა, რომ დედა არ მყავდა. ან იქნებ მყავდა კიდეც და მე არ მახსოვს...

როიალთან ვჯდები (რამდენი წელია აღარ დამიკრავს). ვცდილობ, გავიხსენო ერთადერთი ნაწარმოები, რომლის დაკვრაც მიყვარდა - Глиика, „Разлука“... ერთმანეთში იხლართებიან ბგერები და ნოტები. ნოტები და ბგერები. გამები. აკორდები. მაჟორები და მინორები... ჩემი ერთ-ერთი მოთხრობის გმირივით მითხევადდება თითები. და მივცურავ მუსიკაში, რომელსაც უკვე აღარ ვუკრავ. ეს მშვიდი ცურვაა. ხომ გახსოვს, დედა, როგორ ვოცნებობდი ბავშვობაში, რომ ზღვა მენახა?

გამარჯობა, ღმერთო!

იცი, ჩემი ტელევიზორი გადაინვა.

გრძნობად სამყაროში ვარ მთლიანად ან ზღვარზე მაინც და მძულს შენი ფილოსოფია!

დიდი ამბავი, თუ ბანქოში მივებ!

გამარჯობა, ღმერთო!

შენი მოქსოვილი კაშნი მეკეთა დღეს და არ მომიხდა.

ჯობდა, უფრო თხელი და უფერული მოგექსოვა.

ხომ ხვდები, ღმერთო,

ახლა დავიწყე თამაშის სწავლა.

და ჩემი საათი ძალიან დაბერდა.

ღმერთო, როგორ ფიქრობ, ვინ გადაუფრინა გუგულის ბუდეს?

2. ზამთრის ბავშვები

დილაობით ყოველთვის ის იღვიძებდა პირველი. ჩემს ოთახში შემორბოდა და თვალებში მკოცნიდა, რომ გავეღვიძებინე... ფეხსაცმლის თასმებს მიკრავდა, ზურგზე მიკიდებდა და ასე დამატარებდა ოთახიდან ოთახში... ხატვა მასწავლა. ყვავილებს მიხატავდა და მერე მეც ყვავილები დავხატე პირველად... საღამოობით ეზოს კართან ვისხედით და გზას გავყურებდით. ჩვენ ველოდით, სულ ველოდით და გვჯეროდა, რომ ის მოვიდოდა. ოღონდ მე დღემდე არ ვიცი, ვინ უნდა მოსულიყო... პირველი ტკივილი მაშინ განვიცადე - პირველი ადამიანიური ტკივილი, როცა გავიგე, რომ ყვავილები მხოლოდ მე უნდა მეხატა. მოგვიანებით კი აღმოვაჩინე, რომ თვალებში მხოლოდ იმ ადამიანებს ვკოცნიდი, რომლებიც ძალიან მიყვარდა...

მე ვწუხვარ, რომ თვალებში არასოდეს გაკოცე. არადა, მჯერა, რომ იცოდი, რომელ კატეგორიას მიგაკუთვნებდი... ამას წინათ ჩემს ლექსებს ვკითხულობდი ერთ მყუდრო ლიტერატურულ კაფეში და უცებ მთელი არსებით ვიგრძენი, რომ იქ იყავი, მსმენელებს შორის. და მომინდა დამეძახა შენთვის: „სად ხარ, შე წითელსიფათიანო! ისევ მეკაიფები, ხომ?“ რალაც ჩამწყდა და გამელიმა თან... იცი, მე მჯერა, რომ ახლა მართლა ცხოვრობ კენტავრებთან ერთად დიდ ტყეში, სადაც შოკოლადის და რძის ხეებია, როგორც გწამდა. და როცა აქ გგრძნობ, ჩემთან, და ველარ გეხები, სულ ვფიქრობ, რომ აი, მეც ხომ წავალ იმ ტყეში ოდესმე, ხოდა ავდგები და ერთ დიდ ნაჭერ პიცას წაუღლებ-მეთქი იმ ნაბიჭვარს და აუცილებლად შევასრულებ იმას, რაც აქ დამავციანდა - თვალებში გაკოცე... ვიცი, ახლა მეტყობი: „რა სულელი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარს შენი თითები...“

ჰეი, ღმერთო!
ხომ არ ჩაგეძინა?
გამოფხიზლდი!

უხერხულია თვლემდე, როცა...

გულის ბაბუა დაგივარდა.

ღმერთო, ეს ბავშვები შემინახე რა!

გადამინახე ზამთრისთვის, რომ პალტო შევიკერო და მერე...

ღმერთო, ხანდახან მგონია, რომ „მერე“ არ არსებობს.

შენ მაინც ხომ იცი - სესილია მაშინ მოკლეს, როცა დაბადეს...
და იქნებ ეს სულაც მე ვიყავი - სესილია, რომელიც მაშინ მოკლეს,
როცა დაბადეს?

3. მე ისე დავიღალე...

რვა ღამეა არ მძინებია. ვხვდები, რომ აბსოლუტურად ყველა განცდისგან დავიცალე, რომ ერთადერთი, რაც თავში მიტრიალებს - ძილია და ძალიან მინდება, შუა ქუჩაში ტანზე გავიხადო, რათა ხალხმა დაინახოს ყველაზე დაღლილი და ცარიელი ადამიანის სიშიშველე...

ვერ ვცნობ ახლობლებს, და თუ ვცნობ, ველაპარაკები ნელა, ნყვეტილად, რადგან ლაპარაკის თავი არ მაქვს, ვერ გამოვთქვამ სიტყვებს... ისინი კი ვერ ხვდებიან, რომ დავიღალე, რომ ისე ვარ დაღლილი, შეიძლება თავი მოვიკლა და ეს ხომ ყველაზე უცნაური მოტივია? „დღეს თავი მოიკლა ახალგაზრდა გოგომ, რადგან ის დაიღალა...“ ნამდვილად გავრისკავდი, სასაცილოდ და ბანალურად რომ არ მეჩვენებოდა სუიციდი...

მე ვარ შენი შემოდგომის პატრიარქი და მე უკვდავი არ ვარ. მე შემიძლია ყველაფერი, მაგრამ მარტოობა... მეძინება. ჩემს ხელებში გადათენებულ ღამეებს ვითვლი და ვაგროვებ, რომ მერე გვირგვინი დაგინა და გამომშვიდობებისას ხელი დაგიქნიო ჩემი წარსულის მატარებლის ფანჯრიდან. მჯერა, რომ დაინახავ. თუმცა, ეს ხომ სისულელეა... მე რამდენჯერმე გავირეცხე თვალები, რომ წამეშალა ბავშვობა და დედაჩემი. ახლა კი შენი ნაყიდი ბილეთით ვბრუნდები უკან და ჩემი ნაბიჯების ნაკვალევზე თავიდან ვსწავლობ ხაზების გავლებას... იცი, მე ძალიან დავიღალე. და უნდა დავიძინო ახლა. ახლა უნდა დავიძინო, რადგან მხოლოდ ახლა ვგრძნობ წუთის უდროობას, როცა იღვიძებენ თოლიები და მესმის ჯონათან ლივინგსტონის სუნთქვა. “თუ არის სადმე ზეცად ნოდებული ადგილი?”

ეს ის დროა, როცა დრო არ არსებობს და მე და ღმერთი ვთამაშობთ ბანქოს.

მე ვიგებ: 3-2.

მეუბნება, რომ ადამიანებს ვუყვარვარ, რადგან მიყვარს თავუსუფლება.

მე კი ჰამაკში ვწვები და ვიძინებ...

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა - ერთი დღე? ორი? სამი? იქნებ საუკუნე?!

ეს ხომ ის დროა, როცა დრო არ არსებობს.

და მე სამყაროს აბლაბუდასავით ვაქსოვ საზღვრებს...

იცი, ძილში ვგრძნობდი, როგორ მაცრიდა დეკემბერი ადრიანი გაზაფხულის გადარჩენილ ბუსუსებს. ბედნიერება მოაქვსო, - მითხრეს...

ქონდრის კაცი
(ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი)

ჩვენთან ერთი ბიჭი ცხოვრობდა, ავთო. პატარაობიდანვე ანგინა ძლიერ აწუხებდა. მეხუთე კლასში იყო, გლანდების ოპერაცია გაუკეთეს და „გაათავისუფლეს ტკივილისაგან“.

ზრდა შეწყვიტა და ძალიან პატარა დარჩა. გადიოდა დრო და ძალიან იჩაგრებოდა თანატოლებში. თანაკლასელებმა ავთოს ხუმრობით „ქონდრის კაცი“ შეარქვეს.

მშობლები ძალიან განიცდიდნენ შვილის მდგომარეობას, რა არ ილონეს, ვის არ აჩვენეს ბავშვი, საზღვარგარეთაც დაუკავშირდნენ, ეძებდნენ ზრდის ჰორმონებს, მაგრამ ყოველივე უშედეგო აღმოჩნდა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ოპერაციის დროს ზრდის ნერვი დაუზიანებიათ და ავთო აღარ გაიზრდებაო. ყველა შეეგუა მდგომარეობას.

ქონდრის კაცი დიდი ენაკვიმატი და ხუმარა გამოდგა, სადაც ის იყო, მთელი ახალგაზრდობა იქ მოგროვდებოდა ხოლმე და ინყებოდა ხუმრობა, ტრაბახი და ცოცხალი ტყუილები. ქონდრის კაცს ვერავინ სჯობდა. ერთხელ, ასეთი შეკრების დროს ყველამ თავისი ამბავი გაიხსენა, ავთომაც თავისი თქვა და თანაც დასძინა: ნავალ, კლდეზე გადავვარდები და ცოცხალი გადავრჩებიო. ყველამ გულიანად გადაიხარხარა: მაგაზე დიდი ტყუილიც გაგვიგონია შენგანო.

ქონდრის კაცი იქვე ახლოს ჭინჭველის ნათხარ გორაზე ავიდა და გადავარდა.

ერთ დღეს მეზობლებს ქონდრის კაცის სიმღერა შემოესმათ:

„ნისქვილს სიმინდი წავიღე
ავკიდე სამსა კატასაო“, -

გაიხედეს, რომ მართლაც გამოუყვანია ქონდრის კაცს კატები და სიმინდი აუკიდებია, გზაში თავგები შემოეფეთნენ, კატები თავგებს გამოუდგნენ და სიმინდი დაუბნიეს. ქონდრის კაცმა ერთ თავგს კეტი მოუქნია და ფეხი მოსტეხა, დანარჩენებმა ქონდრის კაცს სიმინდი სულ მთლად შეუჭამეს და დაემუქრნენ კიდევ: მომავალშიც რომ ყანას დათესავ, იმასაც შეგიჭამთ მთლიანადო.

ზამთარი ახლოვდებოდა. ქონდრის კაცმა იფიქრა, ზამთარს მაინც ვერ გადავიტანო, ჩავიდა ბოსტანში, ჩამოკიდა თოკი ქონდარზე და ჩამოეკიდა - თავს დავიხრჩობო.

მეზობლებმა დაინახეს ქონდარზე ჩამოკიდებული, ჩამოხსნეს,

ამოიყვანეს, გაათბეს, აჭამეს და გაზაფხულზეც გაიყვანეს.

შემდეგ ქონდრის კაცი ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ იქაც ქონდრის კაცად დარჩა. დადის ქონდრის კაცი ქალაქში და ყველას ხუმრობით ართობს.

რას ჩურჩულებენ შემოდგომის ფოთლები

ფოთოლი მოწყდა ხეს და გაფრინდა.

ბნელოდა. ავტობუსმა ჩაიგრიხინა, სინათლე ზოლად გადაატარა ოთახს და თან წაიყოლა. ჭერს ავხედე, ანგელოზები ისევ ისე ცივად მიყურებენ თეთრი ღრუბლებიდან. ორი ძალიან ლამაზია, შეიძლება მესამეც, მაგრამ ფერი გადასვლია. ცისფერი კედლები უსასრულოდ მეჩვენება. თვალები დავხუჭე და გადავუშვი სიზმრებში. გარეთ მანანნალა ლეკვს ჩახუტებოდა პატარა მანანნალა. ციოდა.

გათენდა ატმისფრად.

- გამარჯობა!

- დილა მშვიდობისა.

- რა დაგესიზმრა?

- ორმოში ჩავარდნილი სპილო ამომყავდა.

- ამოიყვანე?

- არა, მეც თან გადავყევი და ამ დროს გამეღვიძა. შენ ვინ ხარ?

- მე - ყველაფერი.

- მაინც?

- მაინც არაფერი.

- რატომ ხარ ყველაფერი?

- იმიტომ რომ ყველაფერი ვიცი.

- რა ხდება ცაში?

- ცრის.

- რატომ?

- იმიტომ, რომ პატარა ღრუბელმა დედა დაკარგა.

- მერე ჭიამაიას სთხოვოს და აპოვინინებს. მიწაზე რა ხდება?

- მიწაზე გუბურები მრავლდებიან, ის კი მანანნალა ძაღლების და კატების სარკეა, ხანდახან ლოთებისაც.

- კიდევ რას ხედავ?

- ყველაფერს.

- მაინც?

- ადამიანებით გაჭედილ ავტობუსს. ბიჭი და გოგო დგანან. აი, ბიჭმა გოგოს ჯიბეში ხელი ჩაუცურა - ალბათ ქურდია. გოგომ იგრძნო, შეხტა, მაგრამ თავი შეიკავა და ირონიული ღიმილით რაღაც უთხრა.

- რა უთხრა?

- რა შენი საქმეა?

- არ იცი და არ მეუბნები.

- ჰო, არ ვიცი.
- აკი ყველაფერი ვიციო?! მატყუარა.
- რა უთხრა და ნაჩუქარი საფულეა, ძალიან გთხოვ, არ მომპაროო. ბიჭმა გაუღიმა, - არც ვაპირებდიო, ფული გადაუხადა და ჩავიდა.
- აბა, რატომ ჩაუყო ხელი?
- აბა, მე რა ვიცი.
- სად წავიდა ბიჭი?
- გუბურების გზას დაადგა. შიგ ფეხებს აბიჯებდა და ინუნებოდა.
- სანყალი, ალბათ შია, მოდი, დაუძახე და ჩემს ფაფას ვაჭმევ.
- არა მგონია შიოდეს.
- აბა, რა გგონია, რას შეემა გოგო?
- გოგომ ავტობუსიდან თვალი გააყოლა. მხრები აიჩეჩა. იცნო ბიჭი. სკოლის პირდაპირ ცხოვრობდა, ამას თუ გაუბედავდა, არ ეგონა. ავტობუსიდან ჩამოვიდა, ისიც გუბურებიან გზას გაუყვა. ნეტა, რა გაუჭირდა ასეთი, რალა მაინცდამაინც ჩემს ჯიბეში ძვრებოდაო? - გოგო ბიჭზე ფიქრობდა. არადა, მოსწონდა, გული ენურებოდა.
- რატომ ენურებოდა გული?
- იმიტომ, რომ ბიჭი მოსწონდა.
- მერე?
- მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და გაჩერდა. ჯიბიდან დიდი თეთრი წერილი ამოიღო. წერილი გახსნა, მერე დაკეცა, შეინახა და სახლისკენ გაიქცა, თან გუბურებში ხტებოდა. უხაროდა, ინუნებოდა.
- რა მოსწონდა?
- რა სულელურ კითხვებს მისვამ, რამდენი წლის ხარ?
- მე ბევრის.
- მაინც?
- საბავშვო ბაღს ვამთავრებ.
- მერე, არავინ მოგწონებია?
- კი, მომწონდა. შუადღის ძილის მერე ყოველთვის ასველებდა ლოგინს და ტიროდა.
- აღარ მოგეწონა?
- კი, დილას მომწონდა, შუადღის მერე - აღარ.
- ახლა?
- ახლა აღარ მომწონს და გული მენურება. მანც, შენ ვინ ხარ?
- მე - კაცუნა.
- ვხედავ, რომ კაცუნა ხარ, მაგრამ ნათურაში რას აკეთებ?
- ვცხოვრობ.

- ადრე რომ არ მინახავხარ?

- იმიტომ, რომ პატარა იყავი. ახლა დიდი გოგო ხარ, უკვე ხუთის გახდი. გილოცავ დაბადების დღეს.

დავიმორცხვე. მადლობა გადავუხადე, თან გულით საჩუქარს ველოდი.

კაცუნას თითქოს რაღაც გაახსენდა და თითი შუბლთან მიიღო.

- ჰო, მართლა, საჩუქარი ფანჯრის რაფასთან დაგხვდება, - და გაუჩინარდა.

მე თვალები მოვჭყუტე. კაცუნა აღარ იყო. ანგელოზებიან ქერს ავხედე და ჩავფიქრდი. ჰაერი ჩავისუნთქე. კედელს შევხედე. ბავშვიანი ქალის სურათი ისევ ეკიდა. როგორც დედამ მასწავლა, პირჯვარი გადავინერე და ვილოცე. ყველაფერი რიგზე იყო, უბრალოდ, ახალი ნაცნობი არსად ჩანდა. საჩუქარი გამახსენდა. სარკმელთან მივირბინე, საოცრად ლამაზი შემოდგომის ფოთლები და ყვავილები დავინახე. ავიღე და როიალზე ჩინურ ლარნაკში ჩავალაგე. ფოთლები ამრიალდნენ. მოვიწყინე, მაგრამ გული იმით დავიმშვიდე, რომ კაცუნა ნამდვილად ცხოვრობდა ნათურაში და აუცილებლად მოვიდოდა. მან ხომ ასეთი ლამაზი საჩუქარი გამომიგზავნა. აუცილებლად, აუცილებლად მოვიდოდა და მეტყოდა, რას ჩურჩულებენ შემოდგომის ფოთლები.

* * *

- Дабро пожаловать, тетя Анита!

- რაო? რა მინდაო?

- მოგესალმა, ბიჭო, მიდი, შენც უთხარი ზდრავსტვეუიტე-თქო.

დეიდა ანიტამ არც დააცადა მისალმება თავის არც თუ ისე ახლობელ ნათესავს, აუფრიალა ცხვირწინ მარაო, დატრიალდა უკან გადაგდებული თავით, თავისი აზრით, ახალგაზრდა ყმანვილზე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ დეიდა ანიტას ოხუნჯობას მას ისევე ჯიბეში გასატეხად განწირული სიგარეტი ერჩია. არც თუ ისე თავაზიანად თავი დაუუკრა და ვერანდაზე გავიდა.

- Восхищена ЭТИМ ЮНОШЕЙ! - დიდი ემოციით ამოლერლა ყალბი სიტყვები განზილებულმა ქალბატონმა. მერე ყველა მაგიდას მიუჯდა. ჩაის სმის დრო იყო. ყველაფერი: სუფრა, სკამების გადასაფარებლები, ხელსახოცები, ქოლგები (რისთვის სჭირდებოდათ ოთახში ქოლგა?) და კიდევ ბევრი უაზრო ნივთი, რა თქმა უნდა, თეთრმაქმანებიანი იყო.

აღფრთოვანებულები საუბრობდნენ: ახალგაზრდა მწერლებს წინა თაობისას ადარებდნენ, ვიღაცის მოგონილ ჭორებს ავრცობდნენ და ასე, მომავალ უაზრო თავშეყრამდე.

ქალბატონი ანიტა ვინ იყო და რას წარმოადგენდა, გასაგებია, ახალგაზრდა ყმანვილი უბრალოდ იძულებული გახლდათ, გარემოცვას აჰყოლოდა და ხუმტურები დაეკმაყოფილებინა, ქალბატონი ანიტას ასე შინაურად მიმღები გოგონა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იყო გათქვეფილი, მეოთხე - სუსტი სქესის წარმომადგენელი კი მუდამ აუღელვებელი ადამიანი იყო, თუმცა აღელვებასაც ძალიან ჩვეულებრივად ახერხებდა.

ნიკოტინის მცირე დოზის მიღების შემდეგ ახალგაზრდა ყმანვილიც დაწყნარდა, ახალ სტუმარს ოთახში გამოეყრია. გოგონები და უფროსი ქალბატონი სასეირნოდ გამზადებულიყვნენ. დეიდა ანიტამ ისევე ყმანვილის გულის და გონების მოგება სცადა, - **Такого кавалера нам всем троим хватит.** გოგონებმა ჩაიხითხითეს. მერე ფიქრებში ჩაიძირნენ. ყმანვილს სამი მკლავი უნდა ჰქონოდა, რომ ყველასთვის შესძლებოდა გადანაწილება. დეიდა ანიტა ერთ მკლავს დასწვდა, გოგონებიდან კი, ბურჟუაზიის ქომავმა მოახერხა მამაკაცის ერთადერთი თავისუფალი ხელის დასაკუთრება. მეორე, ჩვეულებისამებრ, აუღელვებელი იყო და ნამდვილად არ ეკადრებოდა დასახელებული მიზეზით აღელვება. მოკლედ, სადამო ხანს, ლამპი-

ონების მკრთალ შუქში მდინარის პირას მისეირნობდნენ ყმაწვილი, მის მკლავებს დასაკუთრებული ქალბატონები და ახალი მკლავის მადებარი აულელვებელი, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენელი.

ასეთი, არც თუ ისე აზრიანი, მოკლე ამბავი შეიძლება საქართველოშიც მომხდარიყო.

გამარჯობა! ჩვენც მსოფლიოსკენ მივექანებით!

შვიდი

„ორ ლულაში“ ვიყავით მე, ნიკა და რკინის ყუთი, რომელიც ათასი ხარახურით იყო სავსე. ველოდებოდით შეკვეთას, რომელიც, წესით, თვრამეტ წუთში უნდა მოეტანათ, არადა, უკვე ნახევარი საათი იყო გასული. ვისხედით ჩუმად, თითქოს რაღაცას ველოდებოდით, უცხოებივით ვიყავით და იშვიათად თუ შევხედავდით ერთმანეთს. ორი ყუმი.

- იცი, გუშინ, ღამით გამელვიძა, - დავინწყე ომახიანი ხმით, - საჭირო ოთახში მინდოდა და იმიტომ გამელვიძა, - დავუკონკრეტე, - ჰოდა, ისევ სანოლში რომ ჩავნექი, დავინწყე ფიქრი. ჰოდა, ვფიქრობდი, მე რომ ოცდასამი წლის გავხდები, შენ ოცდაათის იქნები.

სახე მოელუშა, მაგრამ არ შეუმჩნევია.

- მე ისევ ასეთი ვიქნები, შენ კიდევ მთლიანად შეიცვლები, - ისევ სიჩუმე. შემდეგ გავილიძე.

მიხვდა.

- მასე ძალით ნუ მილიმი, ვერ ვიტან, ხომ იცი.

მოვიდა ჩვენი შეკვეთა. უხმოდ შევუდექით ჭამას. რამეს თუ იტყოდა, ვპასუხობდი, თუ იხუმრებდა - ვიცინოდი. მოკლედ, მის ხასიათზე ავეწყე, რასაც ის აკეთებდა, მეც ვიმეორებდი.

შემდეგ რატომღაც ისეთი თემა შემოიჭრა, არასდროს რომ არ გვისაუბრია - როგორი ბიჭები მოგწონსო? დავინწყე რაღაც სისულელეები, ყველას მივედ-მოვედე, ვისაც ვიცნობდი. არაფერი გამოვიდა. რაღაც ვერ იყო კარგად. როგორ არ მიყვარს ეს შეგრძნება, ცუდად რომ არის ყველაფერი და რომ ვერაფერს შველი.

მოვრჩით ჭამას, გვიანი იყო უკვე, იკეტებოდნენ და ჩვენც გარეთ გამოვედით. რაღაც სულელური ჩვევა გვქონდა, ჩემს სახლამდე ყოველთვის ფეხით მივდიოდით. არადა, იმ სალამოს ყინავდა. არც ხელთათმანი მქონდა და რკინის ყუთი შიშველი ხელით მეჭირა. გამიწითლდა და გამეყინა. რაღაცები ვიბოდილაღეთ, შემდეგ გავჩუმდი.

- ძალიან მძიმე პერიოდი მაქვს ახლა, - ჩუმად თქვა.

არც შემიხედავს. თავი დავხარე, რკინის ყუთი ჩავბლუჯე და უხმოდ გავყვივი.

- მისმენ?

- აჰა, - თავი დავუქნიე.

- ალბათ იანვრიდან გამივილის, ბიჭებს რაღაც გამოსდით და

სალამობით გარეთ გასვლას დავიწყებ.

მიხვდები, საითაც მიყავდა, ნიკა მუშაობდა და ერთადერთი დრო, როცა ვხვდებოდი, სალამო იყო. არაფერი მითქვამს, არც შემიმჩნევია, რაც, ალბათ, სრულიად უადგილო იქნებოდა. ზედმეტად ემოციური ვარ. ისევ გავჩუმდით.

- თაკ, იცი, რატომ ვარ ცუდად?

არც ახლა ვუპასუხე.

- ექვსი თვე დარჩა ზაფხულამდე, წელს არაფერი ზაფხული არ ყოფილა, ზღვაზეც ვერ წავედი, ახლა ბოლო ზაფხული იქნება, ან წავალ, ან არაფერი...

ვუსმენდი. ყველა სიტყვა მერჭობოდა, მძიძგნიდა, ისე ამტკივდა ყველაფერი, გაყინულ ხელ-ფეხს ველარ ვგრძნობდი.

- თაკ, მე რომ ცუდად ვარ, შეგიძლია მიხვდე, რატომ ვარ ასე? გავჩერდი.

- თაკ, აი, მე ხომ ბოლომდე გიცნობ? ყველაფერი ვიცი. ვიცი, როდის ხარ ცუდად, ყოველთვის ვიცი, რას რატომ აკეთებ.

შემრცხვა, მართალს ამბობდა.

- და შენ იცი? შეგიძლია მიხვდე ასე?

- არა, - ყველაზე სულელური პასუხი ჩემს ცხოვრებაში, რას ჰქვია „არა“?

- იცი, რა ძნელია ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც ვერ ხვდება, რას რატომ აკეთებ?

იცი რა მომივიდა? ყველაფერი ერთიანად მიანვა ტვინს, ერთ წერტილს მაგრად მიაჭირა და თვალებისკენ წამოიღო, ნიკამაც შემატყო.

- ხვდები ახლა ამას რატომ გეუბნები? - უკვე ჩემი სახლის ჩასასვლელთან ვიდექით, - ვერა, ხო? კარგი, ნადი.

გავშეშდი. თავი ველარ შევიკავე და თვალები ცრემლებით გამევესო.

- ძალიან დავიღალე ამ პრობლემით. არა, პრობლემაც არ ჰქვია, პრობლემა შეიძლება გქონდეს სამი დღე, ან ერთი წელი, ეს სხვა რაღაცაა.

წამსკდა ცრემლები, სახე მომელრიცა, რკინის ყუთი უკვე ნიკას ეჭირა, ვაჩუქე, რკინის ყუთივით ცივი გავხდი.

- კარგი, გაჩერდი, - გაეცინა, უარესად ამივარდა სლუკუნი, - მაღიზიანებ, ასე რომ დგახარ და ტირიხარ!

იცი, როგორი სახე მქონდა? აი, რომ ვერ დაწერ, უნდა ნახო, რომ გაიგო. და, აი, დამემართა ვაი-უშველებელი, ცრემლები ისე მომ-

დიოდა, ველარ ვჩერდებოდი.

- შეუძლებელია შენთან ლაპარაკი! როგორ შეიძლება შუა ლაპარაკის დროს ტირილი დაიწყო? გაჩერდი, ხალხი გიყურებს!

მიყურებდა მთელი ქუჩა, როგორ ვიდექი და ვსლუკუნებდი, არ მაინტერესებდა, ისე მტკიოდა ყველაფერი, თითქოს ტალახიანი ფეხით გამჭყლიტეს.

- ნადი სახლში!

რა ვქენი? უსიტყვოდ შევტრიალდი და ნავედი. რა დავინახე? განითლებული და ცრემლებით სავსე ორი ყავისფერი თვალი, რომლებსაც ჩემზე არანაკლებ სტკიოდათ და რომლებიც არასდროს დამავინწყდება, რადგან მხოლოდ ამ ორი თვალის პატრონს შეეძლო ასე ეტკინა გული. ის ოცდახუთის იყო, მე თვრამეტის.

დეჟავიუ

მარტოობას ვერ რგაეცქევი, ჯეინ.

მართალია, სამყარო არც ისე დალაგებულია, მაგრამ არის რაღაც კანონზომიერებებიც. ჩვენი შეხება ინვევს გრძნობას, გრძნობა ინვევს ომს, ომს დანაკარგები მოყვება, ომი ან გაგამდიდრებს ან მინასთან გაგასწორებს, ამასობაში გემართება ნერვოზი, ჩვენი სხეული ველარ უძლებს შემოტევებს ოთხი მხრიდან, იბრძოლე, ჯეინ, იბრძოლე, ჩვენ მოვიგებთ ომს... და შენც, მარტოობას მიჩვეულო ჯეინ... შენც მოიგებ ომს, იმედი არსებობს ჩვენში და მანამ იარსებებს, სანამ ჩვენ ვიარსებებთ, ანუ იმედიც უკვდავია, როგორც ჩვენ, ომიც, როგორც მოვლენა, არასდროს მთავრდება, აი, სად გვერხევა, ჯეინ. სისხლიანი მდინარეები და ნაწლავებგადმოგდებული ადამიანები იზიდავს ამ ხალხს, ხალხი ბრბოა, ბრბო, უგუნური და იმპულსური. ბრბოს ქარიზმა მართავს. ქარიზმა ხშირად პატივმოყვარეა. ჩვენ მივექანებით იქით, საიდანაც დაიწყო ყველაფერი... „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი“, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება ეს დორბლმორეული ვამპირები იქცნენ ერთად და ეს ერთი იყოს ღმერთი, ის ხომ ყოვლად წმინდაა, ის არის სანყისი ყველაფრის, ის არის მთის და ბარის მშობელი, ის არის ჩვენი სანყისიც, განვლილი გზაც და დასასრულიც, ის არის ჩვენი ცხოველქმედების მიზეზი და ის არის ყოველის მიზეზი... ვითომ ხელახალი გადარჩევის მოწმეები გავხდებით??? ნეტა რა ეწოდა მომავალში ამ მოვლენას, უცხოპლანეტელის ხომალდი? თუ სელაპის ნავი?.. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით შორი მომავალია, ჯერ ამერიკას უნდა მიხედვა, რამდენიმე ომი დარჩა გადასატანი აზიაში, ალბათ, მერე ყველაფერი თავისით დალაგდება... კატაკლიზმები არავის უნდა. რა თქმა უნდა, არც რევოლუცია და მასობრივი აქციების სისხლში ჩახრჩობა უნდათ, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ, უნდა ჩახრჩონ... ხალხმა დაიწყო ადგილების დაჯავშნა მაღლივ ფერდობებზე განმარტოებისთვის, ალბათ მეც მალე გავალ.

ჯეინ, მე მჯერა, რომ შენ მოიგებს ომს, და მე გტოვებთ მარტო შენც და შენს ეშმაკებსაც. ღმერთმა დაგლოცოს!..

რამდენი საათია?

დღეში კი არა და, დღე-ღამეში? ოცდაერთი, ორი, სამი, ოთხიო... და არ მჯერა.... შენც გახსოვს, ალბათ, მაშინ ბალში ვიყავით მე და შენ და გვანვიმდა მარტო მე და შენ, იმიტომ რომ ძალიან წვიმდა და ბალში მარტო მე და შენ ვიყავით. შენ კი ულამაზესი იყავი და თანაც სველი... მე გიყურებდი შენ და შენც მიყურებდი მე, უყურებდი იმ “მეს”, რომელიც დროს ეხვეწებოდა, რომ ცოტათი შენელებულიყო, ან სულაც გაჩერებულიყო და მე და შენ, და მე და შენ...

მეორე დღეს ორივეს სიცხე გვქონდა. მე ოცდაჩვიდმეტი და სამი, შენ უფრო მაღალი და მე ვნერვიულობდი. მე მახსოვს, შენ რომ მათემატიკის გაკვეთილზე ადიოდი ხოლმე ორი საათით და ქვევით გელოდებოდიტ მე და ახვლედიანი. გარეთ კიდევ რომ წვიმდა... მე კიდევ, ჰო, და სანყალი ახვლედა აკანკანებდა კბილებს და: „ამო, რა, ჩემთან დაველოდოთ, ორი საათი მაინც არ გამოვა“, მაგრამ მე შენ ვერ გალოდინებდი სადარბაზოსთან და ახვლედა აკანკანებდა კბილებს. სანყალი... მაშინ ბალში რომ წვიმდა და უბრალოდ, ერთმანეთს რომ ვუყურებდით, არც კი გვიკოცნია ერთმანეთისთვის და მაინც უცბად გავიდა მთელი დღე. არადა, მთელი დღე წვიმდა, ჩვენ კიდევ იმ თუთის ხესაც არ შევეფარეთ, იქვე რომ იდგა. ის ორი საათი კიდევ იწელებოდა ხოლმე და მე ვხვდებოდი, რომ დღე-ღამეში არაა ოცდაერთი, ორი, სამი და არც ოთხი საათი. მე ვხვდებოდი, რომ დღე-ღამეში ხან ბევრად მეტი საათია, ვიდრე ოცდა... ბლაბლაბლა... და ხანდახან საერთოდ არც ერთი საათი არაა... მე ვხვდებოდი, რომ არ მქონია ზუსტად, ოცდა... ერთი რალაშუაშია და... ..ოთხსაათიანი დღე...

ღამე

მთელ სახლში მარტო ხუთი სანოლი და ერთი მაგიდა იდგა. სანოლები რკინის იყო, აი, ისეთი, რომ გაინძრევი და ჭრიალს რომ ინყებენ, რომ გაჩერდები და მაინც რომ ჭრიალებენ. სინათლე არ გვექონდა. კოკა-კოლას ბოთლზე სანთელი დავამაგრეთ და ღამე ვანთებდით ხოლმე. მე მოვიფიქრე.

- ასანთი სად წაიღე?

- მე სად წავიღე? მანდ იქნება, დაიცა, მოგინათებ, - მობილურის ეკრანი ავანთე, მაგრამ ჩემი მობილურის ეკრანს მარტო თავისი თავის განათება შეუძლია.

- მაგრად მინათებ, ხო იცი!

ასანთი ვერ ვიპოვეთ. ისიც ვერ გავიგეთ, ვინ დაკარგა და, ყოველი შემთხვევისთვის, ყველას სათითაოდ ვუწოდეთ დებილი და იდიოტი. მე რიგით მესამე აღმოვჩნდი. განსაკუთრებული ეფექტი არ ჰქონია, ისედაც სულ იდიოტს ვეძახით ერთმანეთს. მერე ოთახის ცენტრში დიდ ხალიჩაზე დავსხედით. სკამები არ გვექონდა. გვიყვარს ძირს ვჯდომა.

- მგონი შოკოლადის „პეჩენიებს“ დავაჯექი, - ივარაუდა მარიმ.

- გაგიყდი, ბოლო კოლოფია!! - სერიოზულად აღვშფოთდით. მარი ადგა და ხუთივე მობილურის დახმარებით აღმოვაჩინეთ, რომ ხაჭაპურზე მჯდარა.

- უფ, ეგ მაინც გუშინწინდელია.

თურმე სიბნელეში მშვენივრად ხედავს ადამიანი.

- მოიტა, რა, ის შოკოლადის „პეჩენია“, ბარემ შეეჭამოთ.

- დაიცა, რა, ხვალ შეეჭამოთ, ახლა ღამეა.

- ხო, რა, ამ შუალამეს რა დროს შოკოლადებია! - დავეთანხმე

ნიას.

მე და ნია „წესით დიეტაზე“ ვართ. „წესით დიეტა“ იმას ჰქვია, ერთი დღე რომ დიეტაზე ხარ, მეორე დღეს ბევრს რომ ჭამ, მესამე დღის პირველ ნახევარში ისევ დიეტაზე რომ ხარ, მერე „შემთხვევით შოკოლადი რომ შემოგეჭმება“ და მეოთხე დღეს საერთოდ რომ არ ჭამ, მეხუთე დღიდან კი ყველაფერი თავიდან. მოკლედ, „წესით დიეტა“ მაზოხიზმია და თან არანაირი შედეგი არ აქვს, მაგრამ მე და ნიამ ამის შესახებ არ ვიცით. უფრო სწორად, ვითომ არ ვიცით.

- აუ, თქვენმა დიეტამ ტვინი წაიღო რა, - ანა გამხდარია და ვერასოდეს გაიგებს, რატომ ვიცავთ ხოლმე მე და ნია „წესით დიეტას“.

- ჰოდა, რაო დედაშენმა გუშინ, კიდე გვბომბავენო? - მეკითხება სოფო.

სოფოს ჩვენ შორის ყველაზე მეტად აღელვებს პოლიტიკა. ყველაზე უფრო მორწმუნე და ყველაზე დიდი პატრიოტია.

- კიო, დაგვერხა მგონი.

- ავთომ დამირეკა და რეზერვში აპირებს წასვლას, რუსებს დედა უნდა ვუტიროო, ტვინი გაბურღა.

- ეგ ხო დებილია, რა!

- კაი, აბა, სახლში უნდა იჯდეს? - სოფო, რა თქმა უნდა, აღშფოთდა.

- სახლში უნდა იჯდეს, აბა, ჯარში რა უნდა, მაინც და მაინც უნდა მოკვდეს?

- ეგრე ყველა სახლში უნდა დაჯდეს მაშინ!

- ზუსტად! ყველა სახლში უნდა დაჯდეს, ვისი სამსახურიც ჯარში არაა! მოდაში შემოვიდა ახლა ეს რეზერვი და ყველას მოუნდა!

- მოდა რა შუაშია, შენი ქვეყანა რომ ომობს, ფეხებზე უნდა დაიკიდო?

- არ მითქვამს ფეხებზე უნდა დაიკიდო-მეთქი, უბრალოდ, რასაც აზრი არა აქვს, ის არ უნდა აკეთო და არ უნდა აყვე რაღაც სისულელეებს! რას იზამს ახლა ჯარში!

არაფერი არ სჯობია მეგობრებთან ზოგადსაკაცობრიო თემაზე ჩხუბს, აი ისეთს, მთლიანად რომ ჩაერთვები.

- იდიოტები ხართ რა, ყველაფერს ფეხებზე იკიდებთ, ეგეც თუ ფეხებზე გკიდიათ, აბა რა არ გკიდიათ მაშინ?

- ფეხებზე არ გვკიდია, უბრალოდ „დაგრუზვას“ და დღე და ღამე ლოცვების კითხვას არ ვაპირებ.

სოფო გაიბუტასავით.

- დღე და ღამე ლოცვებს არც მე ვკითხულობ.

- რას ჰქვია, არ კითხულობ, ახლავე გაანებე მაგ ჩიფსებს თავი და წამოდი, ვილოცოთ.

გაგვეცინა. თუმცა, შეიძლება სულაც არ იყო სასაცილო.

- ხო, კაი, გვეყო, რა, ამაზე.

- ხო, სოფო, შვიდი წელია ვერ გადაგიბირეთ ოთხმა კაცმა.

- შვიდი წელი არა, ეგ ახლა გადაირიეთ, თორემ ვინ იყო, მეშვიდე კლასში, თემა რომ დაწერა სამშობლოს სიყვარულზე?

გადავიხარხარეთ. გულაჩუყებულმა ქართულის მასწავლებელმა ლამის იტირა მაგ თემაზე და მთელ კლასში წაიკითხა, როგორც საუკეთესო ნამუშევარი. ბოლო წინადადება განსაკუთრებული იყო:

„საქართველო ნამდვილად ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.“

იმის მერე ეტყობა გავიზარდეთ.

- აუ, რამ დაგანერინაა?.. - ნია ჩაბჟირდა.

- რა გინდა, ვერ გავიგე, ისე მოეწონა, მთელ კლასში წაიკითხა.

შენსას მაინც სჯობდა. რაზე იყო?

- მარტოხელა კაქტუსზე! - მომეშველა ანა.

- გაჩუმდიიი, - ნია ველარ სუნთქავდა.

- აუ, რა იდიოტები ვიყავით, - დაასკვნა სოფომ. მაგანაც ეგ იგულისხმა, იმის მერე გავიზარდეთო, პირდაპირ ეგრე ხო არ იტყოდა.

- შენ მართლა იდიოტი იყავი, თმები გქონდა ბებიარემივით.

- დამპალო!

სოფომ ხელი მკრა და უკან გადავვარდი. ე.ი. ხასიათზე მოვიდა. ხელი რალაც ოთხკუთხედზე დავარტყი, უფრო სწორად, მართკუთხა პარალელეპიპედზე.

- ეეე, ასანთი ვიპოვე!

- იდიოტი ხარ რა, მანდ რა უნდოდა!

- რა ვიცი მე, რა უნდოდა!

„მეხუთე ელემენტში“ ბრიუს უილისი ასანთს რომ ანთებს, ზუსტად ისეთივე სიფრთხილით ავანთე და კოკა-კოლის ბოთლზე დარტყობილ სანთელს წაფუკიდე.

- ვააა! - ვთქვით ერთად.

მერე კიდევ უფრო მეტი ეფექტურობისათვის მოსახდენად მაგიდისკენ ვისროლე კოლოფი. ღია ფანჯარაში გადავარდა.

- ფუ, რა კრეტინი ხარ! თვალეები ტაკუნებში გაქვს.

„ტაკუნები“ ხმარებაში პამპერსის რეკლამიდან შემოვიდა და ყველაზე სასაცილო სიტყვაა დედამინის ზურგზე. ჩვენი სიტყვაა. შარშან ზაფხულში ჩვენი სიტყვა „სუპერულტრაიმფრაიდოტი“ იყო, იმის წინ - „კომბლე“.

ხელი იდაყვამდე ჩავყავი ჩიფსების კოლოფში. ცოტალა იყო დარჩენილი.

- ოლონდ, ხვალდან დიეტაზე ვართ, ნია.

- ნუ გაატაკუნეთ, რა, ამ დიეტით!

კოკა-კოლას ბოთლზე რომ სანთელი იწვის, ლამაზი სანახავი ყოფილა.

ტირილი

ტირილი დავინყე. სანამ დავინყებდი, მთელი ნახევარი დღე ვიფიქრე, დამეწყო, თუ არა. ხომ უნდა იყოს რაღაც მიზეზი, რის გამოც ღირს ტირილის დანყება. მეც ამ მიზეზს ვეძებდი და ვერ ვიპოვე. ჰოდა, დავინყე ტირილი.

მერე გავიფიქრე, რომ ეს არ უნდა იყოს ნორმალური. უფრო სწორად, მერე კი არ გავიფიქრე, ისედაც ვიცოდი, რომ ნორმალური არაა, რად უნდა მაგას ფიქრი. მაგრამ მაინც დავინყე ტირილი და როგორმე რომ გამემართლებინა ეს არანორმალურობა, უფრო ენერგიულად ავამუშავე ტვინი. ხო უნდა მომეძებნა მიზეზი. არა, ხომ უნდა იყოს რაღაც მიზეზი! ძალით ხო არ დამიწყია ტირილი, მართლა მეტირებოდა.

აღბათ, რაღაც უნდა მომხდარიყო. და რა მოხდა? დღეს ისეთი არაფერი. დილით ვიყავი მაღაზიაში და პური არ ჰქონდათ. დიდად არ განმიცდია, მაინც ასუქებს! მერე სახლში ამოვედი და „ჰარი პოტერის“ მეექვსე ნაწილი ჩავიკითხე ბოლომდე. ბოლოში დამბლდორი მოკვდა. მაგაზე თუ ვტირი ახლა მე, მართლა ცუდადაა ჩემი საქმე! მაგრამ იქამდეც მეტირებოდა, ამიტომ ეგ გამორიცხულია. კიდევ კარგი!

ამასობაში კი ვტირი, და რომ ვერ ვიპოვო რამე მიზეზი, გამოდის, რომ ვერ ვარ! ვუყურებდი ჩემთვის ფილმს, ნახევარი დღეა მეტირება და ფილმს რომ ვუყურებ, იქნებ დამავინყდეს-მეთქი. ნახევარი დღე ვითმენდი და მაინც და მაინც შუა ფილმში მომინდა. ფილმიც მაინტერესებს თან, მაგრამ ველარ ვუყურებ. თან ვტირი, თან მიზეზებს ვეძებ, რატომ ვტირი და ჩემი ტვინი დამატებით ფილმის ყურებას ველარ ქაჩავს.

აღბათ, სასაცილოა ასე უაზროდ რომ ვტირი. „ვაფშე“ სიცილს დავინყებ ახლა, მაგრამ თან სიცილი და თან ტირილი ნამეტანია. ისედაც ვერ ვარ! ვაიმე, მართლა ვერ ვარ!

ახლა უნდა ვიმძჯელო ლოგიკურად! დღეს თუ არაფერი მომხდარა, იქნებ გუშინ მოხდა და გუშინდელიდან მინდა ტირილი, უბრალოდ დღეს მივხვდი, რომ მინდა. ქვეცნობიერი და რამე. გუშინ რაღა მოხდა, რო? ვიყავი პიცერიაში, ბევრი ლუდი დაველიეთ, მერე კინოში წავედით და პატარა დარბაზში უჩვენებდნენ იმ „უჟასს“, ჩვენ რომ გვინდოდა. შევედით პატარა დარბაზში და რადგან ბევრი ლუდი გვექონდა დალეული, ერთ ამბავში ვიყავით, აღარ მახსოვს წესიერად. არადა, არ ვაპირებდით საერთოდ არსად წასვლას. ყველაზე ძალიან ეგ მიყვარს, არსად წასვლას რომ არ აპირებ, მერე უცებ სადმე რომ წახვალ და გაერთობი კარგად.

მაგრამ რა შუაშია ეგ ყველაფერი ახლა ტირილთან! საერთოდ, ბოლოს როდის ვიტირე? ახლა თუ გავიხსენებ ბოლოს როდის ვიტირე, კიდევ რამეს მივხვდები. რა მოხდა ამ ბოლო დროს ისეთი? რა და ბები-აჩემი მოკვდა რამდენიმე თვის წინ, მაგრამ მაგაზეც არ მიტირია. ე. ი. როცა ყველა ნორმალური ადამიანი უნდა ტიროდეს, მაინც და მაინც მაშინ არ ვტირი. ახლა რაღა მინდა?!

დაიცა, მგონი მორჩა! ხო მორჩა? არა, რა მორჩა, შესვენება იყო, წავიდა მეორე წრეზე. საერთოდ რაზე ვტირი ხოლმე? ერთხელ, მახსოვს, სკოლაში ახალი ქურთუკი დავეკარგე და იმაზე ვიტირე. ახლა აშკარად არ დამიკარგავს და, საერთოდ, რა დროს ქურთუკია ამ შუა ზაფხულში. კიდევ, მახსოვს, იმაზე ვიტირე, ეზოს ბავშვები რომ სკოლის მოედანზე წავიდნენ სათამაშოდ და მე მითხრეს, სახლში მივდივართ ყველანიო. არადა, ზუსტად ვიცი, რომ სკოლის მოედანზე წავიდნენ და სპეციალურად მითხრეს, რომ მე არ გავყოლოდი. მერე დავინახე. რომ არ დამენახა, ისედაც ვიცოდი, რომ ტყუილად მეუბნებოდნენ, ყველანი სახლში მივდივართო, ეგრევე მივხვდი, მაგრამ არაფერი ვუთხარი და მეც სახლში წავედი. საერთოდ, ყოველთვის „მაჩმორებდნენ“ ხოლმე ეგ ბავშვები. ეგეც რა შუაშია ახლა, ათი წლის წინ იყო! ახლა ერთი საავადმყოფოში წევს, კუს ტბაზე ჩხუბში დაჭრეს, მეორეც საავადმყოფოში წევს, ქმარმა ფილტვი გაუხვრიტა. დანარჩენები არ ვიცი. ერთი მაგათიც!

არა, კიდე ვტირი! აზრზე ხარ, ერთი ნახევარი საათია ვტირი. მთელი ჩემი ცხოვრება გავიხსენე ამასობაში და მაინც ვტირი. თან მაინც აზრზე არა ვარ, რატომ ვტირი!

სარკეში მაინც ჩავიხედო! აუ, რას ვგავარ! მორჩა, ამოვიდა ყელში! ვიტირებ ისე! საერთოდ ვინ დაადგინა, რომ მაინც და მაინც მიზეზია საჭირო ტირილისათვის! ფეხებზე მკიდია, რომ ყველა რაღაც მიზეზის გამო ტირის! მე უმიზეზოდ ტირილი მომწონს, ვა!

ოდესმე ხომ მაინც გავჩერდები! და რო ვერ გავჩერდე?! მართლა რო ვერ გავჩერდე?! ჩემი დაბადების დღე მოდის და იქამდე რო ასე ვიყო?! იქამდე რა, მერე კიდე რო ასე ვიყო, დავუშვათ, უნივერსიტეტის დამთავრებამდე?! მერე სამსახურშიც?! მერე რა ვიცი, რა არის კიდე, ქორწილში, მაგალითად. ბოლოს რომ მოვკვდე და კიდე რო ვტიროდე საფლავში?! წარმოვიდგინე. აქამდეც წარმომიდგენია ჩემი თავი საფლავში. ვამბობ, რა, ვერ ვარ-მეთქი!

არა, აშკარად ვერასოდეს გავჩერდები! აქამდე გავჩერდებოდი, რომ შემეძლოს! უნდა ვიფიქრო რამე კარგზე! და რომელია კარგი და რომელი ცუდი?! მორჩა, დამერხა!

სანოლზე წამოვწევი. სულ ერთ პოზაში ტირილი მოსაბეზრებელი ყოფილა. უკვე გასაგებია, რომ ვერ ვარ და ისიც გასაგებია, რომ მაგრად დამერხა! მოხერხებულად მაინც დავწვები და დაველოდები, როდის მოვლენ ჩემები სახლში და ფსიქიატრს გამომიძახებენ! ნეტა რას აჭმევენ ხოლმე ფსიქიატრიულში? რა კითხვაა ახლა ეგ? მორჩა, აღარ ვფიქრობ! არ ვფიქრობ არაფერს! საერთოდ არაფერს, არაფერს, არაფერს, არაფერს! არ ვფიქრობ! არ მაქვს უფლება, რომ არ ვიფიქრო? არ ვიფიქრებ და ისე ვიტირებ!..

ცოტა ხანი გავიდა. ერთი „ჩორტია“, გინდ იფიქრე, გინდ - არა! აუ, დავიღალე, რა!

ეტყობა ჩამეძინა. მერე, რა თქმა უნდა, გამეღვიძა! რამე დამესიზმრა? არა! რომ ვიღვიძებ, ყოველთვის სიზმრებზე ვფიქრობ და მიტყდება ხოლმე, თუ არაფერი მახსენდება. აუ, რატომ არაფერი მახსენდება? დაიცა, სიზმრები კი არა, აღარ ვტირი. ვააა, მართლა! აუ, რატომ აღარ ვტირი?

სარკეში ჩავიხედე. მაინც, რას ვგავარ! მერე აბაზანაში შევედი და პირი დავიბანე. ეტყობა ასეც ხდება ხოლმე. დაიკიდე, რა!

აღმავლობა 2009

გამარჯვებულები და ნომინანტები

პროზა

პირველი პრემია

ჯაბა ზარქუა - „კივილი“

მეორე პრემია

სოფია კენჭიაშვილი - „შავით თეთრზე, ანუ ცხოვრების წამზომი“

მესამე პრემია

ირაკლი ისაკაძე - „ისევ გავქერი“

პოეზია

პირველი პრემია

ალექსანდრე ლორთქიფანიძე - ტრილოგია

მეორე პრემია

სოფო მიქიაშვილი - „დალაქის პარადოქსი“

მესამე პრემია

სალომე შენგელიძე - „უკაცო სახლი“

ნომინაციები

მედიტაციური პროზა

ნიკა სერგია - „მატარებელი“

მონოლოგი

თამუნა კარელიძე - „გამივლის“

დიალოგი

გიორგი ჯამბურია - „თბილისობა“

გიორგი გონაშვილი - „ცუდი თემა“

მშობელთა საკითხავი

ლუბა (ქეთი) კალაძე - „გაკვეთილი მშობლებს (lesson N1)“

ფანტასტიკა

ალექსანდრე ლორთქიფანიძე - „ისე, არაფერი“

ირონიული ლიმილი

ანა დაბრუნდაშვილი - „ტირილი“

დემეტრე მაჭავარიანი - „Sweet home sachhere“

საშიში მოთხრობა

თეონა ბიჩინაშვილი - „იეროგლიფი“

ორიგინალური მეტაფორები

მაიკო მესტუმრე „ამბავი პირველი... ამბავი მეორე“

აბსურდი

ალექსანდრე ბაგრატიონი - „Chocolate guys“

სპეციალური პრიზები

ეროვნებით არაქართველი მონაწილეებისათვის

ასთხიკ ალვანჯიანი / პროზა /

ზოია ბეზოიანი / პროზა /

ვალერია წარუკიანი / პოეზია /

წამახალისებელი პრიზები

ზურაბ მიქელაძე / პროზა /
გვანცა კალანდაძე / პროზა /
გია ხიმშიაშვილი / პროზა /
გიორგი ელიზბარაშვილი / პროზა /
გიორგი ბარიხაშვილი / პროზა /
გიორგი იაგორაშვილი / პოეზია /
ლუკა კალანდარიშვილი / პროზა /
ნინო თუთბერიძე / პროზა /
თეკლა მოდებაძე / პროზა /
ბექა ჩუხრუკიძე / პროზა /
ბაია ბუიძე / პოეზია /
თამარ ფოლადაშვილი / პოეზია /
ანა მარტიაშვილი / პოეზია /
დავით კუნჭულია / პოეზია /
მარიამ თოფურია / პროზა /
ნუცა მახარაძე / პროზა /
მარიამ ბექური / პროზა /
დათო გორგილაძე / პროზა /
ეკატერინე ბულაშვილი / პროზა /
ანა კალატოზი / პროზა /
სალომე მახარაძე / პროზა /
ნინო ქოპილაშვილი / პოეზია /

სარჩევი

პოეზია

მაიკო მესტუმრე / თბილისი, 1991 /	9
დავით კუნჭულია / თბილისი, 1993 /	11
გიორგი შონია / ზუგდიდი, 1992 /	12
სოფო მიქიაშვილი / თბილისი, 1988 /	13
ნიკა ძონენიძე / თბილისი, 1991 /	19
ნინო ქოპილაშვილი / თბილისი, 1992 /	21
ალექსანდრე ახალკაცი / ხაშური, ოსიაური, 1988 /	23
ანა მარტიაშვილი / თბილისი, 1990 /	24
ალექსანდრე ლორთქიფანიძე / თბილისი, 1988 /	27
ბაია ბუიძე / თბილისი, 1988 /	32
გიორგი იაგორაშვილი / ყვარელი, 1988 /	35
ნიკოლოზ გუშარაშვილი / დუშეთი, ჟინვალი, 1991 /	37
ოთარ კახიძე / თბილისი, 1992 /	38
ლელა (ნინო) დაიაური / გარდაბანი, გამარჯვება, 1991 /	40
თამარ ფოლადაშვილი / თბილისი, 1990 /	42
სალომე შენგელიძე / თბილისი, 1989 /	47

პროზა

ალექსანდრე ბაგრატიონი / თბილისი, 1987 /	55
დემეტრე მაჭავარიანი / თბილისი, 1991 /	65
ნინო კეკელიძე / თბილისი, 1989 /	74
შალვა დევედარიანი / თბილისი, 1993 /	78
ნინო თუთბერიძე / თბილისი, 1989 /	80
დავით სიმონია / თბილისი, 1990 /	91
ნატალია კუცია / თბილისი, 1989 /	92
ბექა ბალაშვილი / თბილისი, 1990 /	93
გიორგი ჯამბურია / თბილისი, 1992 /	96
ნიკა სერგია / ხობი, 1992 /	103
თამთა რეხვიაშვილი / თბილისი, 1992 /	109
მარიამ თოფურია / თბილისი, 1991 /	111
თეონა ბიჩინაშვილი / თბილისი, 1990 /	114
ნინო ბეჟანიძე / თბილისი, 1988 /	125
ჯაბა ზარქუა / თბილისი, 1988 /	128

გურამ მაცხოვნაშვილი / თბილისი, 1989 /	135
ზურაბ მიქელაძე / შუახევი, ფურტიო, 1992 /	138
სალომე მახარაძე / თბილისი, 1989 /	144
ასთხიკ აღვანჯიანი / ნინონმინდა, ფოკა 1993 /	145
ზოია ბეზოიანი / სომხეთი, 1993 /	146
გიორგი ბარიხაშვილი / აზერბაიჯანი, ალიბეგო, 1991 /	148
ნინი მეტრეველი / თბილისი, 1992 /	149
ზურაბ თურმანიძე / თბილისი, 1992 /	152
დათო გორგილაძე / თბილისი, 1990 /	157
ლევან მაისურაძე / გორი, 1989 /	161
ეკატერინე ბულაშვილი / თბილისი, 1990 /	162
გვანცა კალანდაძე / ჩოხატაური, ხიდისთავი, 1993 /	166
ლუბა (ქეთი) კალაძე / თბილისი, 1991 /	168
სოფია კენჭიაშვილი / თბილისი, 1988 /	171
სალომე კოჭლამაზაშვილი / თბილისი, 1990 /	175
ბექა ჩუხრუკიძე / თბილისი, 1992 /	177
ალექსანდრე ლორთქიფანიძე / თბილისი, 1988 /	179
მაიკო მესტუმრე / თბილისი, 1991 /	188
ირაკლი ისაკაძე / თბილისი, 1990 /	193
მარიამ ბაჯელიძე / თბილისი, 1993 /	196
თეკლა მოდებაძე / თბილისი, 1987 /	198
გიორგი გონაშვილი / კანადა, 1990 /	207
ნუცა მახარაძე / თბილისი, 1989 /	212
ანა კალატოზი / თბილისი, 1993 /	214
ლევან გელოვანი / თბილისი, 1993 /	218
მარტინ ბეკი / გერმანია, 1993 /	219
გიორგი ელიზბარაშვილი / გურჯაანი, 1992 /	220
თამუნა კარელიძე / თბილისი, 1989 /	229
ლუკა კალანდარიშვილი / ბელგია, 1992 /	239
მარიამ ბექაური / თბილისი, 1990 /	243
გია ხიმშიაშვილი / შუახევი, ფურტიო, 1991 /	247
ნანა ნუცუბიძე / თბილისი, 1993 /	249
ირაკლი სალია / თბილისი, 1993 /	252
ზედგენიძე თამარი / თბილისი, 1990 /	254
თორნიკე მიშელაძე / თბილისი, 1992 /	257
ლუკა ჭოჭუა / თბილისი, 1988 /	258
ანა დაბრუნდაშვილი / თბილისი, 1989 /	259

კონკურსის მხარდამჭერი ორგანიზაციები:

კომპანია „ელიტ ელექრონიქსი“

დიასპორებთან ურთიერთობის საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

ორგანიზაცია **GSRT**

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ახალი განათლება“

ჟურნალი „ფოკუსი“

ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“

წიგნის მაღაზიათა ქსელი „პარნასი“

წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსა“

წიგნის სახლი

გამომცემლობა „დიოგენე“

გამომცემლობა „სიესტა“

გამომცემლობა „პალიტრა L“

პირველი ელექტრონული გამომცემლობა

კონკურსის დირექტორი
რუსუდან ოატ

კოორდინატორი
ლიკა მეგრელაძე

სამხატვრო ხელმძღვანელი
მანანა ბეგიაშვილი

ჟიური
ლელა ოჩიაური, გივი ალხაზიშვილი,
მაია სარიშვილი, ლევან გიგინეიშვილი,
გაგა ლომიძე

რედაქტორი
ქეთი ჯაყელი, მაია როსტიაშვილი,

დიზაინი
მიხეილ ქობულაძე, მილა ზოიძე

კავშირი „ახალი ხელოვნება“
ორბელიანის ქ. 31 თბილისი 0105 საქართველო
ტელ/ფაქსი: 995 32 987544

www.newart.org.ge
www.alubloba.org.ge